

კორნისი



4

2019



აჭარის მწერართა სახლი

ISSN 0134-3459

19004



9 770134 345001

ჭოროხი

გამოცემის 61-ე წელი

ივლისი-აგვისტო

№4

2019 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
სანდრო გერიძე

სარედაქციო კოლეგია
როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
შოთა ზოიძე
დავით თაღორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჭარაძე
რამაზ სურმანიძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქეზურია
ვახტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა
მალხაზ ფალავა

ოპერატორი
მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2019

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: (422) 27-15-30

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი



აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „კოლორ პრესში“.
თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №20



ავტორთა საყურადღებოდ:

რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8)); რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

მოქმედი, ჩრდილოეთი

დავით თაღორაძე – ლექსები	3
ნიაზ ზოსნიძე – მოთხრობები	22
ვაჟა ხორნაშული – ლექსები	36
ზურაბ შაშიკაძე – მოთხრობები	44
იზა ოსეფიანი – მოთხრობები	56
ზურაბ ასამგაძე – ლექსები	62

ჩრდილოეთი, ჩრდილოეთი

მიხეილ მახარაძე – მნიშვნელოვანი გამოკვლევა ქართულ ფილოსოფიაში	67
თამაზ ცინცაძე – ჰაიდარ აბაშიძის ნამოღვაწარი და სადღეისო პრობლემები	73
გვანცა კორტავა – ქართული არაკის ეკრანიზაცია ანიმაციურ კინოში	76

კოლხეთის მხარე

მამია ფაღაველი – ექსპედიციის დღიურები (დასაწყისი)	79
---	----

საერთო თეორია - 70

თინა შიოშვილი – ღია წერილი მზეზე გულგანფენილ მეგობარ პოეტს, ანუ „შენ ხარ მგოსანი“	107
გიორგი მარტოვილი	111

დასრულებული

სანდრო ბერიძე – „ჯამდებიან წლები და ჯამდებიან დღეები“ ინტერვიუ დავით თაღორაძესთან	115
--	-----

ჯონი, ჯონა



დავით თედორაძე

გამოჩენილ ქართველ პოეტს, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარეს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრს, საზოგადო მოღვაწეს, ლადო ასათიანის, გიორგი ლეონიძის, მემედ აბაშიძის, ილია ჭავჭავაძის, ჟურნალ „ოლეს“, „საგურამოს“ პრემიების ლაურეატს, პოეზიის რაინდს, ღირსების ორდენის კავალერს, საპატიო ბათუმელს ბატონ დავით თედორაძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

გულწრფელად ვულოცავთ ბატონ დავითს ამ ლამაზ თარიღს და ვუსურვებთ შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს.

*საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაცია,
აჭარის მწერალთა სახლი,
ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქცია*

სამნუხაროდ

ვინიშნები
საქართველოს კარისკაცად,
ისტორიას
ცრემლის სხივით ვქარგავ,
თურქს
არ ახსოვს, რაც ოსმალომ წარიტაცა,
სამნუხაროდ,
გამხსენებიც არ ჰყავს.

რომელ ფესვს და
რომელ ღეროს მოვეჭიდო,
უფსკრულისკენ
მიმაქანებს ზვავი,
სიბრძნის ნიგნი
უნდა მოგცე, ჩემო ბიჭო,
სამშობლო გაქვს
სიბრძნით დასაცავი.

* * *

მოსანყენი გახდა ბონი,
 დამავიწყდა ვენაც მალე,
 მენატრები უკვე, მგონი,
 საქართველოვ, გენაცვალე!
 საქართველოვ, გენაცვალე!
 შენს წალკოტში ტანჯვა მიჯობს
 ამ ევროპულ რია-რიას,
 თუმცა ხშირად დედინაცვლობ,
 მაინც,
 მაინც დედა გქვია.

დედა გქვია!

მელაპარაკე ქართულად

არ არსებულა,
 არ თქმულა,
 ზღვა ამოევსოს მდინარეს,
 მელაპარაკე ქართულად, –
 გუმბათი ეტყვის მინარეთს.

მელაპარაკე ქართულად,
 წყალში მდგომს წყალი მწყურია,
 ვერ ვეგუები ამ სურათს,
 ენა სამშობლოს გულია.

ამ ენის სათავეებთან
 უფლის სურვილი ჩათქმულა...
 ქედს ნუ მოვიდრეკთ დევებთან,
 მელაპარაკე ქართულად!

საქართველოს ბადამრჩენი

იქით მცხეთა მელოდება,
 მელოდება გორი აქეთ,
 ბიჭებს მერე დავურეკავ,
 მერე ავაფორიაქებ.

გავეცევი ლომებს ფხიზელს,
 რესტორნების აცილებით,

ქუთაისში ვნახავ მიზეზს
დათრობის და ნაძინების.

ელგუჯასთან სხვა ხიბლი აქვს,
სხვა მადლი და სხვა მარილი
ნაკურთხ ციცქა-ცოლიკაურს,
მკურნალს უფლის ნამალივით.

ვიცი, ერთ დროს ქუთაისი
საქართველოს ინახავდა,
ხსოვნა გვმართებს გელათში და
ბაგრატში მწოლ წინაპართა.

შევეგუეთ სარფში წერტილს...
ენგურს გაღმა დასმულ მძიმეს...
გვაპატიებს, განა, ღმერთი,
შუქს რომ ვაქრობთ მოციმციმეს.

ჩვენი ნებით – ბედკრულები,
ვუვარდებით ფაშვში მოლას,
ქუთაისო, მეგულები
ამ ზვირთებში მაშველ რგოლად.

ვენაცვალე შენს ტკბილ ქართულს,
სტუმრის გაოცების ჯადოს,
საქართველოს გადამრჩენი
ღმერთმა ქნას, აქ დაიბადოს!

ტბეთის ტაძარს

მინდა, შენს ქვებს ვეფერო,
ვაზის ჯვარის სადარო,
სულის მაცხოვრებელო,
ტბეთის დიდო ტაძარო.

ღვთაებრივი ფარდაგით
მრევლს ყოველთვის ჰფარავდი,
ჰქონდათ შენი იმედი
ერგეს,
კირნათს,
მარადიდს...

უფლის კვართით დანინდულ
 საქართველოს შვენოდი,
 ნუხდი,
 ჟამით დაბინდულს
 გარბევდნენ,
 ვერ გშველოდი.

მითხარ, ვის მოვეფერო,
 მითხარ, ვის გავუჯავრდე,
 აღსდგე, ვთქვათ, გურიიდან,
 ზარზმა-არტანუჯამდე.

საბა ეპისკოპოსის
 ვხედავ დიდ ეპარქიას
 სიზმარში და მივტირი,
 რაც დღემდე დამკარგვია.

ახლა ასე, შორიდან,
 შენს ხატს უნდა ვეფერო,
 სულის მაცხოვნებელო,
 სალოცავო ბებერო.

სალოცავო მზეგრძელო,
 ვაზის ჯვარის სადარო,
 სათნოების მთესველო,
 ტბეთის დიდო ტაძარო.

ბორკილად მადევს ავტონომია

სამასი წელი მკლავდნენ მორკინალს –
 სულს მიმღვრევდნენ და ახლა მოვკივი!
 ბორკილად მადევს ავტონომია,
 დედათბილისო, ამხსენ ბორკილი!

სამასი წელი მკლავდნენ მორკინალს,
 სულს მიმღვრევდნენ და ახლა მოვკივი!

მეც უნდა მეცხოს მცხეთის მირონი,
 მტერმა ვერ შეძლოს ჩვენი გარჩევა,
 მწარე წარსული, სავსე გმირობით,
 გინმოზდა დედას გადასარჩენად.

მეც უნდა მეცხოს მცხეთის მირონი,
მტერმა ვერ შეძლოს ჩვენი გარჩევა.

თუ შვილს ეძებდი მტერთან მორკინალს –
მტერი ვძლიე და მწარედ მოვკივი,
ბორკილად მადევს ავტონომია,
დედაშვილობას, ამხსენ ბორკილი!

ზიარების მისაღებად ამ მოდიან

ქუთაისი პოეზიის ქალაქია,
პოეტების მექაა და მედინა,
მის კარიბჭეს, მგოსნებისთვის მარად ღიას,
სიყვარული ფიანდაზად ეფინა.

ქუთაისი სიტყვის, სიბრძნის წალკოტია,
რითმითა და მეტაფორით რწყავენ,
ზიარების მისაღებად აქ მოდიან,
მერე ლექსით საქართველოს რთავენ.

ზნე ქართული ეკონება აქ ბიბლიას,
გენიოსებს თვით უფალი ლოცავს,
სხვა მაღლი აქვს,
სხვა ძარღვი და სხვა ხიბლი აქვს
იმერეთში დაბადებულ მგოსანს.

ვინ იცის, ხვალ რა იქნება

თვალს და გულს ერთად ვასვენებ,
გავცქერი ციხეს ხერთვისის...
რუსთ ხელმწიფეს ნუ ახსენებთ,
ცრემლის წყაროა ჩემთვის ის.

ტურისტებს ვაძლევ, ნუ გიკვირთ,
ოქროთი, აბაზს თუ მანში,
ავდივართ ანეგდოტებით
ჯადოსნურ აბასთუმანში.

ჰავაა, აქ რომც გინდოდეს,
ავად გახდომა ძნელია,

ბურქიდან ნაძვის გირჩივით
კუდი გამოყო მელიამ.

ვინ იცის ხვალ რა იქნება,
დღეს შევუბეროთ, სჯობია...
ასეა, მეც ვეთანხმები
ხარებასა და გოგიას.

ქალებო, ხელი შეგვიწყეთ,
რა უნდა კაცის გაგებას,
ნაძვნარი ითხოვს მთვრალისგან
გავარდნას, გააბრაგებას.

ღვინო წამალი ყოფილა,
ბედს ვეძებ მესხის მიწაზე,
ნუ დამიგულეებ მორჩილად,
მამა-პაპურად ვინამლე.

რა ვქნათ, თუ დრონი მეფობენ,
დროს ვერც ვერავინ აჯობა,
სამს არ მოიშლის ქართველი,
რომც ჩაუთვალონ ქაჯობად.

თამარის ენით საუბრობს,
ტაძარს თვლის უფლის სხივადა,
სამშობლოს არვის დაუთმოვს,
სიკვდილი უღირს ჩირადა.

რ(ი)ცა წვიმები ამირბარობენ

წვიმს –
ბათუმს წვიმა როდის უკვირდა,
ცა წარბის გახსნას არც კი აპირებს,
ამოაგორე, ცაო, უბიდან
მზე – სიხარულით რომ ამატიროს.
რომ მოილხინოს ჩემმა სტუმარმა
და ზღვას დარდები მiasამაროს,
რომ მიატოვონ რეტრო ქალებმა,
ინტელონ და იასამანონ, –
ამოაგორე, ცაო, უბიდან
მზე და სიცოცხლეს მიეც ხალისი,
დაბრუნდებიან სიყრმის სიზმრები
და სიყვარულიც მოვა თავისით.

მაგრამ ვის მისწვდეს
 სიბრძნე სურვილთა,
 როცა წვიმები ამირბარობენ,
 ამოაგორე, ცაო, უბიდან
 მზე და ქალაქი ამიგალობე!

ბალღინჯო კრავის მანტიით

გამოძვრება
 სორო-სიდან ბალღინჯო,
 დაგგესლავს და
 გადიქცევა კრავად,
 უნამუსოს
 მანანნალა ძალლი სჯობს –
 დაგყნოსავს და
 თავისი გზით წავა.

* * *

მას ახლა სძინავს ქმრის მკლავზე ტკბილად,
 მეუღლეს უთბობს მხარს გაშლილ თმებით...
 ფიქრობ და გულის სიღრმეში გტკივა
 ესეც და ისიც – სხვასთან რომ წვები.

ფიქრი გაურბის ინტიმურ სურათს,
 ფიქრი გაურბის ლანდებთან ლაციცს,
 შენ რომ გიყვარდა იმ მტევენებს წურავს,
 იმ ბადაგს წუნის უღირსი კაცი.

პასუხი დათუნას

შვილიშვილს

ბაბუ, როგორ მიყვარხარ –
 რანაირად მოვყვე,
 ბაბუ, შენი გულისთვის
 დევებს თავებს მოვკვეთ.

გავაჩერებ მდინარეს,
 გავანათებ ქალაქებს,
 ბაბუ, როგორ მიყვარხარ –
 რისთვის მალაპარაკებ.

ბაბუ, თვალის ჩინი ხარ,
 ბაბუ, ჩემი ბედი ხარ,
 სიყვარულზე ტკბილი ხარ და
 სიყვარულზე მეტი ხარ.

უკვდავების წყარო ხარ,
 ციდან ჩამონადენი,
 ლოცვანივით წმინდა ხარ და
 ლოცვასავით ნათელი,
 ისე შვენი სამშობლოს,
 როგორც ტაძარს – სანთელი.

ბაბუ, თვალის ჩინი ხარ და
 ბაბუ, გულის ჩინი ხარ!

* * *

მიჯნურობა
 ადვილია სიჭაბუკეში...
 ქალს დაკარგავ –
 უფრო ლამაზს ეძებ ნუგეშით.
 მე კი რა ვქნა?!
 გულს რა ვუყო,
 შენზე დაგეშილს?
 მიჯნურობა
 სიგიჟეს ჰგავს სიჭარმაგეში.

მის ნახვას მომთხოვს სული

ბალათერ არაბულს

სამშობლოს დარდით გამშრალი
 ლექსში ნაგვემი გული,
 კაცობის მეტრიც, მარშალიც,
 ბალათერ არაბული
 მომენატრება ხშირად და
 მის ნახვას მომთხოვს სული.

გაუტანლობის უღრანებს
 ღვთის მადლით გადასული,
 მეტაფორების ნალკოტში
 ჩამტკბარი, განაბული,

ქართული სიტყვის მძერწავი
ბალათერ არაბული
მომენატრება ხშირად და
მის ნახვას მომთხოვს სული.

ის კიდევ, კენწლვით გართული,
ჭაპანს ეწევა მძიმეს,
ღმერთიც მისი ჰყავს – ქართული,
წერს, ხალხს ურიგებს იმედს.

აღორძინდება, აღსდგება,
ასჯერ რომც გადათელონ,
მტრისგან ნამუსრი ქვეყანა,
ნატანჯი საქართველო.

* * *

სამშობლოს გამო მქონდა ჭრილობა,
წყენაც, ტკივილიც ვმაღე,
ახლა შენ აკლდი ჩემს უძილობას,
დარდით დაბინდულ თვალებს.

რომც მოგეფერო, რომც გაღიარო
ჩემი სიმღერის ლიბოდ,
ისევ და ისევ გულნაღვლიანმა
გული გულდაგულ ვქლიბო,

ვერ მოგიპოვებ, შენი წადილი
სხვა მზეს, სხვა სივრცეს ერთვის...
რა ლამაზია მაინც ამ დილით...
ვფიქრობ, სულ ვფიქრობ ჩემთვის.

შენ ხარ მზოსანი

შენ ხარ მგოსანი და უკეთურებს
არ აძლევ ნებას, სული გათელონ,
გინდა, ნუგეში სცე უბედურებს,
გინდა, უშველო შენს საქართველოს.

შენ გავიწყდება, რომ ხარ უმწეო,
როცა მგლებივით ძრწიან მზაკვრები,

შენ შენთვის ცოცხლობ სადღაც, უმზეოდ,
სულს ბორკილივით ადევს საზღვრები.

გტკივა, ტკივილმა ლამის შეგშალა,
შენ გიხუჭავენ თვალებს გახელილს,
არ მოდრკე, ბიჭო, ერს და ქვეყანას
მაინც შერჩება შენი სახელი.

რა ვუყოთ, თუკი დღეს ხარ უმწეო,
დამიზნებული შუბლში ლულებით,
სხვისთვის მზეს ნატრობ, თავად უმზეო,
მოძულე ლიქნის და ორგულების.

საბრძენი

გამოიდარა,
ნისლებს დაფენილს
მიაცილებენ მთის მწვერვალები,
ეშურებიან წყაროებისკენ
მზის მოლოდინში მყოფი ქალები.

ვუცქერ და ვტკბები,
ვტკბები და ვფიქრობ, –
ამათში რომელს შევიყვარებდი...
შენ რომ აქ იყო,
შენ რომ აქ მყავდე,
ამაფეთქებდნენ შენი თვალები.

ბორჩხაში

გავშინაურდით,
გავიკრიფეთ
სიტყვის მტევენებად,
დიასახლისი დედასავით
თავზე გვევლება.

უერთმანეთოდ
დავლილვართ და
ცრემლად ვქცეულვართ,

ასე შორიშორ როგორ გაძლოს
ერთმა სხეულმა?!

იყო კითხვები,
გახსენება –
პაპის,
დიდედის,
ჭოროხს ეფინა
სასწაული სხივი იმედის.

ვივაზირეთ და –
მასობაში კიდეც გათენდა...
სისხლის ყივილმა გააღვიძა
გული ქართველთა.

იმერხევი

წყალზე
თამარის ხიდია და
ხიდზე ყვავილი,
ჰგავს ეს ხეობა აჭარისას
ტყუპისცალივით.

ვნახე ძმები და
სიხარულის ცრემლით ვიტირე,
მთას აკვდებიან –
იქაც ზაფრავთ მიწის სიმწირე.

სულ ჩვენებური ხასიათი...
აზავთებული...
სიტყვაც,
პასუხიც,
სათნობაც,
მზერაც მეფური,
ისე ამშვენებთ,
როგორც მიწას,
ან ხეს – ყვავილი...
ჰგავს ეს ხეობა აჭარისას
ტყუპისცალივით.

ღმერთო, ისევ შეგვბართე

ღმერთო, ქართველს ჯანი მიეც,
დაულოცე ჯანი...
სიყვარულში ტოლს არ უდებს
ლაზს და მეგრელს ჭანი.

ტრაპიზონში ხელებს გაშლის,
სამსუნამდე განვდება,
დილამდე რომ აჯალინო,
ერთხელ არ გაბრაზდება.

ძღაბი თოლებს შემოგაფრენს,
ცისფერ თოლებს, მალულად,
ამოხეთქავს მარგალიტი
მეგრულ-ლაზურ-ჭანურად.

ეს ძველების სიმღერაა,
რომ არ შემოულამდეს,
ღმერთო, ისევ შეგვაერთე,
ისევ შეგვადულაბე.

სიყვარულით ბრმა ვარ

სიყვარული ბრმა არის,
სიძულვილიც ბრმაა, –
მითხრა კადიკოიში
ალიქიბარმა.

ჩემი გულიც შეტოკდა
ასჯერ სიყვარულით,
მაგრამ დღემდე არ ვიცი,
რაა სიძულვილი.

აფექტები ბევრია,
ეფექტები – ცოტა,
ყველა თავისებურად
სცოდავს!
სცოდავს!
სცოდავს!

უცოდველი ვინც არის,
ვინც დაიდგამს გვირგვინს,
ვეძებ, მაგრამ ვერასგზით
ვერ ვიპოვე ირგვლივ.

როგორც ყველა მოკვდავი,
ცოდვა-მადლით დავალ,
სიძულვილით კი არა –
სიყვარულით ბრმა ვარ.

ტირილი იყო სარფში

ხანდახან საქმე არ წაუვა
კაცს ხოლმე წაღმა...
ტირილი იყო გამოღმა და
ტიროდნენ გაღმაც.

შუა სოფელში ხაკისფერი
ღობე და ღობე,
ფორთოხლის ჩრდილში მოხუცები
სხედან და ბჭობენ.

აფრინდა შაშვი ძირგამომპალ
ხურმის ტოტიდან,
ხბო გაჯიუტდა ვანილიშის
ჩამტყდარ ბოგირთან.

ცხოვრობს სოფელი ადათებით –
ძველით და ახლით,
დგას ჯარისკაცი მავთულხლართთან,
იქვეა ძალღი.

მზემ სახეკეთილ დიაცივით
ზღვაში ჩაყვინთა...
გამოასვენეს და გამოჰყვა
გული გაღმიდან.

აქ კი მდუმარე, ხაკისფერი
ღობე და ღობე...
სასაფლაოზე მოხუცები
დგანან და ბჭობენ.

რბ ხელმა ქნა...

ქარიშხლებს გადარჩენილი
იშხანი შემხვდა მდუმარი,
მომრავლებია გულთბილი
გურჯისტანიდან სტუმარი.

მოსაოხებლად წარსულის,
ღვთისგან ჯვარგადასახული,
სულის შემძვრელი ტკივილით
მიცქერს ბანა და ხახული.

ვგრძნობ,
რა ცეცხლი უკიდია
ამ ტაძრების გამო უფალს,
რა ხელმა ქნა?!
ამის მნახველს,
ქვასაც ცრემლი წამოუვა.

ქვაც იტირებს,
ამდენი ხნის უმირონო,
უკურთხები,
ჩაქცეული გუმბათები,
ჩალენილი ჩუქურთმები.

სადაცაა შეღამდება,
მთვარე სულში ნალველს გარევს,
ნეტა, თვალით არ მენახა,
არ მეყლაპა ცრემლი მწარე...

სახელი არ დამიპრბავს

მარტია,
საჭიკარტია
ნისლმა ჩაიკრა, ჩაბელა,
ალარ გვალისა წარმტაცმა
მზემ მწველი თვალის გახელა.

მონყენილია სოფელი,
არ ახალისებს არც ღვინო,
მე, ამ წალკოტის მფლობელი,
შვილს ვმოძღვრავ, არ შემარცხვინოს.

ამინდს ვერაფერს გაუგებ,
სტუმარიც სანატრელია,
სანამ ტურები წაიღებს,
ქათმები დასაკვლელია.

გულში ჩაღვრილი ნაღველი
სასმელმა ამომიქარგა,
მაქვს და მექნება სახელი,
სახელი არ დამიკარგავს.

აღმაშენებელი

უკვდავებისთვის ეყოფა
ცხრა ერს დავითის მეფობა!

მეფე
აფხაზთა,
ქართველთა,
კახთა,
სომეხთა,
რანთა...
სხვას,
სხვას ვის ჰყავდა
თუნდ მაშინ,
თუნდ სხვა დროს,
ქართველთ გარდა!

დავითმა ხმალი იშიშვლა,
მტერი გაფუჭდა შიშისგან!

გადაირბინა
ტაოსკარი
თურქის ლაშქარმა,
ვით ტურის ჯოგმა,
ძუ ავაზის
ლრენით დამფრთხალმა.
უკუქცეულმა
სპარსმაც შარა გაავერანა,
და გაიშალა,
ალორძინდა ქართველთ ქვეყანა!
აგო ტაძრები,
ხანაგები,

გზები,
ხიდეები...
კაი დრო იყო,
საქართველოს სცნობდნენ დიდებით.

უკვდავებისთვის ეყოფა
ცხრა ერს დავითის მეფობა!

* * *

გაიცინა ლაზმა
ირონიულ ქვეტექსტით,
– ამ პატარა სოფელს
რას მისცემსო ეს ლექსი.

– რა ვიცი-თქო, –
ვუთხარ და
მარცხნივ გავიხედე,
ამშვენებდათ ცრემლები
ქალწულებს და დედებს.

ერთმა მანდილოსანმა
ჩამოიღო ფანდური,
ლაზიკაზე იმღერა
სევდიანი ლაზურით.

აგვაცრემლა და უცებ
მოსჭრა ლხინის თარგზე,
– კიდევ ერთი ლექსი
დანერეთო სარფზე.

უფლის ხმა როცა გესმის

სუნთქვაში,
გულისფეთქვაში
ჩაისახება ლექსი,
როდესაც ღმერთთან საუბრობ,
უფლის ხმა როცა გესმის.

აბჯარასხმული წუხილი
ცრემლად გაყვება სტრიქონს,
საქართველოში ოდითგან
ლექსი მებრძოლი იყო.

ხან სინარული მოსავდა,
მიეცემოდა ტრფობას,
მოდღვარი გახლდათ, იწყებდა
მოზარდის სულის წრთობას.

წერდა მეფეც და ბოგანოც,
ლექსი დუშმანმაც გვიქო,
ერის სულს შემოეხვია,
როგორც ვენახი ჭიგოს.

სუნთქვაში,
გულის ფეთქვაში
ჩაისახება ლექსი,
როდესაც ღმერთთან საუბრობ,
უფლის ხმა როცა გესმის.

* * *

პეპელა უფრო დიდხანს ძლებს,
ვიდრე ბათუმში თოვლი,
და მაინც,
მაინც
მიყვარს მზე –
უპირველესად ყოვლის.

მომწონს ქარების წივილი,
წვიმაც,
სეტყვაც და
ბარდნაც...
და მაინც, დიდი ტკივილით
დამამხო მზეზე დარდმა.

მზეო,
ამოდი,
გაბრწყინდი,
გამათბე,
გამალაღე!..
ბაღში ვდგავარ და
დარდს ვყიდი,
მყიდველი დამანახე.

* * *

ვაჟკაცს მტერსაც არ ვაძაგებ,
ბოლმა მახრჩობს ცრუ მტრების,
თვალის ამომილამდა
მოლოდინში სტუმრების.

ბახუსიც ვერ დამინუნებს
ამ ნალკოტს და ამ ღვინოს,
სად ხარ?
სად ხარ?
ღმერთის კაცო,
გული მზეზე გავფინოთ.

წყლულებს ლექსით ვუაქიმოთ,
ვერ ვასრულებთ, ვიცი, როლს,
ბოლო მომტირლები შევრჩით,
ქართლის ბედზე ვიტიროთ.

ბხლბ მრს უნდა ილიბ

შალვა ნიკლაურს

ქ. ჰანოვერი, გერმანია

ისეთი ცაა ჰანოვარს,
გგონია, ნვიმა ნამოვა...

ვთამადობ, შალვა ნიკლაურს
თვალეში ცეცხლი უნთია,
სუფრასთან ემიგრანტობის
მაძიებელთა გუნდია.

ვერიკო მღერის, – ამ გოგოს
ო, რა სიმღერა სცოდნია,
შემთვრალი მამაკაცები
ცრემლის ღვრით ერთურთს ჰკოცნიან.

ისეთი ცაა ჰანოვარს,
გგონია, ნვიმა ნამოვა...

– ზამთარში?! უკაცრავად ვარ,
ზაფხულში მზე თუ ამოვა, –

იტყვის შალიკო-ვალიკო
და საქართველოს დალოცავს.

ეჰ, ბედის ბორბალს რა ვუყოთ,
სად მიაბრძანებს სადაურს,
აქ გულს ერთმანეთს გავუყოფთ,
შინ ვეცილებით ხატს და პურს...

ისეთი ცაა ჰანოვარს,
გგონია, წვიმა წამოვა.

თბილისში მზეა, ამინდი,
როგორც ამბობენ, თბილია,
...ამინდს გაუნყრეს გამჩენი,
ახლა ერს უნდა ილია.

მომავლისთვის, წინაპრისთვის

ზურაბ ხაბაძეს

რას ველოდებით,
რას მოგვიტანს ყურება სულ წინ...
მშვიერი მტაცებელია,
მაძღარი – ძუნწი.

მე კალამს ვლოკავ,
შენ გაგჩრია კბილებში ფუნჯი,
მანც ვამაყობთ ჩვენი მოდგმით,
ჩვენი საუნჯით.

რაკი სამშობლო დედინაცვლობს,
გახდა ყრუ-მუნჯი,
უნდა ვიხაროთ ყვავილებით,
ზეცის სილურჯით...

ვწეროთ და ვხატოთ
მომავლისთვის, წინაპრისთვის,
ხვალ რომ გაჩნდება, იმ ბიჭისთვის
და იმ ქალისთვის...

ვწეროთ და ვხატოთ, მეგობარო,
მხოლოდ ხვალისთვის.



ნიაზ ზოსიძე

სამირა...

ლოგინიდან ნამოფამფალებული მელისა, პირხმელი, მუხლებაცაცახებული, თვალში ნალველჩამდგარი, ფეხათრევით, მოჩლარტუნობს... სვენებ-სვენებით ჩამოუყვა ქვის კიბეს... – ეჰ, რაფერ გამიჭირდა თბილი ლოგინიდან გამოძრომა, მარა... აქა მშვიდობა და თქვენ გამარჯვება, – თქვა აკანკალებული ხმით...

ეზოში სოფლის, თივის, ბოსტნის, თაფლის, ვარდის, რძის სუნი ტრიალებს... შორს ზღვა და ბათუმი ილანდება...

დამჭნარი, ყვითელი ხელი მელისამ მუხლზე დამადო, ამოიგმინა და აღელვებით დაიწყო:

– ბებიაჩემი სამირა თხუთმეტი წლისა ყოფილა, ატორტმანებულ ზღვაში, დაცხავებულ გემზე ბოლო ხმაზე რომ გაჰკიოდა, მიშველეთო!.. ასეულობით აფხაზი ყოფილა გემზე... ტიროდნენ, ბლაოდნენ და იცრემლებოდნენ მშიერ-ტიტველნი... აფხაზეთში დაბრუნება არ იქნებო, რუსმა, თურქეთში დაბრუნებაზე არც იფიქროთო, ოსმალომ... მანამდე ერთი გემი ზღვაში აუფეთქებიათ ოხრებს, მაგათი ქოქი ამონყდეს, სულ ამოუხრჩვიათ ამდენი აფხაზობა... ახლაც სიკვდილი მოსულიყო სამანთან... მოტრიალებულა გემი და ადლიასთან, ნაპირს შემომსკდარა... ცა რალაცნაირი ყოფილაო მაშინ – ბნელი, მუქი, უცხო, საშიში... ხე-კლდე-ხავს ჩაბლაუჭებულ-ჩაფრენილი გადარჩენილები ნაპირზე მობოლავდნენ... დამხრჩვალთა გვამები მესამე

დღეს ზღვას ფოთში გამოუყრია... აჭარლებს ჭრაქებით დღელამსწორებით უწვალაით, გადაუმაღავთ, შეუფარებიათ, შეუმოსავთ და დაუპურებიათ გადარჩენილი აფხაზები...

კი გითხარი, სამირა მაშინ პატარა ყოფილა... ჩემს დიდ ბაბუას, ქემალს უპოვნია კლდის ნაპრალში ტან-ფეხ დასისხლიანებული, განუნული, უგონო, თვალეებზე სიკვდილშემოღრუბლული... კუნაპეტ ღამეში ხელში ატატებული ნამოუყვანია სამირა, სისხლი ჩამოურეცხავს, უაქიმნია, ულოცნია, ფეხზე დაუყენებია და ოჯახის წევრად გამოუცხადებია...

ცრემლგამშრალი სამირა გაშეშებული თვალეებით იდგა და გაუთავებლად მშობლებს, დამას ეძახდა და ნატრულობდა... ძილი არ ჰქონდა, სულ თრთოდა და შფოთავდაო... – ჯერ ჩვენ გვიგულე მშობლებად, მერე მე ვიცი და ჩემმა კაცობამო, – უთქვამს, დიდბაბუა ქემალს.

ლამაზი გოგო ყოფილა სამირა, ხორბლისფერ სახიანი, ცისფერთვალეა, ვნებიანი, წელწერილა... წინდების და ფარდაგების ქსოვაში ათენ-ალამებდა...

დიდბებიას უთქვამს ქემალისთვის – ჭოვ, სანამ ამის სავსე მკერდი კაბას გამოფხრენს, დავნიშნოთ ჩვენს მეველუდზე, თვარა, ვინმემ არ მოგვტაცოს ეს ჩვენი აფხაზურაო... თვრამეტი-სა ყოფილა სამირა მაშინ... პატარა ქორწილის-მაგვარი გადაუხდიათ და მოვმრავლდით ასე...

მაგერ გახუნებული, კვერცხის გულისფერი ზედატანი და თხელი ჩითის კაბა, ეგ საბნების გასაბერტყი ჯოხიც სამირას ნაქონია...

გულრიფშიდან ყოფილა სამირა... 1878 წელს მომხდარა ეს ამბავი... დიდბაბუა ქემალს უთქვამს მაშინ, აღარ ღირს მუჰაჯირად წასვლა, აგერ აფხაზებმა იქ დარჩენას სიკვდილი ამჯობინეს და ჩვენ ოსმალეთს რალა დაგვრჩენიაო... ბევრ აჭარელს გადაუფიქრებია იქ წასვლა...

– მერე, მერე რა მოხდა? – მივაჩერდი მელისას.

– დავიღალე შვილო, მეტი რალა გითხრა, მერე ბოლშევიკები მოვიდნენ, ღმერთი გადააჩოჩეს და მის ადგილზე ლენინი მოაჩოჩეს... მერე უცბად, თვალში სინათლე გამოეღია სამირას, ვე-

ღარ მოიხილა საყვარელი აფხაზეთი... მამაჩემი იტყოდა, უთვალჩინობას უფრო იმიტომ განიცდიდა, ამინდის გამოცნობა აღარ შემოძლიაო... ადრე, ცას შეხედავდა, ღრუბელს, ცის ფერს, ნისლის მიმოფანტვას დააკვირდებოდა და გულთმისანივით გამოაცხადებდა ამინდსო...

– კაი, ახლა, ნიაზო, გვეყო, საქმეს მივხედოთ... – სანამ ვახშამს დადგამთ, სტუმარს წყალგარეული, მარილნაყრილი მანონი დაალევინეთ, ორგანიზმი მოაცოცხლოსო, – მიუბრუნდარძალს. – თქვენ, ზედაურები ამფერს ნარეკას ეტყვით, ხომ? – თავი დაგუქნიე. – ჩვენ აირანს ვეტყვითო, – მელისამ...

დაღამდა, ცაზე ლიმონისფერი მთვარე ამობურბურდა...

მატილდა...

მატილდა რომ გამომზეურდებოდა, ბათუმი საპატარძლო კაბაში გამოწყობილს ჰგავდა...

ვარდისფერ ტუჩებზე სისხლისფერი ძარღვები აჩნდა, ხორბლისფერი სახე და ბღღვიალა, სიცოცხლით სავსე თვალეები ჰქონდა, ქედანივით ღულუნებდა, დაშაქრულად საუბრობდა, სულ პირმცინარობდა, ბევრი ვინმე გააფუჭა, დააბრმავა, დაამუნჯა და დააჭკნო იმის მზერამ... ნიავი რომ თეთრ კისერში ჩამოშლილ თმებს ურხევდა, ბევრ ვინმეს ემართებოდა ბნედა. იტალიური ეზოს შუაში ჩამოქნილ ფეხებზე წყალს რომ ისხამდა და კისკისებდა, მაშინაც ბევრ ქართველს, აფხაზს, არაბს, ებრაელს, რუსს, სომეხს, ასირიელს, აზერბაიჯანელს მისდიოდა გული...

მერე მოირღვა ძველი ადათები, თვარა, თავიდან ბათუმელ ქალთა უმეტესობა შავად შეფუთული დაიარებოდა ზღვაზე, კაბებს კოჭებს ზევით აიწვედნენ და ბედნიერები გრილდებოდნენ და ტკარცალებდნენ... ამ სიშავეში გაიხდიდა და თეთრად აიშხვართებოდა მატილდა, ტანშიშველი, მკერდზე ჩამოშლილი ოქროსფერი თმებით შესრიალდებოდა ზღვაში და წყლის ქაფი ელამუნებოდა...

დედამისი გამოჩენილა პირველად ბათუმში... ბევრი შხამ-სამსალა და ვარამი გადაუტანია სანამ აქ მოვიდოდა, დამფრთხალი, ღონემიხდილი, ახლადგაპენტილი ბამბისფერი სახით მილასლასებულა მონასტერთან ღამის გასათევად. არსად მანამდე ამათსავით არავის უთქვამს, ყველი და პურიო, კეთილი გულიო...

ზუსტად არავინ იცოდა საიდან მოვიდა ბათუმის მატილდას დედა, მხოლოდ ის უთქვამს, ჩემში უელსურ-შოტლანდიური სისხლიც ჩქეფსო და ჩემი უახლოესი ნათესავი იყო ექიმი, რომელიც რუსეთის მეფე ნიკოლოზ მეორის ოჯახთან ერთად ჩაცხრილესო...

ათასი სხეულმრუში, გარყვნილ-გახრწნილი, სულგაძარცვული, ოხერი და შმორიან გზაზე შემდგარი შეხვედრია მშობლიური ბუჯრიდან აფრენილ ქალს...

ბათუმმა გაუღიმა, ბათუმმა გაათბო...

ეკლესიის უკანა ეზოში მიიცვალა. როდესაც ნახეს, დედის ძუძუებზე მიბლატებულ მატილდას ისევ ეძინაო...

მერე ასიარულდა მატილდა, აიშოლტა, ახასხასდა, ეშხი და პენი მიუმატა სილამაზით და სიყვარულით ცეცხლნაკიდებულ ბათუმს...

ბევრი აეტორლიალა მაცდური სურვილებით... მზად ვარ შენს ფეხებთან დავემხო, ერთმა, თუ მიბრძანებ, შიშველი ხელით გველს დავიჭერო, მეორემ, ჩემი ხატი და ფრესკა ხარო, მესამემ... – ხატი და ფრესკა თუ ვარ, ხელი არ მახლო, მიყურე და დატკბიო, უარი უთხრა მესამესაც... მეოთხე შეუყვარდა, თავდავიწყებამდე შეუყვარდა... შვილი შეეძინა, უფრო განაზდა და გალამაზდა...

იმ დროს ბათუმში მოთარეშე ქოლერამ ნაართვა ერთადერთი შვილი...

ქმარი ზღვაში დაიხრჩო...

და... ატირდა... გაცამტვერებული სიყვარულის გამო ცრემლად დაიღვარა, გული გაეზარა მათილდას...

...თვალისჩინი წაერთვა უმწეო ბარტყივით დაუცველ და უსუსურ მათილდას... სამუდამო მარტოობისათვის გაიწირა...

კვირაში ორჯერ, ძალღმან ერთად გამოდიოდა გარეთ... ძალღმა იცოდა სად წაეყვანა მათილდა – ან სასურსათო ქოხში „პილმენჩიკების“ საყიდლად, ან ერთადერთ სილამაზის სალონში „ჩტობ უკრასიტსია“...

მატილდას სახლის ახლოს ღრეობის და ბაკხანალიის ხმა ისმოდა... კიბე აჭრაჭუნდა... მერე ვილაცამ კარი შეღვნა, უსუსურ მათლდას საკინძე შესხნა, ზევიდან გადაემხო, ის იყო ძუძუებს უნდა დასცხრომოდა და... „როქსი“ გახდა დასაბმელი...

დაღრღნილ-დაღჯნილი, სისხლში ამოლუმპული მექალთანე ძლივს გალასლასდა გარეთ...

ნატიფი ხელოვნების მოყვარული იყო მათილდა... ურწმუნოაო, ვერ იტყოდი მასზე, მაგრამ თავისებურად ესმოდა რწმენა...

იტალიური ეზო სმენად იქცეოდა უთვალჩინო მათილდა რომ საუბრობდა... – კი ვიცი, შვილო, ყურანი მუსლიმანთა წიგნი რომაა, თორა – ებრაელთა და სახარება – ქრისტიანთა, მე კიდევ, არც ერთი წიგნი არ წამიკითხავს... მორწმუნენი თავიანთ სალოცავებში რომ მიდიოდნენ, მე, როცა თვალისჩინი მქონდა, მოხუცებულთა თავშესაფარში გავრბოდი და ვეხმარებოდი... გინდ მორწმუნე იყოს და გინდ ცრურწმენაში ჩაკეტილი, თუ ის ფიქრობს, არიქა, ნახეთ, სხვას ვეხმარებო, ფუჭია ასეთი სიქველე, თანადგომა სულის მოთხოვნილება უნდა იყოს...

როქსიც რომ დაბრმავდა, სავარძელში, პლედში გახვეული მათილდა გულშეთრთოლებული და ცრემლგამშრალი მოსთქვამდა... დაქანცულს ხმა ჩაუნყადა, ენა დაება... თვალგაუვალ, ნახშირით ღამეში, როცა სიკვდილსაც სძინავს, სახეზე მიწისფერი დაედო... გულის სიღრმიდან ამოიკვნესა და უსასრულოდ ღრმა თვალეზი აღარ გაუხელია...

ვაჟა ფშაველას ქუჩაზე, ძველისძველ აგურის სახლზე რკინის პატარა ფირფიტას ერთი სიტყვა აწერია – მათილდა...

სუფრასთან მოსმენილი...

შევედი თუ არა, ვინც მოვიდა გაუმარჯოს და ჯარიმა დალიოსო... ძველებური, ტუნჩისკარტა დოქი ხომ გახსოვთ, ის შემაჩჩეს ხელში... ჩავიხედე დოქში და იქიდან ჯინი მელრიჭება, ნუ გეშინია, დამენაფე, ჩადი ფსკერამდეო... მივიყუდე და სულ ბუყბუყით გამოვცალე, ცარიელი დოქი ყურთან შევანჯღრე და მაგიდაზე დავდგი... ხვევნა-კოცნების და ვახტანგურების შემდეგ დავიშალეთ... დაბურუსებული თვალეზით მივბლაცუნდი სახლში, ლოგინში უხმაუროდ შევწეე

და მეუღლის თბილ სუნთქვას ჩემი ხვრინვა შევურიე...

გამთენიოს ცოლმა ცეცხლზე დამდო: ფული შენ არ გაქვს, სა, სიკტილში, სა, ჭირში, ვისთან ერთად სკდებო!

გასუსული ვარ, პირს არ ვაღებ, ხმას არ ვიღებ...

– რას კუსავ თვალეზს ბაყაყივით, ადე ზეზე, ათასი საქმე გიცდისო, – ცოლმა.

ხმა რომ არ გავეცი, ისევ დამაცხრა:

– დაგიბრმავდა ეგ თვალები, ეგ ყურები და-
გიყრუვდა, ღმერთმა გაგიჩერა მაი ყბა, ადე, კა-
ცო!

ეს რა დღეში ვარ, ხალხო! დავსველდი ოფლის-
გან და სირცხვილისგან... დავკარგე, სადღა მაქ-
ვს კბილები, სადღა მაქვს პროთეზი?... ნეტა, სად
დამრჩა? სად დავტიე? სად მოვშარდე? სად და-
ვაცხინკე? სად ვალებინე და სად ვიყლორჭინე?

მოშხამულ გუნებაზე, პირზე ხელაფარებული
წამოვხტი, ქურდი ძალღივით გამოვიპარე გა-
რეთ, შარვალ-პერანგი გზაში ჩავიცვი და უკულ-
მა დავადექ მარშრუტს, რომელიც დაახლოებით
აღვიდგინე...

გინებ-გინებით, „იობტვაი მატის“ ძახილით
და მგლური ნაბიჯებით მივინევი წინ, გამწარე-
ბით ვიყურები იქით-აქით და პროთეზს ვეძებ...

ჭადართან შავი და თეთრი ძალი ღრღნის,
ბღღვის და ასისხლიანებს ერთმანეთს... რას
ვხედავ! შავს კბილებით ჩემი პროთეზი უჭირა-
ვს, თეთრი ნართმევას ლამობს... რა ვქნა და რა
წყალში ჩავარდე? მეშინია ძაღლების, იმასაც
ვშიშობ შავი არ დაფრთხეს და არ გაქრეს... ქვას
დავავლე ხელი და დავუმიზნე... შემომღრინეს...
ოდნავ გადავდგი ნაბიჯი წინ, შავმა შემომყეფა
და ამ დროს პროთეზი დაუვარდა. უფრო მოზ-
რდილ ქვას დავწვდი თუ არა, ორივემ მოცოცხა...

პროთეზს პერანგის ყური გავუსვ-გამოვუსვი,
ჩავისვი ყბაში, შავ დედაბერს მზესუმზირა გა-
მოვართვი, კნანა-კნუნით და ისევ გინებ-გინე-
ბით წამოვფრატუნდი უკან...

ისევ ცეცხლზე დამდო ჩემმა ჭკუააფრაკმა:
პახმელია გააკეთე ხომ, შე, შავო ქოფაკო!..

ბებრინე

ნელა მობანდალდნენ... ბიჭები ფეხზე წამოუ-
დგნენ, ესენი დასხდნენ...

აქეთ ბერიკაცები – სევდაჩაბუდებული, დარ-
დჩაგროვებული, მშვიდი, ფიქრჩახვეული, წუთი-
სოფელდამდურებული, დაღლილ-დაქანცულ-
ნი...

იქით დედაკაცები – ქანცმილეული, ძილგა-
ტეხილი, ავიშვიშებული, სევდიანი, ჩაცვნილი
თვალებით...

ცოტა მოშორებით, სიცხისგან ტოტებდაოსე-
ბული თხმელის ქვეშ ფატმანი გამოჩნდა, ყველა
ბეატრიჩეს რომ ეძახდა...

აქეთურ-იქითურნი პირდაფრენილი და გამო-
ლენჩებული მისჩერებოდნენ ბეატრიჩეს ათქვ-
ირებულ მკერდს... ამათ შუაში უნდა ჩაიაროს
ბეატრიჩემ...

ხალისიანი, ალერსიანი, ეშხიანი, ბრდღვიალა
თვალები, გულგახსნილი და მკერდგახსნილი,
ოქროსფერი კულულები, ლულუნა ხმა, კურნო-
სა ცხვირი, მომრგვალებული სახე, სანთელივით
ჩამოქნილი მკლავები და თითები, თვალში სი-
ცოცხლე გაელვებული...

მოვიდა. ლამაზი მკერდი ეშხით შეათამაშა,
კაბა გაისწორა...

– შენც კაი ვინმე ხარ ღმერთო, ასეთი შხვა-
რთი რომ გააჩინე და ხელუხლებლად აჭკნობ,
შეიძლება ასე? – ჩაილულულა წინა ბერიკაცმა.

პატარა, მილეულმა ბიჭმა, თვალებით რომ
დააკვდა ბეატრიჩეს ძუძუებს და საკინძეში ჩა-
უძვრა, ამოშაქრა:

– არაფერი არ მინდა, ფულუროში ვიცხო-
ვრებ, ოღონდ ეს გამაყოლებთ სახლში, გამაძღეთ
ამის ცქერით და ხვევით...

მეორემ ფართო მხრები შეათამაშა და ამოი-
ოხრა:

– ერთი ამის ბუტკუცა ლოყები დამაკოცნია,
ამის ყურის ბიბილოსთან ტუჩები მიმატანია და
მერე...

უკანა ბერიკაცმა, თავი მზეზე რომ ულაპლა-
პებდა, ყალიონი დააკაკუნა, ნამწვი გამორეკა
და ახალგაზრდებს მიუბრუნდა:

– ვინც ამას ნელზე შემოეხვევა, კაცი ვარო
იმან თქვას. ამის დანახვაზე მე ლექსის თქმა
მომინდა, მარა ახალგაზრდებს სხვა ათასი რამე

გინდებიან კიდევ... კაი თავშენახული ვინმეა, მარა მარტო სილამაზეში რა ყრია! დაბანა, დარეცხვა, კემსვა, ცეცხლის აბრიალება, ძროხის მონველა, სიტყვა-პასუხი, უფროს-უმცროსი, მიმსვლელ-მომსვლელი, საჭმელ-სასმელი იცის, ნეტაი? ისე, ბეატრიჩე რა სახელია და რატომ ჰქვია ფატმანს?

– რატომ ბაბუ და, მწერალი ყოფილა ერთი, დანტე, ერთ ავშარამიშვებულ გოგოს, ბეატრიჩეს ჰყვარობდაო მაგი. ისე მოკვდა ბეატრიჩე რომე, მარტო ერთჯერ უთქვიათ სალამი ერთმანეთიზა, მეტი არაფერი ყოფილა იმათ შორისო... გადაიხარხარა ნონოლა ბიჭმა...

მობრუნდა ბეატრიჩე, უბოროტო, ღიმილიანი:

– ეჰ, ერთი ნატვრის თვალი მომცა, ან ნატვრის ხე შემახვედრა საცხა და მერე მე ვიცი!

– რას იზამდი, ბეატრიჩე? – შეეკითხა დამჭკნარი დედაბერი.

– არ ჩავქრებოდი ბაბუნვერასავით, დიდ ქორწილს გადავიხდიდი, აქ რომ ხართ, ამდენ შვილს გავაჩენდი, ყველას აგალიმილიანებდით, დარდს, ნაღველს, გულის ვარამს მოგაშორებდით, ტკივილებს დაგვიამებდით, ღმერთს ჩაგისახლებდით გულებში და რაც მთავარია, არასოდეს არ გაჭორავებდით...

ცრემლი აუციალდა თვალზე ბეატრიჩეს...

ნავიდა ნვივმალალი ბეატრიჩე...

ცრემლით და ტაშით გააცილეს ბეატრიჩე...

* * *

მყრალი, უსალამო, უღმერთო ვინმე იყო, ბითური და დანყველილი, ნალმა-უკუღმა ენას ატარტარებდა... ჯერ იყო თანასოფლელები ოსმალოსთან დაასმინა, ღამღამობით, ჩუმად ქრისტიანობენ, სანთლებს ანთებენ და საადღგომოდ კვერცხებს ღებავენო... ამათაც რა ექნათ, შუალამისას ცხენები აღკაზმეს, ცოლ-შვილი შესხეს, თავად ფეხით ჩაუდგნენ კვალში და ჩოლოქგაღმა გაიპარნენ... მერე ღმერთის მგმობელ ბოლშევიკებთან სოფლის მოჩუმათე მღვდელი დაასმინა, მაგის განაპირა სახლი სანთელ-საკმევისაგან ყარსო... იმ დღესვე დასახვრეტად ნაუყვანიათ ღვთისნიერი მღვდელი... ის ადგილიც მიუსწავლებია ჩეკისტებისათვის, საეკლესიო ნივთები და ხატები რომ იყო დამარხული... მერე ამ გულმხეცისთვის მედალი დაუკიდნიათ, „ხალხის მტრების“ აღმოჩენისათვის, „შავბნელები“ კი შორეულ ყაზახეთში გაუსახლებიათ... სოფლის თავკაცად მომჯდარა ეს გულბოროტი და მას მერე შავი ღრუბელი აღარ ამდგარა ამ სოფლიდან...

მამაჩემის კარებსაც მიუტაკუნა მაგ ოჯახქორის გასახმობმა ხელმა...

– თავმჯდომარე, ნუ დამღუპავ, ნუ მომსპობ და ნუ ამომძირკვავ, ნვით და დაგვით მოვაშენე

ეს სახლ-კარი და ყანა-ბაღჩა, დამეთხუე, ღმერთი გაგახარებსო! – შეეთაყვანა მამა...

– ღმერთმა თავისთავს უშველოს თუ შეუძლია, რაის ღმერთზე და რომელ ღმერთზე მელაპარაკები?! ხარი გამოუშვი და ხმა ჩაიგდეო! – თავმჯდომარემ.

გამოუშვეს ბოსლიდან ნითელი, ნესტოებდაბერილი ხარი... გულშექანებული მამაჩემი აივნიდან გადმოხტა, ფეხქვეშ გაიგდო რკინის მკვნეტელი და ღვთისპირიდან გადავარდნილი თავმჯდომარე... ღრიალით და ფხანა-ფხუნით ბოსელში მიათრევედა, მაგ ხარის მაგივრად ბაგაზე შენუნდა მიგაბაო... გულშემზარავი, სასონარკვეთილი ხმით მოსთქვამდა დედაჩემი, ვჭყვიროდით, ვჟივჟივებდით და ვღნოდით მშიერ-ტიტველი, მუხლებაკანკალებული ბავშვები... თავგაპობილი და ბარძაყადატეხილი სოფლის მათხარი უკანასკნელ ხმაზე ღრიალებდა...

თქართქურით ჩაიქროლეს ცხენებმა... ბოლო ცხენის უნაგირზე მიბმული მამა ნაძალადევად მიძუნძულებდა...

ცრემლად იღვრებოდა დედა...

იცრემლებოდა სოფელი, რა კაცს გვართმევნო...

ხმამალლა ტიროდნენ ბავშვები...

მე ენაჩავარდნილი ვიდექი, ჰაერი არ მყოფნიდა, სული მეხუთებოდა...

მღვდლის ნასახლართან, სოფლის ბოლოს, შაოსანი ქალები იდგნენ ცისკენ ხელებაპყრობილნი და წყნარად გალობდნენ, აუჩქარებლად, სასოებით...

ნელ-ნელა იღველფება ცეცხლი ბუხარში, თვალეზრეტილი დედა ჯორკოზე გაქანდაკებულია...

მერე დედამ ცრემლი შეიმშრალა, რკინის ქალამანი ჩაიცვა, გვერდში ამომიყენა და დაიწყო კარდაკარ სიარული მეუღლის ბედ-უბედობის გასარკვევად...

მიაგნო ბათუმში, ერთ-ერთი სახლის სარდაფში გამოკეტილ მამას... დილეგის ბოლოს მისი თვალეზრეტილი დალანდა. მერე თქვა, მაშინ ჯერ კიდევ სიცოცხლე უელავდა თვალეზრეტილი...

ლაზლის წინდები და ხელთათმანები შეუჩურთა ჭუჭრუტანაში...

მეორე დღესაც იქ ვიდექით... მესამე, მეოთხე... მეათე... ოცდამეხუთე დღესაც...

ერთ ღრუბლიან საღამოს მისუსტებული ხმა მოგვესმა დილეგიდან: ბასილი დღეს დილით გაიყვანეს დასახვრეტად, წერილი დაგიტოვათ, აქ ნულარ მოხვალთ, რამე არ გიხიმათ ამ უღმერთობებმაო...

ახლა რომ თეატრია იქ ლამფიანი ბოძი იდგა, მივლასლასდით... დედაჩემი ხმადაბლა კითხულობს ჩემზე მონერილ წერილს:

„მაპატიე, შვილო, ასე ღვთისანაბარა რომ დაგტოვე... ბევრი შხამის დალევა მოგიწევს, შვილო, ბევრი ვარამის ატანა, არ შეგრცხვებს, შვილო, ჩემს გამო, ჩვენს ოჯახს ღმერთთან, ქვეყანასთან და მეზობელ-მოკეთესთან მისხალი შეცდომა არ მოგვსვლია. რაც არ უნდა გაგიჭირდეს, შხამი არ ჩაინვეთო გულში, ქედმაღალი და ამპარტავანი ნუ იქნები, სხვისთვის ბედნიერების მინიჭების სურვილი არ მოიკლა გულისგულში, შვილო! თავაზიანობა არ დაივიწყო, შვილო! ახლა კოჭებამდე წყალში ვარ, აშმორებული ჰაერისგან გული შემინუხდა...

დედას გაუფრთხილდი, შვილო!..

იშრომე და ისწავლე, შვილო!..

ღმერთთან იმეგობრე, ღმერთი მოწყალეა და ცოდვათა მიმტვევებელია, შვილო!

ხვალ სიკვდილთან შესახვედრად წავალ, შვილო... ნელა, სევდით, თავჩალუნული, შიშით და შენზე ფიქრით!“

შუალამისას ავედით მე და დედა სოფელში. ჭრაქებით გამოგვეგება სამეზობლო... ჩვენი ბუხრის კვამლი ნელა, ზარმაცად მიზოზინობდა ცისკენ...

* * *

წინდებს, სადგისებს, მძივებს, „ბრელოკებს“, ყვავილებს ყიდის... მეუღლის პენსია და აქ ნავაჭრი ფული სულ წამლებს მიაქვს... ხან სად და ხან სად ითევს ღამეს... ღმერთი სწამს, სალოცავები უყვარს, მაგრამ შუამავლებს არ სწყალობს... რაც არ უნდა „ნატაციებით“ უხსნა, თორა, ყურანი, სახარება სულ რომ მარცვალ-მარცვალ წაუკითხო, პასუხი მზად აქვს: მომკალით და არ მჯერა მაგ ვალის მოხდით ლოცვისო. უღმერთობის დროს დავიბადე და კაი ხანი იმ დროში ვიცხოვრე, მოდადქეულ რელიგიურობასაც შევესწარ, სანთლებით ხელში მდგარი

ქართველობაც მინახავს და სანთლებგადაგდებული და თოფშემართული, სისხლსმონყურებული მოძმეც... ვითომ ღვთის მოშიში, სინამდვილეში, თავისი სინდისიც რომ ფეხზე ჰკიდია, მასეთებსაც ბევრს ვიცნობ... აგერ, ა, ამ დასავსები თვალეზრეტილი ვხედავ, უმეტესობა ვილაცას ატყუებს, შემბრალელები ვითომ ბევრია, მაგრამ მშველელი – ცოტა... ეკლესია-ჯამედან გამოსული ვითომ ნალოც-ნამარხულევი, მაგრამ პირწამალ-ყიამყრალი ხალხის სიმრავლე მზარავს... ამდენი ქურდი და გათახსირებული მაშინაც კი არ იყო, ნიფხავშიან გამოკერებულ ჯიბეში რომ

ვინახავდით ფულს... უკუღმა და უსამართლო-დაა მონყობილი წუთისოფელი, ვილაცა ვილაცას სდევნის, თოფს უმიზნებს, შხამს და სამსალას ასმევს, ვილაცას ლუკმა ენატრება, ვილაცა სიმდიდრეში იხრჩობა...

ივლიანე უსალმოდ არავის არ ჩაუფლის, თავისი საქმის მიმდებნი და სხვათა შემშველბელია, სხვაზე გადაყოლილი... უხმაურო, უბრალო, უპრეტენზიო, შემწე და უსუსურთა მყვარებელი... ვერა გასაჭირმა რომ ვერ ნახადინა და ფეხი ვერ შეამლევიანა...

შვიდი წლისა დედასთან და ორ მცირეწლოვან დასთან ერთად შორეულ ყაზახეთში გაასახლეს, როგორც მავნებლის ნაგრამი... ნაადრევად დაცადა, თოფის სიმაღლის იყო, ტალახშეზელილი ფიცრულის კარებთან რომ ჰქონდა მიყუდებული თოფი... რომ არ დაჟანგულიყო, ხანდახან „ბეთქებდა“ კიდევც...

– თორმეტისა დავბრუნდი გადასახლებიდან. დანგრეულ-გაპარტახებულ-გავერანებული დავგვხვდა ეზო-სახლ-კარი... ჯერ საფლავებს მივხედეთ, ეკალ-ბარდი მოვაცილეთ... დაკენტებულ დედაჩემს ძალიან ესირცხვილებოდა კაცის საქმე, მაგრამ რა ექნა... ჭრაქით გამურულ კედლებს იქით არ დაუკვნეს-დაუნუნუნია... წესად ჰქონდა, ჯერ ჩვენ დავგვაპურებდა და მერე ჩაიდებდა ლუკმას... სიდუხჭირით ჩადენილ ბოროტებას გამართლება არა აქვს შვილებო, ამ შეგონებით გვზრდიდა... ახლაც, ამდენი წლის შემდეგაც, თვალწინ მიდგას მეზობლებისაგან ნაჩუქარი ძროხა ავად რომ გაგვიხდა, ხროტი-ნებდა და ველარ სუნთქავდა... დავკალით და იმ

ფულით ღუმელი, სამი საკაბე და ჩემთვის ჯერ-არნახული ფეხსაცმელი შევიძინეთ...

ალარ ერჩის მუხლი ივლიანეს, ახლა მთავარი საფიქრალი დაოსებული მეუღლეა, მისი მომჯობინება და ფეხზე დაყენება... – სანამ ცელიანი სიკვდილი მომადგება კარის ზღურბლზე და გავლმა მარილზე წამიყვანს, სანამ სახლზე კუბოს სახურავს მიაყუდებენ, მანამ ეს ჩემი ცოდვით სავსე ქალი წელში უნდა გამემართო, არ მინდა მწოლიარე დავტიო...

– ივლიანე ბაბუ, წამოდი ამელამ ჩემთან, მოგასვენებ, გამიხარდები, ხომ იცი?

– ვიცი შვილო, გენაცვალე... ხეზე რომ ჩამომკიდო, კვირაზე მეტს გავძლებ, მარა მაგ ჩახუთულ ბინებში – ვერა... ზამთრობით ქალაქში გაკრეფილი დედაბრები და ბერიკაცები რატომ მეცოდება, აბა? მიწასთან შეზრდილი კაცის გამოკეტვა იქნება მაგ „სპირკის ყუთში“? გადი ახლა სიცხიდან და ჩრდილი იჩრდილე, დრო გამონახე და სოფელში მესტუმრე, ნახავ, რაფერ გიშელავათებს სულ-გულში!

სიკეთით აციმციმებული თვალები ივლიანესი...

– აგერ, ოთხმოცდაშვიდი წელია ხარბად ვჭამ და ვშთანთქავ ამ ჟანგბადს. სულ ასე ხომ არ იქნება? დეიხარჯება აი ორგანიზმი, გაცვდება, გამოიფიტება... ა, სულ ეს არის სიცოცხლე!.. კაცი რომ არ კვდებოდეს ის უფრო გასაკვირი არ იქნებოდა?!

წავედი ახლა სოფელში, ტყიდან შემოპარული სიგრილე მომენატრა... და... ლოგინს მიჯაჭვული ასიე მომენატრა...

* * *

ესმამ ტაბლა გამოდგა, ჯორკოები შემოუნყო, ბორანო, სინორი, ფხალობიო, დაფწნილი ყველი, კაიმალი, ხაჭაპური, მანონი, მწვანილები გაანყო, შუაში კეცზე გამომცხვარი ყვითელი, მდულარე მჭადი ჩადგა, დანით მიმხმარი შქერის ფოთლები მოფხიკა, შუაზე გატეხა და ოთახი ცხელი ოხშივარით აავსო...

გრძელმა ბიჭმა ხელი საქათმეში შეყო და ქათამი გამოაფათქუნა...

ნაღის ქვეშ მინოლილმა ბებერმა ძალღმა კუდი ლაჯებს შუა ამოიკეცა და დაიკარგა...

წინილები წიაქობენ, კრუხი ქოთქოთებს...

ჭალაში სიცილით გადაფიჩინებული წელზე-ვით ტიტველი ბიჭი კოტრიალებს...

ღარაში წყალი მიღურღულეებს...

ხელში ატატებულ ჩვილს ხელები დედისათვის კისერზე შემოუჭერია და ჟღურტულეებს...

კომაკეთის სერზე მოწყენილი სასაფლაოები ილანდება...

სტვენა, ჭიკჭიკი, გალობა, ჩხავილი, ჭახჭახი, ჭრიჭინი, ბზუილი ერთმანეთში არეულა...

– ნიაზავ, ესა, ღვინო კი არა, ელექსირია, სითხის სახით შედის სულში, გულში და გონებაში, ამას ვენაცვალე, შემპარავი სიმთვრალე იცის, მეშვიდე ჭიქაზე ჭკუას ამოკლებს და ენას აგრძელეებს, – გამელრიჭა ფრიდონი, დიმიტრის თვალი ჩაუკრა, ღვინო ყლურნა და უღვაში ჩამოინმინდა.

ახლა დიმიტრი მილიმის: – მწერალო, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, წიგნები რატომ არ მოგვიტანე, რაზე წერ, ისე?

– ღმერთზე, ქვეყანაზე, მზეზე, მთვარეზე, დარდზე, გულზე, სულზე, კარგზე, გლახაზე, იქითურ-აქითურზე...

– ნამეტანი ხომ არ არის? რაცხა კვალი უნდა დატოვო, თვარა, წერით ყველა წერს!

– შეეშვით ახლა მაგას! – დამიცვა ესმამ, – მაგი რაც არ ჩანს, იმასაც ხედავს, დამაწყდა თვალეები მაგის ლოდინში, მოი, მიირთვი, არ მოგერიდოს და მოგეხათროს, მაგ შტერებს არ მოუსმინო, ბალნობიდან იცნობ, არ გენყინოს!..

– ნიაზო, ესმას ამბავი თუ იცი? – მომიბრუნდა ფრიდონი.

– რა ამბავი?

– რადა, რძალს რომ დაემდურა.

– რატომ?

– შარშან ქალაქიდან ესტუმრა რძალბატონი და ამ ჩვენს ქალბატონს საჭმელები დაუნუნა.

– მერე?

– მერე უთხრა ესმამ მისებური: – შე, ლარნუკავ, გაშლეპილო, ამ ხელებით დაფნნილი ყველი არ გინდა, ამ ხელებით მოზელილი მჭადი არ გინდა და ამ ხელებით გამოზრდილი ბიჭი გინდაო? მომცილდი აქედან, შენი ფეხი აღარ ვნახო აქო და გადადენა ქალაქისკენ...

– მართლა, ესმავ? – გავძახე სამზარეულოში.

– კი, მაგი მართალია, არ იტყუება, – დამიდასტურა ესმამ...

მერე ლექსი იყო:

ეველ-ეველ ცაში ეველ,
მასკლავებსაც დევნახვე,
მთვარემ შემომითვალა,
– ჭო, აქ ამოი და მე არ მნახე?!

...მერე, კიდეც ლექსი იყო:

ექსი ცალი ვაშლი მქონდა,
შვიდი შენ შიგინახე,
ტანტრაფაზე ფიფინებდი,
ფენჯრიდან დიგინახე...

მერე ესმამ მუგუზალი ნაცარში შეახვია, ზედ კეცი დაამხო, მოგვიბოდიშა, დევილალე, „პანას მივგორდებო“...

არ გავალვიძო-თქვა, ხმადაბლა როინ აბუსელ-იძის ლექსი წავიკითხე თურქეთელ ჩვენებურზე.

– როგორია-მეთქი?

– ცრემლი იყო... ბევრი ცრემლი... – ესმა შე-მოლოლიალდა ოთახში, – ანი რალა დამაძინებს, რა ტკივილიანი რაცხა წეიკითხეო...

წამოვედი... ესმა სამჯერ მომეხვია, კართან, კიბის ბოლოს და ჭიშკართან...

ფეხებზე მკიდია მამი სიკბილი!..

ახლა წინილებით მოჩითულ ეზოში ვზივარ, სიმინდს ვფშვნი, აბა, ჩემი დასვენება იქნება? მე რომ მოვისვენო, მოგვკვდები. დაბლა მეზობლის ეკალ-ბარდით გაბურძგულ ეზო-კარსაც ვავლებ ხანდახან თვალს... სოფელს და ამ კუნჭულსაც ყივილი ენატრება, ბლავილი ენატრება, კრიახი,

წკავ-წკავი და ჟრიაშული ენატრება... ჩემი ჩრდილის ამარა ვარ დარჩენილი, თვალში ნალველჩამდგარი და ხასიათშეცვლილი... ზოგს ვემდური, ზოგს ვუბრაზდები, ზოგს ვლოცავ, ზოგი მეცოდება და ზოგს ვეცოდები... არ მისაყვედუროთ ახლა, რა დაგრჩა მაგ გამოყრუებულში, ქალაქში

წამოდიო! არ მანვალოთ, შვილებო, არ მანონიალოთ ზევით-ქვევით, აქ მიმამთავრებით სიცოცხლე... რა ვქნა, მწყენს მაქაური ჰაერი და უჰაერობა, ქცევა-ნესი, ჩაცმა თუ ჩაუცმელობა, უგულობა და უსულობა, უდროობა, წარამარა ტყუილი, აფერისტობა, ნასესხები ღიმილი და თვალთმაქცობა... ვიცი, ახლა მაქ რა სიცხის ბული დგას... ვის ესმის ახლა ჩემი საუბარი, მარა, რა ვქნა, ლაპარაკი არ დამავინყდეს-მეთქი, ზოგჯერ ხეებსაც ველაპარაკები... ისე, დაყრუვდა დედომინა, ასე მგონია, ღმერთიც დაყრუვდა! აბა, ასე სოფლის ამონყვეტა იქნებოდა?! ვინც ასფალტზე გაიარა, რატომ დაუმძიმდა ყველას ფეხი სოფლისკენ?!

ფიქრი გამიწყდა, დამავინყდა რას გიყვებოდით... ჰო, სიკტილის ჯინაზე სიცოცხლე მაინც მინდა... მე, ბაბუ, სიკტილამდე მეშინია სიკტილის, თვარა, მერე ფეხებზე მკიდია მაი სიკტილი!

წინა თვეს, გაღმა უბანში ჩემსავით მოფხავებული ბერიკაცი დაიხარჯა. მანამდე აქ იყო, მოვიდა ღარასთან, მკერდი და გაოფლილი სახე გაიგრილა... ძალიან ესირცხვილებოდა, არ გამეჭვინები, ფრჩხილები მიწით მაქვს ამოგლეხილი... ბელელში ადიოდა სანყალი, კიბე გადაუბ-

რუნდა და კიბის ძირში ნახეს სულგალეული... დაფაცურდნენ აქა-იქ შემორჩენილები, ეზო-კარმიდამო მიაღაგ-მოაღაგეს, სარკეს და ტანსაცმლის კარადას ზენარი ჩამოაფარეს, გააპატიოსნეს, ჩააცვეს დაკეცილი შარვალ-კოსტუმი, შავი ტუფლები და ნოხდაფენილ ტახტზე მოასვენეს...

ისე, ცოტა მეც დამჩემდა შიში... რისი მეშინია, იცით? მეშინია მძინარეს არ გამეპაროს სული... სოფლის თავზე, ბენვზე დაკიდებული ლოდების მეშინია, არ მოწყდეს და სახლი არ დამიფუშოს... ზურგზე ლობიოს მარცვლისოდენა მეჭეჭი რომ მაქვს, რაცხა ის გამიბოროტდა და ჩირქი ჩამიდგა... მეშინია ცეცხლზე მიშტერებულს არ ჩამთვლიმოს და თავი ღუმელზე არ ჩამოვარტყა...

გუშინ მეზობელი დედაბერი მოჩლარტუნდა, ეზო უნდა დაგიგავოო, ხელებში ვეცი, კაი ხარ, მარა კალო არ დაგავო და ბადიშების ნაკვალევი არ წამიშალო-მეთქი...

ავდგები ახლა, შევალ სახლში, ყდაგახუნებული წიგნებს მივაკითხავ და ათასჯერ წაკითხულს კიდევ შევანუხებ...

რაცხა, გაღმიდან ხმაგანწირული ხმა მესმის, ნეტაი, კიდე მოკტა ვინმე?!

* * *

– ზიხარ? ადექი! დგახარ? არ დაჯდე! ხეზე ხარ? ჩამოდი! ხის ძირში ხარ? არ ახვიდე! – სამჭედლოში მოი! – შემომითვალა სელიმმა.

არხისპირ, გზაბანარს გაუყუყვი...

– მოი აგერ, ცეცხლის გაჩაღებაში მომეხმარე, არ გეცოდები ეს ცალთვალა კაცი? ხანდახან შენით ვერ უნდა მიხვდე, იქნებადა, რაცხა მჭირს?

გავაცოცხლეთ სამჭედლო, ავაქშინვეთ საბერველი, გავალვივეთ ნაკვერჩხალი, ცეცხლი ნაპერწკლებს ყრის, შხივის, მღერის, ტკაცუნობს...

– მაი დანაც ცეცხლს მიეც, შეაგდე ნალვერდალში!

– რატომ ბაბუ, კაი დანაა.

– დაიჭირე მარწუხით გამოსაპირი წალდი, ღრმად შეაჩორე ნაკვერჩხლებში და გეტყვი მაგ დანის ამბავს, – მანიშნა, მომისმინეო...

– ბაბუაჩემიც მჭედელი იყო, პატარა, მიღეული კაცი, ველარ გაუძლო და ზამთრის კუნაპეტ ღამეს, ღონენართმეული, ავიშვიშებული და დამწუხრებული ბათუმისკენ გზას დაადგა, იქნებ საქმეს ბარაქა დავაყაროო... დილის თოვლს მისი ნაკვალევი აჩნდა, მერე გაქრა თოვლი, ის ნაკვალევიც გაქრა და სელიმიც... ხომ იცი, ცხოვრება ხან აგაგორებს, ხან დაგაგორებს... თავდაპირველად ერთ-ორ კაპიკს კი აგზავნიდა სოფელში, მარა, მერე გალოთებამდე ღვინოს მიეძალა. რომელი დროა იცი? აშლილ-არეული... რუსი პოე-

ტი ესენინი რომ იყო ჩამოსული ბათუმში... იმას და იმის „შანტრაბას“ აეტორლილა ბაბუაც და გადაყვა სმას... ნათქვამი აქვს, ერთი ბოთლიდან ვსვამდით ღვინოს და ერთად ვჩხუბობდით მე და ესენინი, ლამაზი კაცი იყო, ოქროსფერ თმინი, სმა და ქალები უყვარდაო...

ბაბუა ბულვარში, პალმის ქვეშ ნახეს გაყინულ-გალიგვული და თოვლდაფიფქული...

რა დროს ესენინია, ეჰ, საით გავუტიე, მაგ დანის ამბავი არ უნდა მეთქვა?

სოფელში პირუტყვის დაკვლის უსტაბაში ვიყავი... ეგ დანა მერტყა წელზე და სისხლის ლეკერტებს ვასხმევინებდი საქონელ-თხა-ცხვარს... პერანგი და შავი ქორორი სულ სისხლში მქონდა ამოსვრილი... რომ დავექგერებოდი ძროხას, კისერს რომ მოვუგრებდი და ყელში მაგ დანას გამოვუსვამდი, დევგმირი მეგონა თავი...

...სიზმარში, კაკლის ხეებით დაჩრდილულ ეზოში ვზივარ. გვერდით სისხლისფრად შეღე-

ბილი რუ მირაკრაკებს... დაბლა, სამფეხა ჯორკოზე დედაჩემი ზის, ცრემლით და სევდით შელოცვებს ჩურჩულებს... მაღლა, ყოლზე მიბმული წითელი ძროხა ფშუკუნებს... იმისი თვალები არ ამომდის ტვინიდან, ე, მაგ დანას რომ დასჩერებოდა... პირიდან სისხლი მოთქრიალებდა... ყოლზე შეუბუმბლავი ბარტყები ჭყლოპინებდნენ... შიშმა გონება წამართვა, იდუმალი ხმა ჩამესმა, ილოცე, შვილო, ლოცვა ისეთი მადლით აგავსებს, ყველა ცდუნება და ცოდვა განიდევნება შენგანო!..

იმ დღიდან ეგ დანა ხელში აღარ მჭერია... იმ დღიდან სამჭედლოში ვარ, რა არ გამომიპირავს, რა არ გამომიდნია, დანა – არასოდეს!

სისხლმიხმარი დანა ნალვერდალში შევუძახე და სახეგაშანთებული გარეთ გამოვედი. სოფელს შავი ღრუბელი დასწოლოდა, იქაურობას შაშვის ჭახჭახი და ჩიტის ჭიკჭიკი აყრუებდა...

* * *

...ტურჩებზე ღიმილშეყინულმა დაღია სულიო...

კატრიანის მთაზე, ასე ბებოზე მიბარებულს, მუცელი ამტკივდა...

– ნენი, აქ მტკივა, გეგონება, შიგნიდან დანას მიტრიალებენ-მეთქი...

– რა ვქნა ახლა, რა ვუშველო ამასო, – თვალეში დარდი და ნალველი ჩაუსახლდა ბეზიას, მეზობლის ბიჭი დაიფრინა, ჩქარა გადადი ღელეგალმა, ზერიფე გადმეიყვანეო... ადიდებულ ღელეზე კაბანეული გამოდგაფუნდა ზერიფე, ქოშინით ამოიადმართა და გულაფორიაქებული თავზე დამადგა...

– თვალნაკრავია აი, – უთხრა მნახველებს და ტურჩებთან ღიმილი გაუკრთა. – ფეხმძიმე მზევინარს გაუბრაზდა, – რას იცინი ცალგვერდულად, განიე მაი ატორლიალეული ბაღანა, ფეხებში ნუ მებლანდება, წაი და წეილე მაი მუცელი, აქ არ იმშობიარო, ან მუცელი არ მოგეშალოს, შე-

ვულოცავ ამ თავფანდურას და დავაყენებ ფეხზე, ანიშნა ჩემზე.

– „რომელმა თვალმა გაგთვალა, კაცისამ, ქალისამ, დიდისამ, პატარისამ, მოხუცისამ, ბავშვისამ... ღმერთო, გააშეშე, დააყრუე, დააბრმავე ნიაზიზე ავი თვალთ შემხედავი, დაიფარე ყოველი ცდუნებისაგან, გააქრე მასზე გონჯი თვალთ შემხედავი“...

სამჯერ შემილოცა ზერიფემ, ოფლით დაცვარულ შუბლზე ხელი მოისვა და პაპიროსი გააბოლა... მწნილ-მწვანილი, პური-ყველი წაციცქნა და წასასვლელად წამოდგა. ბებიაშ შესჩვილა:

– რა ვქნა ზერიფე, ძალიან მეხათრება, მარა, რახან აქ ბრძანდები, ჩევიდეთ ახორში და დეკეულსაც შეულოცე, ისე ახველებს, თვალებიდან ცრემლებს ყრის, ეტყობა, დღეს მგელმაც გაპკრა კბილი, შეშინებულა...

ახორიდან ზერიფეს ტკბილენოვანი ხმა მესმიდა:

– ეკენია, ბეკენია, ბეკენს ხატი ასვენია, მღვდელმთავარმან შემოსწირა ცხრაკლიტული კლიტისაო, მგელსა კბილი შეუკარი, მეკობრესა ხელ-ფეხიო, გადააგდე ზღვაშიო, ნუ გაუშვებ გზაშიო...

ზერიფეს შიშით, ავი სული, ქაჯი, ჭინკა, სხვა ათასი ბოროტი სული კატრიანზე ვერ ჭაჭანებდა...

ეჰ, რამდენის დამხმარე, ქვრივ-ობოლის შემწე და მშველელი იყო ზერიფე...

ფიქრიანი, განსწავლული, დინჯი, სათნო, კეთილშობილი, სტუმართმოყვარე, ამაყი იყო ზერიფე...

სტუდენტობისას, თბილისიდან ჭრელი თავსაფარი და ჭრელი საკაბე ჩამოვუტანე... ხელს პირზე იფარებდა და სიცილს გუდავდა ზერიფე, რალა დროს ჩემი ჭრელა-ჭრულებიაო...

ახალგატხოვილი ყოფილა ზერიფე, მეუღლეს ომში რომ დაუძახეს, ცხრა თვისთავზე ბიჭი შეეძინა... მალე სოფელში ბარათი მოსულა, შენი ქმარი ბერლინთან დაეცაო... დარდმა და ნუხილმა გააშავა და გაათავა ზერიფე...

ნინდების ქსოვაში ათენ-ალამებდა...

ოქრობიჭი გაზარდა, ეშხიანი, თვალკეთილი...

არ აპატია ღვთისპირიდან გადავარდნილ, გულზემინადასაყრელ და ძროხიპარია თანასოფელს დედაზე წაღლაბუცება... გულიდან ვერ ამოიძრო იმისი ეკლიანი სიტყვა... თვალშიელვაჩამდგარმა თოფი გააქუხა და მსხლიდან გადმოაკონწიალა... იმ დღიდან ზერიფეს ბიჭი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ არავინ უწყის...

შენი სახელი იკურთხოს, გამჩენო! ჩაიბარე ზერიფე!

* * *

– დედი, ღმერთი როგორ უნდა მიხვდე, არ ჩანს, ვერ მოეფერები, ვერ მოუსმენ? იცის ღმერთმა, ავად რომ ვარ?

– გულით, შვილო, გულით მიხვდები, ის შორსკი არა, ე, აქ, გულში ბუდობს! – გამხდარი, სევდიანი სახით გაუღიმა მისავათებულ შვილს და გარეთ გავიდა.

– შენი სახელი იკურთხოს, გამჩენლო! გადამირჩინე ჩემი ზაქრო! ფეხზე დამიყენე! არ ჩაუქრო დღენათელი ჩემს ალმასივით ბიჭს! ოღონდ ეგ მანახე გაღიმებული და მე წვეთად ჩავიპარები მიწაში!

მალარია ამწარებს ბათუმს... ყველას და ყველაფერს მუსრავს, ბევრს ამოუღამა თვალი, ცრემლი, შიში და სევდა დათარეშობს ქუჩაში, შუკაში, გულში, ფიქრში, სულში...

სამხედრო ჰოსპიტალთან, ბარბარეს ეკლესიის ნანგრევებთან, ჭაობში, ფარლალა, ნესტიან ფიცრულში გმინავს, თრთის და შფოთავს სისხლისფერ პერანგიანი ზაქრო...

– ახლა ბათუმში სიკვდილი დათარეშობს, სოფელში უნდა წაიყვანოთ ბავშვი, მთა მოერევა

ციებ-ცხელებას, – ურჩია ოჯახს ბერძენმა ექიმმა...

გული საგულეს მოსწყდა დედას, სევდით დაჩრდილული თვალებით მეუღლეს მიაშტერდა: – სად გვაქვს სოფელი, ვის მივადგეთ და ვის მივუკაკუნოთ კარებზეო, მწარედ ამოიგმინა და აქვითინდა...

– რა გატირებს ცა, წავიყვან მე მაგას ოზურგეთში, ნაგომარში, ნახავ შენ, მსხალი, ადესა, რძეში და მანონში ჩამბალი მჭადი, ჯანჯუხა და ცივი წყალი რაფერ მოაფერიანებს, კაცი არ ვიყო, წლისთავზე განდაგანა თუ არ ვაცეკვო, ჭიბონი დამახვედრეთ მარტო... გორდელაძეებს გვახსოვს კონცელიძეების მადლი, სითბო და სიკეთე, მოამზადეთ აბა, ხვალ უთენია წვეიყვან...

ნელიც არ იყო გასული, აჩალულ ყანებში დარბოდა ზაქრო... აამკვესარა თვალები, აფუსფუსდა, აფრთიანდა, ახასხასდა, აღიმილდა, გაიბადრა, ხერხემალში გაიმართა... გორდელაძეებში, მისი კბილა ოღლა იყო ზაქროს მშველელი, შემწე, ექიმი და ექიმბაში, იმედი და იმედზე მეტი...

მნუხრის თაღის გადაიდრო ზაქროს დედამ...
– თქვენი ვალი კისერზე მადევს და ვიცი გადახ-
და უნდა მაგ ვალს, მარა, რით გადაგიხადოთ,
გამჩენელი გადაგიხდით! – დატოვა მადლობა
ნაგომარში და ბათუმში წამოიყვანა ზაქრო.

– ზაქრო, გახსოვს ეკალ-ბარდში სისხლი რომ
გვსდიოდა?

– მახსოვს, ოღლა. შენ ის თუ გახსოვს, სის-
ხლიანი შუბლები რომ შევანებეთ ერთმანეთს?

– მახსოვს, აბა არ მახსოვს? რამდენი დრო
გავიდა მას შემდეგ...

ოღლა ბათუმის ქალთა გიმნაზიის მსმენელი
გახდა. ზაქრო ფეხსაცმელებს წმენდდა და სალა-
მოს შაქარყინული მოჭქონდა მეზობელ ოღლა-
სათვის...

– ზაქრო, აკაკი წერეთლი ჩამოსულა ბათუმში,
სალამოს შეხვედრათა თეატრში, ხომ წამოხვალ?

– წამოვალ, ოღლა, წავიდე.

ნესტიან ქუჩას მიუყვებოდა... ბარბარეს ეკლესი-
ის ნანგრევებს გაუსწორდნენ... – როგორ მინდა ამ
ქვების ისტორია ვიცოდე, – ჩაილაპარაკა ზაქრომ.

– ჰოდა, სკოლაში უნდა შეხვიდე, იქ ასწავლი-
ან მაგისტანა ისტორიებს.

– რალა დროს ჩემი სკოლაა, საულვაშედ ვარ
შეღერებული.

– შემპირდი, რომ სკოლაში ივლი, თუ გიყვა-
რვარ, შემპირდი!

– ოღლა, მაშინ შენ ამ ეკლესიაზე დაიფიცე,
თუ გიყვარვარ!

ცა შავად შემოიგრაგნა ბათუმის ცაზე...

– ქოლერა აქვს, სამნუხაროდ, იმუნიტეტი
აქვს დაქვეითებული, მალარიამ თავისი კვალი
დაუტოვაო, ექიმმა...

...მერე გონებაც წაერთვა ზაქროს... გარი-
ნდებული ინვა... სიკვდილი ძილივით მიეპარა...
ტუჩებზე ღიმილი გაქვავებოდა...

– ვინ ხარ, რას არაჯგუნებ მაგ ჭიშკარს, გა-
დმოყავი ხელი და ასწიე საკეტი!

– ოღლა ვარ, მერიემ დეიდა, ვერ ვწვდები სა-
კეტს...

მერიემ შავი თავშალი მხრებზე მოისხა, ეზო-
ში გამოვიდა, არეული თვალებით, შემლილი სახით
ოღლას მიაჩერდა... ზაქროს მამა აივანზე იდგა...

– გამარჯობა, მერიემ დეიდა, დღეიდან რძა-
ლი ვარ მე თქვენი და თქვენი გვარის გამგრძე-
ლებელი მყავს მუცლად...

მერიემი მუხლებზე დაეცა, მიწას აკოცა,
ნელა წამოდგა, თავშალი ოღლას მოახურა და
ხმამალა ატირდა... აივანზე მდგარი მამაკაცი
ცრემლს გულში იბრუნებდა...

– ანე, კაი ხანს ჩემი სიკვდილი აღარ შეიძლე-
ბა! – ამოილულულა მერიემმა.

– მოდი, შვილო, შენ გენაცვალე მაგ ლამაზ
თვალებში! – იბლავლა მამაკაცი...

მწვანე კონცხის მხრიდან ამობარჩხალებული
მზე ამათ ეზოს დაჰქათათებდა... ჩიტი თავის
ენაზე რალაცას ჭიკჭიკებდა...

* * *

ცალთვალამოთხრილი, მეორეთვალამღვრე-
ული, დარდჩაგროვებული სახით ნალიის ქვეშ
იჯდა... თუთუნი მოქაჩა, კვამლი ღრმად შეისუ-
ნთქა... მოი, აგერ დამიჯეპიო, მანიშნა და გვე-
რდზე გაიჩოჩა...

– რას ჩამოგიყრია ყურები, ჩამოგიშვია ცხვი-
რი, მობლუნძულხარ და იბღვირები, გივი ბაბუ?

– შენ, ბაბუ, თმა რომ დაგიმოკლებია, კაია,
მარა, ენა რომ დაგიგრძელებია, მაი არ ვარგა.
მაინც კაი ხარ, ღმერთმა გაგახაროს და კალამი

არ გაგიშროს... რაზე დაგიბარე ახლა, მისმინე,
შენი ჭირიმი. კი იცი, რა გზა გავიარე და რა ულ-
მერთობის სიბნელეში ვიცხოვრე, სხვებივით პა-
რტიის დაკრულზე ვცეკვავდი და ვბუქნავდი. ეკ-
ლესიაში შესვლა კი არა, მისკენ გახედვაც აკრძა-
ლული გვქონდა და არც არასოდეს სურვილიც
არ გამჩენია. ასე გამზარდეს და ასე მასწავლეს...
ერთი კი შემიძლია გულზე ხელისდადებით
ვთქვა, ბოროტება არ ჩამიდენია, არავინ გამიმ-
წარებია, არავინ დამიბეზლებია და ქვენა გრძნო-

ბები გულში არ შემიშვია... ახლა ვარ ყველაზე ცუდ დღეში, ბედს მინდობილი, ათასი კითხვა მიტრიალებს თავში და მილრღნის გულისგულს, მომეტევება უნებლიე და ნებიერი შეცოდებანი? არ ვლოცულობ, არ ვმარხულობ, ეკლესიის სწავლების საფუძვლებში გარკვეული არ ვარ...

...მაგრამ ღმერთის შეგრძნებებს გულით ვგრძნობ, ვგრძნობ სულში ღმერთი რომ არის... ამიტომ მაქვს ტვინში გაუნელებელი დარდი... ამასობაში ეს სასიკვდილე სიბერეც ქურდულად მომეპარა...

– შენი სულის ჭირიმე, გივი ბაბუ, ამისთვის დამიბარე? როცა ადამიანში სინანულის განცდა იღვიძებს, უფალი აუცილებლად მიუტევეებს! მერე რა, ეკლესიაში თუ ვერ დადიხარ. რას შვრებოდნენ მორწმუნეები ეკლესიები რომ არ იყო, ანდა, რწმენას რომ სდევნიდნენ? სახლებში ლოცულობდნენ! მაპატიე, ჭკუის სწავლება გამომდის. მე ასე თუ ისე ყველა წესს ვასრულებ, ეკლესიაშიც დავდივარ, არც შენსავით მიკომუნისტია, მაგრამ რა? მაგარი მორწმუნე ვარ? გულია მთავარი, გული!

– მაშინ, შვილო, არ ვყოფილვარ მთლად ხელიდან წასული და არ დამთავრებულა ყველაფერი, ხომ?

– რას ამბობ? ნეტა, მე ვიყო შენისთანა ღვთისმობიში.

– კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს, შვილო და მეტს აღარ შეგანუხებ.

– გისმენ.

– ხომ იქნები ჩემი ნათლია? ხომ მიმიყვან ღმერთის სახლში?

– ოო, ეგ საქმე ღვინის გარეშე არ გამოვა! მოდი, ახლა, ერთი ლაზათიანად შევუბეროთ და მერე ვნახოთ!..

– გრძელი ენა გაქვს შენ და ქრისტეს ფეხისმჭამელი ხარ შენ!

ცოტა კიდევ შემაგონა მოხუცმა: ღვინო არ არის ცოდვა, უაზროდ სმა ცოდვააო, გემრიელი სმა კაია, თრობა საზიზღრობააო, ღვინო ქართულია და ღვთისაა, თრობა არაქართულია და ეშმაკისააო...

...დოქით ღვინო, მწვანილი, მჭადი, ხორკლიანი კიტრი, ხორცივით პომიდორი, დაფწნილი ყველი, მარილი...

ნალის აივანზე ქათმები შეფათქუნდნენ, გვიმ აუქშია... საღ თვალზე ცრემლი უბრწყინავდა...

მეორე დღეს იმ გზას დავადექით ტაძართან რომ მიდის...

* * *

ინვა ჩემი ღულუნა დედა, პატარა ქალი, დიდრონი თვალებით, ინვა და თვალწინ დნებოდა... რომ არ ავტირებულებიყავ, ენას მაგრად დავაჭირე კბილები...

– ნუ იცრემლები, შვილო, ნუ გეშინია, არსადაც არ წავალ, ჯერ არ მოვკვდები, მოდი, მომეთბე, ჯერ ყელზე შემომეხვიე და მერე დაიძინე... მარცხენა მხარეს ნუ დაიძინებ, შვილო, გული არ დაგიმანკიანდეს...

– წამოვწექი. მამამ დედის ხალათი მომახურა... – ღმერთო, გთხოვ, ოღონდ დედა გადამირჩინე, ფეხზე დამიყენე და ჩემი სიცოცხლის ნახევარი წაიღე... ამ ქალის და შენი მჯერა ყველაზე

მეტად, ქრისტე ღმერთო! დედაჩემიც რომ ღმერთი მგონია, შენც ხომ გიხარია, ღმერთო?!

გამელვიძა, მამას ხელი შემოვაჭდე...

– რა ვქნათ, მამი, რით ვუშველოთ და რა ვუნამლოთ დედას?

– ვუშველით, წამლად დაგენაყე, შვილო! შენ უკვე დიდი კაცი ხარ, თხუთმეტი ცოტა არაა, შვილო, გამთენიოს მთაში წახვალ ბებია-ბაბუასთან, საღამოს იქ იქნები, მე დედაშენთან დავრჩები. სამკურნალო ბალახები, გირჩი, ნიორი, ანწლი, ხავსი, სურო ჩამოიტანე, ძროხა წამემიდვანიე, სამ დღეში აქ უნდა იყო...

სიმღერ-სიმღერით შევუყევი უღრანი ტყის ბილიკს... რატომ სიმღერით, იცით? მეშინოდა და იმიტომ! ხმამალა ვიმეორებდი: „გულო, ჩადი საგულესა, გულო რამ შეგაშინა?!“

მესამე დღეს დავეშვი მთიდან...

ნამოსვლის წინ ბაბუამ მხარზე მომითათუნა ხელი, ბებიამ მთლად თავ-კისერი დამიკოცნა...

– გუშინ ცაზე ღრუბლის ერთი ფთილაც არ ჭაჭანებდა, დღეს რა დაემართაო, – ცას შეაჩერდა ბებია, ხელები ზეაღმართა და ღმერთს დარი შესთხოვა...

ზურგზე ბალახებით სავსე ტომარა, ცალ ხელში ერბოიანი კოლოფი მიჭირავს, მეორეში – ძროხაზე გამობმული თოკი, წელზე ჯაყვა დანა და კვარი მაქვს ჩამოკიდებული... მოვდივარ და მოვიმღერი...

დავიღალე... მაჯაც დამეღალა, მუხლიც და წელიც, ტომარა დამძიმდა, ფეხები აღარ მომყვება... ცა შავად შემოიგრანა, გაუვალი ტალახი წინ აღარ მიშვებს, ძროხაც გაჯინიანდა... როგორც იქნა, ტყეში შევალნიე, დაღამდა, აღარ წვიმს, ვარსკვლავები მორიგეობით ციმციმებენ... წინ მგელმა წაიყმულია, ერთჯერ, ორჯერ... ძროხა ფხუკიანობს... ვფიქრობ, ხეს მივაბა, კვარი ავანთო, ჯაყვა მოვიმარჯვო... და, ამ დროს, მგელი

მომახტა მხრებზე, სახეს და კისერს მკანრავს და მფხოჭნის, თოკს და კოლოფს ხელი გავუშვი, რალაცნაირად ყელში ჩავავლე, გამეტებით ვუჭერ, ზევიდან მოვექეცი, ფეხებქვეშ მოვიგდე, თვალებს აელვებს, ვყვირი, ვწივი, ვღრიალებ, კბილებს მგელივით ვაღრჭიალებ... მოვითენთე, მოვეშვი, გვერდით გადავვარდი... ისევ მოვეგე გონს, კვარი ავანთე, დავლანდე დამხრჩვალ მგელი, გვერდით კოლოფი და ტომარა, დაბლა ბუჩქებში თოკით გახლართული ძროხა... ორგან ცეცხლი გავაჩაღე, შუაში ჩავჯექი, ბალიშად ქურთუკი დავკეცი და ზედ მივწექი, გამოგლეჯილ შარვალ-პერანგში სიო მიქირქილებს... მგლებს ყმუილში რა დამაძინებდა...


– მოხვედი, შვილო? ან რაღა მომკლავს, რატომ გაქვს ასეთი მღვრიე თვალები, შვილო?

– მოვედი, დედი, ბევრი წამალი მოგიტანე, დედი!..

ერთი თვე ხის ჯარაში, მთის ბალახების ნახარში ვანვენდით დედას...

ერთი თვის თავზე ფეხზე წამოდგა ჩემი ბღღვიალა დედა...

სხვა დროს იმაზე მოგიყვებით, როგორ შინაურივით, ნათესავივით ესაუბრებოდა დედა ღმერთს...



ვაჟა ხორნაუღი

* * *

ვარსკვლავი ჩაქრება
და ძილში შეკრთები
და სივრცე დაგამშვიდებს.

* * *

სიმწვანე იბადება
და სიხარულისაგან
მალღდება სილურჯე.

* * *

შპალერის ყვავილს
ლურსმანი მოარიდა
და უკვე იცი არავის განირავს.

* * *

ფერი – არა,
ხმა მახსოვს თვალების.

* * *

სანთლების წრეში
კელაპტარი –
მრავალშვილიანი
უბედნიერესი დედა.

* * *

მგზავრმა იცნო
ცის ერთი ადგილი –
მალე გამოჩნდება სამშობლო.

* * *

ქარაფის თალი, ხვიფლიანი,
ჟღალი ფარდები.
გულში მზის ფეთქვად ჩარჩენილი
სიტყვა უთქმელი...
დასალიერზე, სად ნამია
ზეცით ნადენი,
ვეფხის ტყავივით გადმოკიდა
ქარმა ღრუბელი...
გულში ტაძარი მონატრების,
სითბო ტკივილის,
ყვავილის პეშვზე ღმერთის ოქრო,
ღმერთის მარილი.
ფესვის ნათება. ქვის ცრემლები,
ჩრდილის ღიმილი,
ფიქრი-კამკამა,
უკვდავების წყაროს წყალივით.

* * *

ამქვეყნად ყველა აღმართზე
 ღმერთის იმედით ვიარე
 ხან ზვავმა გადამიარა
 ხან ზვავზე გადავიარე
 შენი ხმა მენატრებოდა
 (ის მომირჩინდა იარებს)
 მაგრამ ვერ შევხვდით ერთმანეთს
 გული ვერ გაგიზიარე...
 შენ წამით ადრე წასულხარ
 მე წამით დავაგვიანე...

* * *

სიმართლისათვის დასჯილი
 კაი ყმა რასა შერებაო?
 დარდის ლოგინში ნაწოლი
 სიკვდილის მკლავზე წვებაო
 იმის ხმასა და მზერაში
 ისეთი შუქი ჩნდებაო
 თითქოს ცვილივით ჩამომდნარს
 სული კი არა ხდებაო –
 მეორედ იბადება და
 კვლავ ღმერთის გზაზე დგებაო.
 სიმართლისათვის ტანჯული
 კაი ყმა არა კვდებაო
 ფიქრში – ხმად, გულში – კელაპტრად
 ცაზე ვარსკვლავად რჩებაო.

უფალს ორივე ახსოვდა

წინოლას დედა ტიროდა
 ცრემლი სიმწრისა სდიოდა
 მისთვის დღე აღარ დღეობდა
 აღარც მზე ამოდიოდა
 რცხვენოდა დედამინისა
 დარში იდგა და სციოდა
 შორს დარჩა მთელი ქვეყნისგან
 ველარავისთან ჩიოდა...
 უფალს ორივე ახსოვდა
 უფალს ორივე სტკიოდა.

მზისყანასა და საორბოს შორის

მარგალიტები ღამის ძონძების,
 მინის დუმილში ზეცის ლოცვები.
 ხეობის ბინდში შუქი მდინარის,
 გული ფერმკრთალი, ფიქრი მტკივანი.
 შორს დარჩენილი ზღაპრის ფერდობი,
 „ისევ მიყვარხარ, ისევ გენდობი“.
 ვით მზე სივრციდან ღმერთის წყაროთი,
 შენი სიღრმიდან სიტყვა ამოდის.
 ბავშვისპერანგა, ჩუმი კორდები,
 „შენთვის ვცოცხლობ და შენთვის მოვკვდები“.
 მთაზე ღრუბელი მოგვის თვალებით,
 ახალ სივრცეში ძველი ზარები...
 ამაღლებული გზები და ხმები,
 ცა – ერთადერთი სამოთხე ფრთების.

ბადიშის ბასბონად

როდესაც დამინახავდა
 ქვეყნის სიავის მგომობელსა
 მამა მალ-მალე მეტყოდა
 სიტყვას სანუთროს მცნობელსა:
 „აჰყევ და დაჰყევ სოფელსა
 ამ მამაძალის ოხერსა“.
 არც ავყევ არცა დავყევი
 გულებზე ჩრდილის მომფენსა
 მგლისგულა მედღეხვალის
 ორგზიანსა და ორფერსა
 ღმერთის და კაცის ცრემლებით
 ქვისა თუ რკინის მდნობელსა.
 და ახლა საიქიოდან
 მენმიანება როდესაც
 ბედნიერია რომ შვილმა
 არ დაუჯერა მშობელსა
 რომ ეწირება აღმართებს
 და არ დაეძებს ფონებსა.
 ამყოლს და დამყოლს სოფლისას
 ვინ მისცა მაღლი ხორბლისა
 ტკბილად ვინ მოიგონებსა.

უფალი გეტყვის სიტყვებსა

გულს რომ პეშვივით შეუშვერ
 ციდან წამოსულ წყაროსა –
 მტერიც დაგლოცავს ზურგს უკან
 აღარ გაგიტხრის ხაროსა
 შუქი რამ აუმღვრეველი
 შემოგეხვევა სამოსად
 ისეთი სითბო ექნება
 როგორც წინაპრის ჯვალოსა
 ტყვია და ხმალი კი არა
 ელვაც ვერ გაეკაროსა.
 ფიქრი გასცდება სივრცეებს
 რომ მზის თვალს ენამწამოსა
 უფალი გეტყვის სიტყვებსა
 სურნელოვანსა ამოსა
 იის ხმით მოგეფერება
 მგალობელს უსახლკაროსა.
 მალლა ცამ დაბლა ქვეყანამ
 როგორ არ გაიხაროსა –
 გულს რომ პეშვივით შეუშვერ
 ციდან წამოსულ წყაროსა.

სალოცავები

თვალების შეხმატკბილება,
 დროის ღიმილით დინება,
 გაზაფხულობა ბედისა.
 ტურებზე ნამი მაისის
 (ჩაუქრობელი აისი),
 თაფლისწვეთობა კერტისა.
 სიტყვა – სამოთხის ბულბული,
 გულის სიღრმეში ღულღუნი
 ციდან მოფრენილ მტრედისა.
 შენ –
 სალოცავი იმისთვის,
 ის –
 სალოცავი შენთვისა...
 სიცოცხლის თავდავინწყება,
 ბედნიერება ღმერთისა.

* * *

მზისნაპერნკალა მძივები
 კაბის ფერები ხალასი
 მზერაში მაღლი სატების
 და გულის ათინათები
 სიცილში სხივი აღმასის
 საყურე – დაი ნამისა
 ყვავილზე მოცინარასი
 ნათლული ცისა ერთისა
 სევდაში სითბო დედისა
 და სიტკბო იავნანასი
 მოყვასის დღესასწაული
 და მტრისთვის კოშკი „არასი“.
 ბალიდან ბალში გადასულ
 სიმღერასავით ლამაზი.

* * *

ვინც დაივინყა ციერი
 მკვდარია აღარც მკვდარია
 არ იცის საიდან მოდის
 ან საით მიუჩქარია
 არა აქვს ნიჭი ლოცვისა
 ნიადაგ ბნელში მდგარია
 მისთვის მზე მხოლოდ მზე არის
 ზარი მარტოდენ ზარია
 გინდ ყოფილა და გინდ – არა
 ლანდია წარმავალია...
 დამვინყებელი ღმერთისა
 უცხოა შესაბრალია.

სასწაულს ხედავ

გალობა ისმის დილის ნისლიდან
 და მიღმის მიღმა ბრწყინავს სათავე
 კვლავ უკვდავების წყაროს მიზიდავ
 კვლავ აუმღვრეველ დარში მატარებ.
 ხმებით ეწვდება მწვერვალს ზეგანი
 ზეცას ლოცავენ მზე და მერცხლები
 და მარადიულ ფერებს შეხარის
 გული – ნაცემი დარდის წკეპლებით.

სასწაულს ხედავ ჩუმად მოვლენილს
 და აშრიალებს თქორი ლელიანს
 გეხმიანება ექო რომელიც
 სამყაროს შექმნის დროინდელია.
 ვერ გაუხუნა სევდამ ხალისი
 და ხარობს მწირი – ღმერთის ნაწილი
 სიკვდილ-სიცოცხლის ერთგულ მგზავრისთვის
 სამოთხისაკენ გზაა გახსნილი.

ბრძენპატია მოწონებული

სიკვდილის რვეულს უხდება
 ყვავილოვანი ყდებო
 გადაშლი შემოგესმება
 ნაირ-ნაირი ხმებო
 პირველ ფურცელზე სწერია
 (პნკარები მზისა ფერია)
 სიტყვები საოცრებო:
 „ღმერთის კალთიდან გადმოსულს
 რად მომიმრავლდა მტრებო
 ბრძენკაცთა მოწონებული
 ჭორის სათრევი ვხდებო
 (თავს რომ ილუპავ ბეჩავო
 მე რალას მემართლებო).
 მახარებს ყველა აკვანი
 (და გზები ცისკენ ნაკვალი)
 ყველა საფლავთან ვკვდებო
 სიცოცხლეს ვეძმობილებო
 სიყვარულს ვენაცვლებო“.

ბადმოიხრება ვარსკვლავი

მეშვიდე ციდან გახედავ
 ცას სხვებზე უფრო მაღალსა
 ფიქრი შეკრთება იკითხავს
 ვიმყოფებო ახლა სად
 გულს მშვიდად გაელიმება
 (ხმა სითბოდ გაეფინება)
 რატომ ამბობო მაგასა
 მალე იმ ცაზეც ვნახავთო

სიზმრად მოსმენილ ზღაპარსა
 გზაზე მზეს შევეყრებითო
 მხარზე მხრით შევეხებითო
 ღმერთის კალთაში ნაბანსა
 გადმოიხრება ვარსკვლავი
 გაიმბობს ლამაზ ამბავსა
 რაც ძველად შვილიშვილისთვის
 მოუყოლია პაპასა...

* * *

მიყვარხართ ცის მხარეებო
 უთქვენოდ ყოფნა ძნელია
 ყველგან – ცხადსა თუ სიზმარში
 თქვენი სითბო და ფერია
 თქვენი ხმები და დუმილი
 გზააბნეულთა მხსნელია.
 თქვენს სიმაღლეებს შეხარის
 მალლა – მზე დაბლა – მწერია
 თქვენი წყალობით ქვეყანა
 (თუმცა ნიადაგ ქრელია)
 გონების საგანძურია
 გულისთვის სანატრელია
 სიცოცხლე ფიქრის ღებნაა
 სიკვდილი საკვირველია.

ღმერთის კალთაში ბაღობენ

ზოგჯერ ავდარი უხდება
 გაზაფხულს
 ზოგჯერ – დარიო
 სასწაულებით ხარობენ
 ღმერთის
 კალთაში გალობენ
 ცოცხალი გინდა მკვდარიო.
 ცის მამშვენებელ რტოებზე
 ბრწყინავს სამოთხის ნამიო
 ჰორიზონტიდან ჰორიზონტს
 ეხმიანება ქარიო
 ვით ლოცვა მარადიული
 (გულებში სითბო მზიური)
 ისმის ფესვების ჩქამიო.

* * *

ასე გრძელდება ცხოვრება:
ტკბილ-მწარე მწარე-ტკბილია
მაინც ვერ დავემდურები
არ წამომცდება ძვირია
ხმელ ხეზე ბრწყინავს ყვავილი –
ცისა და მინის შვილია
სიცოცხლის ლამაზ თვალებში
სიკვდილის მზე და ჩრდილია
და ბუდე სიყვარულისა
ღმერთის გულივით თბილია.

უფალთან ერთად გადმოდგა

თამაზ ჩხენკელს

ესაა ვაჟა-ფშაველა –
კვიცი, მხტომარე გვარზედა,
მზის ვენახებში გაზრდილი
ლექსის პურსა და წყალზედა,
ფანქრისთვის წვერის წამთლელი
ხანჯლის თუ დანის ფხაზედა,
ცის აღმართებით იარა,
სტკიოდა სამი იარა,
შუქი რჩებოდა კვალზედა,
უფალთან ერთად გადმოდგა
სამყაროს მზისფერ ბანზედა,
ჩვენს სალოცავებს დანათის,
ოქროს გვაბერტყავს თავზედა.



ზურაბ ხაშიკაძე

ბაბუა (ამონარიდი)

მეორე ბაბუა, დედაჩემის მხრიდან, ხასან მსხალაძე, მეზობელ სოფელ ქედქედიდან იყო. ისიც გახლდათ მეორე მუჰაჯირობაში, მაგრამ ამის შესახებ მე ბევრი არაფერი ვიცი. გადმოცემით მახსოვს, გემით მიმავალთ გზაში პატარა გოგონა გარდაცვლიათ, ნაპირზე გემით მიმდგარან და იქ დაუტოვებიათ კიდევ ერთი სამუდამოდ დაკარგული საფლავი. ახალგაზრდა ბაბუა გამწარებულ ბებიასთან ერთად მაინც დაუბრუნდა საკუთარ ბუდეს, მაგრამ დროებით...

ოჯახი თავიდანვე საკმაოდ შეძლებული იყო და მალე გამართა გავერანებული სახლ-კარი. შეეძინათ შვილები (დედაჩემიც მერე დაიბადა). ბათუმშიც გაიკეთა სავაჭრო და საცხოვრებელი სახლები. ამასობაში განითქმა საქართველო და „გაყირმიზდა“ აჭარისტანიც.

კომუნისტები ვერ იტანდნენ ვერც მდიდარ და ვერც ავტორიტეტულ ხალხს, ბაბუა კი „წინაიკაცი“ იყო და არამარტო მის სოფელში.

დაიწყო რეპრესიები.

ბაბუა დაიბარეს შინსახკომში. მანამდე დაბარებული ვინც იქ გამოცხადდა, უკან არავინ დაბრუნებულა და ვინც არ გამოცხადდა – მაინც დააპატიმრეს. ბაბუა იძულებული გახდა ოჯახს გარიდებოდა და სხვაგან შეეფარებინა თავი. ბარემ აქვე დავამატებ, რომ მასთან ერთად იმალეობდა მისი მეგობარი ქობულეთიდან ახმედ

ხახუტაიშვილი, ცნობილი ისტორიკოსის, დავით ხახუტაიშვილის მამა.

დაპატიმრებათა ახალ-ახალი ტალღები მიდიოდა, ცოდვის კალო იდგა. ბაბუა იძულებული გახდა მეორედ გადახვენილიყო თურქეთში. ის გამთენიისას მივიდა ოჯახში, გააღვიძა მხოლოდ მეუღლე, დაემშვიდობა მძინარე ოჯახს დროებით, როგორც თვითონ ფიქრობდა და წავიდა.

ეს იყო დანყველილი 1937 წელი.

თურქეთში სხვადასხვა დროს ჩვენგან წასული ბევრი მისი ნაცნობი და ახლობელი იყო. ბაბუამაც სამსუნის მახლობლად სოფელ ჩერშემბეში დაიდო ბინა, როგორც ხიზანმა. მერე გავიგეთ, რომ ის იქ ბევრ გაჭირვებულს უმართავდა ხელს: ზოგს სახლის მოწყობაში დაეხმარა, ზოგს პირუტყვი შეუძინა. თვითონ მას კი ბევრი ურჩევდა, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდას ეზრუნა თავისი ახალი ცხოვრების მოწყობაზე. ბაბუა კი ასე არ ფიქრობდა. ის იმედს არ ჰკარგავდა, რომ სამშობლოში დაბრუნდებოდა.

გავიდა თითქმის ათი წელი ოჯახისა და სამშობლოს ნატვრაში. იმედი ბოლოს კვდებაო და ეს ბოლოც დამდგარა. ბაბუას უთქვამს, სტალინი ჰიტლერმაც რომ ვერ წააქცია, მაგისი მომრევი არავინააო. ორ ქვეყანას შორის ჩამოფარებული რკინის ფარდა კი არც სინათლეს ატარებდა და არც ხმას. იმედთან ერთად რომ არ დაღუპუ-

ლიყო, მწარე სინამდვილეს შეგუება უნდოდა. ბაბუაც დაუზავდა ბედს და ახალი უღელი დაიდგა. ცოლად ჩვენებური, წარმოშობით კირნათელი, ცინცაძე შეირთო. შეეძინათ სამი ვაჟი: რეფიცი, ჯევდეთი და ეროლი. ისინი თითქმის ჩემი ასაკისა არიან და ახლაც თურქეთში ცხოვრობენ.

ბაბუა თუ ვერა, ახლა ჩვენ მაინც დავბრუნდეთ იმ დროის მაჭახელში.

უმამოდ დარჩენილ ოჯახში შვიდი შვილი იზრდებოდა. თუმცა რალა იზრდებოდა. მართალია, ყველაზე უმცროსი, აიშე, ჯერ მართლაც პატარა იყო, მაგრამ უფროსი, ჰევდანი, უკვე გათხოვილიყო მეზობელ სოფელ გვარაში. ოჯახი მაინც მყარად იდგა ფეხზე, მაგრამ ნალველი? ნალველს რა გაანელებდა.

ბებია. ახლა მასზე უნდა მოგიტხროთ. ზექიე სანაძე მაჭახლის სოფელ ქვაბითავიდან იყო. ეს სოფელი ახლა თურქეთის მაჭახელშია მოქცეული. იყო საოცრად გონიერი, ამაყი და ჯან-ლონიანი ქალი. იყო, მაგრამ შემდგომში დატრიალებულმა ამბებმა მაინც თავისი გაიტანა.

იმ დროს აჭარაში ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე დასრულებული კოლექტივიზაცია. საერთო კრებაზე ბებიას თავს დაესხნენ ახალგამორჩეკილი, მაუზერიანი კომკავშირლები, როგორც ტროცკისტს და კულაკის მეუღლეს. უკადრებელი სიტყვები აკადრეს. მერე ბებია მიყვებოდა ნალვლიანი თვალებით, რაოდენ განზილებული დარჩა ამით. კომუნისტებისაგან წათამამებული ეს ახალგაზრდები ხომ მისი თანასოფლელები იყვნენ, ისინი, ვინც ადრე მის ოჯახში დადიოდნენ და ვისაც ის შვილების ლუკმას უნანილებდა. არ მითხრა, ვინ იყვნენ პიროვნულად და არც მე ჩავძიებულვარ მაინცა და მაინც. ვიცი, მეტყოდნენ, „დრო იყო ისეთი“-ო.

ოჯახი კოლექტივში არ მიიღეს!

თურქეთთან საზღვარი საბოლოოდ ჩაიკეტა და მისი სოფელი, ქვაბითავი, სანათესავოსთან ერთად სხვა სამყაროში აღმოჩნდა.

გადაიარა მეორე მსოფლიო ომმა და შეინირა ბევრი ახლობელი.

ომის შემდეგ გარდაეცვალა გამორჩეული ვაჟი, თექვსმეტი წლის ფეხლი.

1951 წელს კიდევ ერთხელ „შეახსენა“ თავი ოჯახს ხელისუფლებამ და როგორც არასანდო – ყაზახეთში გადაასახლა. არ და ვერ აღვწერ, რა ტანჯვა-წვალება გადაიტანა ხალხმა, თუნდაც მისნაირებით გადატენილი ეშელონებით მგზავრობისას, სანამ შორეულ ყაზახეთში ჩააღწევდნენ. უფროსი ვაჟი, მემედი, უკვე ცოლშვილიანი იყო. „მტრების ჯინაზე“ თავი იქაც გაიტანეს. თითქოს ბედის ირონიააო და, ამ დროს უმცროსი ვაჟი, ზია, საბჭოეთს ემსახურებოდა, საბჭოთა არმიის რიგებში იყო განწვეული და შვეებულებით გამოშვებულმა დედასა და უფროსი ძმის ოჯახს ყაზახეთში ჩააკითხა, ჩიმკენტის ოლქში. ამასობაში, ერთი ანეკდოტის არ იყოს, „ერთ მშვენიერ დღეს“ სტალინიც (ხაზგასმა ჩემია, ზ. შ.) გარდაიცვალა. „-ც“ ნანილაკი, რომელსაც მე ისედაც დიდ პატივს ვცემ, შემთხვევით არ მიხმარია. მაშინ ბევრს ეგონა, რომ სტალინს თვით სიკვდილიც (ხომ გითხარით, მიყვარს ეს ნანილაკი-მეთქი!) ვერ მოერეოდა. გარდაიცვალა თუ „გარდაცვალეს“, ეს დღესაც არაა საბოლოოდ გარკვეული, მაგრამ ამაში კი ყველა დარწმუნებულია, რომ ამით ერთი უზარმაზარი ეპოქა დამთავრდა. ამის შემდეგ, ცოტა ხნით, ლავრენტი ბერია ბატონობდა თვალუნვდენელ სახელმწიფოში თავისი უზარმაზარი ავტორიტეტით და ბევრ სიკეთესთან ერთად, გადასახლებული ხალხიც დააბრუნა უკან (მე ახლაც მახსოვს, იქედან დაბრუნებული ბავშვები როგორ „კნაჭავდნენ რუსულად“, რადგან მანამდე იქ რუსულ სკოლებში სწავლობდნენ).

დამთავრდა ბერია-მალენკოვ-ბულგანინ-ხრუშჩოვის სტალინის შემდეგდროინდელი ჭიდაობა ნიკიტას გამარჯვებით და დადგა „ოტტეპელიც“.

– თურქეთიდან წერილი მოვიდა! – ერთ დღეს თოფივით გავარდა ხმა სოფელში. წერილი ბაბუის ოჯახიდან იყო გამოგზავნილი, იქაური ოჯახი უგზავნიდა აქაურ ოჯახს. წერილის მიღებით გამოწვეული სიხარული ხანმოკლე გამოდგა. ის თურქულად დანერილი აღმოჩნდა. არც სოფელში და არც ნაცნობებში არავინ იყო მისი წამკითხავი (რა ტყუილად გვაბრალებდნენ თურქეთისაკენ ყურებას!). მიიკითხ-მოიკითხეს და თურქულის მცოდნეც აღმოაჩინეს, სარფელი მუხამედ

ვანლიში, ცნობილი სპეციალისტი, ჩვენი გუბაზ ვანლიშის მამა. ამ წერილით მოკლედ გავიგეთ ბაბუის თურქეთში წასვლის შემდეგი ამბები.

1965 წლის ზაფხულია. მეორედ გავარდა თოფივით (როგორც ჩანს, თოფი ორლულიანი იყო!): თურქეთიდან ბაბუა ჩამოვიდა ტურისტებთან ერთად. ეს მართლაც საოცრება იყო, საბჭოთა სახელმწიფოში დაბადებულ-გაზრდილთათვის წარმოუდგენელი რამ. მე მაშინ მე-9 კლასში ვიყავი და ეს ამბები უკვე კარგად მახსოვს. აგორდა ხალხის მასა: ნათესავეები და ნაცნობები თავისთავად, მაგრამ სრულიად უცნობებიც. არ წყდებოდა მნახველთა ნაკადი. ბევრს თურქეთში მცხოვრები ახლობლების ამბავის გაგება უნდოდა, ბევრიც, უბრალოდ, ცნობისმოყვარეობის გამო. თურქეთიდან ვინმეს დაბრუნება ხომ მანამდე წარმოუდგენელი ამბავი იყო. ელაპარაკებოდნენ თუ ეკითხებოდნენ, ეცნობოდნენ თუ თავს ახსენებდნენ, ხელით ეხებოდნენ.

როგორი იყო ბაბუა? ის უკვე ოთხმოც წელს იყო გადაცილებული, მაგრამ იყო ახოვანი, წელში გამართული, ენერგიული...

და მთავარ სათქმელსაც მივადექი. საერთო აღტაცებასა და სიხარულს მარტო ამაყი ბებია არ გამოხატავდა. კი არა და ბაბუას ის სულაც არ დაელაპარაკა. არ გაჭრა არც შვილებისა თუ ახლობლების ხვენწა-მუდარამ. ბებია შეუვალი იყო. მიზეზი? გარდუვალი საფრთხის მიუხედავად, ოჯახი მაინც არ უნდა დაეტოვებინაო. რატომ? ამის პასუხს ჩვენ თვითონ ვხვდებოდით. ბებიას თავისი ცხოვრების უმძიმეს დღეებში, რომელიც მან გადაიტანა, ბაბუა არ თუ ვერ ედგა გვერდით.

რას იზამ!

ბაბუას კი გადაწყვეტილება დიდი ხანია ჰქონდა მიღებული. მას სურდა ჩვენთან დარჩენა, დარჩენილი ცხოვრების აქ გატარება და მშობლიურ მინაზე აღსასრული. შვილი, ზია, ამ დროს უკვე კოლმეურნეობას თავმჯდომარეობდა, იმ კოლექტივს, რომელმაც ადრე მისი ოჯახი იუცხოვა და ესეც რამდენადმე ბედის ირონია იყო. ისიც, მამასავით, „წინაი კაცად“ ითვლებოდა. დატრიალდა, იყო ყველგან, სადაც ჯერ არს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომა-

რე გივი ჯავახიშვილამდეც მიაღწია, მაგრამ მამის სურვილის აღსრულება მაინც შეუძლებელი აღმოჩნდა. პასუხი ერთი იყო: ტურისტად ჩამოსულის ჩვენს ქვეყანაში დარჩენა არ შეიძლებაო. აუცილებელია, დაბრუნდეს უკან და მხოლოდ სათანადო პროცედურების გავლის შემდეგ თუ შეიძლება ამ რთული საქმის მოგვარებაო.

წავიდა ბაბუა. წავიდა და დაგვემშვიდობა თვალცრემლიანებს, თვითონაც თვალეზანამული. წავიდა, მაგრამ დარჩა იმედი მისი ჩვენთან დაბრუნებისა. ლენინაკანამდე ჩააცილეს ზიამ და ზიას უფროსმა ვაჟმა, ამირანმა. თურქეთის საზღვარზე გამშვები პუნქტი მაშინ მხოლოდ იქ იყო.

ბაბუას დაჟინებული მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. მოლოდინში კიდევ რამდენიმე წელი გავიდა. ჩვენი ლოდინიც ამაო გამოდგა. ბოლო სურვილშეუსრულებელი ბაბუა უცხო თუ გაუცხოებულ მინაზე გარდაიცვალა. ხმა გავრცელდა მაშინ, მის სიკვდილში სპეცსამსახურების ხელიც ერიაო. სიმართლის დადგენა შეუძლებელი იყო.

სიცოცხლის ბოლო წლებში ზექიე ბებია მახინჯაურში ცხოვრობდა მემედის ოჯახთან ერთად. ჩემი სტუდენტობის ხუთი წელი მეც ამ ოჯახში ვიყავი. ის სითბო და სიყვარული, რასაც ბებიასგან ვგრძნობდი, დღემდე მომყვება. ვგრძნობდი-მეთქი, თორემ ის თავის გრძნობებს, საერთოდ, იშვიათად გამოხატავდა. სამაგიეროდ, რაც არ მოეწონებოდა, შეიძლება მკაცრად მიეთითებინა ნებისმიერისათვის. მე ამ მხვრივაც გამონაკლისი ვიყავი. დამავინწყდა მეთქვა, რომ ბაბუას გარდაცვალების ამბავი მას და დედაჩემს დავუმალეთ. მას შემდეგ საკმაოდ დრო იყო გასული და ერთ დღესაც ვართ მე და ბებია სახლში. მე დაბალ სკამზე ვზივარ და წიგნს ვკითხულობ; უკვე შესამჩნევად ჯანგატიხილი ბებია, როგორც ხშირად, სანოლზე მაღალ ბალიშებზე ნახევრად მიწოლილი. ამ დროს მემედ ბიძია დაბრუნდა სახლში, მგონი ქორწილიდან, საკმაოდ შეზარხოებული და ზედმეტად ახმაურებულმა დედისაგან „ტრადიციულად“ შენიშვნაც დაიმსახურა:

– მემედ, შენ თავი ძალიან ახალგაზრდა ხომ არ გგონია!

– არა, ნენი, – ალერსიანად მიმართა შვილმა და არ ვიცი, უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა თუ უნებლიეთ, გააგრძელა:

– მამაც აღარ მყავს და...

მე საიდუმლოს მოულოდნელი გათქმით ელდა მეცა და უნებურად ბეზიას შევხედე. მომეჩვენა,

რომ მის თვალებში ნაპერწკლებმა გაიელვეს. სახეზე კი მხოლოდ ნამიერად შეცბა, დამიჯერეთ, მხოლოდ ნამიერად. შემდეგ კი, ვერ გეტყვით, რა ძალებით მოთოკა თავი, გარეგნულად სრულიად დამშვიდებულმა, წყნარად ჩაილაპარაკა:

– მით უმეტეს...

მე დაძაბულობას ველარ გავუძელი და ცრემლმორეული გარეთ გავვარდი.

საიქიში?! (ვუძღვნი შ. მ.-ს)

დრო არ მაქვს დაწვრილებით მოგიყვებ, როგორი დავა გამოიწვია სანათესაოსა და საზოგადოებაში იმან, თუ როგორი წესით დავმარხულიყავი.

ერთი სიტყვით, ყველაფერი თანდათან რომ განათდა, სამსჯავროს წინაშე ვიდექი.

– არ არს ღმერთი გარდა ალლაჰისა, – დაიწყო თეთრწვერიანმა ჩალმოსანმა არაბულად და მაჯაზე დამჭკნარი თითები მომიჭირა...

– ვაპროტესტებ! – ფეხზე წამოიჭრა ანაფორიანი ახალგაზრდა, რომელსაც შავი თმა-წვერი გულმკერდსა და ფართე ბეჭებზე დაჰფენოდა, – ახალწვეული მხოლოდ დაბადებითაა მუსლიმანი, მაგრამ მთელი შეგნებული ცხოვრება ჩემს რჯულს ატარებდა, მაგის შემდგომი ბედი მხოლოდ მე უნდა გადავწყვიტო!...

– არც მთლად მასეა საქმე, – მშვიდად წამოიწყო კიდეც ერთმა არსებამ, რომელსაც რამდენი ხელი ჰქონდა, ვერც კი დავითვალე, – ახალწვეული საკმაოდ დიდ დროს კარატესა და უშუს უთმობდა, იოგათიც იყო გატაცებული და კარგად შეითვისა აღმოსავლური ფილოსოფია...

ბოლომდე სიტყვის თქმა არც მას დააცალეს. მსაჯულებს შორის კამათი ყაყანსა და არეულობაში გადაიზარდა.

– მოითმინეთ! – თქვა და წინ წამოდგა ამოღებული ტანის ახალგაზრდა კაცი. მას შუაზე გაყოფილი და კოხტად გადავარცხნილი ტალღოვანი თმა ამშვენებდა, სახე ისე სუფთად ჰქონდა გაპარსული, რომ ყვრიმალეებს კრიალი გაჰქო-

ნდათ, ტანზე ულტრავაგანტური კოსტუმი ეცვა – წმინდა ინგლისური მაუდისა, ფრანგულ პერანგზე ჰოლანდიური ჰალსტუხი აჯდა კოხტად და ფეხზე გერმანული „სალამანდრები“ ეცვა. – მოითმინეთ! – გაიმეორა მან, – ახალწვეულმა, სამსახურში წინ რომ წაწეულიყო, ერთ დროს ყველა ღმერთი და რჯული უარჰყო და ჩვენთან – კომუნისტურ პარტიაში შემოსვლას ცდილობდა ყველანაირი ხერხის გამოყენებით...

– შეწყვიტეთ კამათი! – მიდამო შეაზანზარა სუფთა ბარიტონმა. მე მალლა ავიხედე და, ჰოი საოცრებავ, დედა ბუნებას პირუთვნელი სახის მქონე უზარმაზარი თეთრწვერა მოხუცის გარეგნობა მიელო. ჩემი სამსჯავრო მისი მარცხენა ფეხის ნეკთან მიმდინარეობდა. მან კვერთხი შემართა და განაგრძო: – როგორც ვხედავ, დღევანდელი საკითხი მეტად რთულია, მას პრაქტიკაში პირველად ვხვდებით, მაგრამ, ვფიქრობ, რომ არა უკანასკნელად. დღის წესრიგში დგება შევიტანოთ საჭირო ცვლილებები ჩვენს იურიდიულ კოდექსსა და კონსტიტუციის შესაბამის მუხლებში. რაც შეეხება განკითხვის მდინარეს, განკითხვის მდინარის შესახებ ყველაფერი უცვლელად უნდა დავტოვოთ. ასე რომ ძირითად საქმეს შეუდექით!

რალაც ძალამ სამსჯავროზე ზურგი შემაქცევინა. ჩემს წინ უზარმაზარი მდინარე გაჩნდა, რომელშიც მღვრიე წყალი მოქუხდა და საშინელ ტალღებად იგრაგნებოდა. რალაც იღუმალი ხმა

საჭირო ინსტრუქციას მანვდიდა. მე ეს მდინარე უნდა გადამეცურა, რათა სამუდამო სასუფევლად მდინარის მეორე ნაპირზე მდებარე სამოთხე მქონოდა. გავიგე, რომ ამას ადვილად მოვახერხებდი, თუკი მინაზე ცხოვრების დროს რალაცა მაინც მწამდა, ოღონდ მწამდა მთელი გულით და გრძნობით, ანდა – თუ მთელი ცხოვრება მადლის კეთებაში მქონდა გატარებული.

ეხლა ვდგავარ მდინარის პირას. სადაცაა გონგს შემოჰკრავენ. მე დედაშობილა ვარ და მთელი ტანით ვძაგძაგებ არა სიცივის, არამედ ჩემი გავლილი ცხოვრების გახსენების გამო. თუ

ახლა არ გამეღვიძა და ეს ყველაფერი სიზმარი არ არის, ვიცი ნაჯახივით მდინარის ფსკერისაკენ წავალ, სადაც სამუდამო განსაცდელი მელის საშინელი ჯოჯოხეთის სახით.

მინაზე დარჩენილო ადამის მოდგმავ, ჩემო ნაგრამ-ნამრავლო! ანდერძად გიბარებთ: ნუ იხტუნავებთ გამორჩენის მიზნით ჩემსავით აქეთიქით, რაც გნამთ, გნამდეთ მთელი სულით და გულით, ან მადლი თესეთ ქვეყანაზე მთელი ცხოვრების მანძილზე, ან...

...ან, ბოლოსდა-ბოლოს – კარგი ცურვა მაინც ისწავლეთ!

სად წაიყვან სადაშრსა

– მოდი, ულვი, მოდი შვილო, – ეჩურჩულე-ბოდა მაჭახელა ჭანივრელ ბიჭს, – მოდი, უფრო მაგრად ჩაგიკრა გულში, დაგიამო მზით გახურებული ტან-ფეხი. – თითქოს გრძნობდა წყალი, რომ მისი ბოლო შეხვედრა იყო ამ მკვირცხლ, ტანმალალ, თვალეზბრიალა ბიჭთან, რომელიც რატომღაც განსაკუთრებით შეიყვარა მან.

დადგა დრო, მშობლებს ულვის განათლებისათვის ეზრუნათ. სოფელში სკოლა არ იყო. მარტო ხოჯა-მოლებთან ნასწავლიც დიდად ვერაფერში გამოადგებოდა ბიჭს. მამამ კი იცოდა განათლების ფასი. რეჯებ შაშიკაშვილი განსწავლული კაცი იყო და მთელი ევროპაც ჰქონდა შემოვლილი.

ულვი განათლების მისაღებად დეიდასთან ერთად სტამბოლში გაგზავნეს. სწავლაში თავი გამოიჩინა ნიჭითა და მონდომებით. დრო სწრაფად გადიოდა. დაიწყო მსოფლიო ომი, „ხონთქარი და რუსი ჩხუბობდა“. ულვის სრულიად ახალგაზრდა ძმა, იზეთი რუსეთის არმიის შტაბსკაპიტანი იყო, მამაცურად ებრძოდა თურქებს და სანაცვლოდ ჯილდოს – ჯილდოზე ლეზულობდა. გახდა წმინდა გიორგის ორდენის ყველა ხარისხის კავალერი, დაჯილდოვდა წმინდა გიორგის ჯვრითა და ოქროს იარაღით. ულვის სტამბოლში ყოფნა სახიფათო გახდა და

მანაც ოჯახს მიაშურა, რომელიც უკვე ბათუმში გადასულიყო. მაშინ ბათუმში ბევრი თეატრალური დასი მოქმედებდა: ქართული, ბერძნული, სომხური, სპარსული, აზერბაიჯანული... ულვი ბევრ ენას ფლობდა და ხშირად დადიოდა ამ დასების სპექტაკლებზე, ძალიან უყვარდა თეატრი და თვითონაც ოცნებობდა მსახიობი გამხდარიყო.

მაშინ აზერბაიჯანული დრამატული თეატრის ჩამოსვლა ბათუმში დღესასწაულად ითვლებოდა. ქალაქში განსაკუთრებით აღტაცებული იყვნენ ჰუსეინბალა არაბლინსკის თამაშით. ის მთელს კავკასიაში ცნობილი ტრაგიკოსი იყო და მოაჯადოვა ულვიც. 1918 წლის მაისში თეატრმა ბათუმში ჩამოიტანა ჰაჯიბეკოვის კომედია „არშინ მალ ალან“ და შექსპირის ტრაგედია „ოტელო“. როგრც წესი, მასიურ სცენებში მონაწილეობისათვის ინვედნენ ადგილობრივ მსახიობებს. სპექტაკლის „არშინ მალ ალან“ ჩვენების წინა დღეს ავად გახდა სულეიმან ბეგის როლის შემსრულებელი. გადანყვიტეს შემცვლელი მოენახათ ბათუმელებს შორის. თეატრის ხელმძღვანელმა ნახა ერთი ახალგაზრდა, ჩაატარა მასთან რეპეტიცია, გაუკეთა გრიმი და გამოყვანა სცენაზე. საბედნიეროდ ახალგაზრდამ კარგად იცოდა ეს კომედია. რასაკვირველია, იყო

ეჭვი და თვითონ ახალბედაც სცენაზე გამოსვლამდე ძალიან ლელავდა. მაგრამ იმან, რაც მოხდა სცენაზე, ყველა აღაფრთოვანა. ახალგაზრდა მსახიობს ჰქონდა მქუხარე ხმა და სიმპათიური გარეგნობა. მან მეტად დამაჯერებლად წაიყვანა სპექტაკლი. მაყურებლებმა თანამემამულე დააჯილდოვეს მქუხარე ტაშით და აღტაცების შეძახილებით. ბაქოელები კი გაოგნებული იყვნენ მომხდართ და უწინასწარმეტყველეს მას ბრწყინვალე მომავალი. ეს ახალგაზრდა კაცი იყო ულვი შაშიკაშვილი, ულვი რეჟები – აზერბაიჯანული თეატრის მომავალი ვარსკვლავი.

მთელი ქალაქი დადიოდა ულვიზე საყურებლად. ხმებმა მიაღწია ულვის მამამდეც, რომელიც ყოველთვის უკმაყოფილო იყო შვილის სცენური გატაცებით. ნახა რა, რომ ულვი გამოდიოდა ნამდვილ თეატრში, ის სახლიდან გააგდო. უსახლკაროდ დარჩენილი ახალგაზრდა ლამეებს თეატრის შენობაში ათევდა და ძლიერ განიცდიდა საყვარელ მამასთან განშორებას. რა ექნა, რომ სხვაგვარად არ შეეძლო, თეატრი მისი ბედისწერა იყო.

1920 წელს ბათუმის თეატრმა ულვი მიიწვია მუდმივ სამუშაოზე. იქ მან დაჰყო ორი წელი და იღვწოდა მეტად ნაყოფიერად. 1922 წლის გაზაფხულზე ბათუმის თეატრი გასტროლებზე წავიდა თბილისში, მაგრამ ცუდი ორგანიზაციის გამო, თეატრმა უჩვენა მხოლოდ ორი სპექტაკლი. თავისუფალ დროს ულვი დადიოდა თბილისის აზერბაიჯანული თეატრის სპექტაკლებზე, ძალიან მოეწონა თეატრი და ჩაირიცხა მის დასში. 1924 წელს ამ თეატრის მთავარი რეჟისორი ალექსანდრე ტუგანოვი, რომელმაც შემდგომში დიდი როლი ითამაშა ულვის სამსახიობო კარიერაში, მიიწვიეს ბაქოში სამუშაოდ. მან თან წაიყვანა იქ რამდენიმე მსახიობი თბილისიდან, მათ შორის ულვის მეუღლე – გამერ ხანუმ თოფურიაც. 1925 წელს კი ულვიც გადავიდა მათთან მეშადი აზიზბეკოვის სახელობის აზერბაიჯანულ თეატრში.

ბაქოში მუშაობის პირველსავე დღეებში ულვიმ ნიჭიერ მსახიობად წარმოაჩინა თავი. დრამატულ თეატრში ულვის პირველი ყველაზე დიდი

როლი იყო ჰამლეტი, რომელიც მსახიობის მკაცრი შემოქმედებით გამოცდა გამოდაგა. ა.ტუგანოვმა, რომელიც ულვის იცნობდა თბილისის თეატრიდან, იცოდა რა მისი ნიჭი, გაბედულად მიანდო ახალგაზრდა მსახიობს ეს ძალიან პასუხსაგები როლი. ულვიმაც გაამართლა რეჟისორის ნდობა. ძლიერი ხმა, მკაფიო დიქცია, მდიდარი მიმიკა, მოზომილი მოძრაობა, მაღალი, წარმოსადეგი ტანი, ამაყი შესახედაობა, პლუს ბრწყინვალე თამაში. „– ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად...“, – ჰქუხდა ულვი სცენაზე. მაშინ ის მხოლოდ 24 წლის იყო, მაგრამ ჩქარობდა, ბევრს მუშაობდა, თითქოს გრძნობდა, რომ ბედს მისთვის დათმობილი არ ჰქონდა დიდი დრო. საინტერესოა, რომ 1927 წელს ერევანში გასტროლების დროს სპექტაკლის „ჰამლეტი“ ცალკეული სცენები კინოფირზე გადაიღო ცნობილმა კინორეჟისორმა ა. ბეკნაზაროვმა. 1930 წლის აპრილში თეატრი იყო მოსკოვში. იქ შემოქმედებით შეხვედრებზე ულვი უკვე კითხულობდა მონოლოგს „ოტელოდან“ და ემზადებოდა ამ დიდი როლისათვის. მან მართლაც მალე ითამაშა ეს როლი, რომელიც მისი შემოქმედების ტრიუმფი იყო. ულვი გახდა მეტოქე, ფართო გაგებით, ამავე თეატრში მოღვაწე და მასზე ათი წლით უფროსი გამოჩენილი აზერბაიჯანელი მსახიობის აბას მირზა შარიფზადესი. საქმე იმაშია, რომ სცენაზე ულვისთან ერთად გამოდიოდა და მართლაც რომ ბრწყინავდა შარიფზადეს ცოლი, წარმოშობით ასტრახანელი თათარი მარზია ხანუმ დავულოვა, რომელიც შემდგომში საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი გახდა. ულვი და მარზია დიდი ხანია მიილტვოდნენ ერთმანათისაკენ. 1930 წელს მარზია ხანუმი წავიდა ულვისთან. რომ არ გამწვავებულიყო მდგომარეობა თეატრში, ისინი დროებით გადავიდნენ თბილისში, სადაც მუშაობდნენ აზერბაიჯანულ თეატრში და მხოლოდ ორი წლის შემდეგ ბათუმში ვაჟის, რაუფის დაბადების მერე (რაუფ შაშიკაშვილმა მოგვიანებით დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია და იყო საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის წევრი) დაბრუნდნენ ბაქოში. შემდგომშიც ბევრი

სახელოვანი როლი ითამაშა ულვიმ ამ სცენაზე, რომელთა უბრალო ჩამოთვლაც კი საკმარისია, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ამ დიდებულ მსახიობზე: ფრანც მოორი (შილერის „ყაჩაღები“), რომეო (შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“), გიუნბლენი (ჰიუგოს „კაცი, რომელიც იცინის“), სატინი (გორკის „ფსკერზე“), კრეჩეტი (კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“) და სხვა. 1933 წელს 30 წლის ასაკში მას მიენიჭა აზერბაიჯანის დამსახურებული არტისტის წოდება და ითვლება აზერბაიჯანული თეატრის ერთ-ერთ დამაარსებლად.

ულვის არტისტული ცხოვრების გედის სიმღერა აღმოჩნდა დრამატურგ მირზა იბრაჰიმოვის პირველი პიესა „ჰაიათი“. ახალი სცენური სახე არ იყო დამახასიათებელი ულვისათვის და თავიდან უარი თქვა ამ როლზე, რადგან მაყურებელს უყვარდა იგი, როგორც ნიჭიერი და კეთილშობილური სახეების შემქმნელი. აქ კი მას უნდა ეთამაშა პირწავარდნილი ეშმაკი მტრის, სულეიმანის როლი. ისეთი დიდი მხატვარი, როგორც იყო ულვი, თვლიდა, რომ არ არის სწორი, ყოველთვის ვაჩვენოთ მტერი, როგორც სუსტი და შორებელი. ამიტომ მაყურებელი ტაშს უკრავდა ულვის სამსახიობო ოსტატობას სულეიმანის ძალიან უარყოფით როლშიც.

სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ სუკის „სანიტრები“. მათ გადაწყვიტეს, რომ სწორედ სულეიმანის როლის შემსრულებელია „ნამდვილი ცოცხალი მტერი“. ამის გარეშეც ისინი უკვე ფიქრობდნენ, რომ აჭარელ ულვის ექნებოდა

პირდაპირი კავშირი თურქეთთან. უბედურების ზარმა შეცრად ჩამოჰკრა. 1937 წლის 11 სექტემბერს ის დააპატიმრეს და ბრალი დასდეს კონტრრევოლუციურ საქმიანობაში, საქართველოში ასეთივე ორგანიზაციის წევრებთან აკაკი ხორავასთან და აკაკი ვასაძესთან კავშირში. მრავალი წამება გადაიტანა სუკის სარდაფებში, მაგრამ საბოლოოდ მაინც არ გატყდა, არავინ „ჩაუშვია“. 1938 წლის 2 იანვარს სასამართლო მხოლოდ 30 წუთს გაგრძელდა. ულვიმ უარყო ყველა ბრალდება და საბოლოო სიტყვაზე უარი განაცხადა. მას უმაღლესი სასჯელი – დახვრეტა მიესაჯა და განაჩენი აღსრულდა იმავე დღეს. მსახიობი 35 წლისაც კი არ იყო...

1956 წლის 7 დეკემბერს ულვის რეაბილიტაცია ვერაფერი შვება იყო ოჯახისათვის, განსაკუთრებით რაუფისათვის, რომელსაც უკვე გავლილი ჰქონდა გამწარებული ბავშვობის წლები, როგორც „ხალხის მტრის“ შვილს.

შესანიშნავი მსახიობის ტრაგიკულ თავგადასავალს კი იმავე სტილში დავასრულებ, როგორც დავინწყე.

შუალამე რომ გადაივლის და ის დრო დადგება, როცა მდინარე წყალმაც უნდა ჩათვლიდოს სულ ცოტა ხნით, ყურმახვილი კაცი ახლაც გაიგონებს მაჭახელას ჩურჩულს:

– ულვი, ულვი, ულვი... სადა ხარ, შვილო, რატომ დავაჟაკებული ერთხელაც არ მეჩვენე, ჩემო ბიჭუნა. – ჩურჩული ხეობას ყრუოლასავით გაჰყვება და შორეთში შთაინთქმება.

სინილ-ტირილით...

– მეც შენსავით კახიძე ვარ, მაჭახლელი. მეორე მუჰაჯირობისას თითქმის მთელი მაჭახელი დაიცალა და თურქეთში წამოვიდა. მერე ზოგი უკან დაბრუნდა, გაცილებით მეტი კი საბოლოოდ დარჩა აქ, თურქეთში. ჩვენი ოჯახიც ამ ტალღას გამოჰყვა. ბევრი რამე გადაგვხდა თავს, ბევრი ვიხეტიალეთ და ბოლოს ამ სოფელში დავმკვიდრდით. უკვე საკმაო ასაკისა მოვიყა-

რე, მაჭახელი კი ისევ ძველებურად მენატრება და ახლაც ვნახულობ სიზმრებში. ეგება მალე საზღვარიც გაიხსნას, მაგრამ რაღაი, სიარული მიჭირს და როგორც ჩანს, მის უნახველი მოვკედები. ამიტომ, შენი თხოვნის მიუხედავად, მეც აქაურს კი არა, იმას მოგიყვები, რაც აქ წამოსვლამდე ერთი წლით ადრე ბათუმში გადამხდა თერთმეტი წლის ბიჭს.

მამა ადრე მომიკვდა. მე და ჩემს უმცროს დას დაქვრივებული დედაჩემი, ჩემი ნენეი გვზრდიდა. ერთ საღამოს ნენემ მითხრა, რომ მეორე დღით ჩემი ბიძა რამიზი ბათუმში მიდიოდა, საქონელი უნდა ჩაერეკა გასაყიდად. მას ნენეს თხოვნით ჩვენი ორი თუ სამი თხაც მიჰყავდა, ოჯახში ფული გვჭირდებოდა. რამიზ ბიძიამ ნენეი დაითანხმა მეც თან გავყოლოდი. ბიჭი მალე კაცობაში შედგამს ფეხს, გზაში დამლაპარაკებელი მეყოლება, თვითონაც ქალაქს ნახავს და თანაც ცოტა საქმეშიც გაინაფებო. სიხარულით აღარ ვიყავი.

უთენია გავირეკეთ საქონელი და გავუყევით გზას. საღამოს კახაბერში ჩავალწიეთ. იქ ღამე ხოხოტოლლებთან, ნენეს ნათესავებთან გავითიეთ, მეორე დღიას კი ბათუმის შესასვლელთან გაშლილ მინდორზე მოწყობილ ღია ბაზრობაზე ვიყავით. ყურბან-ბაირამი ახლოვდებოდა, ამიტომ კარგი ვაჭრობა გამოგვივიდა. შუადღემდე ხელი დავიცარიელეთ და მერე ბათუმის ქუჩებშიც ვიხეტიალეთ. ყველაფრის ნახვა მინდოდა, ყველაფერი მაინტერესებდა. ბოლოს ყავახანაში შევედი. იქ რამიზ ბიძიას ბევრი ნაცნობი დახვდა. მიგვიწვიეს მაგიდასთან. მე ბაქლავა და შაქარლამა გეახელით, უფროსები კი დინჯად, მცირე ყლუპებით ყავას მიირთმევდნენ სათითესავით პატარა ჭიქებიდან და დინჯად ბაასობდნენ. ყავახანაში ყავის სუნს თამბაქოს სქელი კვამლის სუნიც ემატებოდა, ამიტომ ბიძას ვუთხარი, რომ ცოტა ხანს გარეთ გავისეირნებდი. თავი დამიქნია და გამაფრთხილა, ყავახანიდან შორს არ წავსულიყავი.

გარეთ გამოსულს, თითქოს დიდი ხანია მე მელოდებოდაო, ერთი ახალგაზრდა კაცი დამხვდა შალითაში შეხვეული და ილიაში ამოჩრილი მოგრძო საგნით.

– მოდი, ბიჭი, ჩემთან! – მითხრა, თუ მიბრძანა მან და ხელში ხელი ჩამჭიდა, – კარგი ბიჭი ჩანხარ და ერთ საქმეში უნდა დამეხმარო.

ჩემს თანხმობას არც დალოდებია, ხელჩაკიდებული გვერდით ამომიყენა და ის ჩქარი ნაბიჯით, მე კი თითქმის სირბილით ჩავყევით ქუჩას.

მალე შუკაში შევუხვით და ქუჩიდან მოფარებულ სახლის კედელს მივადექით. ამ კედელს ძალიან მალა, თითქმის სახლის სახურავთან ახლოს ერთად ერთი პატარა სარკმელი ჰქონდა. კაცს შალითაში გასაშლელი კიბე ჰქონოდა, რომელიც გაშალა კიდეც და კედელზე მიადგა. კიბე თითქმის უწვდა სარკმელს. ამიხსნა, რომ მე ამ კიბით უნდა ავსულიყავი სარკმლამდე, მასში გადავმძრალიყავ, იქ თაროებზე დანყობილი ბრტყლად დახვეული ქსოვილი, თოფები დამხვდებოდა. ის, კიბეზე მდგარი სარკმლიდან საბელს ჩამოუშვებდა, რომელზეც თოფები უნდა ჩამება და რომელსაც ის სარკმლიდან გადაზიდავდა.

ყველაფერი გეგმის მიხედვით წავიდა, გამალებით და შეთანხმებულად ვმუშაობდით, მაგრამ შვიდი-რვა „რეისი“ რომ გავაკეთეთ, ქუჩიდან ყვირილი, ბრაგუნი და სტვენის ხმა მომესმა. უცებ საბელი მის პატრონთან ერთად გაქრა და ყველაფერიც მიწყნარდა.

დავრჩი ეული პატარა, ნახევრად ჩაბნელებულ სივრცეში.

ხსნა არსაიდან იყო.

მალე დაღამდა კიდეც. მთელი დღით დაღლილს, არც კი მიცდია მომხდარის გააზრება. მალე რული მომერია. ქუთუთოები ტყვიასავით დამიმძიმდა. თაროზე წამოვწიქი და ერთ თოფზე თავი ჩამოვდე. მალე ჩამეძინა.

საშინელმა სიცივემ გამაღვიძა. ერთიანად ვძაგძაგებდი. თაროდან ძლივს წამოვდექი. ცის ნაჭერი, რომელიც სარკმლიდან მოსჩანდა, ვარსკვლავებით იყო გაძუძგული. გამახსენდა, რომ ჯერ კიდევ დაძინებამდე, დღის სინათლეზე ვნახე, ოთახს სარკმლის მოპირდაპირე მხარეს მომცრო კარი ჰქონდა. იმედის ნაპერწკალი ამიციმციმდა. უკუნეთში მყოფმა ხელის ცეცებით კარის სახელურს მივაგენი და ოდნავ ვუბიძგე. კარი უხმაუროდ გაიღო. სასიამოვნო სითბოს ტალღა შემომეხეთქა. სიბნელეში მყოფმა ჩემს წინ დიდი ოთახი დავინახე, რომელიც ფითილდანიული ნავთის ლამფით საკმაოდ იყო განათებული. ოთახი თითქმის ცარიელი იყო. ჩემგან

მარჯვნივ, მოშორებით მყოფ კედელთან, სადაც ნათელი თითქმის ვერ აღწევდა, ერთად ერთი სანოლი გავარჩიე. სანოლზე ვიდაც ინვა და მშვიდად ფშვინავდა. ბევრი არ მიფიქრია, ფეხაკრეფით მივედი და სანოლის ქვეშ შევძვერი. გათოშილ სხეულზე ოთახის სითბო მეალმუნებოდა და მალე ჩამეძინა.

კარებზე კაკუნმა გამაღვიძა. ჩემს ზემოთ მძინარე არსება სანოლიდან წამოდგა და კარის გასაღებად ოთახის მეორე მხარეს წავიდა. გზად მიმავალმა ლამფას ფითილი აუწია და ჩემი სამყოფელიდან კარგად დავინახე ლამის პერანგით შემოსილი ტანსრული ქალი. მან კარი გააღო და შემოსულს გულში ჩაეკრა.

– იხეთ, – ხმადაბლა, მინაზებულებით ამბობდა ის, – ჩემო სიხარულო, შემოგიტვალე წუხელი მოსულიყავი. მელიტი ართვინში წავიდა საქონლის ჩამოსატანად და შეიძლება ამაღამ დაბრუნდეს.

– არა, სიყვარულო! – ეუბნებოდა კაცი და ქალს გაშმაგებით უკოცნიდა ტუჩებს, ყურებს, ყელს, მკერდს... – აქამდე რომ არ დაბრუნდა, ამაღამ უკვე აღარ დაბრუნდება! – ძლივს ამოიბლუკუნა ნახევრად სულშეხუთულმა.

ერთმანეთზე შეწირებულები სანოლისაკენ წამოვიდნენ და ჩემს თავს ზემოთ გააგრძელეს სანოლთან მოსვლამდე უკვე სანახევროდ დაწყებული საქმე.

მე ისევ ჩამეძინა.

იმ ღამით ნორმალური ძილი არ მეწერა და ხელმეორედ გამაღვიძა კარებზე კაკუნმა, რომელიც მალე ბრახუნში გადაიზარდა.

– ვაიმე, დავიღუპე! – მომესმა ქალის ჩურჩულით ნათქვამი, როდესაც მისი საყვარელი უკვე ოთახში სამალავს ეძებდა. მან ჯერ ფარდებზე ამოფარება საცადა, მაგრამ ბოლოს მაინც ტრადიციული კარადა ამჯობინა და მასში გაუჩინარდა.

ბრახუნი არ წყდებოდა და უფრო ძლიერდებოდა.

ქალმა ნაძალადევი მთქნარება-ზმორებით კარი გააღო.

– დაბრუნდი, მელიტი? – უთხრა ნაზად ქალმა კარზე მობრახუნეს და ყელზე მოხვევა დაუბირა. ქმარმა ცოლის გაშლილი ხელები აირიდა და:

– ქალო! რაღაც არ მომეწონა დღეს შენი დახვედრა! რამეს ხომ არ მიმალავ? დაგკლავ, იცოდე! – რისხვით დაამატა ბოლოს.

ქალს ხელები ჩამოუცვივდა. ღუმდა. კაცმა ჯერ ერთი ფარდის უკან შეიხედა, მეორე ფარდაც გადასწია. იქ რომ ვერავინ ნახა, სანოლისაკენ წამოვიდა. სანოლს ქვეშ შემოიხედა, დამინახა, ცალი ხელით მწვდა, მერე ის ხელი დაიქნია და ჩემი სამყოფიდან ციგასავით გამომასრიალა. შემდეგ უკვე ორივე ხელი საყელოში ჩამავლო, ფეხებასარსალებული ჰაერში ამიტაცა და ანთებულ ღამფასთან მიმიტანა. იატაკზე დამაყენა, ისე რომ ჩემთვის ხელი არ გაუშვია. კარგად დამათვალიერა თუ არა, მრისხანება გაოცებაში გადაეზარდა:

– რა უნდა, ქალო, ამ ბაღანეს აქ? – შეკითხვის ბოლოში ხმა გაეზარა მას.

მე ყელზე სალტის ოდნავ მოშვება ვიგრძენი თუ არა, ქალისაკენ გავიხედე. გაოცებისაგან ქალს თვალები გადმოკარკვლოდა, ქმარზე უფრო ის იყო გაკვირვებული ოთახში ჩემი აღმოჩენით.

– შენ გეკითხები ქალო! სულ შეიშალე?! – იქუნა უკვე ხმაგამრთელებულმა და ისევ ვიგრძენი ყელზე სალტეების შემოჭერა.

– ჩემგან რა გინდა? – წამოვიკნავლე მე, სანამ სული შემეხუთებოდა, – კარადაში შეიხედე!

კაცმა ხელები გამიშვა, მსწრაფლ მიტრიალდა და კარადისაკენ ვეფხვივით ისკუპა. ქალმა კი დრო იხელთა და ჯერ კიდევ სიტყვადაუმთავრებელს ისეთი სილა გამანწა, რომ კარებს ზურგით მივეხეთქე. კარები ხმაურით გაეღო. ორ თუ სამ საფეხურიან კიბეს ზევიდან გადავაფრინდი და ეზოში ზურგით გავიმხლართე. მსწრაფლ წამოვხტი, ფიქრის და კვნესის დრო არ იყო და ნახევრად ნელში მოკუნტულმა უკვე რიჟრაჟმეპარებულში, მაგრამ მაინც ჯერ-ჯერობით ბნელ ქუჩაში ვდურთე ჩემი საცოდავი თავი.

მეც ბიძასავით ვიაზრე და ბაზრობაზე გავედ-
დი მის სანახავად. იქ დამხვდა ჩემზე უარესად
ლამენათევი. დიდხანს მიხუტებდა გულში და ის
ნახუტები გული რომ იჯერა, ბოლოს მკითხა,
სად დამეკარგე, მთელი ღამე შენს ძებნაში და
დარდში გავატარეო. როცა ვერაფერი დამაც-

დენინა, დამანამუსა, მაშინ დედაშენსაც ნუ მო-
უყვები ნურაფერს, თორემ არც ერთს კარგი არ
დაგვემართებაო.

მას შემდეგ არც ნენესთვის მომიყოლია ეს
ამბავი, არც არავისთვის და ახლა თქვენ მოგი-
ყევით პირველად.

„მართლა შენი დედაც...!“

(ვეძღვნი ო. ჯ-ს)

ბუცეფალი – ყველაზე ცნობილი ლეგენდა-
რული ცხენია მსოფლიო ისტორიაში. მისი სახე-
ლი დაკავშირებულია ალექსანდრე მაკედონელ-
თან. ლეგენდარულია იმიტომ, რომ მის შესახებ
მართლაც მრავალი მეტნაკლებად განსხვავებუ-
ლი ლეგენდა არსებობს. ამ ლეგენდათა მოკლე
შინაარსი კი ასეთია: მაკედონიის სახელოვან
მეფეს, ალექსანდრე მაკედონელის მამას, ფილი-
პე მეორეს, თესალიელმა ვაჭარმა ფილონიკმა
აჩუქა ბუცეფალი, რომლის დამორჩილება ვე-
რცერთმა გამოცდილმა მხედარმა ვერ შესძლო.
ამ ჭიდილს თვალს ადევნებდა 12 წლის ალექსა-
ნდრეც. მან სთხოვა ფილიპესა და ფილონიკს,
მისთვისაც მიეცათ შანსი.

უფროსები შიშობდნენ, რომ ცხენს შეიძლება
მოზარდი დაეზიანებინა და თავიდან სასტიკი
უარი თქვეს, ხოლო როცა ჯიუტ ყმანვილთან ვე-
რაფერს გახდნენ, ბოლოს მაინც დათანხმდნენ.

ცხენისა და ალექსანდრეს დუელი ამ უკანა-
სკნელის გამარჯვებით დასრულდა. საქმე იმა-
შია, რომ ალექსანდრე მიხვდა, ცხენს საკუთა-
რი ჩრდილი აფრთხობდა, ამიტომ აღვირზე ხე-
ლის მოკიდებისთანავე ის მზისკენ შეატრიალა,
ცოტა ხანს ცხენთან ერთად ფეხით იარა, დაამ-
შვიდა და შემდეგ ელვის სისწრაფით მოახტა მას
ზურგზე.

საბოლოოდ, იქ მყოფთათვის მოულოდნე-
ლად, ყველაფერი წარმატებით დასრულდა.

მამა იმდენად იყო გახარებული შვილის გო-
ნიერებითა და ძალით, რომ გულში ჩაიკრა ის და
უთხრა სიტყვები, რომლებმაც დღემდე უცვლე-

ლად მოაღწიეს ჩვენამდე: „ეძებე, შვილო ჩემო,
სხვა სამეფო, რადგან მაკედონია შენთვის ძალი-
ან პატარა იქნება!“

ფილიპემ სახელოვან შვილს ბუცეფალი აჩუ-
ქა, იცოდა რა, რომ ასეთი საოცარი ცხენი მხო-
ლოდ ალექსანდრესნაირ დიდებულ პიროვნებას
შეიძლება ჰყოლოდა.

მე კი ახლა ჩემი ახალგაზრდობის დროში
უნდა გადაგიყვანოთ და დაახლოებით შვიდასი
წლის წინანდელი ამბავი მოგიყვეთ.

იმ დროს ერთ სოფელში ერთი ძალიან ახირე-
ბული გლეხი ცხოვრობდა. ერთხელაც ამ ახირე-
ბულმა იფიქრა, რადგან „მერსედესი“ და ჯიპი კი
არა, ჯერ შიგანვის ძრავაც არაა გამოგონებუ-
ლი, მეფეს მის ყველაზე საუკეთესო ცხენს მა-
ინც ვსთხოვო. პირველად ეს სურვილი თანამე-
ცხედრეს გაანდო.

– რავა სულ გამობუფტურდი, კაცო! – გადაი-
რია ცოლი, – მეფე თავის საუკეთესო ცხენს რო-
გორ მოგცემს?!

– მე ვთხოვ და თუ არ მომცემს, იმის დე-
აც.....! – დაუღრიალა გლეხმა ცოლს არაგენ-
დერულად.

არ დაგავინწყდეთ, ეს ის პერიოდია, როცა მონ-
ლოლები ტოვებენ ჩვენს ქვეყანას. მონლოლები
იმიტომ ვახსენე, რომ, როგორც ჩვენი სახელო-
ვანი ისტორიკოსები ამტკიცებენ, მათ შემოს-
ვლამდე ჩვენთან დედაზე გინება და საერთოდ
გინება არ იცოდნენ. ეს გინება იმ ველურებმა
გვასწავლესო. მანამდე ჩვენთან დიდი დიდი, გა-
ბრაზებულ კაცს მეორე კაცისთვის ეთქვა, შენს

დედიკოს ვეხუტუნეო. ეს იყო და ეს. ქალები მაშინ საერთოდ არ იგინებოდნენ. გოგონებმა გინება კი არა, გათხოვებამდე ისიც არ იცოდნენ, გინებას ბოლოში უზრდელური სიტყვა რომ ახლავს, ის რას ნიშნავდა!

ჩვენ კი ისევ ჩვენს ამბავს მივუბრუნდეთ.

იმ ახირებულმა თავისი არ დაიშალა და რადგან მაშინ არც ბოტასები იყიდებოდა მაღაზიებში, ჩაიცვა თავისივე ხელით ამოსხმული ქალამნები, ზურგზე საგზალიც მოიგდო და:

– საით გაგინევიო? – არც აცივა, არც აცხელა მეზობელმა.

მაშინ, იმის გასაგებად, მეზობელი რას აკეთებდა, მისი ბინის კარის გასაღების ჭუჭრუტანაში მალული ჭვრეტა სულაც არ იყო აუცილებელი, ყველაფერი ისედაც ხელისგულივით ჩანდა.

– მეფესთან მივიღვიარ, მისი საუკეთესო ცხენი უნდა ვთხოვო.

– მეფე თავის საუკეთესო ცხენს არ მოგცემს, საუკეთესო ცხენი მხოლოდ დიდებულთა ხვედრია. – უთხრა მეზობელმა და გულში დაამატა, – შენ კი ვინ ჩემი ფეხები ხარო.

– მე ვთხოვ და თუ არ მომცემს, იმის დედაც მოვისვქენიო! – სიბრაზისგან კინალამ შუაზე გაიფხრინა ახირებული და ამანაც გულში შემეკითხველის დედაც მიაყოლა ზედ.

– სად მიდიხარო, – ერთმა თანასოფელელმა.

– სად მიდიხარო, – მეორემ.

– სად მიდიხარო, – მეასე უსაქმურმა...

– მეფესთან, მეფესთან! თავისი საუკეთესო ცხენი უნდა ვთხოვო. – კვლავ და კვლავ ამანაც.

– მეფე თავის ცხენს, თანაც საუკეთესოს, არ მოგცემსო – ყველამ ერთნაირად.

– მე ვთხოვ და თუ არ მომცემს, იმის დედაცო, – ამანაც ყველას ერთნაირად.

მიადგა, როგორც იქნა მიადგა მეფის სასახლეს შეკითხვებით გულშეებზრებული ახირებული.

– მეფესთან მაინც რა გესაქმებაო? – ახლა სასახლის მცველებმა, ჩუხჩარხებმა.

– მისი საუკეთესო ცხენი უნდა ვთხოვო, – ვითომც არაფერიო, ამანაც.

– შენ მწყრებს ხომ არ აფრენ, მეფე თავის საუკეთესო ცხენს როგორ მოგცემსო, – შემოუტიეს იმათ.

– მე ვთხოვ და თუ არ მომცემს, იმის დედაც მ.....ნო! – შეტევა მასე არ უნდაო, არ შეეპუა ესეც.

– რაო? – იხუვლა ხმლებშემართულმა მთელმა დაცვამ და კარებს მიანყდა გასაღებად.

მეფემ ხმაური გაიგონა და ამბის გასაგებად ჯაბადარბაში ჩააგზავნა ეზოში.

– ასეა და ასეო, – მოახსენა მეფეს მალევე შემობრუნებულმა ჯაბადარბაშმა.

– მომგვარეთ მაგი ვილაც ახირებულიაო! – ბრძანა მეფემ.

მეფის ბრძანებას ვინ არ შეასრულებდა?

მიჰგვარეს.

– რა გინდა, გლეხო კაცო, რაზე შენუხებულხარ? – ჩაეკითხა მეფე.

– თქვენი საუკეთესო ცხენი უნდა მომცეთ!

– ჩემს საუკეთესო ცხენს ვერ მოგცემ, სხვა რამე ვერ მოიფიქრე, უფრო შენი შესაფერი? – ნყენა არ დაიმჩნია დიდებულმა ხელმწიფემ.

– მე მოგთხოვე და თუ არ მომცემ, შენი დედაც.....! – უკან არ დაიხია ამ ჩვენმა ახირებულმაც.

მეფეს ჯერ გაოცებისაგან უღვაშის ბოლოები, ბილები, ზომაზე მეტად ჩამოუგრძელდა, მერე მის თვალებში მრისხანებამ იელვა. მრისხანებამ კი იელვა, მაგრამ ჩვენი მეფე მრისხანე კი არ იყო, ბრწყინვალე იყო, ბრწყინვალე. ბრწყინვალე თავისი გონებით, თავისი ვაჟკაცობით, თავისი შეგნებითა და გაქანებით. ჰო, ჰო, ბრწყინვალე იყო და რადგან ბრწყინვალე იყო, ბრძანა:

– გამოიყვანეთ ჩემი საუკეთესო ბედაური და მიეცით ამ ნაცარქექიას, ვაჟკაცობაზე თავს რომ დებს! გამოუყვანეთ, შეუკაზმეთ და აქედან ამხედრებული გააცილეთ!

ვეზირები ბოლომდე ვერ მიხვდნენ უჭკვიანესი მეფის განზრახვას, მაგრამ ბრძანება უმაღლვე აღასრულეს.

გამოუყვანეს, მარა რა გამოუყვანეს. ხომ გაგიგონიათ ცეცხლის მფრქვეველი რაშიო, ზუსტად ისეთი.

მთლად მოხტომით ვერა, მაგრამ არც თუ ისე გაჭირვებით მოექცა მოოქროვილი ლაგამ-უნაგირით მოკაზმულ ცხენს ზურგზე ჩვენი გმირი. ცხენმა იუცხოვა მხედარი, უკანა ფეხებზე შედგა, წინა ფეხები კი ცად აღაპყრო ჭკვიანმა პირუტყვმა და მხედარმაც მიწაზე ზღართანი მოადინა.

ასე განმეორდა რამდენიმეჯერ.

– ვა-ჰა-ჰა-ჰა! ვა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! – ქუხლივით სიცილი მოესმა შერცხვენილ მხედარს ზემოდან. მან, ისე რომ ზეზე ვერც წამოდგა, თვალი გააპარა სასახლის აივნისაკენ, სადაც მეფე დაინახა

თავის ვეზირებთან ერთად. ყველა გამხიარებული უყურებდა ახირებულის წვალება-შერცხვენას. მეფეს სიბრაზისა და წყენის ნატამალიც კი არ შერჩენოდა და ხმამაღლა, ძალიან ხმამაღლა გულიანად ხარხარებდა, ისე რომ თვალებიდან ცრემლებიც ღაპალუპით სცვიოდა.

– რა გაცინებს, რა?! – ერთხელ კიდევ შეუღრინა მეფეს უზრდელმა ახირებულმა, – ვერაფრით შევჯექი.

როგორც ჩანს, ჭკვიანი მეფე თავიდანვე ელოდებოდა ამ მომენტს და ზემოდან გადმოაქუხა:

– მე ცხენი გაჩუქე და რომ ვერ შევჯექი, ახლა მართლა მე შენი დედაც.....!!!



იზა ოსაფაიშვილი

იეზვიანეთ მამაკაცებო!

ნუკრიმ სამწლიანი სამხედრო სავალდებულო სამსახური პირნათლად მოიხადა და მშობლიური გურიის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში საღ-სალამათი დაბრუნდა. გახარებული დედ-მამა იმედის თვალით შეჰყურებდა უმცროს ვაჟიშვილს. მათ კიდევ გათხოვილი ქალიშვილი და ორი დაოჯახებული ვაჟიც ჰყავდათ, რომლებიც ქ. ბათუმში ცხოვრობდნენ. ჯარიდან დაბრუნებულმა ნუკრიმ თითქმის შვიდი წელი გაატარა სოფელში უსაქმურად. მშობლები დიდად არ აბეზრებდნენ თავს საყვედურებით, ეშინოდათ ახალგაზრდა კაცს დისკომფორტი არ შექმნოდა. საბრალონი იმედით თავს იმხნევებდნენ, ჩვენი ნუკრი დღეს თუ ხვალ ცოლს შეირთავს, სამუშაოსაც იშოვის და ერთი შვილიშვილი მაინც გვეყოლება სახლშიო. ერთ მშვენიერ დღეს, ნუკრიმ პატარა ჩემოდანი საჭირო ნივთებით შეავსო და ხანში შესულ მშობლებს განუცხადა: მე თბილისში მივდივარ სამუშაოს საძებნელად, დროებით ჩემს ბიძაშვილს, ნუნუკას შევანუხებ, შეძლებული ოჯახის პატრონია, იქნებ, ისე აენყოს ჩემი საქმე, მომავალში თქვენც თბილისში გაცხოვროთ უდარდელად და ბედნიერადო. რატომღაც, გულშეწებულმა დედ-მამამ აქაც სიჩუმე ამჯობინა, საყვარელ შვილს გზა დაულოცეს და დალონებულები ჭიშკართან გაჩორკნილ მორზე ჩამოსხდნენ.

იმ დროისათვის ნუკრი ოცდაათი წლის გახლდათ. ბიძაშვილმა ნუნუკამ გურიიდან ჩამოსული სტუმარი გულთბილად მიიღო და გავლენიან მეუღლეს მისთვის სამსახურის თაობაზეც დაელაპარაკა. ორ კვირაში ნუკრი ერთ-ერთ ქარხანაში მუშად გააფორმეს, მაგრამ ამ ოჯახის წევრებს ეტყობოდათ, დიდი ხნით დაუპატიჟებელი სტუმარი მათთვის სასურველი არ იყო. ოთხი თვის შემდეგ ნუნუკამ ასეთ ხერხს მიმართა, ნუკრის ბინიანი, უშნო, შინაბერა ცოლად გაურიგა. სამუშაოდან დაბრუნებულ დაქვანცულ ნუკრის მზრუნველმა ბიძაშვილმა თბილი აბაზანა მოუმზადა და გემრიელი ვახშამითაც გაუმასპინძლდა, მერე თვითონაც იქვე მაგიდასთან ჩამოუჯდა და გულისყურით მოსმენა აიძულა. ნუკრი ზრდილობიანი და კარგი ხასიათის ახალგაზრდა იყო. რა თქმა უნდა, ნათესავ შუამავალს საუბრის დანყებიდან ბოლო სიტყვამდე სახის შეუტოკებლად უსმენდა. ნუნუკა უხსნიდა, რომ მისი საცოლე, ოცდათოთხმეტი წლის შინაბერაა, მეტად შეუხედავი, მაგრამ ძალიან პატიოსანი ქალია. მისი ხიბლი და სიმდიდრე, მხოლოდ ოროთახიანი ბინაა. ნუნუკამ მას საბოლოოდ აუხსნა: „ამ ნაბიჯს იმიტომ ვდგამთ, რომ მომავლის, ჯერჯერობით, არანაირი პერსპექტივა არ გაგაჩნია. არ გეგონოს, შენი ბიძაშვილი სახლიდან გაგდებდეს, მაგრამ იცოდე,

ყველაფერს დასასრული აქვს. მორჩა, მე მეტს არაფერს გეტყვი“. ნუნუკამ თავისი სათქმელი დაამთავრა და ნუკრიმ ისტერიული ხარხარის შემდეგ გურული იუმორული ფრაზებით წარმო-სთქვა: კარგი, ნუნუკა, კარგი, სულ არ მეშინია, დევს გავს თუ მგელს. ყველას ლამაზი ცოლი ხომ არ ეყოლება. ისე დედაჩემი სულ იმას მეუბ-ნებოდა, ოღონდ ცოლი მოიყვანე და თუ გინდა ჯოჯოხეთის მაშხალა იყოსო, ჰოდა, მეც მექნე-ბა სათქმელი, ვეტყვი, დედა, შენი ნატვრა პირ-ნათლად შევასრულე-მეთქი.

შინაბერამ ვერც კი გააცნობიერა თუ რა სა-სწაული დღე გაუთენდა. რა არ ხდება ცხოვრე-ბაში, ხვალ სალამოს ლამაზი, მშვენიერი ვაჟკაცი გურული ბიჭი რომლის იუმორი მკვდარსაც კი გააცინებს, თურმე, ხელს სთხოვს საკუთარ ბი-ნაში მეტად უწონო შინაბერას, მეგი გულიაშვილს. ნუნუკა და ნუკრი ტკბილი ნუგბარით სალამოს შვიდ საათზე მეგის ბინას მიადგნენ, კარზე ლი-ლაკს ხელი სასიძომ დააჭირა, მოლოდინით გუ-ლაცახცახებული მეგი სტუმრებს მიეგება, ჯერ ნუნუკას მოეხვია და შემდეგ დიდი მამაკაცური ხელი ნუკრის გაუნოდა და მოკრძალებულად პირდაპირ მისაღებ ოთახისაკენ წაუძღვა. ევრო-პულად გაშლილი სუფრა კარგი დიასახლისის შთაბეჭდილებას ტოვებდა. წამიერი სიჩუმე ენა-წყლიანმა ნუნუკამ დაარღვია და თამამად წა-რმოსთქვა: აბა, ნუკრი, დროს ნუ კარგავ, ჭიქები შევავსოთ და დავლოცოთ ეს ოჯახი. მამაკაცი შენ ხარ, გურულებს თამადობა არ გეშლებათ, დალიე და ჩვენც დავგაღვივინე. მეგი ისე მოიხიბ-ლა შესანიშნავი ვაჟის ხილვით, თითქოს მთლი-ანად გარდაიქმნა და ქალური მაცდური მოხიბ-ლულობაც გადაედო. მეგის ბინა გემოვნებიანად იყო მოწყობილი. ნუნუკა და ნუკრი დიდხანს არ დარჩენილან. ნუნუკამ მეგის მოსაფიქრებლად ორიოდ დღე მისცა. სტუმრები მასპინძელმა სადარბაზოში ჩააცილა. ნუკრისათვის შუამა-ვალს ბევრი შეკითხვებით თავი არ მოუბეზრე-ბია. მეგის კი ასეთი განცდა არასდროს ჰქონია ცხოვრებაში. დღეს მასზე ბედნიერი ამ ქვეყნად არცერთი ქალი არ არსებობდა.

ცხადლივ სიზმარში მყოფი შინაბერა სიხარუ-ლისაგან გაუჩერებლივ ცახცახებდა, რათა მსგა-ვისი მომენტი არასოდეს განუცდია. თითქოს, ხელმეორედ აღარ ელოდა ნუკრის გამოჩენას. როგორც იქნა გავიდა ის განელილი ორი დღე, საბრალო მეგი უიმედოდ გაჰყურებდა ლოჯიი-დან ერთი ნახვით შეყვარებულ ლამაზ გურულ ვაჟკაცს.

თქვენ წარმოიდგინეთ, მესამე დღეს უფლის ნებით მეგისათვის ბედნიერების დილა გათე-ნდა. მოხდა საკვირველება, ნუკრიმ ერთხელ კიდევ ჩაალაგა მისი ძველი ჩემოდანი, ტაქსი გა-მოიძახა, ნუნუკას ხელი ჩასჭიდა და გეზი მეგის სახლისაკენ აიღო, მთავარი ამ საკითხში ნუკრის თანხმობა იყო. აბა, მეგის მისნაირი მახინჯიც რომ შესძლეოდა მაინც გათხოვდებოდა, რადგან უკვე საბოლოოდ დაკარგული ჰქონდა იმედი. ამ ამბით გაიხარა ნუნუკამ, გაიხარა მეგიმ და შეიქ-მნა ოჯახი. წლისთავზე გაჩნდა ანგელოზი ბიჭი, რომელიც მამის ასლი იყო. შემდეგ მოჰყვა გო-გონა, ორივენი მშობლებს ჰგვანდნენ. ეს შეუფე-რებელი წყვილი მშვენივრად ცხოვრობდა. ზამ-თრობით ნუკრის დედ-მამა თბილისში ჩამოჰყა-ვდა. რძალი აღმოსავლური წვნიანი კერძებით უმასპინძლდებოდა მოხუცებს, თან მატყლის ფუმფულა ლოგინში გემრიელად მოასვენებდა ხოლმე. ერთი სიტყვით, მეგი გურულებისათ-ვის აღარ იყო დასაწუნი რძალი. უკვე ბავშვები წამოიზარდნენ და მეგიმ ბალში მიიყვანა, თვი-თონ კი, იქვე, სახლთან ახლოს მდებარე შერე-ულ მაღაზიაში დაიწყო მუშაობა გამყიდველად, ლამაზმა ნუკრიმ უკვე კარგად გაახილა თვალე-ბი ქ. თბილისში და იპოვა მისთვის სასურველი მსუბუქი ყოფაქცევის ქალები, რომლებიც ანე-ბივრებდნენ კომპლიმენტებით, ალერსით და სასიყვარულო თამაშობებით, რამაც მეგის არ-სებობა სულ დაავიწყა. შეურაცხყოფილი ქალი განიცდიდა მეუღლის უყურადღებობას და გა-მოსავალს მოთმინებაში ელოდა. 1964 წელია. იმ დროისათვის უმაღლეს სასწავლებლებში აუ-ცილებელი იყო, აბიტურიენტს უნდა წარედგინა საჭირო საბუთებთან ერთად სტაჟის დამადა-

სტურებელი ცნობა. ერთი ახლო ნათესავი, თამუნა ვასაძე, ნუკრი ვასაძეს ქარხანაში ესტუმრა და სამუშაოზე მონყობა სთხოვა. ნუკრის მუყაითი შრომის წყალობით ქარხნის პერსონალი დიდად აფასებდა, ამიტომ თამუნას დახმარება არ გასჭირვებია. მალე თამუნამაც ასახელა ბიძაშვილი და მადლობა დაიმსახურა დაკისრებული ოპერაციების პირნათლად შესრულებისათვის. ეს ამბავი მეგის ყურამდეც მივიდა, მან მალე დიდის მონდომებით თამუნა სახლში დაპატიჟა. ნუკრის ბიძაშვილი შეგნებული, ზრდილობიანი და კულტურული გოგონა აღმოჩნდა. მეგიმ შეიყვარა ეს ადამიანი და ოჯახის წევრად მიიღო, ხშირად თამუნა ღამის თევითაც სტუმრობდა ახალ გაცნობილ რძალს, რომელიც მხოლოდ კარგი ხასიათით გამოირჩეოდა. მეგისა და თამუნას ურთიერთობა ალბათ ერთ წელს მოითვლიდა. საღამოა. კარებზე ზარია. მეგიმ კარები გამოაღო. თამუნა მოსულიყო. შენთან სერიოზული სალაპარაკო მაქვსო – უთხრა მეგიმ. ხომ მშვიდობაა? ნუ მეჩურჩულები, ნუკრიმ არაფერი იეჭვიანოს. ღამის თორმეტი საათია, დაღლილმა ნუკრიმ და ბავშვებმა კარგა ხანია დაიძინეს. მეგი ტელევიზორს უყურებს, თამუნა თავის საბუთებს ათვალიერებს. მეგიმ სკამი თამუნასთან მიაჩოჩა და ტუჩები აუკანკალდა, ოდნავ ტელევიზორს ჩაუწია, ხელი ხელზე დაადო და საუბარი დაიწყო: თამუნა! ჯერ პირობა მომეცი, არავისთან არაფერი დაგცდება ჩემი მონაცემი ამბიდან. განსაკუთრებით, ნუკრის ახლო ნათესავებში, ალბათ, თავის დროზე რომ გავთხოვილიყავი ახლა შენი ტოლა შვილი მეყოლებოდა, მაგრამ ისეთი მომენტი დამიდგა, ორმოცდაორი წლის ქალმა თვრამეტი წლის გოგონას მეტად უცნაური საიდუმლოება უნდა გაგანდო.

ჰო, კარგი, პირობას გაძლევ არავის არაფერს ვეტყვი, რის მოყოლასაც აპირებ, დაიწყე, თორემ საცაა გათენდება. თამუნა! თურმე ცხოვრებაში ადამიანი რას აღარ მოესწრება, შენ მგონი კარგად იცი, აქვე ახლოს მალაზიაში გამყიდველად რომ ვმუშაობ. ერთ დღეს დამლაგებელი ქალი ჩემთან მოვიდა და მეუბნება, ჩვენი

დირექტორი რაღაც გაბრაზებული ტონით შენ რომ დაგიძახებს, გთხოვ, არ დააყოვნო, დროზე შედი კაბინეტში. მე შემეშინდა, ვიფიქრე რაიმე დანაკლისი ხომ არ მაქვს-მეთქი, სასწრაფოდ მივატოვე ჩემი დახლი და დირექტორთან, შევედი, მან მის წინ მდებარე სკამზე მიმითითა და ჩემდა გასაკვირად კარების ურდული ჩარაზა, ცოტა არ იყოს გულმა რეჩხი მიყო, მაგრამ ვეცადე არაფერი შემემჩნია. სახეში მივაშტერდი და ვხედავ, არასერიოზულად იღიმება. მე საით გამეხედა აღარ ვიცოდი და ვუთხარი, რაშია ბატონო ომარ საქმე, რატომ დამიძახეთ-მეთქი. მან უსირცხვილოდ ბეჭებზე ხელი მომხვია და მითხრა: მე შენ დიდი ხანია მომწონხარ, არ გეგონოს, გეხუმრებოდე, დაიჭირე ჩემთან კავშირი და ვერავინ ვერაფერს მიხვდება, შენ თუ არ იტყვი რამეს და თუ იტყვი, მაინც არავინ დაიჯერებსო, იმიტომ რომ, მე ანგელოზი ცოლი მყავს, თან აქ ვინც მუშაობს, ყველა ულამაზესი ქალია და არავისათვის არაფერი მსგავსი შემითავაზებია. შენზე კი ეჭვს ვერავინ აიღებს. ძალიან მინდა შენისთანა ქალი გავსინჯო. მჯერა, ყველაზე კარგი შენ იქნები, იმიტომ რომ ვიცი, მამაკაცის ალერსი და ყურადღება გაკლია, თუ დამთანხმდები, არაფერს წააგებ, თუ არა და მაშინ დატოვე სამსახური, გახსოვდეს ჩემი გაკიცხვა არ გაბედო, თორემ ყველაფერს შენ დაგაბრალებ, გაილანძღები და თავად გამტყუნდებიო. მე მარტო ეს ორი სიტყვა მივახალე, შენ არაკაცო, დამცინი? ამ უმშვენიერეს ქალებში ჩემისთანა უშნო, რა მიზნით შეარჩიე საყვარლად მეთქი? მერე სწრაფად ჩემი ხელით კარები გავაღე და გარეთ გამოვვარდი. თანამშრომლები ცნობისმოყვარეობით მომაშტერდნენ, ერთმა გამყიდველმა ასე მითხრა, ეს შავგვრემანი ქალი, რა გჭირს მიტკალს რომ დამსგავსებინარო. მეც აბდაუბდად ვუპასუხე, რაღაც ფაქტურა ყოფილა შეცდომით და იმაზე მიბარებდა-თქო. არ ვიცი დაიჯერა თუ არა, თუმცა ჩემზე სხვანაირად ასე წელი ეჭვს ვერავინ აიღებდა. გავიდა ერთი კვირა, სამუშაო საათები დამიმთავრდა და სახლში წასვლას ვაპირებდი, კარებთან დირექტორი შემეფეთა, მე დაბნეული

ლიმილით მივესალმე და ასე მითხრა, ჩურჩულთ, პასუხი, პასუხი, სხვა ვერავინ მიხვდა მის გამონათქვამს და მალევე გამშორდა. მე ტანში გამაჟრჟოლა. ოცდაათობხმეტ წლამდე ჩემთვის არცერთ მამაკაცს არც კომპლიმენტი უთქვამს, არც სიყვარული აუხსნია და საერთოდ, ქალად ვერ აღვიქვამდი ჩემ თავს. ვიცი, უკანასკნელი გოგო, უფრო სწორად, უშნო შინაბერა ვიყავი და მეტი არაფერი. ჩემი თავი ზოგჯერ მე მეზიზღებოდა. ნუკრის გამოჩენამ და ჩემმა გათხოვებამ ლამის შოკში ჩააგდო განსაკუთრებით ჩემი გასათხოვარი მეზობლები, რომლებიც უწყლო ყვავილივით ჭკნებიან საქმროს მოლოდინში. ჰოდა, იმას გეუბნებოდი, ნუკრიზე ბევრად უკეთესი ომარი საყვარლობას მთხოვს. მე დღეს უბედურრიც ვარ და ბედნიერიც, მის დანახვაზე გული მიჩქარდება, მოკლედ, ტვინიც ამერია. უაზროდ დაფვარფატებ სახლშიც და მალაზიაშიც. ახლა კიდევ რა მოხდა, გუშინ, ბავშვები ბაღში მივიყვანე, უკან ვბრუნდებოდი მალაზიაში მისასვლელად და მანქანის სიგნალზე გვერდზე მივიხედე, რას ვხედავ, ომარი ჩემი დირექტორი ნელ-ნელა მომიახლოვდა და ხელს მიქნევს, მე კვლავ ტანში გამაჟრჟოლა, დაბნეულმა მივესალმე და გზა გავაგრძელე. მანქანა წინ ჩამიყენა და ბრძანების კილოთი დამიძახა, ვიდრე ჭკუიდან არ შევიშლები, ჩემს თხოვნაზე პასუხი გამეციო. მე უხმოდ გვერდი ავუარე და მალაზიაში წავედი. რამდენიმე წუთში ომარიც მოვიდა და თავის კაბინეტში ჩქარი ნაბიჯებით შევიდა. ახლა შენთვის საკვირველი რამ უნდა გითხრა, რით ვუშველო ჩემს თავს, მე როგორც სიყვარულში გამოუცდელს, ჩემი დირექტორი შემეყვარდა, ეს იმიტომ მოხდა, რომ ჩემი ცხოვრების მანძილზე პირველი მამაკაცია ომარი, რომელმაც სიყვარული ამიხსნა და ქალად შეიგრძნო ჩემი უშნო სხეული. ახლა შენ მითხარი, როგორ ვუშველო ჩემს ტვინგადატრიალებულ გონებას. ხმამაღლა ვიყვირო? ქალი ვარ და ისევე მე გავილანძღები. ჩუმად ვიყო? ვაი თუ ეგონოს, მზად ვარ მისი სურვილების დასაკმაყოფილებლად. დაამთავრე მეგი? ახლა მე მომისმინე! ჩემი აზრი, როგორც ასაკით ჯერ კიდევ პატარამ, შემეძლია ასე აგის-

სნა: მე შენს ადგილზე ღრმად დაფიქრდებოდი, ჯერ იმაზე რომ, საქართველოში ქალებს მრუდე ნაბიჯის გადადგმას იშვიათად პატიობენ, გამოსავალს რაში ვხედავ? ყოველგავრი ხმაურის გარეშე სულაც უნდა წამოხვიდე იმ მალაზიიდან და ყველაფერი სამუდამოდ დაივიწყო. სხვანაირად დიდი ალბათობაა, შენი მყარი ოჯახი დანგრევის მსხვერპლად იქცეს. თამუნამ ნერწყვამშრალ მეგის, კიდევ ერთხელ უფლის სიტყვები ნათქვამს დაუმატა და განმარტებაც მოურიდებლად გააკეთა:

აი რას ამბობს უფალი! გინდ რეალურად იმრუშე, გინდ გულში გაიფიქრე, ეს ხომ ორთავე მრუშობააო. ე.ი. რახან დირექტორი შეგიყვარდა, შენ უკვე სინამდვილეში მრუშში ქალის როლი შეასრულე. მოდი, მენდე, რათა შენი საიდუმლო სიკვდილამდე შეგინახო, იმ პირობით რასაც გირჩევ განხორციელებას თუ შეძლებ: ჭკვიანი თამუნას რჩევა-დარიგება, მეგიმ, პირნათლად შეასრულა და ოთხსულიანი ოჯახი დანგრევას გადაურჩა. ქალი და მამაკაცი ინდივიდუალური ფენომენია. დიახ, მსოფლიოს მრავალი ფილოსოფოსი, მკვლევარი და მეცნიერი, საუკუნეებია ცდილობს ჩანვდეს ამ ორი არსების საიდუმლოებით მოცულ უსასრულო სიღრმეს, რომელსაც გამაოგნებელი სიამოვნების ჟინის სხივი ამოძრავებს. დღემდე პასუხგაუცემელი რჩება კაცობრიობის გაჩენის დღიდან, ორი განსხვავებული სქესის ეროტიკული ნიშნების უხილავი მოვლენა. დიდმა კონსტანტინემ ერთ-ერთი ბროშურის ფურცელზე ასეთი ფრაზებით მოიხსენია განსაკუთრებით ქალთა სქესი. ყველა ქალი ლამაზია! აგრეთვე ხმამაღლა ვიტყვი, ყველა ქალი ბოზია! ეს სიტყვები გამოიყენა მაშინ, როდესაც სახეზე ჰყავდა საკუთარი დედა, საკუთარი ქალიშვილი, მეუღლე და რძალი. თურმე არ აქვს მნიშვნელობა, როგორ გამოიყურება ქალი ვიზუალურად.

ნებისმიერ ქალს თან ახლავს მაცდური ხიბლი, რომელიც იპყრობს ყველაზე ძლიერი ნებისყოფის მამაკაცს, ნებისმიერ დროში. ნუ დაგავიწყდებათ მსოფლიოს ყველა რჯულის ქალი ევას შთამომავალია: ამიტომ ნუ იქნებით მშვიდად უშნო ცოლების ქმრებო!

ხელის ბული

გვიანი შემოდგომის, ალვის ხის კენწეროზე შემორჩენილი უკანასკნელი ფოთოლივით ვგრძნობდი თავს, ბედს მინდობილი, ველოდი, როდის ჩამომაგდებდა სუსტი ნიავი. რა ვიცოდი რომ თურმე გაშლილ ხელისგულზე დავეცემოდი. რა ვუნდოთ ამ სასწაულ მოვლენას, თუ არა ილბალი? ყოველი ჩვენგანი სიცოცხლის მანძილზე მომსწრენი ვართ ჩვენეული თავგადასავლებით სასწაულების განცდის. უამრავ ადამიანს ჰქონია განსაცდელი, რომლებიც დაუფერებლად გადაურჩნენ სიკვდილს. ალბათ გაინტერესებთ, რა ბედი ენია ხელისგულზე დავარდნილ ალვის ხის უკანასკნელ ფოთოლს? ის მფლობელმა თავის თილისმათ აღიარა და უნიკალურ წიგნში, ჰერბარიუმის სახით სამუდამოდ მიუჩინა ბინა, რომელიც საუკუნეების მანძილზე იარსებებს მკითხველთა მეხსიერებაში. რა დავართა ალვის ხის დანარჩენ ფოთლებს? ისინი უმონყალოდ მინაზე ჩამოცვივდა, დალბა და ნეშომპალად გადაიქცა. ხელისგულზე დავარდნილ ფოთოლს მარადიული არსებობის ილბალი უბოძა ბუნების ძალამ, მჯერა, იმ ბედნიერ ფოთოლს წარსულში ადამიანის სული ჩაუდგა უფალმა! თან დაანათლა ყოფილიყო კეთილი, მიმტევებელი, მოკრძალებული, ზრდილობიანი, კულტურული, მშვიდის დამბურებელი, სნეულის მკურნალი, სიბნელის მანათობელი, შიშველის შემმოსველი, მტირალის ცრემლის შემშრობელი, ჩვენ თუ საკუთარი თავის საიდუმლოს რეცეპტს გულდასმით შევინახავთ უსათუოდ ილბალი ჩვენია.

რა იგულისხმება საიდუმლოს შენახვაში? არ არსებობს დედამიწის ზურგზე ადამიანი, ისეთი თავგადასავლების გარეშე, ვისაც არ ჰქონია საიდუმლოს სალარო, რომელშიც შეუძლებელია შენს გარდა ვინმე ჩაახედო და თუ ამას არ დავიცავ, აუცილებლად დაიხვეები საკუთარი თავის ღალატისათვის. ყველა ადამიანი ღრმა სიბერემდე, თუნდაც გენიოსი იყოს იგი, საკუთარ თავს ასამართლებს. თითოეული ჩვენთაგანის მეხ-

სიერებაში ჩარჩენილ დასასჯელ საქციელს და განაჩენი გამოაქვს ისევე საკუთარი ქმედების გასაკიცხად რაც ყველაზე დიდ საიდუმლოს მოიცავს. არ არის საძრახისი თუ ბოლომდე არ გავიხსნებით ნებისმიერი ადამიანის წინაშე და თუ გავიხსნებთ გურულ დიალექტს გამოვიყენებ მაშინ ეს იქნება (აბდლური) საქციელი, ამ სიტყვას იმიტომ არ ვიყენებ რომ მეც გურული გახლავართ, არა, ძალიან მიყვარს მწერალ ნოდარ დუმბაძის გურული დიალექტით დაწერილი ნაწარმოებები, ამიტომ ვიხმარე სისულელის მაგივრად სიტყვა (აბდლური). ჩაიხედეთ საკუთარ გულებში თუ რა საიდუმლოებითაა მოცული თქვენგანის გაუმხელელი ქმედებები, შეცდომები, ცოდვები, უპატიებელი სულსწრაფვა და მოსანანიებელი საქციელი. ვალდებული ვართ ვაკონტროლოთ ენაზე მომდგარი სიტყვები და ადვილად არ გამოვიჩინოთ თავხედობა საკუთარი საიდუმლოს საჯაროდ გამოტანისათვის. დიდი ტყუილი იქნება თუ ვინმე შეეცდება დაგვაჯეროს თითქოს ის უცოდველი არსებაა და მას არ ეხება ეს წარმოთქმული ფრაზები, რომელიც გულახდილად გავაჟღერე ჩემს მოთხრობაში, ყველაზე დიდი საიდუმლო ჩემს ცხოვრებაში ისაა, ვის ხელისგულზე დავეცი საბედნიეროდ, რომელმა ხელისგულმა უკვდავყო ჩემი ცხოვრება? გიკვირთ? ბევრი არაფერი შემეკითხოთ, ილბალი ჩემთანაა, სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც, თუნდაც, ხვალ გარდავიცვალო, ჩემს ილბალს ვეთაყვანები, მადლობა, მადლობა და ათასი მადლობა გამჩენს ილბალისათვის. მე საიდუმლოს შენახვა შემიძლია, რატომ მეკითხები მკითხველო რაში გამოიხატება ჩემი ილბლიანობა? აბა შენ თუ გითხარი საკუთარი საიდუმლო მაშინ რაღა თავის მესაიდუმლე ვიქნები? არა მეტი შეკითხვა არ დამისვათ, ეგ მარტო მე უნდა ვიცოდე, მორჩა და გათავდა. თუ ძალიან გინდათ ილბლიანი გახდეთ მაშინ ჯერ გახდით ჩემნაირი ადამიანი: მომთმენი, ჰუმანური, თავმდა-

ბალი, ქველმოქმედი, გულმონყალე, შიშველის შემოსველი, მწყურვალის წყალის მიმწოდებელი, სიბნელეში შუქის გამნათებელი, მშიერის დამპურებელი, სხეულის მალამოს წამსმელი, მიცვალებულის მომფერებელი და ცრემლით გამცილებელი. უამრავი მოკვდავი ასრულებს ტაძრებში ათასგვარ რიტუალებს, მრავალი რჯულის ლოცვებით, რამდენიმე ენაზე, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ ვალდებულებებს იშვიათად განახორციელებენ ხალხის საკეთილდღეოდ. ზოგჯერ ვიცი, ჩემი მისამართით ზედმეტი გულკეთილობისა და მოკრძალებისათვის სწორედ (აბდლის) იარლიყიც მოუკერებიათ. არაუშავს მე მომწონს ჩემი საქციელი, ვიცი ესეც გაინტერესებთ, საიდან მივხვდი ვინ რას ფიქრობს? ნუ გაგიკვირდებათ თუ გეტყვით რომ მე წინასწარმეტყველიც გახლავართ, ყველა ადამიანის გულში ადვილად ვიხედე და შემოძლია ამოვიცნო მათ ტვინში გაფიქრებული კეთილი თუ ბოროტი აზრები. ნუ შეშინდებით ჩემი განსაკუთრებული ნიჭის არსებობით. სამედიცინო უტყუარი კვლევების შედეგად დამტკიცებულია ჩემს ორგანიზმში არის დიდი რაოდენობით ბიოველები, რაც ხელს მიწყობს ამოვიცნო ამა თუ იმ ადამიანის გაფიქრებული ფრაზები. აგრეთვე შემოძლია ვუმკურნალო ავადმყოფებს, მაგრამ ჩემი გონება ამის უფლებას არ მაძლევს, რათა

პირადი ქრონიკული დაავადების გამო საჭირო არ არის ზედმეტად თავის გადატვირთვა. ეს მოთხრობა დამაწერინა ისევ და ისევ ხალხის სიყვარულმა, ვინ იცის გენიშონთ ბევრი რამ და მოიგერიოთ ცუდი ზრახვების ადამიანები. ბოროტს თუ კეთილად მოვექცევით ის მეტად დაიტანჯება, იმის ფიქრით თუ რატომ შეუნდე უღირსს ცოდვები და მწარე სინანულის მორევში გადავარდება. დაენწყება უძილო ღამეები. გაუჭირდება პატიება თხოვოს უდანაშაულო მსხვერპლს, დაბნეულობისგან სარკეში ჩაიხედავს და თავის თავს ზიზლით შეაფურთხებს, არც ის არის გამორიცხული რომ მალე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღმოჩნდეს სერიოზული დიაგნოზით, რასაც სულით ავადმყოფი ჰქვია, ძნელია გამოვიდეს მძიმე მდგომარეობიდან ვიდრე არ მოინანიებს დაშვებულ შეცდომებს. მოდი თ ასეთ ავადმყოფს ჩვენ თვითონ ვუშველოთ, კიდევ ერთხელ მივცეთ შანსი ისწავლოს უფლის ენით საუბარი.

გჯეროდეთ, ბოროტი კეთილზე მეტად ცოდვას. შეუნდოთ მათ და ნუ შეხედავთ, როგორც მოუთვინიერებელ მხეცს. მოვეფეროთ მას რადგან ისიც ჩვენი სისხლის წვეთია.

და ბოლოს, იწამეთ, წუთის სოფლის სტუმრები ყველა იღბლიანი ვიქნებით. გიყვარვარ ადამიანო? მეც მიყვარხარ!



ზურაბ უსამბაძე

* * *

მკვეთრია შენი არსებობის ყველა ნიშანი,
ეს გრძნობა ქუხდა, საბოლოოდ ნვიმაც მოება,
დღეს თმები, როგორც ადრე გული, გადამიშალე
შენი ყელიდან ეშვებიან სალამოები.
დღე მიიღია, შენი წასვლაც მინორულია,
ვრჩები, მერე კი ეს განწყობა ჩნდება თავისით,
რომ მკერდზე ვიყრდნობ პოეზიას ვინროლულიანს,
ახალ ლექსამდე თვლას უკუსვლით ვინყებ... გავისვრი
და მიპოვნინან იატაკზე დილით გულალმა,
ვეჭვობ სინათლე სიზმრებიდან გამომაძევებს,
მეც ვარსკვლავებით, ზეცას გაშლილ გულმკერდს ვუნაღმავ,
ვუხმობ პოეტებს, ოღონდ ნამდვილ კამიკაძეებს.
სიმორცხვე გქვია, ვიზეპირებ შენს თითებს, მაჯებს,
ჩვენი მომავლის სადღაც ათასს ვარჩევ ვარიანტს,
მრუდე ხერხემალს შაბლონურად შენს მხრებში ვაჯენ,
მეჩურჩულები ფრაზებს, ალბათ მაჭავარიანს
და ხშირი სუნთქვა ჩამოანგრევს, ფილტვებს ჩამოშლის,
დღეს შენი ფიქრის ყველა კარებს უნდა შეღება,
ეს ჩვენი ტანი, დაე მზის ქვეშ ისე გამოშრეს,
რომ გვაფეთქებდეს ერთმანეთის ფრთხილი შეხება.

* * *

ქარი ხმაურით გადარეკავს ღრუბლის ნახირებს,
ზამთარს შეეძლოს ამ განწყობას ამომაჭრიდა,
დღეს ყელს შიგნიდან მივაკემსავ ამოძახილებს,
რომ მშვიდი ლოვცა არ გაუსხლტეს ოთახს ფანჯრიდან,
მწამს პოეზია სულის წმინდა ექვარისტია,
სხვა გასავლელი გზა არ ვიცი თუ არა მართი,
დღესაც ფიქრებმა გადარეცხილ შენს კვალს მისდია,
სხეულს დაღლილი დაუბრუნდა უარაქათოდ,

ვერ მოვიცალე ამ საკუთარ ბედთან ზავისთვის,
 კვლავ მელანს ვამჩნევ სისხლის ნაცვლად დახსნილ მაჯებთან,
 იდგა სიჩუმე მკერდთან ახლოს, ჩუმად, თავისთვის
 და გულისცემის გაღვიძებას უდარაჯებდა,
 ჰო, ეს დღეებიც ღიმილებით იფუთებიან,
 ვითომ ვუძლებდე ქვემეხივით გასროლილ იღბალს,
 შორს, თეთრ ბამბაში გახვეული ზორბა მთებია,
 რა თოვლი, ალბათ სისხლმდინარე ჭრილობებს ნიღბავს,
 შენ ახლა ცხოვრობ ისე ახლოს და ისე სხვაგან,
 მზეს გამოვატან გაზაფხულის პირველ ნაბიჯებს,
 რომ მოგონებებს ადგილ-ადგილ და საგან-საგან,
 ვურევ და მერე ამ ლექსივით ძვლებში გავიჯენ,
 ქარია, ეს ცა დღეს ამ ღრუბლებს ვერ დაიუნჯებს,
 შენ ცხოვრობ სხვაგან, შენ გაქვს სახლი მშვიდი და ფართო,
 სხვები გადიან გადატკეპნილ ნაპირებს, ქუჩებს,
 მე გასავლელი გზა არ ვიცი თუ არა მართი...

* * *

დღეს შენ რომელიც დაგაბრუნებს, ის გზაა სწორი,
 წვიმები ფანჯრებს ესვრიან და ქუჩებს მასრავენ,
 უმოლოდინო დარჩენაა გამირობა, თორემ
 რაც მარტივია, განელილი ხშირი წასვლა ვარ,
 შენსგან, უფრო კი საკუთარი თავისგან, ვწუხვარ...
 ახლა ისე ვარ, რომ ლექსებიც ველარ მკურნავენ,
 ფასი არა აქვს, ლოცვებისგან დაბზარულ მუხლებს,
 ღმერთის წინაშე მაინც სავსე ნაგვის ურნა ვარ,
 ეს დღეც ისეთი მოკლე იყო მეპატარავა,
 რომ ვერ ვილოცე, ვერ ვინანე, ვერ ვაპატიე,
 მთელი ცხოვრება, ვინც მინდა რომ ვიყო არ ვარ,
 და ჩვეულებრივ ესეც არის სხვისი პარტია,
 მითხრეს რომ თურმე, ერთი ქუჩის კვეთის მანძილი,
 მეტი არაა ჩვენ ორს შორის, მაინც მაშინებს,
 როგორც მშობელი სიცხიან ბავშვს, ისე ვაძინებ,
 ჩემს შიგნით ყველა მონატრებას და ვგრძნობ მაშინვე,
 ვიდრობ ძვლებიდან ჩემივე ხორცს, ამ ამბოხიდან,
 ეს ღამეები რთულად, მაინც დაიყვანება
 გათენებამდე, ნაკლებია შანსი მოხვიდე,
 ჩემნაირ კაცებს, როგორც წესი ვერ იყვარებენ...

.....

და მაინც,

დღეს შენ რომელიც დაგაბრუნებს, ის გზაა სწორი...

* * *

მზე არ ვარ, მაგრამ ჩემი წილი მეც უნდა ვიდგე,
 იქნებ უფარნოდ ვინმე ამ გზის გავლას აპირებს,
 მეც უსიცოცხლო, მშრალ თვალეებში ნათურებს ვიდგამ,
 ფეხზე ვიკიდებ მოსალოდნელ მაღალ ამპერებს,
 დღეს პოეზია საკუთარი თავის ძიება
 მგონია, თორემ ლექსებს ყველა დაიზუპირებს,
 ხელის გულებზე ამომივა ბოლოს იები,
 ქუჩაში შემხვედრ პირველ გოგოს დავაკრეფინებ...
 იმ ხალხის მესმის, ვინც ალკოჰოლს სვამს, მითუმეტეს
 არ შეუძლიათ, ვერასოდეს სვამენ წერტილებს,
 ვისთვისაც ერთხელ გაზაფხული გამოიმეტეს,
 ყველაზე გულწრფელ ღიმილებად გადაპენტილი,
 ცხოვრება მაინც ერთი დიდი თავსატეხია,
 ბევრი ვერ ხსნის და კარგავს იმედს, რომ ვინმე იხსნის,
 თავებს მუდმივად, მაგრამ გულებს ვერასდროს ხრიან,
 იციან გემო საფეთქლებში მონოლილ სისხლის,
 ჩემს ოთახს ახლა ერთადერთი, მაცხოვრის ხატი,
 შემორჩა სუფთა, დასვრილია სხვა დანარჩენი,
 გულისთქმებისგან, სხეულში რომ ვერასდროს ვატევე,
 ადამიანებს გვიჭირს ხოლმე მარტო დარჩენა...
 სწორედ ამიტომ გავრბივართ და ვიღაცის მკლავებს,
 მსგავსი ტკივილით ველურსმებით, როგორც ჯვარს ღმერთი,
 ისევ უფარნო გამვლელები მჭრიან და მკლავენ,
 მზე არ ვარ, მაგრამ ჩემი წილი მეც უნდა ვენთო
 და ვუნათებდე, ამ ყველაფრის მიუხედავად...

* * *

გზას კორპუსში მიჰყვება ხაზად,
 ქალაქმა ხახა გაიფართოვა
 და მთვარეს, როგორც სულთანი ხასას,
 ღამე ჩიხებში დაიმარტოვებს,
 ნესტიან კედლებს ქანცივით გაძვრათ
 შუქი და დროა ფარდებს ვუნევედე,
 ამ ოთახს მკერდში საათის ნაცვლად,
 შენ, მშვიდი სუნთქვით უნდა უცემდე,
 დაგეძებ, მრჩება ისეთი განცდა,
 სხვა ყველა გეზი უნდა ავისხლა,
 შენს თმებთან, როგორც სანუკვარ განძთან,
 მოვცურდე, მერე თუნდაც დავიმსხვრე,

რომ ეს ცხოვრების ორპირი ქარი,
შენი მკლავების, როგორც კონცხების,
იდგება ზურგში და მჯერა ქალო,
მარადიულად შეგიხორცდები,
ისე ვჩურჩულებ ძილი ნებისას,
ბგერები ოთახს ვერ აავსებენ,
დღეს ვინერები მხოლოდ დეფისით,
ვარსებობ – მიყვარს, მიყვარს – ვარსებობ...


* * *

ჩემში უნიჭო პოეტი წერდა,
წუთებს, საათებს, დღეებს საერთოდ,
ვიხსენებ, როგორ ვიყავით ერთად,
ერთად რა... არა უერთმანეთოდ,
ვსუნთქვ და ამ ფაქტს ყოველთვის ახლავს,
კაცს უიმედოდ არ შეგიძლია,
მოლოდინები რალაცა ახლის,
შინაარსსა და ფორმებს იცვლიან,
დღეს ჩემი გულის ამოვარდნა ხარ
და მალევიძარას წამოკივლება,
ჰო, ხდება ხოლმე, იცის ხანდახან,
ავადმყოფური, ღამემ ხილვები,
რომ ჭერზე თითქოს ძველი ნათურა,
იქსოვს აჩრდილებს, როგორც ობობა
და მკერდზე ხელის ხშირი ფათურით,
ვიმონმებ გულში შენს ჩუმ მყოფობას,
მე ახლა, მთელი ერთი წამი ვარ,
ისე ვუდგავარ სიგიჟეს კვალში,
ვგრძნობ ყველა საქმე ცუდად წამივა
და დამნაშავე იქნები კვლავ შენ,
როგორ მჭირდება, მჯეროდეს მეტად...
აფეთქებამდე უნდა ავენთო,
ვიხსენებ, როგორ ვიყავით ერთად,
ერთად რა... არა უერთმანეთოდ.

* * *

ახლა ამ ღამეს სხვანაირი დაღეჭვა უნდა,
არა ისეთი, ლოგინში რომ გაითენებენ,
შენ ხარ გრიგალი, მოხეტქილი მონლოლთა ურდო,
მე გალავნები ჩამოშლილი, გავითელები...

სად არის მაინც, სად მივაგნებ უნონადობას,
სული უძილო თვალებიდან გარეთ მიძვრება,
და სათითაოდ ყველა ფიქრი, ვიყო მანდომებს,
უჩემობისგან შენი ფრთხილი გამოღვიძება,
შენ არ ხარ ახლა ვისაც მინდა ველაპარაკო,
შენ ის ხარ, ვისაც ვუყურებდე და მინდა ვდუმდე,
იცი, მე უკვე ამოვწურე ყველა მარაგი,
ჩემი უშენოდ კარგად ყოფნის და გამირთულდი...
შენ ახლა ჩემგან, ერთი ლოცვით შორსა ხარ მხოლოდ,
როცა მე შენგან მთელი ერთი ლექსი მაშორებს,
მე დამტვრეული კლავიშით ვარ დაკრული სოლო,
სწორედ ამიტომ არასოდეს არ ვარ მაჟორი,
ანუ სიცოცხლის უხერხული გადაკვეთა ვარ,
ეს გზები ასე, უცნაურად წრეზე ბრუნავენ,
სამწუხაროა, სხვანაირად უნდა მეთავა,
ერთხელ ცხოვრება, ნუ დამძრახავს ახლა ნურავინ,
თითქოს ვაშავებ ვარსკვლავიან ზეცას თუ ვქურდავ,
არ ვიცი ასე პანიკურად ძილს რატომ ვუფრთხი,
ალბათ ამ ღამეს სხვანაირი დაღეჭვა უნდა,
გამთენიისას გემოზე რომ გადააფურთხებ...



მონა მონოგრაფია

მნიშვნელოვანი გამოკვლევა ქართულ ფილოსოფიაში

დღეს საქართველოში ფილოსოფიის დარგი ერთგვარ კრიზისშია. მოიშალა სისტემური კვლევა-ძიება. ფილოსოფიური კვლევები ერთგვარად გათითოვდა, არ ჩანს ერთი საერთო მიზანდასახული საქმიანობა. ამ ფონზე სასიამოვნო გამონაკლისი იყო 2012 წელს ფოთში დაარსებული, ძირითადად, ფილოსოფიური პროფილის – ახალი საქართველოს უნივერსიტეტი, რომელმაც 2015 წელს გაიარა ავტორიზაცია-აკრედიტაცია, რითაც წინსვლისა-განვითარებისთვის გზა გაეხსნა.

უნივერსიტეტი ახორციელებს ქრისტიანული ფილოსოფიის, ქრისტიანული თეოლოგიისა და ქრისტიანული ფსიქოლოგიის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს. თუ უფრო დავაკონკრეტებთ, ამჟამად უნივერსიტეტში ხორციელდება – ბაკალავრიატის (თეოლოგია), მაგისტრატურის (ქრისტიანული ფილოსოფია) და დოქტორანტურის (ქრისტიანული ფილოსოფია) პროგრამები.

ამ ეროვნული და საშვილისშვილო საქმის მთავარი შემოქმედია ფოთის და ხობის მიტროპოლიტი, ფილოსოფიის დოქტორი – გრიგოლი (ბერბიჭაშვილი), რომელიც საკუთრივ არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის (მათ შორის,

მონოგრაფიის) ავტორი. ამ ნაშრომებში კი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფილოსოფიას.

ფილოსოფიაში მიტროპოლიტ გრიგოლის მოღვაწეობის გვირგვინია მონოგრაფია – „იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია“ (გამომც. „ფავორიტი სტილი“.

თბილისი, 2017. 218 გვ. რედაქტორები: თ. ირემ-აძე, ლ. ზაქარაძე, უ. რ. იეკი, ჰ. შნაიდერი).

მონოგრაფია შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისგან. წინ ერთვის ავტორისა და რედაქტორების წინასიტყვაობები, ხოლო სრულდება რეზიუმეთი ინგლისურ ენაზე, ბიბლიოგრაფიითა და სახელთა საძიებლით.

მონოგრაფიის შესავალშივე ავტორი აღნიშნავს იმ გარემოებებსა და სიძნელეებს, რამაც შეაფერხა იონა ხელაშვილის შემოქმედების სრულყოფილი შესწავლა და ობიექტური შეფასება. ამის მთავარ მიზეზად კი, ის სრულიად მართებულად მიიჩნევს ათეული წლების განმავლობაში ქვეყანად მარქსისტულ-ლენინისტურ-ათეისტური იდეოლოგიის ზეობას.



იონა ხელაშვილის ცხოვრებისა და საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური შემოქმედების სრულყოფილი შესწავლისთვის მიტროპოლიტი გრიგოლი აუცილებლად მიიჩნევს ხუთი პირობის შესრულებას, რაც კონკრეტულად შემდეგს გულისხმობს: ხელაშვილის ბიოგრაფიული მონაცემების შესწავლა-დაზუსტება; მისი ხელნაწერების აღწერა-კლასიფიკაცია; იმ სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული გარემოს განხილვა-გაანალიზება, რომელშიც უხდებოდა მოღვაწეობა ხელაშვილს; ხელაშვილის შემოქმედების განხილვა ახალი დროის ქართულ-ევროპული მეცნიერული აზროვნების კონტექსტში; ხელაშვილის დღემდე ცნობილი თუ უცნობი ნაშრომების ანალიზის საფუძველზე მისი მეტაფიზიკური კონცეფციის მთავარი პრობლემების წარმოდგენა.

უნდა აღინიშნოს, რომ მონოგრაფია ავტორის მიერ წამოყენებული პირობების განხორციელების დემონსტრირებაა.

პირველ თავი – „სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი“ (გვ. 17-133) ყველაზე მოცულობითია და შედგება ოთხი ქვეთავისგან, სადაც მიმოხილულია ხელაშვილსა და მის შემოქმედებაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, მოცემულია მისი ხელნაწერთა აღწერილობა, ტიპოლოგიური დახასიათება და კლასიფიკაცია, თხზულებათა და მათი შემცველი ხელნაწერთა ნუსხა.

პირველი თავიდან ნათლად ჩანს, რომ მონოგრაფიის ავტორს დიდი და მრავალმხრივი სამუშაო ჩაუტარებია, კერძოდ:

1. კრიტიკულად არის განხილული ხელაშვილის შემოქმედების შესახებ არსებული პ. კარბელაშვილის, ნ. ბარნაბიშვილის, ლ. მელიქსეთ-ბეგის, შ. ნუცუბიძის, თ. კუკავას, დ. მეგრელაძის, გ. შარაძის, ბ. გელაშვილის, ლ. ზაქარაძისა და თ. ირემაძის გამოკვლევები და შეფასებები (გვ. 18-28).

შეიძლება ითქვას, რომ ავტორის მხრიდან ხელაშვილის შესახებ არსებული ლიტერატურა, კრიტიკული ანალიზი საქმის საფუძვლიანი ცოდნით არის შესრულებული. ავტორი მართა-

ლია, როცა აღნიშნავს, რომ ხელაშვილის მემკვიდრეობის ობიექტურ შეფასებას დიდად ხელს უშლიდა საკითხისადმი მარქსისტული მიდგომა, იდეოლოგიური წნეხი და კლიშეები.

2. ავტორი საუბრობს იონა ხელაშვილის შესახებ, მის მიერ გამოქვეყნებულ სტატიებზე, რომლებშიც დაზუსტებულია ხელაშვილის დაბადების წელი, საქართველოში ცხოვრების მონაკვეთში მისი სასულიერო წოდება და რომ მან სანკტ-პეტერბურგში დაამთავრა სასულიერო სემინარია და არა სასულიერო აკადემია (გვ. 28).

3. იონა ხელაშვილის პიროვნებისა და შემოქმედების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ხელაშვილი ფართოდ განსწავლულია და ახდენს კიდევ ამ განსწავლულობის დემონსტრირებას, მსჯელობს მხატვრულად და ემოციურად, ყველა საკითხს განიხილავს ქრისტიანული დოგმატიკის ჭრილში (ქრისტიანოცენტრიზმი); იგი კატეგორიული და შეუვალია და ამასთან, გამოირჩევა მოძღვრული გულმოდგინებით (გვ. 29).

მონოგრაფიის ავტორი საინტერესოდ აფასებს ხელაშვილის „ღმრთისმეტყველება სამნაწილედ“, რომელიც მოიცავს ბუნებით, ძველი და ახალი აღთქმის გამოცხადებულ საზნეო ღმრთისმეტყველებას.

ავტორი აღნიშნული ტექსტის მისეულ შეფასებას მოკრძალებით, შთაბეჭდილებად თვლის, თუმცა მისი მოსაზრება უდავოდ სცდება შთაბეჭდილების ჩარჩოებს. აი ამის თვალსაჩინო მაგალითი: „ღმრთისმეტყველების ტექსტზე, რომელიც იონას რუსულიდან უთარგმნია, მასვე დაურთავს თავისი ორიგინალური შენიშვნები და შთაბეჭდილებები, სადაც უფრო ნათლად ჩანს მისი წვლილი ამ წიგნის შექმნაში და მასშივე უფრო ცხადად შეიძლება ამოვიკითხოთ მისი საღმრთისმეტყველო კონცეფცია, ვიდრე თვით „ღმრთისმეტყველების“ ძირითად (ნათარგმნ, არა-იონასეულ) ტექსტში“ (გვ. 32).

ხელაშვილის საღვთისმეტყველო კონცეფციის გასაგებად, – ავტორის აზრით, – სწორედ ამ ტექსტზე დართული სქოლიოებით უნდა ვიმსჯელოთ.

პირველ თავში ხელაშვილის არაერთი ნაშრომი მიმოხილული, მათ შორის „ოცდაათობმეტი შეკითხვის წიგნი“, რომელსაც მონოგრაფიის ავტორი მართებულად მიიჩნევს ფუნდამენტურ ფილოსოფიურ ნაშრომად (გვ. 39).

ასევე საყურადღებოა ხელაშვილის „გოდება-ნისა“ და „რონინის“ (ხელაშვილის ავტობიოგრაფიული ნაწარმოები) ავტორისეული ანალიზი, რომლებიდანაც ნათლად ჩანს ხელაშვილის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება რევოლუციასა და მისი იდეოლოგიებისადმი (ვოლტერი, რუსო, დალამბერი და სხვები) და ცარისტული რუსეთის მიერ 1932 წლის შეთქმულების სისხლში ჩახშობის მოწონება და შეთქმულებაში მონაწილეობის გამო დოდაშვილთან კავშირის განწყვეტა (გვ. 80-82).

მეოთხე ქვეთავში მოცემულია ხელაშვილის თხზულებათა ხელნაწერების ნუსხა.

რეცენზიის დანიშნულების შეზღუდული ფორმატი საშუალებას არ იძლევა დაწვრილებით შევჩერდეთ ხელაშვილის კრებულზე, კათეხიზმოზე, განმარტებაზე და ყველა სხვა საკითხზე, რომელიც აღწერილი, გაანალიზებული და შეფასებულია მონოგრაფიაში.

როგორც აღვნიშნეთ, მონოგრაფიის ავტორი ყურადღებას ამახვილებს მარქსისტულ იდეოლოგიაზე, რომელიც ხელს უშლიდა ხელაშვილის შემოქმედების სრულყოფილ შესწავლასა და ობიექტურ შეფასებას ახლო წარსულში, რაც სიმართლეა. მაგრამ ამ კონტექსტში შალვა ნუცუბიძის შეფასების განხილვა არ მიგვაჩნია გამართლებულად და აი რატომ: ნუცუბიძის საერთო თვალსაზრისი ყოველთვის იხრება პანთეიზმისკენ, რაც არც ისე შორს არის მატერიალიზმისგან. ასეთია მისი პოზიცია ანტიკურობის ათვისების ორ გზაზე, რომლის გაგრძელებასა და ასახვად შუა საუკუნეებში ის მიიჩნევდა კრეაციონიზმსა და ნეცესარიანიზმს შორის, ხოლო ქართულ სინამდვილეში იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის მსოფლმხედველობათა დაპირისპირებას. ამ ხედვის გამოძახილია მისი მოსაზრება იონა ხელაშვილის, უფრო ადრე კი

არსენ იყალთოელის მსოფლმხედველობის რეაქციულ ხასიათზე. საერთოდ, ნუცუბიძისთვის ის, რაც უკავშირდება ეკლესიასა და რელიგიას არის რეაქციული. ეს აზრი სწორია თუ არა, სხვა საქმეა. მე პირადად ბოლომდე არ ვიზიარებ ამ შეხედულებას, მაგრამ ეს ნუცუბიძის პოზიციაა და მას არაფერი აქვს საერთო მარქსისტულ იდეოლოგიასთან.

ისიც უნდა ითქვას, რომ ნუცუბიძის აღმოსავლური (ქართული) რენესანსის თეორია არსებითად სწორედ მის ამგვარ მსოფლმხედველობას ემყარება.

ნუცუბიძის აღნიშნული პოზიციის გათვალისწინებით მისი მხრიდან გასაკვირი არ უნდა იყოს ხელაშვილის მოღვაწეობის ასეთი შეფასება. ამ შეფასებაში, რა თქმა უნდა, უმნიშვნელო არ იქნებოდა ის ფაქტი, რომ ხელაშვილი ერთობ უარყოფითად ახასიათებდა ვოლტერს, რუსოს, დალამბერს და სხვა განმანათლებლებს, რომელთა მსოფლმხედველობას დაეფუძნა ევროპის მომავალი, რისკენაც ასე მივისწრაფვით დღეს. ნუცუბიძის ამ შეფასებისას ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხელაშვილი აქებდა მეფის ხელისუფლებას, რომელიც სასტიკად გაუსწორდა 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს და შეთქმულებაში მონაწილეობის გამო სოლომონ დოდაშვილს გაემიჯნა კიდეც.

ნუცუბიძის პოზიციის შეფასებისას ისიც გასათვალისწინებელია, რომ მიუხედავად დიდი ფიზიკური და იდეოლოგიური წნეხისა (დაპატიმრება, აკადემიიდან გარიცხვა, პროფესორის წოდების ჩამორთმევა და სხვა), ის არ შესულა კომუნისტური პარტიის რიგებში და პირდაპირ თუ ირიბად, მუდამ აქილიკებდა საბჭოთა წყობას.

საყურადღებოა ისიც, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებში, როცა საბჭოთა კავშირში ათეისტური პროპაგანდა იყო გაჩაღებული, შ. ნუცუბიძე 1931 წელს ბერლინში გამოცემულ ნაშრომში – „ფილოსოფია და სიბრძნე“, წერდა, რომ სპინოზას რაციონალისტურმა აზრმა არა ანტირელიგიური, არამედ უფრო „ანტიდოგმატურ-რელიგიური მიმართულება“ მიიღო (შ. ნუცუბიძე. შრომები. თბილისი, 1979, ტ. II, გვ. 336).

მონოგრაფიის მეორე თავია – „იონა ხელაშვილის ცხოვრების გზა – ახალი ფაქტები და მათი ანალიზი“ (გვ. 136-161). მცირე მოცულობის მიუხედავად, იგი არაერთ საყურადღებო სიახლეს შეიცავს და წინ გადადგმული ნაბიჯია ხელაშვილის ბიოგრაფიის დაზუსტების თვალსაზრისით.

მეორე თავში ზედმინევენითი სიზუსტით არის გადმოცემული იონა ხელაშვილის განვლილი გზა დაბადებიდან სიკვდილამდე, მისი ცხოვრების მონაკვეთები საქართველოსა და რუსეთში. აღნიშნულია თუ როგორ ზრუნავდნენ მასზე ერეკლე მეორე და საერთოდ სამეფო ოჯახი, როგორ გაყვა ის ბატონიშვილებს რუსეთში 1805 წელს.

მონოგრაფიის მეორე თავი გამორჩეულია იმითაც, რომ შეიცავს სამ სიახლეს, რაც გაკვერთით აღნიშნეთ რეცენზიის შესავალში. ავტორმა სანკტ-პეტერბურგის ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში მოიძია და შეისწავლა ხელაშვილზე არსებული მასალები და ამის საფუძველზე დააზუსტა:

1) იონა ხელაშვილი დაბადებულია 1778 წელს;

2) ხელაშვილმა დაამთავრა არა სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემია, როგორც აქამდე იყო ცნობილი, არამედ სასულიერო სემინარია;

3) ხელაშვილი ბერად აღიკვეცა არა საქართველოში, ქვათახევის მონასტერში, როგორც ამას ფიქრობდა ზოგიერთი ქართველი მეცნიერი, არამედ სანკტ-პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრაში 1812 წლის 5 ოქტომბერს და მას სახელად ეწოდა იონა (გვ. 155).

მეორე თავში საყურადღებოა ავტორის ერთი შენიშვნა, რომელიც რუსეთთან მიმართებაში ხელაშვილის პოზიციის ცვლას ეხება: „აქ ყურადღება მისაქცევია ერთი, მეტად საინტერესო გარემოება, თუ როგორ მიდის ადამიანი, რომელსაც თავისუფლება წაართვეს, ბატონის აღიარებამდე?!“ (გვ. 159).

მესამე თავი იონა ხელაშვილის მეტაფიზიკურ კონცეფციას ეხება (გვ. 164-195) და შეიძლება ითქვას, რომ ფილოსოფიის თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანია. ხელაშვილის მეტა-

ფიზიკური (ფილოსოფიური) კონცეფცია აქ წარმოგენილია მისი „ოცდაათობმეტი შეკითხვის წიგნის“ მიხედვით.

მონოგრაფიის ამ თავში განხილული და განალიზებულია ლაიბნიც-კლარკის მიმონერის ხელაშვილისეული შეფასება, ხელაშვილის მეტაფიზიკის წყაროები, ქრისტიანული მეტაფიზიკა, მთავარი მეტაფიზიკური კატეგორიები, ქრისტიანული ანთროპოლოგია, ქვეშარიტების, შემეცნების, კაუზალობის, თავისუფლების, სიკეთისა და ბოროტების პრობლემები.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ლაიბნიც-კლარკის მიმონერას, აღნიშნულია, რომ კლარკი ფაქტობრივად გამოხატავდა ნიუტონის პოზიციას (გვ. 170). ამ საკითხზე ავტორის საბოლოო დასკვნა კი ასეთია: „მაშასადამე, იონა ხელაშვილი ლაიბნიცისა და კლარკის დავა-კამათში ცალსახად არც ერთი მოაზროვნის პოზიციას არ იკავებს. უფრო მეტიც, იგი არც ერთი მოაზროვნის მიმართ არ იშურებს კრიტიკას. მისი კომენტარებიდან, თითქოსდა, უფრო მეტი სიმპათია მაინც კლარკის პოზიციის მიმართ შეინიშნება, მაგრამ იგი ცალსახად არც კლარკის მეცნიერული მეთოდოლოგიის მომხრეა“ (გვ. 171).

მანამდე კი აღნიშნულია ის ძირითადი საკითხი, რომლის ირგვლივაც მიმდინარეობს ლაიბნიცსა და კლარკს შორის კამათი, ეს არის ბუნებრივი რელიგია, რომელსაც მაშინ, როგორც წესი, უკავშირებდნენ თეოლოგიას, მეტაფიზიკას და ფიზიკას. მონოგრაფიის ავტორის საყურადღებო შენიშვნით, როგორც ლაიბნიცის, ისე კლარკის ამოცანაა ნატურალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და ბუნებრივი რელიგიის განმტკიცება (გვ. 166).

ქვეთავში – „ქრისტიანული მეტაფიზიკა“ ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ აქ საქმე გვაქვს „დიאלოგური მეტაფიზიკის“ გარკვეულ სახეობასთან, რაც ავტორის საყურადღებო შენიშვნით, არის „ანტიკური ხანის დიალოგური ფილოსოფიის“ ერთგვარი ტრანსფორმაცია – „ქრისტიანულ მეტაფიზიკად გარდაქმნა“ (გვ. 174).

ასევე, საყურაადღებო და საინტერესოა ავტორის მოსაზრებები ხელაშვილის შეხედულებებში ქრისტიანული ანთროპოლოგიის, როგორც მეტაფიზიკის დარგისა და მისი კატეგორიების შესახებ და, აგრეთვე, ატომისტური მეტაფიზიკის ქრისტიანულ ტრანსფორმაციაზე (გვ. 178-181).

რაც შეეხება ფილოსოფიის ისეთ მნიშვნელოვან – ჭეშმარიტების პრობლემას, ხელაშვილთან სამი სახისაა – ლოგიკური, მეტაფიზიკური და ეთიკური. მონოგრაფიის ავტორი განიხილავს ჭეშმარიტების თითოეული სახის მნიშვნელობას (გვ. 185). აქ გაურკვეველია თუ რატომ არ შედის ჭეშმარიტების მეოთხე სახე – „ღვთისმეტყველური ჭეშმარიტება“, ჭეშმარიტების სახეთა ჩამონათვალში.

ნაშრომში სულ ერთი გვერდი ეთმობა სიკეთისა და ბოროტების მიმართებას. თუმცა, ავტორი ნათლად წარმოაჩენს ხელაშვილის პოზიციას ამ საკითხზე, კერძოდ: „სამყაროში არ არსებობს ფიზიკური ბოროტება, რომელიც სიკეთით არ შეიცვლება“ და იქვე ხელაშვილის თვალსაზრისის ასეთ ინტერპრეტაციას გვთავაზობს: „ადამიანის წინაშე დგას ამა სოფლის საცდურები და მხოლოდ მის ნებაზეა დამოკიდებული, ცდუნდება იგი თუ უფლის გზას გაჰყვება“ (გვ. 187). ასე რომ, ხელაშვილთან სიკეთის ქმედების საკითხი ნების თავისუფლებაზე გადის.

ამ თავში საინტერესოდ არის განხილული თავისუფლების საკითხი ხელაშვილის შეხედულებებში. ხელაშვილთან თავისუფლება უშუალოდ უკავშირდება ნებას, რომელიც მხოლოდ სურვილი კი არ არის, არამედ მონდომებაცაა. „თავისუფლება არ არის იქ, სადაც არ არის ნება თავისუფლებისა, თვითფლობისა, ქმედებისა“ (გვ. 191). ნება, თვითფლობა – ფლობა, სურვილი და მონდომება თავისუფლების განხორციელებისთვის აუცილებელი კომპონენტებია. საამისოდ მოტანილია წინასწარმეტყველთა, მოციქულთა და მოწამეთა მაგალითები, რომლებიც მონამეობრივად აღესრულენ, მაგრამ თავისუფლება არ დაუკარგავთ, „რადგან მათ ფლობას და ნებას სწორედ რომ აძლიერებდა და მყარ

საფუძველს უქმნიდა მწყურვალე სურვილი, ანუ იგივე ძლიერი ნება“ (გვ. 192).

მონოგრაფიაში გაზიარებული აზრი, რის თანახმადაც, ხელაშვილთან მოცემულია ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების ისეთი სინთეზი, რის საფუძველზეც ყალიბდება ფილოსოფიური ღვთისმეტყველების ის ფორმა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია (გვ. 172). ყველაფერი ამის საფუძველი კი იყო ხელაშვილის დიდი განსწავლულობა ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაში (გვ. 164).

ვფიქრობ, ეს საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს, რადგანაც გასარკვევია რამდენად თავსებადია ერთმანეთთან ფილოსოფია და ღვთისმეტყველება, თვით ცნებების დონეზეც კი.

მონოგრაფიის დასკვნაში შვიდ პუნქტად არის შეჯამებული განეული კვლევის შედეგები. მე-3 პუნქტში ამომწურავად არის გადმოცემული კვლევა-ძიების არსი: „წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია ქრისტიანული ფილოსოფიის ჭრილში. გამოვლენილია ამ მოძღვრების მთავარი ფილოსოფიური და თეოლოგიური წყაროები. ჩატარებული კვლევა-ძიება ემყარება ფილოსოფიური მეთოდოლოგიის მდიდარ არსენალს, რომელიც ახალი კვლევების ჭრილშია განხილული და დასახულ კვლევის მიზნებსა და ამოცანებს ადეკვატურად შეეთანადება“ (გვ. 193).

ამ ამონარიდის შემდეგ ცხადი ხდება: ავტორი ისე ამომწურავად გადმოსცემს ჩატარებული კვლევა-ძიების არსს, რომ მონოგრაფიის საერთო შეფასებაც სახეზე გვაქვს.


დასკვნის მე-6 პუნქტში ერთ სიბრტყეშია წარმოდგენილი – ანტონ პირველი, იონა ხელაშვილი, სოლომონ დოდაშვილი და ეპისკოპოსი გაბრიელი (გერასიმე ქიქოძე) (გვ. 194). ამ აზრს ვერ გავიზიარებთ, რადგანაც სოლომონ დოდაშვილი წმინდა წყლის ფილოსოფოსია თავისი საკვლევი თემატიკით, გემოვნებით, ფილოსოფიური პრობლემებითა და გადაწყვეტით. რაც შეეხება ანტონ პირველს, იონა ხელაშვილსა და ეპისკოპოს გაბრიელს, ისინი მართლაც ერთიან

ხაზს წარმოადგენენ და მათ შორის ხელაშვილი თავისუფლად შეიძლება წარმოვიდგინოთ „გამაშუალებელ მოაზროვნედ“. საკითხის სპეციფიკურად ასე წარმოდგენა კი სიახლეა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში და ეს უდავოდ არის მონოგრაფიის ავტორის დამსახურება.

სამწუხაროდ, კვლევაში განხილული არ არის და არც ბიბლიოგრაფიაშია დასახელებული ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის მე-3 ტომი, სადაც ორი სტატიაა იონა ხელაშვილზე. აღნიშნულ სტატიებში ყოველგვარი იდეოლოგიური კლიშეების გარეშე განხილულია იონა ხელაშვილის ფილოსოფიური, სოციალური და რელიგიური (სერგი ავალიანი (1928-2013)) და ეთიკური (გერონტი შუშანაშვილი (1939-2012)) შეხედულებები. ამასთან, აღიარებული ეთიკო-

სის – გ. შუშანაშვილის აზრით, „[...]იონა ხელაშვილის ეთიკური მსოფლმხედველობა მისი არგუმენტაციის თვალსაზრისით **პრიმიტიულ შთაბეჭდილებას** ტოვებს“ (ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია, მე-2 გამოცემა. თბილისი, 2013, III ტომი, გვ. 288. ხაზგასმა ჩემია – მ.მ.) და ხელაშვილზე ასეთ სოლიდურ გამოკვლევაში ამ თვალსაზრისის გათვალისწინება თუ არა, შეფასება აუცილებელი იყო.

რეცენზიაში გამოთქმული შენიშვნები, უფრო ამა თუ იმ საკითხზე, ჩემი განსხვავებული პოზიციის გამოხატულებაა და არამც და არამც არ ამცირებს მიტროპოლიტ გრიგოლის მონოგრაფიის – „იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია“ მნიშვნელობას და მეცნიერულ ღირებულებას.



თაბაზ ცინცაძე

ჰაიდარ აბაშიძის ნაშრომები და საღვთისმშობლის კოლონიები

ინერტა წერილები, რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 140 წლისთავსა და ამ დიდი მნიშვნელობის მოძრაობას, მის სასიკეთო შედეგებს, ამ საქმეში ჩართულ ქართველებსა და მათ მამულიშვილურ სასიკეთო საქმეებს შეეხება. დადგა დრო, რომ კიდევ ერთხელ ნათლად, მკაფიოდ და ხმამაღლა ითქვას ჰაიდარ აბაშიძის დიდი ქართველობისა და მისი, როგორც სამშობლოსათვის გულანთებული რაინდის ღვაწლზე.

მე და დიდ ჰაიდარ აბაშიძეს, ასაკობრივი ზღვარის მიუხედავად, ერთი დიდი რამ გვაკავშირებს, ორივეს დედა ქიქავა გვყავდა. ქიქავათა გვარი არცთუ მრავალრიცხოვანია, მაგრამ ისინი წარმომავლობითა და მაღალი ღირსებებით ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგნენ.

ბატონი ჰაიდარის ჯერ კიდევ ბოლომდე დაუფასებელ მოღვაწეობაზე ორიოდ სიტყვის თქმა იმანაც გადამანწყვეტინა, რომ ჩემი დედის მხრიდან ბიძაშვილის, ბატონ თემურ ქიქავას ოჯახში გავეცანი ცნობილი მკვლევარის იოსებ იმედაშვილის მიერ 1940 წელს შედგენილი „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონის“ ჩანაწერებს, რომელიც დიდი ჰაიდარ აბაშიძის მოღვაწეობას შეეხება. ამ სამშობლოსათვის გულანთებული რაინდის სხვა დაფასებაზე რომ არაფერი ვთქვათ, იქამდეც მი-

ვიდნენ, რომ 2005 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ყოფილმა მინისტრმა ა. ლომიაიმ ზოგად საგანმანათლებლო სკოლების საჯარო სკოლებად გადაკეთების მოტივით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ყოროლისთავის სკოლას, რომელიც ჰაიდარ აბაშიძის მიერ არის დაარსებული, ჰაიდარ აბაშიძის სახელობის სტატუსი გააუქმა.

აი, რას გადმოგვცემს მკვლევარი იოსებ იმედაშვილი, იგი აღწერს „თუ მე-20 საუკუნის დასაწყისში სამუსლიმანო საქართველო, რომელიც ტერიტორიულად მოიცავდა სამცხე-საათაბაგოს, ართვინს, აჭარა-ქობულეთს, შეპყრობილი ჰყავდა სულთანიზმ-პანისლამიზმს, აქაურმა მაცხოვრებლებმა ქართულ ენაზე წერა-კითხვა არც კი იცოდნენ. ბავშვების დიდი უმრავლესობა თავმოყრილი იყო მედრესეებში, ხოჯებთან და მოლებთან. ქართველთაგან თითო-ოროლა თუ დადიოდა ბათუმში დაარსებულ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლაში. მათ შორის იყო ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჰაიდარ აბაშიძე, რომელიც 1902 წელს, 11 წლისა შევიდა ამ სკოლაში სასწავლებლად.

ჰაიდარ აბაშიძე ხედავდა, რომ იზრდებოდა თაობა, რომელმაც ბევრი არაფერი იცოდა თა-

ვისი ისტორიული ქვეყნის, საქართველოს შესახებ. ხოჯა-მოლები მედრესეებში თავმოყრილ ახალგაზრდობას ტვინს უტენიდა ოსმალური კულტურითა და ისტორიით.

ჯერ კიდევ, სრულიად ახალგაზრდამ, დაიწყო ფიქრი ამ კუთხის გამოღვიძებისა და ახალგაზრდობისათვის იმის ჩასანერგად, რომ სამუსლიმანო საქართველოს ხსნა, მისი ეკონომიკურად და კულტურულად აღორძინება, მხოლოდ სულთანზიმ-პანისლამიზმის აღმოფხვრით და ამ კუთხის დედა საქართველოსთან გაერთიანებით არის შესაძლებელი.

მაჰმადიან ქართველებში ქართული სულისკვეთებისა და შეგნების შეტანა წარმოუდგენელი იყო, თუ ამ საქმეს ქრისტიანი ქართველები არ მოჰკიდებდნენ ხელს. „რა ვუყოთ თუ სჯული სხვადასხვა გვაქვს, – მიმართავდა მათ ჰაიდარ აბაშიძე, – ჩვენს კავშირს, ჩვენს გაერთიანებას, ეს ხელს არ შეუშლის. ქრისტიანი ქართველები უნდა დაეხმაროთ მუსლიმან ქართველებს, თქვენს თანამოძმეებს, წერა-კითხვის შესწავლაში, რომ ისინი გათვითცნობიერდნენ და იცნონ თავიანთი თავი“.

1913 წელს „ბათუმის გაზეთის“, მე-9 ნომერში ჰაიდარ აბაშიძე მიმართავდა რა თავის ქრისტიან ძმებს, წერდა: „ჩვენ დღეს თქვენთან მოველით მტკიცე საძირკვლის ჩადგმისა და ცხოვრების გზაზე გამოსვლის... მოგვეპყარით ისე, როგორც ძმებს, ნაგვიძეხით წინ, გვასწავლეთ წერა-კითხვა და ამოგვიყენეთ თქვენს გვერდით. რაღად გვიწოდებენ ჩვენ თათარს, ჩვენივე მოძმე ქართველი ქრისტიანები, ან ჩვენვე რაღად ვაღიარებთ თავს თათრებად. ჩვენ „თურქები“, „ოსმალები“ კი არა, ქართველები გახლავართ. სჯულით თუ მაჰმადიანები ვართ, განა ამიტომ ქართველები აღარ ვართ? აჭარის ტერიტორიაზე მიმოპნეული ქვანიც კი ლაღადებენ, თუ ვინ ვართ ჩვენ“.

წერილის დასაწყისში ვამბობდი, რომ რა დროს ამ საკითხებზეა ლაპარაკი, მაგრამ სამწუხაროდ რთული ვითარებაა შექმნილი. აჭარაში ახლა რომ ჯამეები და მედრესეებია, ამდენი თურქეთის ბატონობის დროს ალბათ არ იყო. სა-

მწუხაროა, რომ მლოცველთა შორის ძალიან ბევრია ახალგაზრდობა, ამ რელიგიას „დაენაფნენ“ გოგონებიც. თურქეთი ეკონომიკურად იპყრობს აჭარას და საქართველოს ზოგიერთ სხვა კუთხესაც. ახალგაზრდებს ასწავლიან უფასოდ, კვებავენ და ჩაცმა-დახურვით უზრუნველყოფენ. სამაგიეროდ, რატომღაც არც ხელისუფლება და არც საპატრიარქო სათანადო ზომებს არ იღებს.

მაშინ, როცა აჭარაში 8-10 ახალგაზრდიდან დაკომპლექტებული ჯგუფის ცალკეულ საგნებში მომზადება ეკრძალებათ, თუ იგი სახელმწიფო რეგისტრაციას არ გადის, ამ დროს არაერთი, არამედ ათეულობით მედრესეები, რომლებიც ხელისუფლებას ან განათლების ორგანოებს არა თუ აცნობენ პროგრამებს, მათი აღრიცხვაც კი არ წარმოებს და არავინ არ იცის, რას და როგორ ასწავლიან. არავინ არ ინტერესდება ამ პროცესით. უფრო მეტიც, ბევრი მსგავსი დაწესებულების ხელმძღვანელობა შტამპებსა და ბეჭდებს ისე ამზადებს, რომ იგი არსად არ არის რეგისტრირებული. ამ პროცესის ასე მიტოვებამ, მისმა შეუფასებლობამ, მომავალში შეიძლება ურთულესი მოვლენების წინაშე დაგვაყენოს. რაც, რბილად რომ ვთქვათ, არასახელმწიფოებრივი აზროვნების შედეგია.

ნუთუ ქართველ, მაღალი რანგის ჩინოვნიკებს, არა აქვთ გააზრებული, საკუთარი მოვალეობა ქვეყნისა და ერის წინაშე? ნუთუ არავის ანუხებს, როცა მეზობელი თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, შემდგომ პრემიერი დავით-ოღლუ და არა მარტო ის, აცხადებენ რომ თურმე აჭარა და ახალციხე რუსებმა წაგვართვესო და მას თოფის გასროლის გარეშე დავიბრუნებთო? აი დავითოღლუს პროგრამას ემსახურება აჭარაში სოკობივით მომრავლებული ისლამის პროპაგანდისტული ქსელი. ყველა დროის ხელისუფლება, ვინც მშვიდად, გულგრილად აღიქვამს მეზობელი სახელმწიფოს მიერ საქართველოს ექსპანსიას, იგი სამომავლოდ შეიძლება გამოუსწორებელ პრობლემად იქცეს.

ახლა კი ძირითად თემას დავუბრუნდები და მკითხველის ინტერესების დასაკმაყოფილებლ-

ად იმასაც ვიტყვი, რომ მე საკმაოდ ბევრი ვიცი აჭარის ბევრ აბაშიძეებზე, დაწყებული მემდეგ აბაშიძით. მაგრამ აჭარის დედა-საქართველოსთან დაბრუნების საქმეში, მაჰმადიან ქართველთა შორის ქართული ეროვნული თვითშეგნების გამოვლილებაში, ჰაიდარ აბაშიძეს არავისზე ნაკლები წვლილი არ მიუძღვის, თუმცა სათანადოდ ჯერ კიდევ არ დაფასებულა. აჭარაში ასევე აბაშიძის მმართველობის პერიოდშიც კი, ჰაიდარ აბაშიძე არ წარმოჩენილა ისე, როგორც ამას იმსახურებდა. ჰაიდარ აბაშიძემ თავისი შეუპოვარი ბრძოლით სამუსლიმანო საქართველოში ბევრი მოძულე შეიძინა ხოჯების, მოღებებისა და ბეგების სახით, რომლებიც ამ კუთხის გამოფხიზლებასა და მოძმე საქართველოსთან დაახლოებაში, თავიანთ აღსასრულს ხედავდნენ. ჰაიდარ აბაშიძის კრიტიკული წერილების გამო, ისინი არაერთხელ დასცემიან თავს „ბათუმის გაზეთის“ რედაქციას, სადაც მისი წერილები იბეჭდებოდა. მას სდევნიდა ნიკოლოზ მეორის მთავრობაც, რის გამოც 1914 წელს ქუთაისში გადავიდა, ხოლო 1916 წელს ჟანდარმერიამ გადაასახლა კიდეც.

ჰაიდარ აბაშიძე პირველი ქართველი მუსლიმანია, რომელიც საქმით და კალმით იბრძოდა საქართველოში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის. მიუხედავად სასტიკი დევნისა, მას არავის წინაშე ქედი არ მოუხრია და დღენი დაუცხრომლად იბრძოდა საქართველოს მთლიანობისათვის. 1916-1917 წლებში ჰაიდარ აბაშიძე გადასახლებული იყო ჭიათურაში

და იმალებოდა ნესტორ ვაშაძის სახლში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, იგი არჩეული იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად, აგრეთვე ამიერკავკასიის სეიმში და საქართველოს პარლამენტში. 1921 წლიდან საქართველოს გასაბჭოებამდე დამფუძნებელი კრების წევრი იყო.

ჰაიდარ აბაშიძე საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლიდან 1932 წლამდე მუშაობდა ჭიათურის შავი ქვის მრეწველობაში, თუმცა ავადმყოფობის გამო მუშაობა ვეღარ შეძლო და საცხოვრებლად თბილისში გადავიდა. აქტიურად თანამშრომლობდა აქ გამომავალ ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან და სიცოცხლის ბოლომდე იბრძოდა აჭარის, სრულიად საქართველოს უკეთესი მერმისისათვის.

რა უფლება გვაქვს პატივი არ მივაგოთ მკვლევარ ბატონ იოსებ იმედაშვილს, ვინაც ბევრ წყაროსთან ერთად, დაგვიტოვა ჯერ კიდევ 1940 წელს შედგენილი ნარკვევი, რომელიც ეფუძნება იმ პუბლიკაციებსა და ჰაიდარ აბაშიძის ნაღვანის მიმოხილვას, მასალას, რომელიც თავისი არსით მრავლისმთქმელია. ამაზე თავისი ნონადი სიტყვა პირველ რიგში აჭარაში მოღვაწე უცხოური ისტორიის მკვლევარებმა უნდა თქვან, რომელთაც ჩვენი მხარის უახლესი ისტორიის ანალიზი და შედგენაც მართებთ, სწორედ მათ ეკუთვნით სიტყვა და შეფასება, რომელიც ჩვენი მხარის ღირსეული შვილის, ბატონი ჰაიდარ აბაშიძის სახელის უკვდავყოფისთვის არის საჭირო.



გვანსუ კორტავა

ქართული არაკინო ეკრანიზაცია ანიმაციურ კინოში

ქართული ანიმაცია დღეს გასაჭირშია. უამრავი პრობლემა არსებობს, რომელიც დღემდე გადაუჭრელია. ეს მაშინ, როდესაც მსოფლიო ანიმაციაში აღმავლობა, ახალ-ახალი ფორმების, გამომსახველობითი საშუალებების ძიება შეინიშნება. ქართული ანიმაციური ფილმების მხოლოდ მცირე ნაწილის ნახვა დღეს ინტერნეტის საშუალებით არის შესაძლებელი და იშვიათად ტელევიზიითაც. მაგრამ ეს ძირითადად ის ანიმაციური ფილმებია, რომლებსაც მაყურებელი უკვე კარგად იცნობს. არ მახსენდება, რომ ბოლო დროს კინოთეატრებში ახალი ქართული ანიმაციური ფილმი ეჩვენებინათ. ერთგვარ გამონაკლისს ანიმაციური კინოს ფესტივალი „თოფუზი“ წარმოადგენს, სადაც უცხოურ ანიმაციურ ფილმებთან ერთად, ქართულ ფილმებსაც აჩვენებენ. საქართველოში დღეს არ არსებობს აქტიურად მოქმედი კინოსტუდიები, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ პატარ-პატარა კერძო ანიმაციურ სტუდიებს (ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს რამდენიმე დამოუკიდებელი სტუდია, როგორცაა: „სტუდია მიფასი“, „გფ მსტუდია“, ხულოში არსებული პატარა სტუდია, არასამთავრობო ორგანიზაცია „ნეოჯგუფი“ (რომლის მიზანია ქართული ანიმაციის განვითარება). არ გვაქვს საპროდიუსერო სკოლა. სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა ისეთი

ანიმაციური სტუდიის შექმნა, რომელიც ნიჭიერ მულტიპლიკატორებს ერთ გუნდად შეკრავს. ქართული პროდუქციის საზღვარგარეთის კინობაზარზე გატანაც მოსაწესრიგებელია. ეროვნული ანიმაციის განვითარებისა და წინსვლისთვის აუცილებელია მსოფლიო ასპარეზზე გამოჩენა, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი პროდუქციის მსოფლიო სივრცეში ინტეგრაციასა და უცხოელი ანიმატორების დაინტერესებას. სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ქართული ანიმაციისთვის მაყურებლის, ფაქტიურად, არარსებობა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, 2000 წლიდან, მიუხედავად უამრავი პრობლემისა, ქართველმა ანიმატორებმა მოახერხეს საკმაოდ სოლიდური რაოდენობის მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმების გადაღება, რომლებმაც დიდი წარმატება მოიპოვეს საერთაშორისო ასპარეზზე. საქართველოს კომპიუტერიზაციამ ამ მხრივ დიდი და სასარგებლო როლი ითამაშა ქართული ანიმაციის ამოქმედებასა და წინსვლაში. მან შეავსო აუცილებელი და არარსებული კინოსტუდიების სიცარიელე. ფაქტიურად, შეასრულა მინი მულტსტუდიის ფუნქცია. რაც შეეხება თანამედროვე ქართულ ანიმაციაში ქართული ნაწარმოების ეკრანიზაციის საკითხს, ის, ფაქტობრივად, არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ შემთხვევას. ამ კუთხით საყურადღებოა

2008 წელს პროდიუსერ ზურაბ დიასამიძის ხელმძღვანელობით სტუდია „მიფასში“ შექმნილი საბავშვო მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ლეგენდა ღვინოზე“, რომლის რეჟისორიც გახლავთ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, უამრავი ქართული ანიმაციის ავტორი, ბატონი ლადო სულაქველიძე. 2D-ანიმაცია „ლეგენდა ღვინოზე“ ქართული არაკის – თუ როგორ გაჩნდა ღვინო, მიხედვით გადაიღეს. აღნიშნული ანიმაცია ერთი მთხრობელის მიერ გადმოცემული ტექსტით შემოიფარგლება, რომელიც მიჰყვება ანიმაციას. ამჟამად შეინიშნება, რომ თავდაპირველად შეიქმნა ანიმაცია და შემდეგ დაედო მთხრობელის ხმა. საგნებისა და პერსონაჟების მოძრაობა, შეიძლება ითქვას, შეზღუდულია. თავად პერსონაჟები არ გადმოსცემენ სათქმელს. თანამედროვე ტექნოლოგია, რომელიც იძლევა საშუალებას პერსონაჟი უფრო რეალური მოგვარების და „განამდვილოს“, ფაქტობრივად, არ გამოყენებულა მოცემულ ანიმაციაში. ვიზუალური თხრობაც, რომელიც მაყურებელს უქმნის გამიჯნვის მომდევნო ქმედების მოლოდინს, სამწუხაროდ, არ შეინიშნება. პერსონაჟების სიმრავლესაც ვერ ვხედავთ. ხალხურ არაკში კაცი ღვინის დამზადებამდე ყურძნის წვენს ხალხს დააგემოვნებინებს და დარჩენილს კოკებში შეინახავს. ანიმაციის რეჟისორმა არ გვაჩვენა ყურძნის წვენით კმაყოფილი ადამიანები. შეამცირა პერსონაჟების რაოდენობა და მხოლოდ მთავარი მოქმედი გმირი დატოვა. არაკის მსგავსად სწორედ ამ პერსონაჟისაგან ვიგებთ ღვინის აღმოჩენისა და დამზადების საიდუმლოებას. მულტიფილმის მთავარი გმირი დასაწყისშივე გვამცნობს თავის ქართველობას. ჩვენთვის კარგად ნაცნობი ულვაში და უწყინარი სახის გამომეტყველება აქვს. ანიმატორებმა ღარიბი კაცის იმიჯი გამოსახეს გმირის ტანის მოცულობასა და საქმიანობაში. მამლის ყვილის ფონზე ვხედავთ თხელ მამაკაცს, რომელიც ფიზიკურად შრომობს. მისი ხელები, თითქოს, შრომისგან გაღებულა. უზარმაზარ ქვევს ეჭი-

დება, რათა კედელი ააშენოს. საყურადღებოა, რომ ტექსტის შექმნის დროს ავტორი ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ მნიშვნელოვან საკითხებზე, მის მიღმა არსებული საგნებითა და მოვლენებით არც მკითხველი ინტერესდება. ამბის ეკრანზე გადატანის დროს კინემატოგრაფისტებმა, გარდა ცენტრალური საგნებისა და მოვლენებისა, თითქოს უმნიშვნელო დეტალებიც უნდა გამოსახონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვერ ვნახავთ დასრულებულ კომპოზიციას. თან ეს ისე უნდა გაკეთდეს, რომ მთავარმა გმირმა ან მოვლენამ არ დაკარგოს მნიშვნელობა. არაკში არაფერია ნათქვამი მშენებლობაზე, ეს ანიმაციის რეჟისორმა დაამატა. ჩემი აზრით, ამგვარი გადაწყვეტით ხაზი გაესვა მთავარი გმირის შრომისმოყვარეობას. ანიმატორებს ეკუთვნით ასევე უკანა ფონი – ლურჯისა და მწვანე ფერის, ერთი შეხედვით, მარტივი კომბინაცია, რომელიც მონმენდილი ცისა და აბიზინებული მდელის გასაოცარ შთაბეჭდილებას ქმნის. ფონი მოკლებულია ყოველგვარ სხვა დეტალს, რაც, ვფიქრობ, ცენტრალურ ფიგურად აქცევს ღარიბ კაცს. წამით ვხედავთ მამალს, ღორსა და კონტურული ნახატივით შესრულებულ მგალობელ ფრინველს, რომლებიც სოფელში გვარძნობინებენ თავს. ჩიტი მადიანად კენკავს ყურძნის კეკლებს. ამ დროს მთხრობელი იწყებს ყურძნის, როგორც კულტურული ძეგლის, თვისების შემთხვევით აღმოჩენის ისტორიის თხრობას. კადრში ვხედავთ ღარიბ კაცს, რომელიც ვაზის ნერგს რგავს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ ანიმაციის პერსონაჟის ტანი არ ჰგავს ადამიანის აგებულებას. ის ბოძივით სწორია, არც მუცელი, არც მკერდი, არც კისერი არ ამშვენებს მას და მაინც წმინდა ადამიანურობის განცდას იწვევს მაყურებელში. შემქმნელებმა მოახერხეს ტექნოლოგიების აყვავების ეპოქაში, უბრალო შტრიხებით ისე გამოესახათ პერსონაჟი, რომ არ დაკარგულიყო, მისი ხიბლი. ღარიბი კაცის უსაშველოდ გრძელი და სუსტი ხელები და ნაკლებად მოქნილი ტანი, საოცარ სითბოსა და სიყვარულს იწვევს. მაყურებელი, თითქოს, პატივისცემის გრძნობით ივსება. საინტერესოა ასევე

ყურძნის დანურვის ეპიზოდი, რომელიც ქართული მელოდიისა და დოლის ფონზე მიმდინარებს. აღნიშნული ეპიზოდი ყველაზე დინამიკურია ფილმში. მთავარი გმირიც – უფრო მოქნილი და მხიარული. ის ქართული ცეკვის ილეთებს იყენებს ყურძნის დანურვისას. ანიმატორების ჩანაფიქრმა გაამართლა. არაკში არაფერია ნათქვამი დანურვის პროცესზე, თუმცა ფილმის შემქმნელებმა მთავარი გმირის ეროვნულობის წინ წამოწვევის მიზნით, შთამბეჭდავად გამოიყენეს ქართული მუსიკა და ქორეოგრაფიული ელემენტები. ამით გამოიკვეთა არა მხოლოდ გმირის ქართველობა, არამედ ღვინის დამზადების პროცესში ქართული სულის არსებობა და აუცილებლობა. ღარიბი კაცი ოსტატურად ამოძრავებს ხელებს, რომელიც უდავოდ ქართული ნაციონალური ცეკვის გამოსახულებაა. მისი სახე, თითქოს მომღიმარია, გაბადრულია. მიუხედავად იმისა, რომ ტუჩიც არ აქვს, მთავარი გმირის ემოციებს ზუსტად გამოსახავს მისი, უამრავ დეტალს მოკლებული სახე. ყოველივე ამას ყურძნის ჭყლეტის ხმა ემატება, რომელიც უფრო რეალურს ხდის პროცესს. სიძველის ეფექტს გვიქმნის ყურძნის წვენის შესანახად გამოყენებული გოგრები, რომლებიც არაკში კოკებით მოიხსენიება. აღსანიშნავია, ყურძნის მტევანი და კაშკაშა მზე, რომლებიც ბავშვის ნახატსაც კი წააგავს. ვფიქრობ, მათი ამგვარი გამოსახვა უფრო ზღაპრულს ხდის სურათს. მთლიანად ანიმაცია გადანყვეტილია საოცრად ნათელ და მკვეთრ ფერებში. ყვითელი, მწვანე, ცისფერი, იისფერი და კიდევ უამრავი ლამაზი ფერი ქმნის თბილ და მშვიდ განწყობას. ახალ ინფორმაციას ხალისიანად და მშვიდად ვიღებთ. ანიმაციის ყველაზე რეალური კადრი, რომელიც ყველაზე უფრო ახლოსაა ნამდვილთან, არის ყურძნის ფოთლების შრიალი. ჩემი აზრით, ის აშკარად წააგავს ნამდვილი ფოთლების შრიალს. არაკის

პერსონაჟები სადღეგრძელოებით გვიყვებიან ღვინის თვისებების შესახებ, რომლის სხვადასხვა რაოდენობის მიღების შემთხვევაში სხვადასხვანაირად მოქმედებს მსმელზე. ეკრანიზაციაში მარტივი და ლოგიკური გადანყვეტა იპოვეს ანიმატორებმა. ღვინის შესმის შემდეგ მთავარი გმირის სახე წითლდება, ბუღბუღი ერთ ჭიქას სვამს და გალობას იწყებს, მამალი ცოტა მეტს მიიღებს და იფოფრება, მსუნაგი ღორი კი ყველას შესვამს და ტალახში ამოისვრება. სწორად მიგნებულმა გამომსახველობითმა ხერხმა შესანიშნავად გადმოგვცა სათქმელი. არაკში ნახსენებია მელია, რომელიც ანიმატორებმა არ გამოიყენეს. ვფიქრობ, არც ეს უნდა იყოს შემთხვევითი. ზღაპრებში მელია ცბიერების სიმბოლოა. მისი თვისება უფრო ტყუილთან ასოცირდება. ამიტომ, ვფიქრობ, ანიმატორებმა სწორად ჩაანაცვლეს მელიას კაცი. ადამიანზე ღვინო (როცა ზედმეტს სვამს), სწორედ ასე მოქმედებს და უფრო მართებული იქნებოდა მთავარი გმირის სახით ეჩვენებინათ ღვინის ეს თვისება.

ჩემი აზრით, ეს მოკლემეტრაჟიანი და თითქოს ძალიან მარტივად შესრულებული ანიმაცია უსაზღვროდ მრავლისმთქმელი და წმინდა ეროვნული შტრიხების მატარებელია, რომელიც ყველას ამცნობს ჩვენს კულტურასა და ისტორიას. რამდენიმე წუთიან ანიმაციაში მკვეთრად ჩანს ქართული სული. ლადო სულაქველიძის მიერ გადაღებული „ლეგენდა ღვინოზე“ ქართული თემატიკით გაჯერებული ფილმია. ღარიბი კაცი კი შთამბეჭდავი სახეა ქართველი კაცისა. ვფიქრობ, გმირის ტრანსფერი ზღაპრიდან ანიმაციაში შედგა. მან შეინარჩუნა ზღაპრის იდეური მოტივები და ცალკეული დეტალები საკუთარი ფანტაზიით გაამდიდრა. კარგი იქნება თუ თანამედროვე რეჟისორები და სცენარისტები სწორედ ქართული თემატიკით დაინტერესდებიან და შექმნიან ჭეშმარიტად ქართულ სახეებს.



მამია ფაღავა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიცია 2018 წლის 27 ივლისიდან 12 აგვისტომდე მუშაობდა ჭოროხის ხეობაში, ისტორიულ ტაოში დიალექტოლოგიური, ფოლკლორული, ეთნოლოგიური და არქეოლოგიური მასალების შესაგროვებლად.

ექსპედიციის ყოველდღიური საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს პროფესორი მამია ფაღავა

ექსპედიციის დღიურები

27 ივლისი, პარასკევი. დილით, „აუცილებელი“ ექსპედიციის წინა რიტუალის გავლის შემდეგ, საქართველო-თურქეთის სარფის საბაჟოზე წავედით. დაიწყო წლებანდელი კომპლექსური ექსპედიცია – „ტაო – 2018“.

წელსაც ექსპედიცია ორ ეტაპად ჩატარდება:

1. 27 ივლისიდან – 3 აგვისტომდე ფოლკლორულ, დიალექტოლოგიურ, ონომასტიკურ და ეთნოლოგიურ მასალებს შევაგროვებთ მექართულე ტაოში, კერძოდ:

პროფესორი თინა შიოშვილი და პროფესორი რამაზ ხალვაში – ფოლკლორული მასალების შესაგროვებლად იმუშავენ;

პროფესორი მამია ფაღავა და ასოცირებული პროფესორი მამია ბარამიძე – დიალექტოლოგიური და ონომასტიკური მასალების;

პროფესორი ნუგზარ მგელაძე, მალხაზ ჩოხარაძე და ჯემალ მიქელაძე – ეთნოლოგიური მასალების;

ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ მაგისტრი ნონა ნიქაბაძე (თურქული ენის

სპეციალისტი) და სკოლის მონაწილე ნატა ჩხარტიშვილი.

2. 3-12 აგვისტოს ტაოს მატერიალური კულტურის ძეგლების შესასწავლად და ეთნოლოგიური მასალების შესაგროვებლად ვიმუშავეთ: პროფესორი მამია ფაღავა, პროფესორი მალხაზ ჩოხარაძე, პროფესორი ნუგზარ მგელაძე, პროფესორი რამაზ ხალვაში, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში და ასოცირებული პროფესორი ზაზა შაშიკაძე.

ექსპედიციაში მონაწილე გვყავს არქეოლოგი ჯიმშერ ჩხვიმიანი.

აღვნიშნავ, რომ დღეს ჩვენთან ერთად ვერ მოდის მამია ბარამიძე. 30 ივლისს ქალბატონი მერი ცინცაძის, მისი დედის, გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეა, ამიტომაც მოგვიანებით, 31 ივლისს, შემოგვიერთდება იგი.

გზა მშვიდად გავიარეთ, შუადღის 4 საათზე უკვე იუსუფელში ვიყავით. ქალაქში გავიარეთ, ზოგიერთი აუცილებელი ნივთი შევიძინეთ და ხვეკეში წავედით, ელიასხევის ზემო სოფელში,

სადაც სასტუმრო „მასისში“ დავბინავდით. აქ ვიცხოვრებთ ექსპედიციის პირველი ეტაპის განმავლობაში.

გზისპირას, მცირე მერეზე, აუშენებია სასტუმრო მევლუდ დოლენჯაშვილს/დოლენჯოლის /დოლენჯიანს, ახლა ბათმაზს: მარცხნიდან მდინარე ჩაუდის „მასისს“, რომელიც ორად ჰყოფს სოფელს. აქ მდინარეს ხევაჟს წყალს ეძახიან, ზემოთ – ქვაბაჟს წყალს//ქვაბაჟს ღელეს, ქვემოთ – ელიასხევს. ჩვეულებრივ მდინარე იმ სოფლის სახელს ატარებს, რომელსაც ჩამოუდის. და კიდევ, ხსენებულ მდინარეს ჭოროხსაც ეძახიან აქაური ტაოელები, ჭოროხს ეძახიან – პარხლისწყალსაც, საკუთრივ ჭოროხსაც, სხვები სპერის მდინარეს რომ ეძახიან... ზოგადად ყველა მოზრდილ თუ დიდ მდინარეს ჭოროხს უწოდებენ. ბარემ ვიტყვი, რომ ჭოროხს ეძახიან მუჰაჯირი მარადიდლები ნურუოსმანიეს გვერდით ჩამომავალ მდინარეს მშობლიური ჭოროხის სახსოვრად...

ჭოროხი დიდი წყალია ტაოელის თვალთახედვით.

დილიდან გველოდებოდნენ სასტუმროს მეპატრონე მევლუდ ბათმაზი და მისი მეუღლე ნურსელი ჭედლიანი (ჭედლიშვილი). სიხარულით შეგვხვდნენ მასპინძლები: დავაბინავეს, გავახშმეს... შუქის მოსვლას ველოდებით. ელექტროსადენებსა და ბოძებს ცვლიან ხეობაში, ამიტომაც დღისით ითიშება დენი, სალამოს რვისთვის გვექნებაო შუქი, – გვეუბნება მევლუდი.

სასტუმროს ეზოში გავედით შეკრებილ ხევეკელებთან თუ მეზობელ სოფლელებთან სასაუბროდ. მევლუდი მეზობლებს ამცნობს: სტუმრები ჩამოვიდნენ – ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორებიო... ღიმილით გვხვდებიან ტაოელები. ვიმედოვნებთ, რომ ცნობისმოყვარე ხევაელები და მათი მეზობელი სოფლების მკვიდრნი, იეთლები თუ ქვაბაელები, ბალხელები თუ ბალხიბარელები, სხვებიც, სალამოობით მოიყრიან თავს „მასისში“ და მათგან მოვისმენთ ჩვენთვის საინტერესო ამბებს.

ღღეს დაუგვიანდათ ელექტრობის ჩართვა, შესაბამისად, გვიან განათდა სასტუმრო. შუა-

ღამე გადასული იყო, საძინებელ ოთახებში რომ ავედით.

დალილებს მალე ჩაგვეძინა.

28 ივლისი, შაბათი. ვისაუზმეთ. სასტუმროს ეზოში გამოვედით. მშვენიერი ამინდია. ქვაბაიში გადავწყვიტეთ წასვლა, აქედან დავიწყებთ პირველ სამუშაო დღეს. მანქანაში ჩავსხედით. დღეს პირველადაა ველზე ნატა, ქნი თინას შვილიშვილი. ბებია არიგებს, უფრო ინფორმატიკორთან მუშაობას ასწავლის, კითხვებს ურჩევს, წვრთნის. ნატა მოთმინებით უსმენს ბებოს, თან გარემოს ათვალეირებს ხარბად...

ქობაის გაღმა მანქანა გავაჩერეთ, აქედან გვსურს, ფოტო გადავუღოთ მთის ფერდობებზე შეფენილ სოფელს. ქალბატონი მოდის გზაზე, თივა მოაქვს. აქაური ორლობის ტიპური სურათია: ხშირად შეხვდებით ქალებს გოდრითა თუ სხვა ტვირთით მიმავალს. მახსენდება ერთი შენუხებული შავშის ნათქვამი: „ჩვენთან გოდრის მოკიდვას, ბევრი საქმე გვაქვსო“. და რაც ნიშანდობლივია, გოდრითა თუ ხელედიტ ქალები გვხვდებიან უმეტესად. მალხაზმა ფოტოაპარატი გამართა, სურს გადაიღოს, კიდევ როდის ნახავს ასეთ კადრს, „ვინ იცის, რაში დაჭირდება“. სურათებს იღებენ ექსპედიციის სხვა წევრებიც: ვინ ფოტოაპარატით, ვინ ტელეფონით, ვინაც კიდევ ვიდეოკამერით. მხოლოდ მე არ ვიღებ ფოტოს და ტარიელი... ბოლოს მთელმა ექსპედიციამ გადავიღეთ სურათი ქვაბაის ფონზე.

ოცდაათამდე ქოხი ჩანს ქვაბაიში სამ ტერასაზე.

ქვაბაა//ქობაა//ქობაა კარი//ქვაბაგი//ქუაბაქი – დასახელებულ ხუთივე ფორმას გაიგონებთ მექართულე ტაოში. ჩვენც თხრობისას სხვადასხვა ფორმას გამოვიყენებთ. ბარემ ვიტყვი, რომ სახელის ძირი ჩანს **ქვაბ’ი**, **ქობ’** კიდევ მისი ვარიანტია: **ვააო’ს** ფონეტიკური გარდაქმნით. დასახელებული ბგერათცვლილება დაშვებულია ქართულში: **გვარი>გორი**, **ცხვარი>ცხორი**, **კვამლი>კომლი**, **თვალი>თოლი**...

ქვაბაიში ავედით. გზის ქვეშ, ქოხის კარში, შუა ხნის მამაკაცი იჯდა. მივედით, მივესალმეთ.

კარგად ვიცნობთ ამ სოფელს, არაერთხელ ვყოფილვართ, ვიცნობთ ჰუსეინ (ისე სჯობს: ხუსეინ, – ქართული ხმოვანებაა და იმიტომ, ქვემოთ ხუსეინს დავწერთ) ალჩინსაც, ახლანდელ რესპონდენტს.

– როგორ ხარ? – მოვიკითხეთ ხუსეინი.

– **ახლა კაე ვარა! ავადველი ვიყავ...**

გულის ოპერაცია გაუკეთებია ხუსეინს სტამბულში, ახლა ისვენებს, ჭრილობებს იშუშებს.

საუბარში მეზობელი მოვიდა, იაშარ ჩელიქი, ჩვენი ძველი ნაცნობი. ხუსეინი მოიკითხა.

– **ემელიათი ხარა თუ? რამდენი წლის ემექლი ხარ?**

– **ემექლი ვარ, ათ და ორი წელი გევდა.**

– ჩვენი ქალბატონები მაღლა კარზე მივიდნენ, ხომ დაელაპარაკებიან ქართულად? – ვეკითხები მასპინძლებს.

– **დასხნენ, დელაპარაკებენ. ჩემგან გაცხვირულია, არ მეხვარათება!** – ამბობს მეზობელზე იაშარი.

გაცხვირული: – აქ: ნანყენი, უბრად მყოფი. მდრ. აჭარული: ცხვირი აქ გაშვერილი.

– გაღმა აგრები იყო, რატომ აღარაა? – ვეკითხულობ ქვაბაის გაღმა აილებს.

– **აგრები დეხრაკა, დეანვა.**

ხუსეინი მოგვითხრობს რაღაცას, უჭირს საუბარი, ჩვენც გვიძნელდება მისი გაგება.

– **აგრობაში გვევდითო, იმა ხვართობს,** – გვიხსნის იაშარი.

ამბავს მოგვითხრობს ხუსეინი, ძველ ამბავს, „ფერის გოგოსა“ და ფერიანების „გვარის“ შესახებ.

„ტარალი“ ახსენა მთხრობელმა.

– „ტარალი“ რა თქმაა-მეთქი, მოვუქციე ტაოურად.

ტარალი? თმა დეგებს, იმა... იმა ქვია ტარალი. დეემწყდა, გათავდა ესა.

ერთ ფრაზაში რამდენიმე ფაქტმა მიიქცია ყურადღება:

თმის დაგება – დავარცხნა;

დამწყდება – დასრულება.

ორივე სიახლეა ჩემთვის. რაც მეტს ვაკვირდები ტაოელთა ქართულს, მით უფრო მეტ სი-

ახლეს ვპოულობ. ამოუნურავია ცოცხალი მეტყველება. შესაძლებელია, ფონეტიკური თუ გრამატიკული სისტემა მეტ-ნაკლები სისრულით აღინეროს, სიტყვანარმოების მექანიზმი და შესაძლებლობებიც, მაგრამ ლექსიკა ამოუნურავია; ამიტომაც არ არსებობს ენისა თუ დიალექტის სრულყოფილი ლექსიკონი...

დავუბრუნდეთ ხუსეინ ქვაბაელთან საუბარს.

ტაოელის ეზოში ჩვეულებრივია საქონლის ნეხვის გაფენა, რაც გარკვეულ დისკომფორტს უქმნის ოჯახს: ბუზები, სუნი...

– რატომ ფენთ ეზოში ნეხვს? გამხმარ ნაკელს სანვავად ხომ არ იყენებთ-მეთქი? – ვეკითხები იაშარს.

– **სანვავად არა, ჩვენ ქარქაშს ვწვავთა. ამა ვახმობ, ჭალებში მიმაქ, ქართოლზე ვაყრით, თეთრი ქართოლი იჯება...**

აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! როგორც წესი, ჭალები და ყანები დასახლების, სოფლის გარეთაა. გამხმარი სასუქის ტრანსპორტირება კი გაცილებით იოლია; იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ გადაზიდვა ზურგით ხდება უმეტესად...

– ეს რაა? – ვეკითხები ხუსეინს.

– **ცერცვი, ჩემმა ქალმა მოიტანა, ცერცვია. ვხარჩავთ, ვჭამთა: ტეხავ იმა [პარკს], შიგანა ილეფ, გარეა – არა, გარეა [ჩენჩო] ძროხებთვინ, მოხხარჩავთ, ვჭამთა. მარილს შიან ჩახყრი, ადულდება მი, შეჭყამ. ასლიდან ხუნდურია და, ცერცვ ხუნდურ ეტყვიან, ლეზუსაც აანი და. ვტეხავთ, შაჭმელ ვიჯებით, ვჭამთა.**

– წინათ, გარდა ცერცვისა, ხუნდურისა, რას დათესავდით?

– **წინდანინ? ქერი, დიკა... იმა წისქვილში გამოვფქვავთ, იმა ვჭამთა.**

– ყანებს რით ამუშავებდით, ხელით თესავდით თუ...

– **ჭარებით ვთესიდით ყანებსა. ჭარები გათავდა, აღარ არიან ჭარები, ქომოთებში არიან.**

– პურს სახლში აცხობდით წინათ, თონეებიც (ფურუნებიც) გქონდათ ალბათ...

– კეცები იყო წინდანინ, მინიდან აშენებულნი, თიხადან, ახლა სობა გამოვდა, იმაში ვაცხოვრებ, დუქანში ვვლავ.

ხუსეინი და მთელი ქვაბაეც, საუბარში გამოიყენებს ჳ'ს, რომელიც უკვე მიღებულია, ხშირად მას ცვლის ხ', მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ: ჳ ცოცხალი ბგერაა ტაოურში, თუმცა მას აღარ აქვს სიტყვადგანმასხვავებელი, დისტინქტური ფუქცია.

ქვაბაელთა მეტყველებაში ასევე შეინიშნება ხ და ჰ ზმნური პრეფიქსების მონაცვლეობა: ჩახყრი, მაგრამ შეჰჭამ.

ყურადღებას მივაქცევ ზოგიერთ ლექსიკურ ერთეულსაც:

ხუნდური – ცერცვი,

ქარქაში – ხმელი. შდრ. აჭარული – გაქარქაშული – გამომშრალი,

აშენებული – აქ: გაკეთებული.

საუბრის თემას ცვლი, ვატყობ, რესპონდენტიც იღლება, უჭირს... ამიტომაც იქვე მჯდომ იაშარს ვეკითხები:

– მზე აქედან ამოდის ხომ? – ვუთითებ სოფლის აღმოსავლეთით მთებს.

– **აქემენი მოვა ჰო, მზე. ზე მოვა, ზე ჩავა! ჩავა ქომოლ!** – ხელით მაჩვენებს მზის ჩასვლის ადგილს.

იაშარი გამოიყენებს ფორმებს: **მზე/ზე**. თავკიდეურა მ'ს დაკარგვა დამახასიათებელია ტაოურისათვის.

აქამენი – აქ: აქედან//აქედამ.

ქომოლ – აქ: ქომოთ, ქვემოთ.

– იაშარ ბატონო, ღრუბელი რომ გამოჩნდება, რას იტყვით?

– **უნდა განვიმდეს, ჰავა მოშლილიაო, ვიტყვით. ჰავა გამოჩნდება – გამეადარაო. დუმანი მოხდაო, ვიტყვით კიდევ.**

ჰავა მოშლილია – ამინდი მოშლილია,

ჰავა გამოჩნდება – აქ: ცა გამოჩნდება.

დუმანი – ნისლი.

– იაშარ, ზემო უბანს რას ეძახით?

– **ნაბიანი, ზომიელე** (შდრ. ზომომე[ჰ]ელე), **აინიანი** – გაღმა მთა.

– იაშარ, შარშან ქვაბაეში მოგვიყვინ რუსების მოსვლის ამბავი: აქ რუსები რომ მოსულან, „გაღმა კამანდარი“ რომ მჯდარა...

– [რუსებს – მ.ფ.] **ქომოთობაში ქალები უკლიან... აქ მონიფულეტან, ქალებთან ჯელი არ ურევიან. აქ მუსლიმანი კამანდრები დამყდარან, მურღული თერეფიდამ მოსულან. აქ ჯელი არ ურევიან. დიდი კაცები შენუსულან ქი. თქვენ ჩვენი სახლიდან ხართო და ხელი არ ურევიან ვინმესთვინ... პატინაღ ღარჭებისთვინ შექერი მუციან, შოკოლადი. ქომოთობაში, არმენ ხევეკში, ძუძუებში მუხები უსიან, იქოვრობაში ერმენები ყოფილან, ხრისტიანები, იქ უქნიან: ღენჭები უყლარჭიან, გურჯი მიღეთიზა ჯელი არ ურევიან.**

წინაზე ბოვრი ტყევენარი ყოფილა, უჭრიან, ასე ქნილა... მოსულან, დამყდარან აქავობაში. დევლეთმა არ გვიპუოსო, აქ დამალულან. ძველი კანკები//კონკები ჩუუტანიან ქალებს, არ გვიცნონო, ბებერები ვეგონოთო, ჩუუცმიან.

მართალია, ეპიზოდური, მაგრამ მძიმე ისტორია მოგვითხრო იაშარ ჩელიქმა, სისხლიანი. ამ ისტორიაში რამდენიმე ფაქტმა მიიქცია ყურადღება:

– **კომანდრები//კამანდრები** მუსლიმანები ყოფილან, მუსლიმან კომანდრებს კი გურჯებისთვინ „ხელი არ ურევიან, ჩვენი სისხლიდან ხართო“.

– ქომოთობაში, არმენ ხევეკში ცუდი საქმეები უკეთებიან იმიტომ, რომ იქ ერმენები ყოფილან, ხრისტიანები.

მკითხველის ყურადღებას მივაქცევ ერთ გარემოებას: აქაურთა გაგებით, ხრისტიანი და ერმენი ხშირად სინონიმური მცნებებია. გურჯი მიღეთი კიდევ – მუსლიმანი გურჯია. ამიტომაც, ერმენებთან, ხრისტიანებთან საშინელებები ქნეს რუსებმა, გურჯი მიღეთი კიდევ – დაინდეს.

ყურადღებას იქცევს ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობაც:

ქომოთობა – ქვემო უბანი.

ხელის რევა – ხელის ხლება.

დიდი კაცები – უფროსი კაცები, უფროსები.

შექერი – აქ: ტკბილეული.

მუხი – ლურსმანი (იცის ყველა სამხრულმა დიალექტმა).

ყლარჭვა – მოხრჩობა, დახრჩობა.

იაშარის მეტყველებაში შევნიშნეთ –**ზა–თვის** თანდებულის მნიშვნელობით, რაც არა მხოლოდ ტაოურისათვის არის დამახასიათებელი.

ვცდილობ, დავაზუსტო ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი, ვკითხულობ ყველა ინფორმაციორთან, ვეკითხები იაშარსა და ხუსეინსაც:

– **ბარდიეთი, გაღმა თარაფი ბარდიეთი.**

სახაზო ქომოთა ადგილი, ზომოთა – ქეთ-ქეთი.

(1)**ძველი აგარა** – იმი ზომოთა, ჰალა არი ძველი აგრები.

(2)**ნეკნარი** – ლეკნარი.

(3) **ბასლიან დუზი** – ბალხიდან მოსულან ბასლიანდუზში.

უკანა მთა.

(4)**წალიკვანი** – წალი ბუქი, სიცივე, იქიდან მუა (ინფორმაციორის განმარტება – ავტ.).

ბოზალთი – ბოძალთი(?)

ჯარი ათალი შდრ. ხარი სანოლი.

(5)**საჯუნდარი** – ისის ჯარი ათალი იყო, იქ უწვენიან მეცხვერებს ჯარები.

სიკლია ტყე – ერთ ტყეა, ავ...

შემდეგ კომენტარის გარეშე ჩამოთვალა რამდენიმე გეოგრაფიული სახელი:

ახოს წვერი (შდრ. *ახოს თავი),

(6)**მურუდა** (შდრ. მრუდე),

(7)**ქვაბელეთი** (შდრ. ქვაბელი),

დიდვაკე,

გოლფარალი,

კილდიათი,

(8)**კევნარი** (ტყე),

სამარილე,

ბარდიეთი (ტყე),

(9)**დალენილი კატრები,**

კალოვნარი – ჯარებ ვამუშავებდით, ვლენი-დით... ახლა გათავდა, აღარ არი.

ჩანართი: აუცილებლად ვთვლით, რამდენიმე განმარტება გავაკეთოთ დასახელებული ტოპონიმების შესახებ.

(1)**ძველი აგარა** – აქ საზაფხულო სახლი: „ჰალა არი ძველი აგრები“. შდრ. საბა: სადგურ-ი საზაფხულო.

(2)**ნეკნარი** – ლეკნარი. ლეკი იგივეა, რაც ლეკმაკერჩხი, ქორაფი¹ შდრ. ძელქვა (ფშ., ხევს., ლეჩხ.), ლეკი (ზმ. იმ.)².

(3)**ბასლიანდუზი** – ბასლიანების მინდორი.

(4)**წალიკვანი** (<წალიკოვანი) – ადგილია, სადაც წალიკა იზრდება. წალიკა კიდეც წყლის მატიტელა ან ბაიაა³.

(5)**საჯუნდარი** – ძირია ჯუნდ', რომელსაც რამდენიმე მნიშვნელობა აქვს და რომელთაგან ერთს დასახელებული სახელური ფუძე უნდა უკავშირდებოდეს:

ა. დიდი ნადირის დასაჭერი მახე (შდრ. ადგილი, სადაც ნადირს მახეს უგებდნენ);

ბ. მტრედის ბარტყი⁴.

ვფიქრობთ, **საჯუნდარი** უკავშირდება პირველ მნიშვნელობას: ადგილი, სადაც ნადირს მახეს უგებდნენ.

და რაც მთავარია: დღეს მექართულე ტაოში არავინ იცის **ჯუნდის/ხუნდის** მნიშვნელობა.

(6)**მურუდა** <მრუდა (შდრ. მრუდე).

(7)**ქვაბელეთი** – ქვაბელ–ეთ–ი. ქვაბელი წარმომავლობის სახელია, ქვაბელეთი კიდეც მისი სახელეულის საცხოვრისი.

(8)**კევნარი** – შდრ. კევის ხე, სალსალაჯი (ქართლ. კხ.), საკმლის ხე, მარიამ საკმელა⁵. ადგილი, სადაც კევის ხე ხარობს.

(9)**დალენილი კატრები** – გარკვეული ბუნებრივი კატაკლიზმის თუ ეკოლოგიური კატასტროფის აღმნიშვნელი საგეოგრაფიო სახელია.

¹ შ. ნიუარაძე, „ქართული ენის აჭარული დიალექტი“, ლექსიკა, ბათუმი, 1971.

² ა. მაყაშვილი, „ბოტანიკური ლექსიკონი“, თბ. 1991.

³ შ. ნიუარაძე, დასახ. ნაშრ.

⁴ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, 8 ტომად, არნ. ჩიქობავას რედაქციით, თბ. 1950-1964, ტ. VIII.

⁵ ა. მაყაშვილი, დასახ. ნაშრ.

ვატყობ, გადავღალეთ ხუსეინი. დავემშვიდობეთ. იაშარმა სიგარეტი მომთხოვა. მანქანაში მაქვს-მეთქი და გზაზე ავედი მასთან ერთად. ერთი კოლოფი „ვინსტონი“ მივეცი და გზის ზემოთ ქოხში შევედი. აივანზე სამი მამაკაცი საუბრობდა. გავიცანი: თალეთ და აბდი ქოჩაქები, მესამემ, ასაკით უფროსმა, სახელი არ მითხრა (ჩანს, არ ჩათვალა საჭიროდ). მოხუცი შედარებით კარგად ლაპარაკობდა ქართულად, მაგრამ ლაპარაკი უჭირდა, ჩანს, შეუძლოდ იყო. თალეთსა და აბდის კი უჭირთ ქართული, ქალაქში ცხოვრობენ, ბურსაში, სადაც თურქულად ლაპარაკობენ მხოლოდ, ახლა სტუმრად არიან ჩამოსული, ამიტომაც პასიური მატარებლები არიან წინაპართა ენისა. ჩვენი აქ ყოფნაა მიზეზი, რომ ცდილობენ, იხვარათონ ქართულად, თუმცა დაწყებულ აზრს, უფრო წინადადებას, ქართულად ვერ ამთავრებენ, თუქულს იშველიებენ...

– ქვაბაჲს ლაღაბები მასწავლეთ-მეთქი, ვთხოვე შეკრებილებს. ერთმანეთს ეშველებიან მასპინძლები და მკარნახობენ:

ოსმანოღლი, ფეჩენები, დაღულაჲ, რაზოები, მუსტაფოღლი, ხოჯიოღლი, თონოღლი, უსტაღოღლი, ფეჩიოღლი, მუჰერემოღლი, მერეგოღლი, მემედაღოღლი, ჯიღოღლი, დევირიშოღლი...

მეტს ვერ იხსენებენ, ნუხან, ამდენი ვიცითო, თავს იმართლებენ.

– საკმარისია, თუ კიდევ გაიხსენებთ, ჩამანერინეთ-მეთქი, – ვუთხრები მე.

ერთმანეთში გააგრძელეს საუბარი თურქულ-ქართულად. ქართულს უფრო ჩემს გასაგონად გამოურევენ, სტუმარმა უხერხულად რომ არ ვიგრძნო თავი, იმიტომ. მოდი ვთქვათ, ჩემი მასპინძლების (და არა მარტო) საურთიერთო ენა თურქულია, წინაპართა ენა მეტ-ნაკლებად იციან, მაგრამ ნაკლებად იყენებენ.

ვუყურებ ჩანერიღ ლაღაბებს: ჩანს, **ფეჩენები და ფეჩიოღლი** (შდრ. **ფეჩიანი**) ერთი და იგივეა, პირველი ქართულადაა გაფორმებული, მეორე – თურქულად.

დაღულაჲ – კნინობითი სახელია (შდრ. ბაბულაჲ, ნენულაჲ...).

სახელდების თვალსაზრისით ჩემს ყურადღებას იქცევს **რაზოები(?)**, **მერეგოღლი**, **ჯიღოღლი**, განსაკუთრებით ბოლო ორი, რომლებშიც გამოიყოფა, შესაბამისად, **მერეგი** და **ჯიღა**. ნუთუ ადამიანის მეტსახელებია **მერეგი** და **ჯიღა**? თუმცა რატომაც არა. სახელდებისათვის სახელმდებელმა გამოიყენა პიროვნების კავშირი დასახელებულ სახელებთან და შექმნა **სახელმეტაჲ** (ასე ეძახიან ტაოში მეტსახელს).

– **ის ამხანაგიც თქვენიდამ არი?** – მეკითხება მოხუცი.

– დიახ, ჩვენიდან არი, ჩვენი არაბაჲს უსტაა.

– **უთხარი, ამოვდეს, ჩაი სვას. როჲს მოხველით აქა?**

– გუშინ ჩამოვედით ბათუმიდან.

– **რამდენ საათზე მოხველით?**

– არაბაჲთ ოთხი საათი დაგვჭირდა!

– **აქიდამ [ფეხით] ონ ბეშ, ონ ალთი საათზე ჩევდოდეს, აქიდამ გედეარდეს** (არქაბისაკენ მითითებს – ავტ.), **იქ ჩევდოდეს. თეფევენარია აქა, თქვენი სოფლის თევენარი ჩანს**, – მეუბნება მოხუცი.

ვგრძნობ, ჩემთვის საინტერესო ინფორმაციის მატარებელია მოხუცი ქვაბაელი. გზადაგზა გარკვეულ ეპიზოდებს იხსენებს და მომითხრობს.

მოულოდნელად საქართველოს პოლიტიკური ვითარებით დაინტერესდნენ ინფორმატორები:

– **ახლა თქვენ ცალკე ჰუქუმათი ხართ, გურჯისტან ჰუქუმათი?**

– ასეა, მალე ოცდაათი წელი იქნება, საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა!

– **ცალკე ჰუქუმეთი კაჲა!**

– **მურღულ მისული ხარა? მურღულ ელექტრიკი რუსმა გააკეთა**, – მეუბნება მოხუცი.

ძველ ამბავს იხსენებს მასპინძელი, თუმცა უფრო ცდილობს, გაიხსენოს.

– მურღულში ბევრჯერ ვყოფილვარ, თითქმის ყველა სოფელში მივედი...

მსურს მურღულის შესახებ მომითხროს რამე, ახალგაზრდობის შთაბეჭდილებები გამოზიაროს, მაგრამ ვერ ახერხებს ინფორმატორი.

– ნინინ მურღულს რა ერქვა? მურღული// მურგული ახალია, შქერის ყვავილიო, „ი თქმა-ია“. ზათინდელი სახელი იცით? – ვეკითხები მე.

– მურღული ვიცი, სხვა არ ვიცი, შენ იცი?

– ვიცი, ჭინკათხევი ერქვა, მურღული ოსმა-ლებმა დაარქვეს.

არაფერი გამოვიდა ჩვენი ცდიდან, ვერაფერი გაიხსენა მურღულის შესახებ, რასთანაც მისი ახალგაზრდობაა დაკავშირებული; იძულებული ვარ საუბრის თემა შევცვალო.

– გალმა აგრები იყო, აქ პირველად რომ ვიყავი, მაშინ ვნახე, რა იქნა?

– ჰო, აქ რამდენი აგრები იყვნეს, მაშინ აუზ ირმი (ას ოცი – ავტ.) ხანე იყო, გეახრაკა, დეანგრა, გათავდეს, აღარაა...

– ბათუმში ამ მთიდან მიხვიდოდით? – კვლავ ვცვლი საუბრის თემას.

– აქილამ გედევლოდეს არხავში, იქილამ ბათუმ მივდოდეს. ბათუმილამ მოვდოდა მარლი, ყაზალი... ბაქვილამ (<ბაქოდან) მოვდოდა ყაზალი ბათუმ, ჩვენ ჩევდოდით, ევლებდით, ცხენით, ჯორით მევტანდით.

– ფეხით ძნელი იყო გრძელ გზაზე წასვლა და ნავთისა და მარლის (სხვა საჭირო ნივთების) მოტანა, – ვუთანაგრძნობ მასპინძლებს.

– ეს ძველი სახლები, ქოხები, თქვენ ააშენეთ თუ დედებმა?

– დედებმაც აშენეს, ჩვენც ვაშენეთ. აქ ესკიდან გზა არ იყო; ყორიდან, ტახტადან ვაკეთებდით [სახლს].

ტაოური სახლის პირველი სართული ქვით, ყორითაა აშენებული, ზემო – ხისაა. ქვაბაგელე-ბს ქვა საძებარი არ აქვთ...

ვსაუბრობთ ქოხის აივანზე. ზოგჯერ გვიჭირს ნათქვამის გაგება, რაც შეუმჩნეველი არ რჩება მასპინძელს და მეკითხება:

– ჩემი გურჯიჯა თქვენი გურჯიჯა არ უფერავს ხომ? ზოგი რამენი არ უფერავს, ზოგი რამენი უფერავს.

– ბევრი რამ უფერავს, ზოგიც განსხვავებულია, მაგრამ მთავარია, რომ ორივე გურჯულია, ჩვენი, – ვამშვიდებ მე.

ვთანხმდებით, რომ ჩვენს მეტყველებას საერთო ბევრი აქვს, მაგრამ ყველაზე მთავარია, რომ იგი ქართულია.

– უნე, ფაცადა ბევრი გურჯია, – ამბობს თალეთი.

– უნე, ართვინდა და ბორჩხა გურჯია, ჩვენი სახლები (აქ: სახელები, მხედველობაში აქვს გეოგრაფიული სახელები – ავტ.), გურჯია, – აზუსტებს აბდი, რომელიც უფრო ისმენს, იშვიათად თუ იტყვის რამეს.

– აქ, თქვენს სოფლებში, ყველა ერთნაირად არ ხვარათობს, განსხვავებულია ქობაელთა და ელიასხეველთა მეტყველება...

– ყური მიყავ მე: ყოლ ქოაში გათხოვილან [ქალები – ავტ.], იქიდან აქ მოსულან, გურჯიჯა უსწავლიან, – ამბობს მოხუცი დასტურად იმისა, რომ მექართულე ტაოს მეტყველება ერთია, რომ ქალები განსაზღვრავენ ამ ერთობას. ასეცაა: ქალი განსაზღვრავს ქოხისა და ხშირად სოფლის მეტყველების პროფილს, ენის ბოლო თავშესაფარი ხომ ქოხი და დედაა. ენის არსებობას, სიცოცხლეს, ზოგადად, დედა განაპირობებს... ეს საყოველთაოდ მიღებული აზრი ვრცელდება ტაოს სოფლებზეც.

„ყური მიყავი“, – თქვა მოხუცმა. იშვიათი სინტაგმაა, ქვაბაში გავიგონე პირველად: – საერთო ქართულის „ყური დამიგდე“, „დამიყურე“, „მომაპყარ სასმენელი“... გვერდით დგას ჩვენთვის ახალი სიტყვათმეხამება – ყური მიყავი.

ერთი ამბავი გავიგონე კიდევ ქოხის აივანზე. იგი თამარ დედოფალს ეხება, მის ქველმოქმედებას ტაოში. ბარემ ვიტყვი, რომ ჩემს მასპინძლებს მთლად სწორი წარმოდგენა არ აქვთ თამარის ვინაობაზე:

– თამარა დედოფალი ყოფილა, ისის გურჯი ყოფილა, ქალი ყოფილა. კანალით იქა, იუსუფელში წყალი მუყვანია, ქილისა გუკეთებია... ასკერ ასე დუძგერებთან, ქვა მოდიოდა. ქვაზე უთქმია [თამარა დედოფალს], გააჩერა... გადადექო და... ახლაც დგას. ასე კაპანზე დამდგარა, ეყუდება. დადექი, ასკერი არ მააკტინოვო. ქვა კი წუმოსულა, კაპანში ეყუდება [ქვა],

ყოლ კაცმა იცის. იქ ნამყოფნი ხალხი, თელი გურჯი არიან. სავრიეთ ზომოთ არი და იგი, გზი უკნიდამ არი...

ახლა მე მიყავი ყური! – მეუბნება თალეთი და ერთგვარად „აზუსტებს“ მოხუცის ნაამბობს:

– სახელი თამარაა, სოადი – დოდოფალი. დოდოფალი [მ]თავარი სახელია. მეტი დამამინყდენ, გადამფიქრდენ...

თამარ დედოფლის შესახებ ლეგენდები სხვაც ჩავგინერია მექართულე ტაოში, აღარაფერს ვამბობ ქოროხის სხვა ქვეყნებზე, აჭარაზე, შავშეთსა და კლარჯეთზე, სადაც სხვადასხვა გადმოცემაში ფიგურირებს დედოფლის სახელი: ყველა თქმულებაში დედოფალი ქველმოქმედია, სარწყავი არხი გაჰყავს, ქილისას აშენებს... ტაოურ, ქვაბაურ თქმულებაში თამარ დედოფალი სასწაულმოქმედიცაა, მან დაგორებული ლოდი გააჩერა, „ასკერი არ მაკვინოვ“, უბრძანა და ქვაც „კაპანზე დამდგარა“, ახლაც იქ „ეყუდება“ თურმე ქვა, „ყოლ კაცმა იცის“ ის ადგილი, „სავრიეთ (←*სავლიეთ) ზომოთ არი, გზი უკნიდამ...“

ვფიქრობ, საყურადღებო დეტალია თამარ დედოფლის პორტრეტისათვის.

დავტოვე მასპინძლები და მალხაზთან და რამაზთან ერთად ზემო უბანში წავედით, იქ, სადაც კამანდარს უცხოვრია, გურჯს, მუსლიმანს. ზემოდან დავყურებთ ქობაჲს სანახებს: სავარგულები ცოტაა, მიწის ყოველი გოჯი გამოყენებულია. საერთოდ, ტაოს ეს ხეობა მცირემიწიანია, არც ქვაბაჲა გამონაკლისი.

ზომომაჰალე//ზომომაჰალე (უფრო ეს უკანასკნელი ფორმა ისმის – ავტ.) ყურადღებას იქცევს ყორით ნაგები ძველი ტაოური სახლებით, რომლებიც ერთმანეთის გვერდიგვერდ, ყოველგვარი გეგმის გარეშეა ნაშენები. სახლები ვინრო შუკებით, უფრო საცალფეხო ბილიკებით უკავშირდება ერთმანეთს. ქვითა და მიწით უშენებიათ ქოხები: ყველაფერი ერთ შენობაშია განთავსებული:

პირველი სართული – ბოსელი, საქონლის სადგომი ქორით,

მეორე სართული – ოჯახის საცხოვრებელი,

მესამე სართული – საბძელი ბელლით.

ბელელში ოჯახის სარჩოს ინახავენ.

მთავარია, რომ გრძელი ზამთრის მძიმე დღეებში ადამიანს გარეთ გასვლა არ უხდებოდა: შიგა კიბით მოძრაობდა, ჩადიოდა საქონლის სადგომში და ადიოდა ბელელსა თუ მერეგში, – სათივეში, სათივრეში.

ზომომაჰალეში ერთ სახლს მივადექით: შუა ხნის ქალბატონს სახლის წინ ბამბა გაუფენია და პენტავს, ღონავს, – ლოგინისათვის თუ საბნისათვის ამზადებს. ოჯახის უფროსი, ეუფ ოზდემირი გამოგვეგება, სახლში შეგვიპატიჟა. ქალბატონს ჩვენთვის არც შემოუხედავს, დინჯად განაგრძობდა დაწყებულ საქმეს, მალხაზმა სურათის გადაღება დააპირა (ვინ იცის რაში დაჭირდება ბამბის მღონავი ქალი), უარის ნიშნად ზურგი შეაქცია, შებრუნდა, ისე რომ ჯორკოდან არც ამდგარა.

ძველი ტაოური სოფლის უბანში ვართ: სახლები საკმაოდ დიდია, ასეთ ქოხებში შესაძლებელია, რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდეს. ყველა ეზოში გამართულია კალო, ახლაც კარგად შეინიშნება ნაკალოვეი, რაც, თავის მხრივ, დასტურია, რომ ძველად სოფელი მემინდვრეობას მისდევდა, თესავდა პურსა და ჭვავს, რომელსაც კალოზე ლენავდა და აცალკეებდა ხვავსა და ბზეს. ზოგიერთ ეზოში სახლის კედელზე მიყუდებულ კევრსაც დაინახავს კაცი, უკვე უქმსა და არგამოსაყენებელ ნივთს, რომელსაც მაინც ვერ შელევია პატრონი და ინახავს წარსულის სახსოვრად...

თუ არ ჩავთვლით, რომ კალო და კალოობა მოიშალა (ადგა, როგორც ტაოელი იტყვის) ქვაბაგის ამ უბანს ნაკლებად შეხებია ახალი დროება. ჩვენს წინაშე არქაული სოფლის სურათია...

ეუფ ოზდემირთან ვსაუბრობთ მისი სახლის დერეფანში. უჭირს ქართული მასპინძელს, ცდილობს კი მოგვითხროს ოჯახისა თუ სოფლის ამბები:

– ბაბოჲ, ორი თანე ძალი (ორი ძმად და მათი ქალები – განმარტავს ინფორმატორი) მოადეს... ჩვენ თორუნოლლები ვართო, იტყვიან.

– სხვა რომელი სულალები ცხოვრობენ ამ მაჰალეში?

– ერთი ებე ყოფილა, რაზი, რაზოლლი ეტყვიან. დევრიშიანნი არიან, უსტიანნი არიან... გეცალნეს, ნევნეს.

– გალმა ადგილს ქეთქეთს ეტყვით, რატომ ეძახით ქეთქეთს?

– სირთი სირთი და! ისე იტყვიან. მე აგარა ნეკნარი მქონდა.

ყურადღებას მივაქცევ რამდენიმე ფაქტს:

ა. ეუფი ნარ'იანი მრავლობითის ფორმებს იყენებს: **დევრიშიანნი, უსტიანნი...**

ბ. ინტერესს იწვევს მეტსახელი გვარები **თორუნოლლი** და **დევრიშიანი**.

თორუნი შვილიშვილს, ბადიშს ნიშნავს. **თორუნოლლი** კიდეც – ბადიშიშვილს, შვილიშვილისშვილს?

დევრიშიან'ს ფუძედ უდევს **დევრიში**. იგი სპარსულია (**dervis**) და ნიშნავს მუსლიმანური სარწმუნოების სასულიერო პირს. **დევრიშია** მამაკაცის სახელადაც ჩამოყალიბებულია მოგვიანებით.

საინტერესო მეტსახელებია (თორუნი, დევრიში) სახელდების თვალსაზრისით მაინც.

რუსების მოსვლის ამბავიც მოგვიყვამა ეუფმა:

[რუსები – მ.ფ.]... **ზამთრი(!) ჩამოსულან, მურღულიდან გამოსულან, ნელა უვლიან, ფაა (ზვავი – ავტ.) არ წამოვდესო. აქ ჯამე დუნახიან, უთქვიან ქი, დიდი სოფელიაო, აქ დამჩაღან. მემრე რუსია ქი *აფეხებულა, აქ გამოქცეულან, **ისენები აღმანი ყოფილან.**

ორი სიტყვა იქცევეს ყურადღებას ამ, არცთუ მთლად გასაგებ, თხრობაში:

***აფეხება**, აქ: მოუსვენრობა, არეულობა(?). შდრ. აჭ. ახელფეხება, ახელფეხებული; ცოდვა რომ არ ასვენებს კაცს, იმაზეც იტყვიან ახელფეხდაო. შდრ.: სადმე წასასვლელად აჩქარება, ასწრაფება: „ქორწილში წასლა უნდა და იმიზაა ახელფეხებული“⁶.

****ისენები** – ორმაგი მრავლობითის იშვიათი ფორმა...

სოფლის მოედანზე, მანქანასთან რომ ჩამოვედით, ჩვენი ქალბატონები უკვე მოსულიყვნენ:

ქალბატონი თინა კმაყოფილია, კარგი მასალები ჩავინერეთო, ნატამაც ჩაინერაო პირველი სტრიქონები.

დღეს ნატას ნათლობაა საექსპედიციო ველზე. კარგად დაინყო, კარგად დაწყებული საქმე კიდევ გამარჯვების საწინდარია.

ნუგზარი და ჯემალი ქვაბაურ სახლს ზომავენ, იხაზავენ. ყველაზე გვიან მოვიდნენ მანქანასთან...

– რა ნახეთ ამ ბოსელში, რომ ვერ დაასრულეთ აზომვა? – ვეკითხები ნუგზარს.

– საინტერესო ნაგებობაა აქაური სახლი, მთელი სერიოზულობით მეუბნება ნუგზარი...

– ეს ხომ ვიცით, ხომ ვთანხმდებით იმაზე, რომ ტაოური ქოხი საინტერესოა აგებულებითაც და ფუნქციითაც, ახლა მნიშვნელოვანია, რომელ ახორშია **ქორი** უფრო დიდი, გზის „ზომოთა სახში თუ ქომოთაში“?

– ხუმრობის ხასიათზე ხარ, ჩანს, კარგად იმუშავეთ! – მეუბნება ნუგზარი.

– პირველი დღის კვალობაზე კარგად ვიმუშავეთ...

ჩანართი 1: მოგვიანებით ვნახე, ნუგზარის მთელი მუშაობა ფირზე აღებეჭდა რამაზს. მასალა საყურადღებოა ტაოური სახლის არქიტექტურისა და მშენებლობის პროცესის გასააზრებლად.

ხალილ იმამოლლი, ხოჯიანი გვესაუბრება, რომელსაც არაერთი სახლი აუშენებია, უმუშავია გერმანიაშიც.

– ეს ვისი სახლია? – კითხულობს კალამომარჯვებული ნუგზარი.

– **აჰიანის ქოხია, სახლი იტყვიან, ქოხი იტყვიან.**

– ეს რაღაა? – ქვით ნაგებ კედელზე უთითებს.

– **ყვერე და, ყვერე გაკეთებული. თქვენ ყვერე არ იტყვით თუ? ქვით ყორე გაკეთდება.**

⁶ ჯ. ნოლაიდელი, „აჭარული კილოს სალექსიკონო მასალა“, ბათუმი, 2015.

– ქვას აქ ნახულობთ, თუ მოგაქვთ სხვა ადგილებიდან?

– ქვები მისთვის დან ასეა, ჩაქუჩით გაჭტეხავ, მეფთან.

– რითი გატეხავთ ქვას? ჩაქუჩით?

– ჩაქუჩს მატრუკას ვეჭყვით, დემურჯი აშენებდა, იმისი უსტა სხვაა.

– სახლის მშენებლობაზე მარტო მუშაობდით თუ სხვებიც გეხმარებოდნენ?

– ქოხის კეთებაზე თელი სოფელი ვეშველებოდით, *მეშველი და, მეშველი იქნებოდა. დღეს მე ვაკეთებ ქოხს, შენ მეშველები, ხვალ შენ აკეთებ, შენ გეშველები...

*მეშველი, აქ: ნადი.

– მოდი, სახლი ავაშენოთ! – თხოვს ნუგზარი.

– სახლი ავაშენოთ? – გაკვირვებით კითხულობს ხალილი.

– დიას, მომიყევი, როგორ აშენებდი სახლს.

– ახლა მივხდი! თემელ გაჭტხრი, თემელში ყურბან დაჰკლი: თემელ ამოთხრიდეს, ყურბან დაჰკლიდეს. თქვენ მუსლიმანი ხართა თუ ხრისტიანი? მუსლიმანი გეგნებს და იმიტომ ვამბობ.

– ქრისტიანები ვართ, მაგრამ თქვენი გვესმის, ვხვდებით თქვენს ნათქვამს...

– თემელ ამოაღებდეს, ქვას ჩაანყობდეს, თამამ. მერე სახლი გააკეთებდეს.

– რა ხელსაწყოებს, თახუმებს ხმარობდით მშენებლობისას? სახელი რა ერქვა? – კითხულობს ნუგზარი.

– ყოლას დუძახებდით: ფაქუჩი (აქ: ჩაქუჩი), მალა, ტალახი... სხვა რამ არა. მიწით ვაშენებდით, ეს თელი ტალახით ნაშენებია.

გომოდით ჩემ კალოზე, ჰემ ბალი ჭამეთ!

– ეპატიჟება ხალილი ექსპედიციის წევრებს და ეზოში შეუძღვა.

– აქ კალო იყო. კალოზე ქერი, დიკა მეტანდით, ვლენდით. წარები ვატრიალებდით. კევრი იცით? ჩემს ალაბეა აქვა, ჰამა მე არ მაქვა. წარებით ვლენდით, ვლენდით, ჰო, ჰოო, ჰოოო..., – ხელის მოძრაობით გამოხატავს აღფრთოვანებას მთხრობელი. – ზომო ადი,

დეწიე ტალი, ჭამე ბალი. ზეთ გადი და ტალი დეწიე, – ეუბნება ხალილი ნონას.

აშკარად გაურბის ხალილი სახლის მშენებლობაზე საუბარს, სხვა თემაზე გადააქვს ყურადღება; ალბათ გრძნობს, დამალამებინებენო დღეს მოცლილი პროფესორები.

– დავუბრუნდეთ სახლის მშენებლობას, – ამბობს ნუგზარი, – საიდან მოგქონდათ სამშენებლო ქვა?

– თემელის ქვა სიკლია ცყიდან მოქონდენ. ძარა, ძარა გეგნება? ძარით ვათრევდით თოვლში, იმხან მეშველ ვიქმოდით, იშტე: ათი კაცი, ათი თანე ძარა. იქა დავლინდით (აქ: დავტეხდით – ავტ.), ძარაში ჩავხყრიდით, მოვტანდით. თოკი მობმული წამებამ ბეჭზე, გუმოჰწვევ, ჩამოა. თოვლში ადვილათ ცურავს და აცურეფ.

– ცხენით არ მოიტანდით ქვას?

– ქვა[ს] ცხენით არ ვზიდდით, ცხენით შეშავზიდდით, სახრაკავ (აქ: დასაწვავ) შეშას. სახში, სობაში არ ანთებ, სახრაკავია და! თივასა, შიშასა ცხენითა, ქვა – ძარითა, ზურგით არა.

– კარგი, ქვა მოვიტანეთ, ახლა შენება დავიწყეთ, – ითხოვს ნუგზარი.

– პირველი ყორენა გააკეთო, ორი მეტრო-ნახევარი გამეგტანე. ძირ არი ბოსელი, გეგონე? ონდასორა, ბოსელი ხევნარი'ნა გუკარო, სხვილი ხევნარი, ასე დაბანდო, ტახტები'ნა დაგო, ფიცარი. ტალახი'ნა გაკეთო, ათი სანთიმი ტალახი'ნა დაგო, ბოსლიდამ სული არ გამოაღდესო.

– ესე იგი, ბოსელს მსხვილი მორებით გადახურავთ, ზედ ფიცარს დააგებთ, ფიცარზე – ტალახს, შემდეგ რას ვაკეთებთ?

– მერე კედლები'ნა ამოიყვანო. ოთხი მეტრო ხე იქნებოდა, ხე – კატარი იყო, ხიზრით დავხიზრავდით, ხიზრითა: სამი კაცი, ორი – ძირიდამ, ერთი – თავიდამ, დავხიზრავდით.

ტახტები[ს] (უსტა – ავტ.), მარანკოზი (ხითხურო – ავტ.) უსტა სხვაა! – შენ გააგნებთ, – ეუბნება ნუგზარის კითხვებით თავმოებურებული ხალილი ნონას.

– კარგი, ახორში თივას რაში ჩაყრით? საერთოდ, როგორ მოაწყობთ ბოსელს?

– **თივის ჩასაყრელი – გაბა (შდრ. ბაგა), თივა'ნა ჩაყარო შიგან. ბოსელში საზღვა[ვ]ი არი, იქიდან გადის ძროხის შარდი. ნეხვი აქო მოვა, მერე სანაწყლული მივა, აქიდან – სანაწყულ.**

შენ კაე გურჯი არ ხარა! – მიმართავს ნუგზარს ხალილი, რადგანაც ვერ აგებინებს ნათქვამს და იძულებულია, გაიმეოროს უკვე თქმული. წარმოიდგინეთ მდგომარეობა კაცისა, რომელიც ძალად საუბრობს, თავი ვერ დაუღწევია „სტუმრებისაგან“ და იძულებულია, ერთხელ ნათქვამი რამდენჯერმე გაიმეოროს. ვუთანაგრძნობ ჩვენს მასპინძელს, მაგრამ ვერაფერს შევცვლით, უნდა უპასუხოს ნუგზარის კითხვებს...

კედელ ამოიყვან, ფიცარი'და დაგო. ბოსლიდან კიბე იყო, სანათვლე ვეტყოდით, თავი-დამ კარი ქონდა, დააწყდო (აქ: დახურო – ავტ.). შუა ყათში ჩვენ ვცხოვრობდით, ზემოთაც სათივრე.

– ბოსელში ცხვარს, თხას არ შეყრიდით?

– მათი ძერი ახრი იყო, მოჩითლული (აქ: შემოლობილი), ქორი. თხები, ცხვრები შეყრიდი იქა.

– სახლს კიბეს მხოლოდ შიგნიდან უკეთებდით? გარედან სახლს კიბე არ ჰქონდა?

– **გარედამც იყო კიბე, შიგნიდამც – იყო. აქ მეტი ბოვრი გათოვდება: ორი მეტრო, სამი მეტრო...**

– ძროხას რითი აბამდით ახორში?

– **საყელო იყო, ზათი ისე იყო, ზენჯირი არ იყო, საყელო იყო. ახლა ზენჯირია, ბანარსაც მუაბამდით კისერზე.**

– კარგი, ძროხა დავაბით. ახლა ავიდეთ მალა: სახლს რამდენ ოთახად დაყოფდით?

– **შენ სამ ოდას გააკეთებ, მე ორ ოდას გავაკეთებ. ყველას ერთნაირი არ იქნება.**

ასე აღწერა ნუგზარის კითხვებით სახლი და მისი მშენებლობის პროცესი ხალილმა. ვფიქრობ, მკითხველს მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა შეექმნება ტაოური სახლის კონსტრუქციაზე და მის დატვირთვაზე...

მნიშვნელოვანი მასალა შეაგროვა ნუგზარმა ქვაბაგური სახლის შესახებ. მადლობა ხალილს საინტერესო ინფორმაციისა და მოთმინებისათვის.

ჩანართი 2. ვიდრე ჩვენ სხვა რესპონდენტებთან ვმუშაობდით, რამაზ ხალვაში ეუბ აუბო-ლლისთან ჩამოვჯდა სასაუბროდ. მათი დიალოგი, ვფიქრობ, საინტერესოა და, რაც მთავარია, მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი, ამიტომაც გადავწყვიტე მისი ქალაქზე გადატანა.

– აქ რუსები მოსულანო, გვითხრეს, თქვენ რა იცით ამის შესახებ?

– **რუსები მოსულან. იქეთური სახლი ხედავ? კამანდარი იქ მდგარა. სახელმეტაე იცით თუ, სახელმეტაე? იქ რომ დგანან, იმა კამანდარ უძახიან, კამანდარ რუსი!**

დიახ, კამანდარი რუსულია, მეთაურს, უფროსს ნიშნავს. ოჯახის მეტსახელად რა კარგი ნიშანი შეურჩევიათ?

– რამდენი მაჰალეა ქობაში?

– **ქობაე მეჰელეები?**

აე ზოომელე,

ქვეეთ – ნეზიანი//ნაზიანი,

პატიანაე მეჰელე – ანიანი,

გალმაე – გალმაე მეჰელე.

ერთი ამბავი'და გითხრა: სარფ[ის] კარი გეელო, აა, მაშინ... რა'ნდა მეთქვა, ჭო, მოვდა ორი თანე [რ]ძალი, ორი ძმაა, იმათი ქალე-ბი. ჰამა მაშინ აქ არ ვიყავით, ქომო ვიყავით. ჩვენ თორუნოლლები ვართ, იმათა, ჩემი ტაე-ბი არიან თორუნოლლები. ისინი არიან ბევრნი და ერთი ბიჭი არი, ნეჯათ ააზიჯი, სულალე – გოგოვანნი.

საინტერესოა, დღემდე არავის უხსენებია სულალე – გოგოვანნი (გოგოს, ქალის ჩამომავლები). ვინ იცის, კიდეც რამდენი რამ ვერ ჩავინერეთ.

– თქვენ ზაფხულობით ხართ აქ, ზამთარში ქილათში მიდიხართ?

– **ჩვენ იქ სამი თანე მაჰალე გვაქ ქვაბელთა: ქილათი, მახათეთი, ფიქალთაე. აქ ზღაფხულში ვართ, ზამთარში – იქ. აგრები გათავდა, თლათ ჩემხლა აგრები, ქეთქეთი, ლეკნარი.**

სხვები ნეკნარს გამოთქვამენ. ჩანს, ამოსავალია – ლეკნარი, მისგანაა ასიმილაციით მიღებული ნეკნარი.

– იქ, პარხალს ზემოთ, ერმენ ხევეკია, ახლაც ცხოვრობენ იქ ერმენები?

– ერმანი ხევექ//ხევეკ გეგონე თუ? იქ იყვენ ერმენები, ჰამა ახლა გაცლილან, *ფაქა ისტამბულ. ჯოხ, ერმენები ყოფილან, ახლა აღარ არიან.

*ფაქა იგივე მარტივი ფუძეა, რაც სიტყვაში გა-ფაქ-ებ-ა, ა-ფაქ-ებ-ს... ფაქ//ფაქა ცალკე სხვა კილოებში არ დაგვიდასტურებია. „გაფაქება“ დაკარგვას, გადაშენებასაც ნიშნავს. აღვნიშნავთ, რომ სპ. *pak'* გვხვდება მუჰაჯირებთან სუფთას, უცოდველის მნიშვნელობით შდრ. ფაქიზი...

* * *

კარგა დრო დაგყავით ქვაბაში. დროა, სამუშაოდ სხვა სოფელში წავიდეთ...

დავუბრუნდეთ თხრობას!

– მოგეწონა ქვაბა და ქვაბაელები? – ვეკითხები ნონას უკვე მანქანაში, ისიც ხომ პირველადაა ექსპედიციამიცა და ჩვენს ჯგუფშიც.

– კარგია სოფელიცა და ხალხიც.

– ასეა, მექართულე ტაოს ერთი ლამაზი სოფელია ქვაბა, ქვაბაელები კიდეც – გამორჩეული ტაოელები.

მოდით, ბარემ გაღმა ქვაბაგშიც გავიდეთ, იქ ვიმუშავოთ და ამით ამოვწუროთ ქვაბაას უბნები, – ვთავაზობ ექსპედიციას.

ქვაბაას გაღმა უბანში გავედით სადილის შემდეგ. ორლობეში გავიარეთ, დამლაპარაკე ვერ ვნახეთ. წყალთან გავჩერდით, ვსაუბრობთ. ახალგაზრდები გამოვიდნენ გზაზე, დაძმა ვართო, ქართული არ იციან. შემდეგ ახალგაზრდა ქალმა გამოიარა.

– ქართული იცი? – ეკითხება ნონა.

– ვიციო, პასუხობს და გზას აგრძელებს, არ ჩერდება.

გაგვირბიან გაღმა ქვაბაელები, არ სურთ ჩვენთან ხვარათი.

ჩვენს ექსპედიციას ახსოვს ასეთი შემთხვევებიც:

ათეულობით კილომეტრი გაგვივლია, ადგილზე მისულელებს კი დამლაპარაკე ვერ გვიპოვია.

ასეც მომხდარა: უთქმიათ, სადღაც, რომელიღაც რაიონში, მუჰაჯირთა სოფელია, კარგად იციან ქართულიო. მივსულვართ და აღმოჩენილა, რომ ძველებმა იცოდნენ გურჯიჯა, ისინი კი კარგა ხანია ცოცხლები აღარ არიან. დღევანდლებმა ან არ იციან, ან ძალიან ცუდად ლაპარაკობენ წინაპართა ენაზე. ხელცარიელი გამოვბრუნებულვართ. თავს ვინუგეშებდით, ახლა ხომ ვიცით, ამ სოფელში ქართული რომ არ იციანო...

შუადღით მეველუდმა (თურქულად მეველუთი გამოითქმის, მე მეველუდს ვამჯობინებ, უფრო ქართულად ჟღერს და იმიტომ) სადიცანაში//სადიანაში წაგვიყვანა, გველოდებიანო.

ჩელიქების ეზოში ოჯახის რამდენიმე თაობაა შეკრებილი, მოსულან მეზობლებიც, მათ შორისაა ყურბან დედე. იგი 90 წლისაა, სმენის პრობლემა აქვს ასაკის შესაბამისი. რათსუზი ვარ, ვერ გიმიგონიაო, – ნუხს მოხუცი.

ეზოში ყურბანას ვაჟი, ჰასან (ხასან) ჩელიქი შემოვიდა.

ჰო, ბარემ ვიტყვი, ჩელიქები ძველი ჩულოგიანები არიან.

პატარა სოფელია სადიცანა, თერთმეტიოდე კომლი ცხოვრობს სულ „ათ და ერთ ქოხში“.

გვსურს მოხუცთან საუბარი. ქალბატონი თინა და მე მივუსხედით გვერდით, ცვდილობთ, საუბარში ავიყოლიოთ.

– ყურბან დედე, ძველი სიმღერები გემახსოვრებათ, ნადში ან ქორწილში რომ იმღერებდითო, – ეკითხება ქალბატონი თინა.

– იმა ვერ გუუგონია და... ყურიდან აბლია, – ჩაერთო საუბარში ხასანი, შემდეგ მამას მიმართა: ბაბა, გურჯი სიმღერაო, იძახიან.

– სიმღერები არ ვიციო, ყურბანამ!

– ქ-ნი თინა არ ნებდება, თხოვს, რამე მაინც გაიხსენოს:

ქოხის უკან საქათმე

ერთი გოგო ჩაქვათმე.

თქვა ბოლოს მოხუცმა. სხვა ვერაფერი გაიხსენა...

– წინათ ბევრი ძროხა გყავდათ? ზაფხულობით ააილაზე დადიოდით? – ვეკითხები ყურბან დედეს. ვცდილობ, რაღაც ვათქმევინო, რამდენადაც ვხედავ, ქართულად კარგად ლაპარაკობს, საყურადღებო გრამატიკულ ფორმებს თუ ლექსიკურ ერთეულებს ვისმენ მის ნაწყვეტ-ნაწყვეტ საუბარში.

– **ზღაფხულ ააილაზე *ნავასხამდით** [ძროხას – ავტ.], **ესენი ააილაში მიდიოდეს, ჩვენ მეზრეში მივლოდით, მეზრა – **ველითაჲ.**

რაღაცის ჩანერა ვერ მოვასწარი, ვთხოვ ინფორმატორს, გაიმეოროს. ვერ გავაგონე. ხასანმა მამას ხმამალა გაუმეორა ჩემი თხოვნა:

– *****ხამდან თქვი!**

– ეს გზა სად მიდის?

– **ეს ზემო მაჰალეში მივა. აქედამ იეთები დადიოდენ იეთში. ****ჭოროხლახეთი იეთის მეზრეა. ნახვარი იქ მივლენ, ნახვარი ველითაჲში. ჩვენა, *****იეთები ველითაჲ მივალთ,** – აზუსტებს იეთელი მეზობელი.

– აბა ობლექარიო იეთის აილა?

– **ობლექარი აინი იეთისაა, *****ყულედიბი სხვაა...**

ქარი ამოვარდა, დადგა ბული, მტყვერი დატრიალდა ჰაერში. შევწუხდით. ომერ ყურდიანმა (ახლა – ომერ ყურთმა) სახლში მიგვიწვია.

ჩელიქების მეზობლად უდგას ქოხი ომერს. ჩვენც, მამაკაცებმა, მივიღეთ გულწრფელი მიპატიჟება, ქალები დარჩნენ ჩელიქები ეზოში.

ყურბან დედეს ნაამბობიდან რამდენიმე სიტყვა-ფორმას მივაქცევ ყურადღებას:

*[აილაზე ძროხას] **ნაასხამდენ...** შდრ. ერთს

– **ნაიყვანს, მრავალს – ნაასხამს.**

****ველითაჲ<ველითავი'**საგან V-V პოზიციაში ვ'ს ჩავარდნით.

*****ხამდან** – ხელმეორედ, კვლავ. შდრ. აჭარული ხამათ, ხამდან⁷. აღვნიშნავ, რომ **ხამდან** უფრო ზემოაჭარულში დასტურდება, **ხამათ** – ქობულეთურში. არც ერთი ფორმა არ იცის

ბათუმურმა აჭარულმა. რამდენადაც მახსოვს, **ხამათ, ხამდან** არ დაგვიდასტურებია კლარჯულსა და შავშურში.

******ჭოროხლახეთი (sic)<ჭოროხლახედი'საგან?**

*******იეთები = იეთლები//იეთელები.** შდრ. შავშეთი – შავში, კლარჯეთი – კლარჯი. ია>იეთი, მაგრამ **იეთები** და არა **იელი, იელები.**

*******ყულედიბი** – ქართული ციხისძირის თურქული თარგმანი გვგონია.

ომერ ყურდიანის სალონში სავარძლებში მოხერხებულად მოგვკალათდით. მასპინძელი თავს დაგვტრიალებს: ჩაი მოართვიო სტუმრებს, – თხოვს რძალს.

კედელზე ახალგაზრდა კაცის სურათია. თვალი გაგვექცა. შენიშნა ჩვენი ცნობისმოყვარეობა ომერმა, გვითხრა: „**ერთი შვილი მყავდა, მოკტა. ოცი და ექსი წლის იყო, იშტე, ჩემი შვილი...**“ გული ამოუჯდა შვილმკვდარ მამას, დავიძაბეთ ყველა... უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

– ბატონო ომერ, თქვენ რაღაცას ამბობდით ყურბან დედეს შესახებ, მაშინ ვერ ჩავინერე... დუმილი დავარღვიე მე.

– **ყურბან დედე კაკაჩია//კაკაჩიანი.**

– ხასანმა მითხრა, ჩულოგიანია ჩვენი „ქართული გვარიო“.

– **ჩულოგიანი ახალია, კაკაჩიანია მათი ლაღბი.**

– ბატონო ომერ, ეს სახლი ახალია, თქვენი აშენებულია ალბათ. ძველი სახლი აქ გედგათ თუ სხვაგან?

– **წინაჲ სახლია ძველი** (მეზობლად მდგარ სახლზე გვეუბნება – ავტ.)... **ძველ სახში *ექსი ძმაჲ, ოთხი ბიჭი, ორი გოგო... ოცი კაცი ვცხოვრობდით. ომერ დედე იყო სახლის უფროსი.**

– რას საქმობდით წინათ? – კითხულობს ნუგზარი.

– **დედე... ფუტკარ ინახდა, ძროხებ ინახდა... ყველაფერ აკეთებდა იშტე.**

– ძველი სახლი დიდი იყო?

⁷ შ. ნიჭარაძე, დასახ. ნაშრ.

– ორი ოდა გვექონდა... **ფენქე იყო, იმაზე დაწვებოდი. მერე ცეცხლი წეკიდა [სახლს – ავტ.], დეღანდა.

– დედეს სახლი რამდენი ყათი იყო?

– ქოხი ასე იყო: ძირად ძროხები არიან, იმის ზეგან ძროხის თივა//სათივრე, სიცივე არ იყოსო, ისეც უფიქრიან, ზეგან – სახლი.

შევიხსნავთ: ტაოური სახლი ვერტიკალურად ასე ნაწილდება:

პირველი სართული – ახორი, ბოსელი – ქორითურთ;

მეორე სართული – სახლი (ოჯახის სადგომი);

მესამე სართული – მერეგი/სათივრე/თივის დასაჯოხი ბელლითურთ.

ომერმა განსხვავებული ნყოფა შემოგვთავაზა.

– ბავშვები დაიზარდნენ, დაქორწილდნენ, შვილები გაუჩნდათ. გაყოფის დრო დადგა: ოჯახის ქონებას როგორ ანაწილებდნენ? ოჯახის წევრები გაყოფდნენ თუ სხვას მოიწვევდნენ? – კითხულობს ნუგზარი.

– დედმა გაყო იშტე, ***სახლის თავადმა გაყო: ახ შენია, ახ შენია, ერთიც ხობო დარჩა, ისაც დაკლეს.

– რომ გაიყო ქონება, რამე დაწერეს თუ მხოლოდ ითქვა?

– თაბი, ქალიღზე დაწერდნენ.

– ქონების განაწილებისას გოგოს/ბგანოს რამეს მისცემდნენ თუ არა?

– გოგოც შვილია, გოგოს ყანას მისცემდეს, ბოსტან მისცემდეს...

სახლი და წინაპართა ქონება გავანაწილეთ, ახლა მეცხოველეობის, მეურნეობის ერთი მთავარი დარგის ჯერი დადგა. ნუგზარი თანმიმდევრობით სვამს კითხვებს. ჩვენ უფრო ვისმენტ, გზადგება თუ ჩავერევით, რომელიმე დეტალის დასაზუსტებლად.

– საქონელი ბევრი იყო ყველა ოჯახში. პირუტყვს დანიშნავდით?

– დამლა არი, ჰაივანს დანიშნავდნენ, ყურს შუუჭრიდნენ.

– გაზაფხულზე ბარში საქონლის საკვები ილეოდა, იწყებოდა მთაში გამგზავრების სამზადისი.

– ასე იყო: ერთ თვეს მეზრეში რჩებოდეს, მერე ააილაში ევდოდეს. ორ თვეს დარჩებოდეს, მერე – სახში, სექტემბრის შუაში.

მექართულე ტაოს სოფლებს ვაკვირდებით რამდენიმე წელია. ყველაფერი გვანტერესებს, ზოგჯერ უმნიშვნელო დეტალიც კი. როგორც ვთქვით, სოფელს სავარგულები დასახლების გარეთ აქვს: ჭალა, ყანა, როგორც წესი, შელობილი არაა. უცხო თვალისათვის შეუმჩნეველია ყანებს შორის საზღვარი.

– როგორ არჩევთ ყანებს რომელი რომლისაა?

– ჭალები, ყანები ქვებითაა გაყოფილი, სინორია დანიშნული, – გვპასუხობს მასპინძელი.

– ძველად, ახალი წლის წინ, ან საერთოდ, სოფელში რამეს არ ითამაშებდნენ? – შევცვალე საუბრის თემა.

– იყო თამაშობა. ახალი წლის წინ ასე ვითამაშებდით: სამი ბიჭი ყადათ შეიქნებოდეს, ერთი ბიჭი გოგოთ შეიქნებოდა. ეს გოგო ერთის საცვალი იქნებოდა, ვინმემ არ მეპაროსო. თუ მეპარავდა, შეჭამდა ზოფას.

წინასაახალწლო კარნავალის მცირე ეპიზოდი მოგვითხრო ომერმა, დეტალებს ვერ იხსენებს, რაც გაიხსენა, ვფიქრობთ, საინტერესოა, ამიტომაც მოვიყვანეთ.

ერთი ამბავიც გაიხსენა ომერმა:

– წალიკვანი იმ ადგილის სახელია, იქ ქალოცობა იყო. ქალოცობა აქ იციან, ბარში, შელიგობა – თაშია.

ქალოცა – ოქტომბერია. ქალოცობა რთველის დღესასწაულია, მოსავლის დღესასწაული, რომელიც ჭირნახულის დაბინავების შემდეგ იმართებოდა. ომერის თხრობაში საყურადღებო ცნობაა, დასანანი, რომ მთხრობელი ვერ აკონკრეტებს ქალოცობის დეტალებს...

– ხაწნ როდის აკეთებენ მთაში? – კითხულობს რამაზი.

– ხაწნი? გეხვიდოდი, გიგვიკეთებდნენ: „ხაწნი არ მაჭამე, ****გული მენტება შენზეო“ – ასე იტყოდა სტუმარი.

კიდევ გავმღერდებოდი:

თაროზე ყველი მაქვა
შემპალია, შემპალი,
გოგო, შენი ღეჯები
დამპალია, დამპალი.
თაზე შენი დეკველი
მაგან რა'ნა მოძოვოს,
შენ გაღმი, მე – გამოღმი
გულმა რა'ნა გეფხენოს.
ფეხზე ფოთინი მაქვა
კოჭებზე მოდებული,
ერთი გოგო მაქვა
ღუნიაზე მოდებული.

შენ იტყოდი, ისინის (sic) მათყოლებდეს:

ცა, ცაავ... ასე იქავ.

ერთი კაცი არი **კამანდარი, იტყვის:**

ცაცი, ცააცი, ცააცი... ცა – ცაავ!

აქაურთა მეხსიერებას ძველი ყოფის ეპიზოდები დაუცავს, რომელთა გაერთიანება და ერთ ამბად თხრობა ქირს, უფრო შეუძლებელია, თუმცა საინტერესოა წარსულის სურათის აღსადგენად.

ისტორიული მეხსიერების ჯაჭვის მიმოზნეულ რგოლებს ვაგროვებთ ძველი საქართველოს ქვეყნებში, ეგებ შევაერთოთ, ერთიან ჯაჭვად ვაქციოთ და დიდი საქართველოს ისტორიულ მეხსიერებას მივუერთოთ... ამიტომაც ვამახვილებთ ყურადღებას ყოველ დეტალზე, ზოგჯერ თითქოს უმნიშვნელოზეც კი...

საყურადღებო ინფორმაცია მოვიპოვეთ ომერის სალონიში: კარგი ინფორმატორია ომერი, განსაკუთრებით მევლედ დოლენჯიანის გვერდით, რომელიც ახსენებს, შეიძლება ითქვას, დეტალებს კარნახობს, როცა წაიბორძიკებს მასპინძელი.

ზოგიერთი განმარტება მკითხველისათვის:

***ექ[ვ]სი ძმა** – აქ: ექვსი შვილი (ინფორმატორი საუბრობს ოთხ ძმასა და ორ დაზე).

****ფენქე** – სექვი, „ოთახის კედლის გასწვრივ მიშენებული ფიცრის ტახტი, სკამ-ლოგინი“⁸.

*****სახლის თავადი** – აქ: სახლის უფროსი, მეთაური.

******გული მენტება** – ვბრაზობ, გული მომდის.

*******კამანდარი** – აქ: გამძლოლი, ვინც ხელმძღვანელობს მომღერლებსა თუ მეფერხულეებს.

წარმოუდგენელია ტაოური თუ ზოგადად სოფელი დაშველების, ნადის გარეშე. ნადის მუშაობის პროცესი კიდევ საინტერესოა ფოლკლორული თუ ეთნოლოგიური თვალსაზრისით: ნადური სიმღერები (ნადურები) გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, გავრცელებულია ტაოშიც. მნიშვნელოვანია, რამდენად მოაღწია ჩვენამდე ამ სიმღერებმა და მოაღწია თუ არა საერთოდ.

ნაღზე ჩამოვუგდეთ სიტყვა მასპინძელს. მევლუდი გააქტიურდა:

„ფესა, ფელესა... ასე იძახდენ ხის მთრეველები, ყველამა ერთად ქნასო, ასე იძახდეს“ და ასეთი ლექსიც მოაყოლა:

**ფესა, ფელესა, მამალი ქოსა,
ვინცხა არ გასწევსა ამასა,
ვინცხა არ გასწევს,
ეს ხე შევდეს იმასა...**

აღვნიშნავ, რომ ტვირთის გადაზიდვისას ჩემს სოფელშიც გამიგონია ანალოგიური შედახილი-შეგულიანება: **ჰელესა, ჰესა/ ელესა, ესა...** შ. ნიჟარაძეს ლექსიკონში შეტანილი აქვს **ელესა, ჰელესა** და ასე განმარტავს: „სიმძიმის გათრევეთი სამუშაოების გუნდური სიმღერა, სრულდება მძიმე ხის (რატომ მხოლოდ ხის? – ავტ.) გათრევის დროს, რომლის მელოდიურობა შეპირობებულია სამუშაოს შესაბამის რიტმთან. **ელესას** აჭარულ ვარიანტს ჩვეულებრივ ლექსი არ გააჩნია და იგი სრულდება რეფრენითა და რეჩიტატივით – ტექსტს ცვლის რიტმული ამოცახილები ან, ზოგჯერ, ექსტაზში შემყვანი სიტყვა-მონოდებანი:

ჰელესსალია ჰეა...

– ჰესსა...

– ჰელესსო...

– ჰესსა...

დავენკოთ, ბიჭებო!

⁸ შ. ფუტყარაძე, „ჩვენებურების ქართული“, ბათუმი, 1993. შდრ. შ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ.

– ვოსსა...⁹.

ვრცელი ამონაწერი მოვიყვანეთ შ. ნიჟარაძის შრომიდან იმის საილუსტრაციოდ, რომ „ელესა“ დამახასიათებელია არა მარტო ტაოურისათვის. დადასტურებულია იგი კლაჯეთშიც¹⁰.

– მუშაობისას კიდევ რას იმღერებდით?

– დათესე და ამოვდეს,

დათესე და ამოვდეს...

ასე ვიმღერებდით. ახლა აღარაა, თურქულად გადაბრუნდეს.

რა გაეწყობა, დღეს მექართულე ტაოშიც (მექართულე შავშეთსა და კლარჯეთშიც) ბევრი რამ „თურქულზე გადაბრუნდა“, ბევრიც საერთოდ დავიწყებას მიეცა. ესაა სევდიანი რეალობა, რაც ჭოროხის ქვეყნებში დასტურდება. და ეს პროცესი, საუბედუროდ, შეუქცევადია, ამიტომაცაა მნიშვნელოვანი, რაც გადარჩა, იმის ჩანერა-შენახვა...

ვსაუბრობთ ომერის სალონში, სხვადასხვა თემას ვვხვებით. ასეთი საუბრები მნიშვნელოვანია ჩვენი ექსპედიციის შემკრებლობითი მუშაობისათვის, მნიშვნელოვანია იგი თავად ტაოელებისათვის. ჩვენს საუბარს ინტერესით უსმენდნენ ომერის ოჯახის წევრები: რძალი, შვილიშვილები, ასევე რამდენიმე მეზობელი. ჩვენი დიალოგი მათთვის ერთგვარი გაკვეთილია, მათი სოფლისა თუ კუთხის ისტორიის გაკვეთილი. და თუ გახშირდება ასეთი შეხვედრა-საუბრები, ახალთაობაშიც გადავა წარსულის გამოცდილება და არ განყდება ჯაჭვი წარსულსა და თანამედროვეობას შორის...

– ჩვილი ბავშვის მოვლის შესახებ კითხულობს ნუგზარი.

– **ლარჭი ერთი ათ დღე *ბალულაში იქნება მიგორებული, მერე აკვანში გუმუვა.**

– ბავშვის დაბადებას აღნიშნავდით?

– **ჰოო! გვედოდით კარში, ძგაფ, ძგაფ... გოგოზე ერთი, ბიჭზე – ორი.**

– ბალულაში რას ჩააფენდნენ?

– ****ბზე დუუყენებდეს, არ დაცხესო ლარჭს, მერე – ნაჭარი.**

ჩანართი: *ბალული, იგივეა, რაც ხოჩიჩი, „ქერქისაგან (ჩვეულებრივ ცაცხვის) დამზადებული საგები, ახალდაბადებული ბავშვის ჩასაწვენად. რამდენიმე დღის შემდეგ აქედან ბავშვი აკვანში გადაჰყავდათ“¹¹. საბასთან დასტურდება **ხოჭიჭი**, – მცირე აკვანი¹². **ხოჭიჭი და ხოჩიჩი** ერთი სიტყვის ფონეტიკური ვარიანტებია.

****ბზის დაყენება** – აქ: ბზის ჩაგება.

ომერის შვილიშვილი, დედის გვერდით მოკალათებული, ყურადღებით გვისმენდა, ზოგჯერ დედას ეკითხებოდა რაღაცას. შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ყველაფერს ხვდებოდა, ამიტომაც ვკითხე მასპინძელს:

– ომერ ბატონო, ბადიშმა ქართული იცის?

– **ხდება და ვერ უხვარათია!**

აქაც იგივე სურათია: ახალთაობა ხვდება ქართულს, მაგრამ ვერ ლაპარაკობს...

– სახლში ძველებურ საჭმელებს რას გააკეთებთ? წინ-წინ ნენეა რომ გააკეთებდა, ის კერძები მაინტერესებს – ვეკითხები მასპინძლებს.

– **ბევრს გავაკეთავთ:**

ჩასაყრელი: ფხალი *ფორვა, ლებო ფო[ვა], ლაზუთი ფორვა...

ქადა: **ცომს გავხსნავთ, კამალს გურევთ, კაკალა ვიჯებით, *მოშლილი ვიჯებით, შევადებთ სობაში...**

ჰასუთას, ხაინს გავაკეთავთ, ჰასუთა შავია.

თუთა ა[ვ]ადუღეფ, ბეთმეზი ვიჯებით.

შეენიშნავთ: ომერი გამოთქვამს ***ფორვა// ფოვა**, უნდა **შორვა**. **შ:ფ** თანხმომონაწველობის იშვიათი შემთხვევაა.

****ცომის გახსნა** – ცომის გაბრტყელება (ოქლაოთი, ცომის გასაბრტყელებელი ჯოხით).

*****მოშლილი** – ახალი, თაზა [ჩვილი] ყველი.

⁹ შ. ნიჟარაძე, იქვე.

¹⁰ იხ. თ. შიომგელი, „კლარჯული ფოლკლორი“, თბ., 2017, გვ. 14 და შემდეგ.

¹¹ შ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ.

¹² ს.ს. ორბელიანი, „სიტყვის კონა“, თბ., 1949.

– ბევრი ვილაპარაკეთ, ბატონო ომერ, ბევრი ამბავი გცოდნია... კიდევ ხომ არ გაიხსენებდით რამეს?

– რუ მოყვანიხან ერთი კაციისთინ ერთი გოგო დაპირებია, რუ მოგვიყვანე, ერთი გოგონა მოგცეთ. [ბიჭს] უმუშავია, უმუშავია, რუ გუყვანია, გოგო არ მუუცემიან. გესულა დუგურზე, ნყალი დუუგუბებია, გუუშვია, სოფელი ნუულია [წყალს]. ერთი კაცი გადარჩენილა, დუუნყევლია, გაქვავებულა [ბიჭი]. დუგურში ახლაც დგას ქვა ბიჭი.

გოგოს ფიდი თანე ძმაა ყოლია.

იმ გუბეში ქვა ჩააგდებ კი, განუმდება...

„რუს მოყვანის“ ამბავი სხვაგანაც ჩავინერეთ, განსხვავებული ვარიანტი. ყველა ვარიანტს აქვს საერთო: ა. დაპირება – ქალს მოგცემთო რუს გაყვანის სანაცვლოდ; ბ. შეყვარებული ვაჟის მოტყუება და ბიჭის შურისძიება; გ. სოფლის წალეკვა; დ. ბიჭის დაწყევლა და გაქვავება. სადიყანურ ვარიანტში ახალია, რომ „გოგოს ფიდი (შვიდი) ძმა ჰყავდა; ბ. გუბეში წყალს ჩააგდებ განვიმდება.

დაგვალამდა ყურდიანების ოჯახში. ჩვენი წამოსვლის დროც მოვიდა. მადლობა გადავუხადეთ ომერს და მანქანასთან გამოვედით, სადაც ქნი თინა, ნატა და ნონა დავტოვეთ. კმაყოფილები დაგვხვდნენ ქალბატონებიც, კარგი მასალები ჩავინერეთ...

სასტუმროში დავბრუნდით.

– ბევრი საინტერესო გრამატიკული ფორმა და ლექსიკური ერთეული შევნიშნე ქვაბაგელთა და სადიყანელთა მეტყველებაში. კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, დიალექტი, ცოცხალი მეტყველება, ზოგადად, ამოუწურავია. მსმენელი ისეთ ფორმას თუ მნიშვნელობას შენიშნავ, რომელიც მოსალოდნელი არაა, თუნდაც ძველის კუთვნილებაა და სასაუბრო ენამ კარგა ხანია დაივიწყა, ისტორიზმად იქცა. სადღაც მთის სოფელში, რომლის მკვიდრნიც გაჭირვებით ახერხებენ ქართულად საუბარს, „მივიწყებულ“ გრამატიკულ ფორმასა თუ მნიშვნელობას „აღმოაჩენ“. ვისხენებ, მაჭახლელ მუჰაჯირთა სოფელში ვიყავით,

მოხუცი მაჭახლელი უყვებოდა შვილს: ნყალი არ მოდიოდაო ონკანში, ნავედი, „შამბში“ გახსნილიყო ხორთუმი (რეზინის მილი)... შამბი – ისე ბუნებრივად გამოიყენა მოუბარმა, ჩანდა, იგი აქაურთა აქტიური ლექსიკის ნაწილია, მაშინ როცა იგი არ იცის მაჭახლელმა მაჭახელში, არ დაგვიდასტურებია იგი სხვა სამხრულ კილოებში...

ასევე ხელშესახებია სამეტყველო კოდების შერევა ორენოვნობის პირობებში: ბუნებრივად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, მოუბარი ქართულად დაწყებულ წინადადებას თურქულად ასრულებს. და ამას აკეთებს ისე, რომ თავად ვერ გრძნობს. როცა ცოცხალ მეტყველებაში სამეტყველო კოდების შერევაზე ვფიქრობ, ნიმუშად ვიხსენებ მიძნადორელი (კლარჯეთი) ქალბატონის საუბარს და გამეშეთელი (შავშეთი) მუსტაფა უზუნის კომენტარს: „ახლა ამას რომ კითხო, თურქულად ლაპარაკობსო“. სიტუაცია ასეთი იყო: ქართულის „არმცოდნე“ ქალბატონმა, რომელიც მიძნადორის ტაძრის შესახებ თურქულად მოგვითხრობდა, ვერც კი იგრძნო, თურქულად დაწყებული ამბავი ქართულად რომ გააგრძელა. საუბრობდა გამართული კლარჯულით და უკვირდა, რატომ არ მითარგმნიდნენ თურქულის არმცოდნე სტუმარს მის მონათხრობს...

– მნიშვნელოვანი ფოლკლორული და ეთნოლოგიური მასალებიც ჩავინერეთ. ჩემთვის საინტერესო იყო წინასაახალწლო კარნავალისა და ქალოცაჟს (მოსავლის) დღესასწაულის ფრაგმენტების მოსმენა. შესაძლებელია, მომავალში მოხერხდეს ჩვეულებების არსებული ფრაგმენტების გაერთიანება. იქნებ, იცის კიდევ ვინმემ სრულად ისინი, ვისაც ჯერ კიდევ არ შევხვედრივართ. ერთი ამბავი მახსენდება: ჩვენმა ექსპედიციამ კარგა ხანს იმუშავა შავშეთში, თითქმის ყველა სოფელში მივედით, მრავალფეროვანი მასალა მოვიპოვეთ, ვრცელი მონოგრაფიაც დავწერეთ, „შავშეთი“, სხვა შრომებიც, მაგრამ „ბერობანა“ არ ჩავგინერია, არადა გავრცელებული ყოფილა შავშეთში:

„ერთი ბერი იქნება და მას ეყოფის ორი დედოფალი. მიიყვანს სოფელში, სოფლის მუხტარი (მამასახლისი – ავტ.) ნებას მისცემს და ბერი დედოფლებს ასამებს/ანეკვებს (sic), მაგრამ სოფლის ხალხი ამ ბერს გაანუხებენ, დედოფლების ერთად ისამებენ. ბერი ამას ვერ გეგანს და ტახებს დუუძახებს. ტახებს ხელებში ჯოხები ექნებიან და ვინც დედოფლებთან მივლენ, დაარტყმენ. მერე ორი ბიჭი ამ დედოფლებს გააქცევენ (აქ: მოიტაცებენ). ეძებენ ბერი და ტახები, მაგრამ ვერ ნახავენ. ტახები, იგზე ვინც არიან, მათ წაათრევენ და დედოფალსავენ ასამებენ, თუ ვერ ისამა, მასაც ჯოხს დაარტყმენ. მერე ტახები თოფით ბერს მოკლენ. დედოფლები მოვლენ და ტირილს დეანყებენ. ტახები ექიმს ეძებენ, ხალხიდან ვინცხას მეყვანენ, მაგრამ ბერს თუ ვერ უშველა, მასაც ჯოხებით სცემენ. მერე ექიმი მოვა, წამალს მისცემს და ადგება ბერი... ტახები, დედოფლები და ბერი სამას დეანყებენ. მერე მთელი ხალხი ერთად ისამებენ...“ (ტექსტი ბაზგირეთელმა ფათიჰ ცვარიძემ ჩაინერა და მომანოდა. გულისხმიერებისათვის მაღლობას მოვახსენებთ მას).

პირველი სამუშაო დღე დასრულდა. შუალამე გადასული იყო, დასაძინებლად რომ წავედით.

29 ივლისი, კვირა. ადრინად ავდექით, ვისაუბრეთ. ჯერ არ გადაგვიწყვეტია, რომელ სოფელში წავალთ. სასტუმროს ჰოლში ვსხედვართ, მევლუდთან ვსაუბრობთ. ბ-ნი ჯემალ მიქელაძე უკვე შესდგომია საქმეს, მევლუდის „მუზეუმში“ გამოფენილ ეთნოგრაფიულ ნივთებს ხატავს, ფურცლებზე გადააქვს მომავალი მონოგრაფიის ტაბულებისათვის. უსაქმოდ არც მე ვარ, მევლუდის საუბრიდან ჩემთვის საინტერესო ფრაზებს ვინერ:

– ამერიკაში *გეექცნეს, ალმანიაში გეექცნეს (ფეთქულა გიულენის მიმდევრებიო – ავტ.). იქ ცხელა, ვერ დანოლილხარ, ჭო! ამეზლამ აქ ხართა?

– თუ ****ჩუმოხვალთ, იქა, ****შუმოხვით!

– *სახრეცია აგი, ბურლი.

– დუგურს'ნა **გევნეთ, დუგურსა!
– ***გძელი'ა შენი მანქანა, გძელი'ა!
– ეს ბანრები ****ჩუმოშვი, ერთი კვირა არ *შეექნა.

– აქ ორი ბერი'ნა *იყენეს და *მოკვნეს, აღარ არიან...

მოყვანილ ფრაზებში რამდენიმე ფორმას მივაქცევ ყურადღებას, კერძოდ:

*გეექცნეს, იყენეს, მოკვნეს – მრავლობითი რიცხვის არქაული წარმოება, რაც დამახასიათებელია ტაოურისათვის. შდრ. გეექცნენ// გეექცენ, იყენენ//იყვენ, მოკვდნენ//მოკვდენ // მოკდენ.

**გევნეთ შდრ. გევდეთ. დ:ნ მონაცვლეობა გავრცელებული მოვლენაა ტაოურში.

***ტონური მახვილი, რომელიც სიტყვას მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალზე: გძელი'ა... აღვნიშნავთ, რომ ტონურ მახვილზე ზოგჯერ ინფორმატორიც მიგვითითებს და გვეუბნება, ამ სოფელში „მუუგალობებენო“. „მოგალობებას“ ეძახიან სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვლის გრძლად, მუსიკალურად წარმოთქმას.

****ფონეტიკური თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს: ჩუმოხვალთ (<ჩამოხვალთ), შუმოხვით (<შამოხვით<შამოხვით), ჩუმოშვი (<ჩამოშვი<ჩამოშვი). დასახელებული ფორმები ტაოურს გამოარჩევს სხვა სამხრული კილოებისაგან. ვფიქრობთ, აქ უმლაუტთან ან უმლაუტის მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე.

ლექსიკურად ყურადღება მიიქცია:

*სახრეცია – აქ: ბურლი. ტაოში იციან ბურლიცა და სახრეციც. ეს უკანასკნელი სხვა სამხრულ კილოებში არ დაგვიდასტურებია.

*შეექნა (ერთი კვირა არ შეექნა) – აქ: ათავდა, გავიდა.

სასტუმროდან იეთში წავედით.

იეთი მთის ფერდობზე გაშენებული სოფელია ოცდაათამდე ქოხით. გზა დასახლებას შუაზე ჰყოფს: გზის ზემოთა და ქვემოთ რამდენიმე ტერასაზე სახლებია აშენებული, იშვიათად ახალი, უფრო ტიპური ტაოური ქოხებია, რომელთა შორის ვინრო შუკებია.

სოფელს იეთის წყალი ჩამოუდის, მოზრდილი ღელე.

ორლობეში მუსტაფა სოლმეზი გავიცანით, იეთელი ტაოელი, კარგა ხანს ვისაუბრეთ.

– რამდენი სახლია იეთში?

– **რა ვიცი, ასე ოთუზ** (ოცდაათი – ავტ) **სენე ვართ.**

– მუსტაფა, მოდი, სოფლის ადგილის სახელე-ბი გვასწავლე, ყანა-ბახჩის სახელები, – ვთხოვთ ახალგაზრდობილს (მუსტაფამ დაიწყო ადგილის სახელების ჩამოთვლა, თან ხელით გვაჩვენებს რომელი სად მდებარეობს).

დარე, *პაკრისაჲ, ლონჯა, ***ყანის თაჲ, *კეტურეთი, ქეთსიქითი, ***თერმანეთული, ყიშლა, თიკანეთ – აქ *დევისეკარია, ასე ნომო'ხვალ ჭოროხლაქეთი, ასე ნომოხვალ – ველითაჲ. **კაჭჩი ყანაჲ, უკნისკე – ახოი, ****კანაფურა, გობზევლა, დევსაკრი ჭალები...**

ჩვიდმეტი გეოგრაფიული სახელი ჩავინერეთ, აქედან ორია მხოლოდ არაქართული (ყიშლა, დერე), დანარჩენი – ქართულია.

ყურადღებას მივაქცევ ზოგიერთ სახელურ ფუძეს:

***დევისეკარა** – კომპოზიცია, რომლის მეორე ნაწილია **კარ'** (**კარ'** ფუძიანი ტოპონიმები კიდეც მრავალი მექართულე ტაოში), პირველი **დევ'** სახელური ფუძე: ***დევისკარი**. იმავე რთულ ფუძეს ვხედავთ სინტაგმაში **დევისაკრი ჭალები** (<დევისკარის ჭალები).

****კაჭჩიყანა//კახჩიყანა** – კომპოზიცია, რომლის მეორე ნაწილია **ყანა** მიწის მნიშვნელობით, საძიებელია **კაჭჩი//კახჩი** ფუძის მნიშვნელობა, შესაძლებელია, ის ადამიანის მეტსახელიც იყოს – **კაჭჩისყანა//კახჩისყანა**.

*****პაკრისაჲ** – ნათესაობითში დასმული სახელური ფუძე. დასახელებული ტოპონიმი წარმოებით გვერდით დაუდგება ისეთ გეოგრაფიულ სახელებს, როგორიცაა – მანგლისი, ბოლნისი...

ოლონდ ნანარმოები ფუძიდან კნინობითობის სახელი უწარმოებიათ ა' სუფიქსით.

******კეტურეთი, თერმანეთული** – ყურადღებას იქცევს ორმაგი წარმოებით: **კეტ-ურ-ეთ-ი, თერმან-ეთ-ულ-ი** (<**თერმან-ეთ-ულ-ი**?). –**ეთ** სუფიქსი გეოგრაფიულ სახელებში დიდი ოჯახის საცხოვრისსაც აღნიშნავს, **-ურ//–ულ** კიდეც ერთი აფიქსის ფონეტიკური ვარიანტებია.

******კანაფურა** (კანაფ-ურ-ა) – **კანაფ'** მცენარეული ფუძეა, გვხვდება აჭარულში – დათვის კანაფი, „ამ მცენარეს იყენებდნენ ყვითელი ფერის საღებავის დასამზადებლად“¹³. **კანაფურა**, **გობზევლა**, **ლონჯა** – საგეოგრაფიო სახელებში გამოიყოფა –ა სუფიქსი, რომელსაც ტოპონიმებში გარკვეული დატვირთვა აქვს, კერძოდ „გამოხატავს კნინობითობას, დანიშნულებას, წარმომავლობას, ქონებას“¹⁴.

მცირე განსჯის შემდეგ ისევ მუსტაფა სოლმეზთან საუბარი განვაგრძოთ:

– მუსტაფა, ყანაში რას დათესავთ?

– **ლებუო, ქართოლი (მარქვალსაც ვამბობთ), თომათესი, ბიბერი, ლაჰანა, ცერცვი... საჭამათ იჯებთან აბლი. ძირ თესვენ, თურქჩე შალღამი, ჯახური, თურქჩე – ბეპელე, სოღანი, მისირი... პურს აღარ თესვენ, ადგა. ყოვლი სახლის წინ კალოა.**

შალღამ ვჭამთა, ჟავე ვიჯებით, ტოღმა ვიჯებით.

შენიშნავთ: შალღამი იგივე **თაღგამია**, *pena Brassica rapa L.*¹⁵ **შალღამ** ფუძე დასტურდება მესხურსა და ჯავახურშიც. მნიშვნელოვანია, რომ ტაოელები ამ მცენარეს **ძირს** უწოდებენ, იგივეა, რაც **ძირა**, სხვაგვარად **თაღგამურა**, „იყენებენ საქონლის საჭმელად, ფესვი იჭმება“¹⁶.

ჯახური – ფორვა ვიჯებით. ვახშობთ, ონდას-ორა, შაჭმელ ვიჯებით, მარქვალ ვურევთ.

¹³ შ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ.

¹⁴ მ. ფალავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე, კლარჯეთი, ბათუმი, 2016, გვ. 614 (შემდეგ – „კლარჯეთი“).

¹⁵ იხ. ა. მაყაშვილი, დასახ. ნაშრ.

¹⁶ შ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ.

ჯახური იგივე უნდა იყოს, რაც მესხური **ჯახ'**ი, „ქარქვეტა, მცენარეა, ღეროებს მხალად ხმარობენ“¹⁷.

მისირი – ვხარშავთ, ვჭამთა, წისქვილში ვფქვავთა, მისირი ფქვილი *იჯვენება. ძირის უკან ტოლმა ვიჯებით.

***იჯვენება** შდრ. კლარჯული **იჯებნება** – ხარობს¹⁸. ტაოურში **იჯვენება** კლარჯულისაგან განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება, უნდა ნიშნავდეს – კეთდება (შდრ. იჯება – აკეთებს).

ლებიო – ქონსერვე ვიჯებით, შუშეფში ვდებთა, ვახმოთ, ლებიო კაკალა ფორვას ვიჯებით.

– ხილი ბევრი ჩანს თქვენს სოფელში...

– **მეფა ბოვრია: ვაშლი არი, სხალი არი, ბალი არი, კაკალა არი, ელუგი არი.**

შევიშნავთ: ელიასხევის სოფლებში ბევრია ბალი, განსაკუთრებით ველური ბალი, – შავი, თეთრი, წითელი. ველური ბალის ნაყოფი ჩვეულებრივ მწარეა და საჭმელად უვარგისი, ტაოში კიდეც – ტკბილი და გემრიელია. განსაკუთრებით დათვი ემტერება ბალს.

კაკალა – იგივეა, რაც ჩვეულებრივი კაკალი, **орех грецкий, орешина, Juglans regia**. გურ. იმერ. რჭ. ლჩხ. ნიგოზი, ნიგვზის ხე (ნიგოზს ეძახიან ქვ. აჭარაშიც)...¹⁹. მუსტაფას განმარტებით, „კაკლი მყავი იმა ჰჭამსა“.

კაკლი მყავი – ციყვია. სხვაგან ჩავინერეთ – კაკლი მყვარი. აჭარულმა იცის ყავი. შ.ნიჟარაძე „ყავს“ განმარტავს როგორც „მყავი“, მაგრამ „მყავის“ განმარტებას არ იძლევა, მოიყვანს მხოლოდ საილუსტრაციო მასალას: ჩვენ ერთ კოულში შევძვრეთ, / შენ თავი და მე – ყავი“²⁰. ბარემ აღვნიშნავ, რომ ალ. ლლონტს ლექსიკონში შეაქვს „ყავი“ (გურ.) და განმარტავს: „ნადირია პატარა“²¹. სულხან საბას განმარტებით კი „მყავი თრითინასა ჰგავს, პატარა“²².

კაკლი მყავი//კაკლი მყვარი „ციყვის“ მნიშვნელობით მხოლოდ ტაოურმა დაიცავა...

– ბატონ მუსტაფას ვეკითხები ტაოური სახლის შესახებ, მისი აღწერით, ძველი სახლი „ორი–სამი ყათი იქნება:

„ძირა ბოსელია: ფური, ჯარი... პირტყვი – ცხვარი, თხაჲ, ვაცი... ქორში.

მეორე ყათი – სახლი, საჟდომი, სასანოლე. მესამე ყათი – სათივრე, ბელელი.

სასანოლეში ფენქები იყო, დანვებოდი.

ბელელში – გოდრები დაკიდულია, დეფანზე დაკიდულია, შიგან მონურული ყველი ხმება. იქიდან ვიღებთ, ბელელში ვდებთა. ზამთარში ჩაის უკან ვჭამთა.“

იკვეთება **სახლის** მნიშვნელობა ტაოურში, სადაც სახლი ადამიანთა სადგომია მხოლოდ. შდრ. შინაური ცხოველის სადგომი ბოსელი ან ახორია, თივის შესანახი – სათივრე, მერეგი, პროდუქტის შესანახი – ბელელი. თავად შენობა მთლიანად – ქოხი.

სასანოლე – ოთახი, სადაც სანოლი დგას და წვებიან. იშვიათი ფორმაა ქართულში, ზედმინეწით გამოხატავს დანიშნულებას.

ყურადღებას მივაქცევ სინტაგმას „ჩაის უკან“ (შდრ. ჩაისთან), სადაც **უკან** თანდებულის მნიშვნელობითაა ნახმარი.

– ბატონო მუსტაფა, თქვენთან „გოდორი“ მრავალგვარია, რისგან ქსოვთ მას?

– **ძენკნიდან გოდორ ქსოვენ, ჩეთენებს, მაჭალას, ჯელედს.**

ჩეთენ მეაკიდებ, ყეზელ-მეზელ ვყრითა შიგან.

მაჭალა იმაზე პეტარაჲა...

პირუტყვისათვის ნარცხს აკეთებთ, ცეცხლს ეზოში ანთებთ?

– **ჰო, ცეცხლ ვანთებ... ცახი ნარცხი ძირიდან ვანთებთ. ხე მოვჭრით, იმისი ტალი (აქ: ტანი, ტოტი) ცახია.**

¹⁷ ალ. ლლონტი, „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“, თბ., 1984.

¹⁸ კლარჯეთი, გვ. 1057.

¹⁹ ა. ყაშვილი, დასახ. ნაშრ.

²⁰ შ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ.

²¹ ალ. ლლონტი, დასახ. ნაშრ.

²² ს.ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრ.

კიდევ ერთი განსხვავებული სიტყვა – **ცახი ფიჩხის** მნიშვნელობით დავადასტურეთ. ყურადღებას იქცევს **ტალიც**, ჩანს, იგი **ტან**'ის ფონეტიკური ვარიანტია (ტალ<ტან'ისაგან **ლ:ნ** მონაცვლეობით). **ტანის** ერთ-ერთი მნიშვნელობაა **შტო, რტო**²³.

კარგა ხანია, ვსაუბრობთ მუსტაფასთან, მაგრამ მაინც არ გვსურს მისი დატოვება: ჯერ ერთი, კარგი მოსაუბრეა, მეორეცაა და დაუზარებლად გვინილადებს თავის ცოდნას.

ხშირად ვცდილობ, სხვამ დაუსვას კითხვა ინფორმატორს, ასეთ პირობებში მე შორიდან დაკვირვების საშუალება მეძლევა, უკეთესად ვინერ დიალექტოლოგიურ მასალას... ზოგჯერ მოულოდნელად ისეთ სიტყვა-ფორმას გავიგონებ, სხვაგან რომ არ მსმენია ჩემი საველე მუშაობის საკმაოდ დროის განმავლობაში. ასე მაგალითად, მუსტაფა ყვება მთიდან/აილადან სოფელში დაბრუნების ისტორიას და მოულოდნელად მესმის: **ჩევფალაქენით!** მნიშვნელობა ვერ გავიგე, ვეკითხები, რა ჰქენით?

– **დავშნით გზაში, გზა დევვეკეტა, ჩევფალაქენით** (ჩავრჩითო), **იქიდან შეველთ და კარი დეყარა**.

ახლა გავიგე: **ჩევფალაქენით** – ჩავრჩითო „**ი თქმა**“. მეორე სინტაგმა შემოვიდა საუბარში: „**კარის დაყრა**“ „**კარის დაკეტვის**“ მნიშვნელობით.

მუსტაფასთან საუბარში გავიგონეთ ასევე, რომ **ხოზიკას** ტაოელები **კიკა**'ს ეძახიან. კიკა არ იცის სხვა დიალექტებმა, ყველა შემთხვევაში ლექსიკონებში არ ჩანს.

ხოზიკა კიდევ ორკბილაა²⁴, იგივეა, რაც ბირკა²⁵.

მაშასადამე, **ხოზიკა, ბირკა და კიკა** ერთი და იგივე მცენარის აღმნიშვნელი სახელებია.

ინფორმატორისაგან ისიც გავიგეთ, რომ ტაოელები ჭანებს მეტსახელად **ფაც**'ებს ეძახიან, თურმე, ნულარ იკითხავთ და, „ძროხასაც ეტყვიან ფაცს“.

ფაცი, ფაცია გოგონას ნიშნავს აჭარულში²⁶. მოფერებით ამავე სახელით მიმართავენ ფურსაც.

გაურკვეველია, რატომ შეარქვეს მეტსახელად ჭანებს **ფაცი** ტაოელებმა. სახელდებისათვის რა ნიშანი შეარჩიეს ნათლებმა. ცნობილია, რომ სახელმეტაფს შერჩევა რაღაც ნიშნით ხდება, სხვაგვარად: ყოველ მეტსახელს კონკრეტული ნიშანი უდევს საფუძვლად...

კითხვებს ვაყრით მუსტაფას, ბოლოს, დაღლილმა, გააპროტესტა თავისი მდგომარეობა: **„ჭკვა ვერ მომიკრეფია, ბევრი ხანია, ნეველ... ბორჩხას გევზარდე, მერე ბურსას ნეველ...“**

საყურადღებო ფრაზეოლოგიზმია „ჭკვის მოკრეფა“, ნიშნავს „აზრის თავმოყრას“, „გააზრებას“, იმასვე, რასაც შავშურში „ჭკვას ჭუჭკავს/ჭკვას ვერ ჭუჭკავს“.

– აქ, თქვენს კუთხეში, გურჯების გარდა სხვებს თუ უცხოვრიათ, თუ გაგიგონიათ ამასთან დაკავშირებით?

– **აქოვრობაა მეტი არევლია: აქოვრობაში ერმენები დამდგარან, რუმები დამდგარან, გურჯები დამდგარან... გურჯი ბევრია აქ.**

– გავიგონეთ, ქართველები ტრაბზონის იქეთაც იყვნენო...

– **ჩვენ, ქართველები, მე ვჯერვარ, ტრაპზონ იქეთ რამ არ ყოფილა...**

ამ ჩვენს „ისტორიულ ნიაღვრებში“ ინფორმატორმა საყურადღებო ზმნური ფორმა გამოიყენა – **ვჯერვარ**: მოსალოდნელი ორგანული ფორმის ნაცვლად, – **მჯერა**, აღწერილი იხმარა...

შემდეგ თავად გვკითხა მუსტაფამ:

– **იშხანში გურგვალე ქვებით *სუთუნები** (აქ: ბოძები – ავტ.) **იყო, ჰა ნევდა, ავ?**

– რა გითხრათ, ჩვენ საიდან ვიცით, „გურგვალე ქვებით სუთუნები“ „ჰა ნევდა?“ ალბათ მოშალეს, ან წაიღო ვინმემ...

მუსტაფა ქართულ არხებსაც უყურებს თურმე, მაგრამ ბევრს ვერ ხვდება, ისე თვალს ადევნებს კი:

²³ შ. ნიჭარაძე, დასახ. ნაშრ.

²⁴ იქვე.

²⁵ ალ. მაყაშვილი, დასახ. ნაშრ.

²⁶ შ. ნიჭარაძე, დასახ. ნაშრ.

– [ქართულ არხებს] „ბევრ ყურ ვუგდეფ, ვსე-
იროფ“, – გვეუბნება. რწმუნდება, რომ ძალიან
დაშორდა მათი მეტყველება საერთოქართულს,
„ათათურქ ჩვენი ენა დუჟკარქიაო“, – დაასკვ-
ნა. დიახ, ათათურქის თურქეთი ქართველებს
(სხვებსაც) აიძულებდა თურქულად ელაპარაკა,
სახლშიც კი, ავინყებდა წინაპართა ენას ტაოე-
ლებს, კლარჯებს, შავშებს, მუჰაჯირებს...

ერთ ცნობასაც მოვიყვან მუსტაფასთან სა-
უბრიდან და ამით მოვრჩეთ: მაღლა ადგილიაო,
ინფორმატორმა, „საფლავქეთ ვუძახით, იეთი
უკნიდანაა, ვერ დიგინახიან, ქვები არ არი.
ძველათ ძვლები უხედნიან, ნაკადი რომ მო-
ვდოდა: რუ გამუგდებენ, ძვლები ამოვდოდა.
მე ა' დიმიანხია იგი, გაგონილი მაქ. ერმენებ-
თა მეზარი ყოფილა“.

– რატომ ერმენთა მეზარი-მეთქი, მსურდა
მეკითხა, მაგრამ თავი შევიკავე, პასუხი ისედაც
ნათელი იყო...

„ძვლები უხედნიან“ – აქ: ძვლები დაუნახა-
ვთ (შდრ. ხედვა).

მანქანასთან შევგროვდით, გადავწყვიტეთ
ობლევარში წასვლა. ნუგზარი და ჯემალი და-
ვტოვეთ, იმუშავეთ, მოგაკითხავთ და ნაგი-
ყვანთ-მეთქი.

ობლევარი იეთს გაღმაა. იგი მთის ფერდო-
ბებზე გაშენებული ტიპური ტაოური სოფელია:
ძველი ტაოური სახლებით, ტერასებით... მო-
სახლეობა სოფელში არაა, ჭალებშია. თიბვის,
ჭალობის სეზონია ახლა. ობლევარში შვიდიო-
დე ქოხია. ზამთრობით აქ არავინ რჩება, ბარში
მიდიან გამოსაზამთრებლად, ზოგჯერ – სულაც
დიდ ქალაქში, სადაც ახალგაზრდობა ცხოვრობს
და საქმობს. ზაფხულობით ცოცხლდება სოფე-
ლი: გაზაფხულზე ჯერ უფროსები, უმეტესად
პენსიონერები გამოჩნდებიან, ყანას, მწვანილს
დათესავენ, ბოსტანში ლობიოს, ფხალს დარგა-
ვენ... ზაფხულის არდადეგების დროს ახალგაზ-
რდობაც ამოვა სოფელში სააგარაკედ.

სოფლის ჯამესთან დავსხედით, ვისვენებთ,
ზემოდან დავყურებთ ხეობას. ჩვენს საუბარში
სამი ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა, რომელთა-

გან ორი, – ოცი წლის ფატმა აღმაჯი და თვრამე-
ტი წლის უმუ გულსუნი ამტვრევენ ქართულს,
ხოლო მათი ბურსელი სტუმარი, თხუთმეტი
წლის აილინ გუმუშოლლი, ლიცეუმის მოსწავლე,
საერთოდ ვერ ლაპარაკობს წინაპართა ენაზე...

ცივი წყალი მოგვართვეს ქალბატონებმა
სტუმრებს, ჩვენთან გაჩერდნენ სასაუბროდ.
უმუ ხშირად შედიოდა ქოხში, მძინარე ძმას და-
ხედავდა, შეშინდებო, რომ გაიღვიძოსო.

– საით მიდიოდითო, ეკითხება თინა ქალებს.

– კოკოლაი'ნა (აქ: გირჩი) მოკრიფონ, – პა-
სუხობს ფატმა, იმის უკან მივალთ და ზათინ.

– სად უნდა მოკრიფოთ კოკოლაა?

– აქუბაში, აქუბაში მივალთ! – თითით სო-
ფლის თავზე წინვოვან ტყეს გვიჩვენებს უმუ
გულსუნი, მე არ მი'ვალ, პეტრა ყარდაში მყავს,
შევხედო'ნა.

– კი მაგრამ, კოკოლაა რად გინდათ, რისთვის
აგროვებთ? – ვკითხულობ მე.

– დავწვთ'და ზამთარში, ცეცხლი'და და-
ვა'ნთოთ!

ჩანს, კვარის მაგივრად იყენებენ ხმელ კოკო-
ლას ცეცხლის დასანთებად.

მაღე გზაზე შუა ხნის ქალბატონი გამოჩ-
ნდა გოდრით, მას ოც წლამდე ქალი მიყვებოდა,
ფატმა ილმაჯიც მათ გაყვა.

– მოდით, თვეების სახელები ჩაგვანერინეთ,
– ვთხოვთ გოგონებს.

– ოჯალი – იანვარი,

შუბათ' – თებერვალი,

მარტი,

ნისანი – აპრილი,

ჰაზირანი – ივნისი,

თემუზი – ივლისი,

ალუსტოსი – აგვისტო,

ელული – სექტემბერი,

ექიმი – ქალოცაჲ/ოქტომბერი,

ქასიმი – ნოემბერი,

არალიქ – დეკემბერი.

ქალოცაჲ, ოქტომბერი რაა? – უკვირს მე-
ლუდს. აქ, ელიასხევში ოქტომბერი არ იცინა,
ქალოცას ეძახიან...

მეველუდმა ერთი ამბავი გაიხსენა:

– [ქალოცას – ავტ.] **ყურძენ კრეფდეს, ბექემეზ ვიქმოდით, ტკბილ ვიქმოდით, შელლიქ ვიქმოდით, ვიფერხულებდით... სხვა სოფლებს ხებერ მისცემდეს, ხვალ ქალოცაა, აქ ჩუმოდითო!**

ჩანს, ქალოცა თვის სახელიცაა და დღესასწაულისაც.

შემოდგომის დღესასწაულის კიდეც ერთი ეპიზოდი მოგვითხრო მეველუდმა, – გადავულაპარაკე რამაზს.

– სხვას რას გააკეთებდით ქალოცაზე?

– **ძველათ [ქალოცას – ავტ.] ყურძენ დავკრეფდით, ბექემეზ ვიქმოდით, შელლიქ ვიქმოდით. ორ-სამ ღამეს ხალხი შეაყრებოდეს ბაღშიდამ, ქუბადამ... ჩუმოვდოდეს, მოსაფირი შეაქნებოდეს, ორ-სამ ღამე შელლიგი იქნებოდეს... –** დააზუსტა ინფორმატორმა.

ღიას, მოსავლის დაბინავების შემდეგ სოფელი მოილხენდა.

– მეველუდ, ძველად საქონელი ბევრი იყო სოფელში?

– **ნახირი იქნებოდეს აქ ხუთასი ძროხა, ორასი ჯარები, ზღაფხულში აქ თაში დადგებოდეს, ათასი პურტყი: თხა, ცხვარი, ვერძი... აქიდან ნახირი წუმოვდოდეს, [ჩობანს – ავტ.] მიცემდეს, დუგურ წაასხმიდეს. იქ ერთ თვე ნახირი გვედოდეს, [ქალები – ავტ.] ფურებ მონველიდეს, ჩუმოვდოდეს...**

აქტიურად მისდევდა მესაქონლეობას სოფელი. დღეს საერთოდ მოიშალა ტრადიციული მესაქონლეობა, აღარავინ დადის აილაზე, უქმად დარჩენილი აგრები კი ან ჩამხლევედა, ანდაც გეხრაკა.

საინტერესოა მეველუდთან საუბარი, რაღაც მნიშვნელოვანს გვიამბობს ყოველთვის.

– მეველუდ, შენ „მანინც ყველაფერი იცი“, ვეხუმრებით დღევანდემ მეგზურსა და მასპინძელს, ობლექარის ადგილის სახელებიც გეცოდინება, ჩაგვანერინე.

– გითხრა, დაჰწერე!

პაკლისაჲ <პაკლისა,

კანაფურა <კანაფურა–ა.

დარუნალი <დარე–ნალ–ი. ადგილი, სადაც დარეებია, ფერდებია(?).

ფაცალი (<ფაცახი? **ღ:ხ** მონაცვლეობით, რაც ფონეტიკურად დაშვებულია). **ფაცახი** – იხმარება ქიზიყურში, ნიშნავს „უხეში, გრძელბენვიანი, ბალნის მსგავსი მატყლი“²⁷.

ნაყორი,

ყირმები <**ყირამები**(?) <ყირავები (**მ:ვ** მონაცვლეობით), ნიშნავს: **ყინული, ცივი**²⁸.

წვერსიქეთი,

ჯეა ყანა <ჯევი ყანა (ტაოურში **ჯევი** > **ჯეა**, V-V (ინტერვოკალურ) პოზიციაში იკარგება **ვ**).

თევზა წმინდა – წმინდა ალაგიაო, ახლა ჭალებია.

ფაჭიდები, – შუაჭიდებო' განმარტა ინფორმატორმა.

ყიშლები.

ობლექარიდან იეთში გავედით, სადაც ნუგზარი და ჯემალ მიქელაძე დავტოვეთ: ძველ სახლს სწავლობდნენ ეთნოგრაფები, იხატავდნენ... მანქანა გავაჩერეთ, ვეძახით:

– ნუგზარ, ბატონო ჯემალ!

ვერ ვპოულობთ. ერთი მიტოვებული სახლის სახურავზე ნუგზარის კომპიუტერის ჩანთა ვნახეთ. ვიფიქრეთ, აქ არიანო. ვეძახით, პასუხს არ გვცემენ.

კალოზე ახალგაზრდა მამაკაცი იდგა, ყრუმუნჯი. „ვერ ჭუჭკავსო“, – მეველუდმა.

გავვიგო ახალგაზრდა იეთელმა, მოძებნა დაკარგულები, ჯერ ბატონი ჯემალი გამოიყვანა, რაღაც გვანიშნა, „აგერაა, ჩაიბარეთო“. შემდეგ რამდენჯერმე შევიდა სათივეში, ქოხის მესამე სართულზე, ბოლოს ნუგზარიც გამოიყვანა გახარებულმა... თვალბანთებულმა მანქანამდე მოაცილა და ორლობეში გაუჩინარდა.

– კაცო, კაცი გამოგიგზავნეთ, გელოდებითო, რატომ არ მოუსმინეთ? სანამ არ გამოგყა-

²⁷ ალ. ლლონტი, დასახ. ნაშრ. შდრ. ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, „ქართული დიალექტოლოგია“, 1, 1961, გვ. 609.

²⁸ შ. ნიჭარაძე, დასახ. ნაშრ.

რათ, გამოსვლა ვერ მიხვდით-მეთქი, – „ვსაყვე-
დურობ დაკარგულეხს“.

– შემოვიდა მუნჯი, ცდილობდა, „დაგვლაპა-
რაკებოდა“, რალაცას გვისხნიდა მისებურად...
ბოლოს რომ გამოვედით, გაიხარა, მივახვე-
დრეო, – ამბობს ბატონი ჯემალი.

გოდლეკარში ავიდეთო, მევლუდმა. დავთა-
ნხმდით.

გოდლეკარი მთის ფერდობზე რამდენიმე ხე-
ლოვნურ ტერასაზე გაშენებული სოფელია. „ათ-
დაოთხი ქოხიაო სოფელში“, გვითხრა ალი გუ-
მუშ-ოლლიმ, „სამი ოცი და ხუთი წლის“ ობლე-
კარელმა ტაოელმა.

მევლუდმა გააცნო ალის ჩვენი ექსპედიცია,
ბათუმიდან პროფესორები მოვყვანეო, თქვე-
ნთან ლაპარაკი უნდათო.

სათითაოდ ხელის ჩამორთმევით მოგვესალ-
მა ალი გუმუში, შემდეგ ძელსკამზე ჩამოგსხე-
დით სასაუბროდ.

– ალი ბატონო, პატარა სოფელია გოდლეკა-
რი, რა სოხადები სახლობენ აქ?

– გენჯთურქი, ძველი – გუმუშიანი, გენჯი-
ანი, დემირჯიანი, ჩაუშოლლი, ბაირახტარი.

– კი მაგრამ გუმუშიანი, გენჯიანი, დე-
მირჯიანი, ჩაუშოლლი, ბაირახტარი – ყველა
ახალია, ყოველ შემთხვევაში თურქული ფუძე
უდევს საფუძვლად, თუმცა პირველი სამი ქა-
რთული –იან მანარმოებლიანია:

გუმუშ – ვერცხლი. გუმუშ ადამიანის საკუ-
თარ სახელშიც ჩანს: გუმიშახმედი.

გენჯი – ახალგაზრდა, თუმცა მამაკაცის სა-
ხელიცაა გენჯი, გენჯ-ალა.

დემირჯი – მჭედელი.

ჩაუში (<*ჩაუშისაგან) – დაბალი ჩინის მოხე-
ლე სოფლად²⁹, ჩაფარი.

ბაირახტარი – მებაირაღე, მედროშე³⁰.

შ. ნიჟარაძე ერთგან აღნიშნავს, რომ ბაირა-
ხტარი მამაკაცის სახელიცააო და მოიყვანს სა-
ილუსტრაციო მასალას:

სამივ ერთად დაანყვილეს,

ორი ძმა და ბაირახტარი (მიუთითებს: ივე-
რია, 1873, №13).

მოყვანილ მაგალითში არ ჩანს, რომ „ბაირა-
ხტარი“ მამაკაცის საკუთარი სახელია, ვფიქრო-
ბთ, იგი ხელობის სახელია. შესაძლებელია, მასა-
ლა ვერაა მარჯვედ შერჩეული.

– ძველი სოხადები სხვა არ იცით?

– სხვა არ ვიცი, აგია სულ. გოდლეკარ-
ში გუმუშოლლი ექვსი ქოხია, ერთ მაჰალეში
ცხოვრობენ – გუმუშიანი.

– მევლუდ, ვთხოვოთ ალის, ადგილის სახე-
ლები ჩაგვანერინოს, ამ სოფლის მანაც.

– ალიმ დაიწყო ტოპონიმების ჩამოთვლა, გა-
სცდა თავის სოფელს და მთელი ხეობის გეოგ-
რაფიული სახელები ჩაგვანერინა, რაც გაიხსე-
ნა, რა თქმა უნდა:

ბასლეკარ ჯეა,

მალლა ფიშნარ ჯეა,

ჭელანკარი,

კრაეკარი,

დოლეჯან კარი,

გოდლეკარი,

ბასლიანკარი

ჯევაა ჯეა'ს იეთი ჯეაა ვეტყვით, იეთიდამ
მოვა, იეთიჯეა ვეტყვით, იეთიჯეა – ქვეათ –
ელიასჯეა.

ქვაბაჯეა და იეთიჯეა ერთმანებ ერევა.

გოდლეკარი *ტაკვალაზე, კრაეკარიც ტა-
კვალა, დოლეკარი – ტაკვალა, ფიშნარჯეა –
ტაკვალა.

**დვალეკარი//დოლეკარი – ორთანთას ვამ-
ბობთ;

ცერეკარი, შაბანიანკარი, ბასლეკარი – დე-
ვსაკარას მაჰალეებია;

შენიშვნა: *ტაკვალა – მარცხენა. შდრ. ჭა-
კვა, ტაკვია³¹.

**დვალეკარი//დოლეკარი – ორივე ფორმა
დასტურდება, ფონეტიკური სახესხვაობებია:

²⁹ შ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ.

³⁰ იქვე.

³¹ იქვე.

ვა>ო დაშვებული ბგერათცვლილება ქართულში.

როგორც ვხედავთ, ალის მიერ დასახელებული საგეოგრაფიო სახელების უმეტესობა კომპოზიტია ან სიტყვათკომპლექსი, ე.წ. სინტაგმა ტოპონიმი, რომლის მეორე ნაწილი კარი და ჯე<ჯევია.

ყურადღებას მივაქცევთ ერთ ფაქტსაც, კერძოდ: **ჯევაა ჯე'ს იეთი ჯე'ს** ვეტყვით, იეთიდამ მოვა, **იეთიჯევს** ვეტყვით, **იეთიჯეა** – ქვეათ – **ელიასჯეა**. თქმულიდან გამომდინარე, ერთ მდინარეს სამი სახელი აქვს: **იეთიჯევი, ჯევაჯევი, ელიასჯევი**. ასევე თავისი ჯევეები აქვს სოფლებს: **ბასლეკარჯეა, ვაჩეკარჯეა, დოლეკარჯეა**.

„ჯევეებისა“ და „კარების“ შემდეგ აღიმ „აქუნურები გითხრაო“ (შდრ. აქაური გითხრაო) და სოფლის მიკროტოპონიმები მიკარნახა:

ნითელი ყანები, შდრ. ნითელი მინები.

დიდი ოროკი, შდრ. ოროკი – მინა ბაქან-ბაქან მოვაკებული³².

საფუტკი წინი <*საფუტკ[რი] წინი.

ჭინჭალა <*ჭინ[ჭყო]ჭალა(?). აღვნიშნავთ, რომ **ჭინჭალა** აჭარულში ჩიტის, – ჭინჭრაქა, ლობემძვრალა – სახელია³³. დასაშვებია, **ჭინჭალა წინჭალა** იყოს **წ:ჭ** მონაცვლეობით.

ბალყანა შდრ. ბალ[ის]ყანა.

სიცველი (<*სიც-ეულ-ი//სის-ეულ-ი) – **ოტელი უკანავ სიცველი ეტყვიან**.

– ალი ბატონო, საყურადღებო სახელები ჩავგვანერინე, გმადლობთ. ახლა აქაური მეივების სახელებიც მითხარი:

– **ვაშლი, სხალი, თუთა, კაკალა... მეჯვა ბოვრია, ყველა *ჟერლია, **ჩოლი ჟერლია**.

განვმარტავ:

***ჟერლი//*ჟელი** (თ. yerli), ადგილობრივი.

****ჩოლი<ჩოხ** – ბევრი.

– მინდორში რას თესავდით? ყველა სახლის წინ კალოა, უფრო ნაკალვარი.

– **ქერი, ცერცვი, ჭვაა, დიკა... აღარ ვთესავთ. მოვჭრიდით, კალოზე გავლენიდით, წის-**

ქვილში გამუფქვიდით... ზათი პურს კეცებში ვაცხოვდით.

ახლა ჭალები დაყრილია (აქ: მიტოვებული), **მოზობლები თიბვენ**.

მთხრობელმა ერთ ფაქტსაც მიაქცია ჩვენი ყურადღება, კერძოდ: **ჭელიანკარისი, ბასლიანკარისი, დოლეჯიანკარისი, გოდლიანკარისი მეზრე – დევსაკარაა, აილა – დუგური. ახლა არ მიდიან, ბურსას, ადაფაზარ *წვენეს, იქ არ მიდიან**.

– დევსაკარას უფრო მეტი რომელი სოფლიდან არიან?

– **დევსაკარას იეთები არიან ბოვრი. ზამთარში *სამნი არიან, აქო სამი ხანე არი. აქედამ იარებიან, არაბა მიხყავს, მაასხამს**.

***სამნი არიან** – რიცხვითი სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმების იშვიათი შემთხვევა.

– **დევსაკარას ქონობანიც დადის!** – შეახსენა მევლუდმა.

– **ქონობანისაც ნახვარისიც **დევსაკარაა, მეორე ნახვარისი – ფიშნარჯეა**.

განვმარტავთ:

***წვენეს<წვედეს** (ნ:დ მონაცვლეობა).

****დევსაკარა<დევსაგარა** (კ:გ მონაცვლეობით).

ერთ ეპიზოდსაც მოვიყვან ალისთან საუბრიდან:

– **მე არსა შემომყრია [ქვევრი – ავტ.] და არ ვიცი. (1)ხინძანი ყოფილა, ახლა ავსილა, (2) გაბელთებულა, მინა ჩამოსულა, ავსილა**.

– დუგური აილაზე უწინ ხალხი ცხოვრობდაო, გვითხრეს, თქვენ რას იტყვით?

– **ქვეები დაგებულა, ფიქლები დაგებულა, (3)სარცხელი (4)უჯებიან, (5)ზათი მილლეთი ყოფილა იქა**.

– მერე სად წავიდა ხალხი?

– **დაპანტილან! რა ვიცი, ასე იტყვიან**.

ომერ ბატონო, ეს რუ სად მიდის?

– **დაბლა, (6)ჭალებთ, ყანებთ ვწყავთ. ყოლი ინსანის დლე არი**.

³² ს.ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრ.

³³ შ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ.

– დიდი თოვლი მოდის ალბათ გოდლეკარში!
– **გზა არ ემწყრევა, მაქინა მოვა, ხსნავსა, არ დეემწყრევა.**

– ამ მდინარეში თევზი იქნება?

– **აქამდე არი, აქ თევზ ვერ შუუვლია, აქ (7) ეყუდება.**

შენიშვნა:

(1)ხინძანი – მარანი.

(2)გაბელთებული – ქვა–ლორლით ავსილი. გაბელთება – ავსება. შდრ. ლეჩხუმურში მ. ალა-ვიძე ადასტურებს **გაბელთვას განუწვის მნიშვნელობით**³⁴.

(3)სარცხელი – სარეცხი.

(4)უჯებიან – გაუკეთებიათ.

(5)ზათი – წინათ.

(6)ჭალებთ, ყანებთ (ვწყავთ) – ორმაგი მრავლობითი. აღვნიშნავ, რომ ტაოურში **წ'არიანი** მრავლობითის ფორმები ხშირია, იშვიათია – **თ'ანიანი**.

(7)ეყუდება – აქ: ჩერდება, დგება.

დღეს რამდენიმე სოფელში ვიყავით, ვფიქრობთ, კარგად ვიმუშავეთ. მევლუდის წყალობით, კარგი ინფორმატორებიც შეგვხვდა, საყურადღებო მასალებიც შევკრიბეთ:

ნუგზარი და ჯემალი მთელი დღე საცხოვრებელი ნაგებობების ჩახატვა-ჩახაზვით იყვნენ დაკავებული.

თინა, ნატა და ნონა ფოლკლორულ მასალებს ინერდენ; სალამოს კმაყოფილია თინა დღის მონაგარით.

რამაზმაც ბევრი ჩაინერა ვიდუოკამერით, მრავალფეროვანი მასალა დიგიტალური არქივისათვის.

მალხაზი მთელი დღე ფოტოებს იღებდა, ზოგჯერ ნონაც ეხმარებოდა.

და, რაც მთავარია, მთელი დღე საშინლად ცხელოდა, ექსპედიცია თაკარა მზის ქვეშ საქმიანობდა...

ბნელოდა, სასტუმროში რომ ჩამოვედით.

30 ივლისი, ორშაბათი. მზიანი დილაა. სასტუმროს ეზოში ვსხედვართ მე და რამაზი. მე-

ვლუდი დავიმარტოვე, სასტუმროს მეპატრონე, ვიდრე მაღლა სოფლებში წავიდოდეთ, ვიფიქრე, ჩავინერ-მეთქი რამეს.

– მევლუდ, ადგილის სახელები ჩამანერინე, ოღონდ ზემო სოფლების, სადაც ჯერ კიდევ არ ვყოფილვართ.

– დანერე: **ბელი გუბე,**

კაკლიან დელე,

კანდრი თაჲ<კანდრი[ს] თა[ვ]ი,

უკან ობანი<უკან უბანი,

დათვი საბანაჲ< დათვი[ს] საბანა[ვ]ი (საპიკ-ნიკე ადგილია).

მკითხველის საყურადღებოდ: ნათესაობითი დასმული მსაზღვრელი ხშირად ბრუნვისნიშნისეული თანხმობის (ს) გარეშეა წარმოდგენილი: **ბელი გუბე, კანდრი თაჲ** და მისთ.

ექსპედიციის წევრები გამოვიდნენ ეზოში.

– **ჩამოხენით?** – კითხულობს მევლუდი. შემდეგ მე მომიბრუნდა და განაგრძო:

– **ჩემერე ხევის მარჯვენაჲ ეგრები//სოფლები:**

ნაფანეჲ<ნაფანე[ვ]ი (ხევის გაღმა ფერდობზე და მდინარისპირა მერეზეა გაშენებული – ავტ.).

ნაგარეჲ<ნაღვარეჲ<ნაღვარე[ვ]ი (გ:ლ თანხმობანთმონაცვლეობით).

ტალავარი ჯეჲ; ტალავარჩი ოთხი ქოხია.

ტაკვანაჲ (მარცხენა) ეგრები:

ნაფანეჲ<ნაფანე[ვ]ი,

ფოსტო//ფოსორო (მთა),

სარნუა (მთა),

ქაჯეკარი (სოფელი),

სინკლეთი<სინკილეთი,

დევთისაჲ,

წყვდიადი (ახლა: ყარალიქ დერე).

აგია სულ, ხეჲს ორივე კუთხე!

შემდეგ წაიმღერა მევლუდმა:

ანჯახ ვნახე ველაჲ,

გემექცა ყველაჲ.

– ველაჲ რა თქმაა? – ვეკითხები მევლუდს.

– **ველაჲ – მაცვალი!**

³⁴ მ. ალავიძე, „ლეჩხუმური ლექსიკონი“. კრებული: „ქართველურ ენათა ლექსიკა“, 1, თბ., 1938.

პირველად მესმის, **ველა** რომ **მაყვალა**, ამდენ ხანს რატომ არ მასწავლე, „ვსაყვედურობ“ მევლუდს.

– **ამდენ ხანს „არ გემეცა ყველა“**, – ხუმრობს მასპინძელი.

– ყარალიქ დერეს უნინ წყვდიადი ერქვაო, თქვი, წყვდიადი რა თქმაა?

– **წყვდიადი – ბნელი და!**

– მევლუდ, ქორიათი სადაა?

– **ქორიათი ელიასხვევ ქომოთაა!**

რამდენიმე გეოგრაფიულ სახელზე გავამახვილებ ყურადღებას:

დევთისაჲ, წყვდიადი (ახლა – ყარალიქ დერე), **ნალვარევი** (ტაოელთა გამოთქმით ნაგარეჲ) დასტურდება ჰაგიოგრაფიულ ძეგლში „დავით და ტირიჭანის წამება“. რამდენი საუკუნე გავიდა თხზულების დაწერიდან, მიწამ შეინახა მისი გმირების მოქმედების ასპარეზის ხსოვნა. ესეც იმის დასტურია, რომ ისტორიული მესხიერება გამძლეა...

ჩემთვის ასევე მნიშვნელოვანია ხეობაში საგეოგრაფიო სახელების **ქაჯეკარი** და **დევთისა** <დევთისა დადასტურება.

ტალავარი შდრ. ძველი ქართული: ფაცხა, საჩრდილობელი, ფანჩატური³⁵. დასახელებული ყველა მნიშვნელობა შეიძლება დაუკავშირდეს აღნიშნულ სახელს. და კიდევ, დღეს მექართულე ტაოში არავინ იცის **ტალავარის** მნიშვნელობა, სახელი კი მიწამ შეინახა...

მანქანაში ჩავსხედით და სარიგიოლში ნაშროვით წვრილმან საყიდლებზე, მევლუდი და მისი მეუღლე, ნურსერიც ჩვენთან ერთად მოდიან. გზად მევლუდი ხუმრობს, მღერის, ცელქობს, შემხვედრებს ესალმება: **ჰო, ჰოო, ჰოოო! გურჯებო, გურჯები მეყვანე ბათომიდამ...** გასძახის ფეხოსნებს თუ მანქანით მიმავლებს.

სარიგიოლზე ჩავედით. ცხელა, სუნთქვაჭირს. ვუძლებთ. როგორც იქნა, საყიდლები იყიდეს და ხეობაში წამოვედით. გზად გეოგრაფიულ სახელებს ვინერთ თუ ჩანერილებს ვაზუსტებთ. რამაზი „დავით და ტირიჭანის წამების“ გეოგრა-

ფიას ამონებებს, ეძებს **ვეჟანგეთს, მამორვანს, ტაძარანს...**

ელიასხვევში ამოვედით, დუქნებთან მანქანა გავაჩერეთ. გვიცნობენ აქაურები. დღეს იდრისაჲ ულონოლი შეგვხვდა და გვიმასპინძლა.

– იდრის, ადგილის, ყანა-ჭალის სახელები ჩავგანერინე. ღელე გაღმათ დავინყო!

– **ბუზაღელე,**

არტანი,

ბრექიანი,

უკანობანი//უკანობა,

ბონმინდა,

ცუცეკარი, სხვები ცუცაგარას ამბობენ, ბონმინდას ქომოა,

კუპრეთი//კუპრეთი (შდრ. გვარი – კუპრაძე).

ცუცეკარის ადგილებია:

დურგები – დურგიანის საცხოვრებელი,

ვაკე ყანა,

სალიან *ყანა,

ნითლიან ყანა,

ოფო ჭალები,

ქეთს იქითი,

საფლავყანა – ბონმინდასა და კუპრეთს შუა.

ინტკორი – გუდასჯეადან ზომოთკე, აილაა.

***ყანა** აქ: მიწა.

– იდრის, შენ რომელი სოფლიდან ხარ?

– **მე ელიასჯევეური ვარა!**

– სულ აქ დგახარ ზამთარ-ზაფხულს?

– **მე აქ ვარა!**

– ბონმინდას ხევი რომ ჩამოუდის, რა ქვია?

– **ბონმინდას? ნარიანჯე ჩამოუვლის. სალობიასთან ელიასჯევს, ჭოროხს შეერთვის.**

– ბონმინდას ზიარეთი არის. კიდევ სადაა აქ ზიარეთი?

– **კუპრეთსა და გუდასჯევ შუა არი ნაცარაქეთი, იქაა ზიარეთი.**

– ნაცარაქეთის ზიარეთში დადიხართ?

– **ახლა არა, ზათინდელელები დადიოდეს.**

– არც აილაში დადიხართ?

³⁵ ილ. აბულაძე, „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, მასალები, თბ. 1973.

– ენინ დადიოდე, ათი წელი შეიქნა, აღარ მიდიან, გააგდეს იქოვრობა, ბითევაა...

– მევლუდ, წავიდეთ, მანქანას ვერ აჩერებს ტარიელი! – ვეუბნები სიცხით შენუხებულ მევლუდს.

– ე, იყავთ და... იმ ქობიკარ გეყუდოს და, – გვთხოვს იდრისა.

აღარ გავჩერებულვართ, გზა გავაგრძელებთ...

დღეს ბევრი ვერაფერი ჩავინერეთ ელიასხევში, „დაბინყებიან“ ელიასხეველებს ელიასხევიური ამბები. საუბარიც უჭირთ. სოფლის დიდი ნაწილი ბურსაში გადასახლებულა, სხვა მხარეებშიც, ზაფხულს ატარებენ მხოლოდ აქ, უმეტესად თურქულად ლაპარაკობენ ერთმანეთში. ერთი ყურბანა ცოლისმადიებელი და კიდევ რამდენიმე ქობი დგას ზამთარ-ზაფხულ სოფელში, მათ იმედედაა ელიასხევიცა და ელიასხევიური ქართულიც.

ელიასხევი ქოროხიაო იდრის უღონოღლიმ (აი'მ), ბურსელმა ელიასხეველმა... რატომ ქოროხი? რატომ დაუკავშირა ქოროხისხეობელმა ქოროხს დიდი მდინარის გაგება?

შუადღით შევისვენეთ და ჭედლიანკარში წავედით.

– ბევრი არ *დეყუნო, – მეუბნება მევლუდა.

– რა არ ვქნა?

– არ დეყუნო და... გაჩერდე.

*დეყუნო – დაყოვნდე//დაყოვნო. დაყუნება ფონეტიკურად სახეცვლილი დაყოვნებაა. ვხედავთ, დაყოვნება'ც შეუნახავს ტაოურს...

ჭედლიანკარის გზაზე სამი ქალი შეგვხვდა, ფეხით მიმავლები ხევადან ჭედლიანკარში. მანქანა გაუჩერეთ, წაყვანა შევთავაზეთ. ჩასხდომაზე უარი თქვეს, მოვედითო უკვე სოფელში.

მცირე ხანს წყაროსთან გავჩერდით, ვისადილეთ, უფრო სამხარი მივირთვით. პურობის შემდეგ დასახლებაში მივედით, არავინ დაგვხვდა. გზაში რომ ქალები შეგვხვდნენ, ისინიც გაუჩინარდნენ, ყოველ შემთხვევაში, არ გამოგვხედეს. ორი მიტოვებული ნაგაზის გარდა სულიერი არ შეგვხვედრია ჭედლიანკარში.

ცხელა, იხანძება ყველაფერი. თაკარა მზის ქვეშ ვიხრუკებით ჩვენც. ჭედლიანკარს სამანქანე გზა ზემოდან გაუვლის. თხუთმეტამდე ქობია სოფელში, რომელიც ერთ უბანს ქმნის. სახნავი მიწები და ჭალები დასახლების გარეთაა, უმეტესად სოფლის ქვემოთ. სოფელი, შეიძლება ითქვას, მიტოვებულია, ქობების უმეტესობა დაყრილია. ორლობეში გავიარეთ, ჭინჭარი, ბარდი და აწლი, – მყრალი მოლი მოდებია ეზოებს. უკან ამოსვლას ვარჩიეთ, რუს გავყოლოდით და სამანქანე გზაზე ისე გავსულიყავით. წინ მევლუდი და მე მივდივართ, უკან – მალხაზი, რამაზი და ქალბატონები, – ნატა, ნონა და თინა. არცთუ იოლად სავალი ბილიკია.

მევლუდს ბავშვობა ამ სოფელში აქვს გატარებული, მისი მეუღლეც აქაურია, მამისეული ქობი, უფრო ნანგრევები და სიმამრის ნასახლარიც გვაჩვენა. კარგად იცის მევლუდმა ჭედლიანკარის სანახები, ტოპონიმებს გვანერინებს:

ცერეკარი<*ცერეიანკარი(?),

ლონჯიქეთქეთი შდრ. ლონჯიქეთი//ლონჯიქეთი,

შაბანიანკარი,

ბასლეკარი<*ბასლიანკარი//ბასლეთები,

კულის წვერი,

კონჩხათები,

წყაროს თვალი.

სადაც გეოგრაფიული სახელის მეორე ნაწილი კარია', ნიშნავს, რომ ტოპონიმი ვილაცის საცხოვრისს აღნიშნავს, ვილაცის – კარს, ეზოს. აქედან გამომდინარე ცერეკარი ცერეიანთა საცხოვრისია. ცერეიანი' სულაღე არ დაგვიდასტურებია, სოფელს აღარ ახსოვს ასეთი „გვარი“, ხსოვნა შეინახა ტოპონიმმა...

ბალი ბევრი ჩანს სოფელში, ახლა მწიფობის დროა, თუმცა წელს ნაყოფი გაფუჭდა, „წუმამა გააფუჭა, წუმამა“ – გვეუბნება მევლუდი.

მოპოვებული მცირე ინფორმაციით დაკმაყოფილდით, სურათები გადავიღეთ და სასტუმროში დავბრუნდით.

ლია წერილი გზაზე გულგანფენილ მეგობარ პოეტს,
ანუ „შენ ხარ გმოსანი“

იტყვიან, ღია წერილი რატომო?! – ჩვენ ხომ სამეგობროში და ოჯახურ წრეში შეხვედრები არ გვაკლია და მაინც... 70 წელს მიტანებულ პოეტსა და ღირსებასთან შეზავებული იშვიათი თავმდაბლობით შემკულ სანიმუშო მოქალაქეს, ღირსეულ მამას, ბაბუას, მეუღლეს, ჩვენი კუთხის მწერლობის სარქალს, უშურველსა და უმნიკვლო მეგობარს, თხემით ტერფამდე „სავსეს ქართული პატიოსნებით“, სამწუხაროდ, ან მივიწყებული ეპისტოლური ჟანრითაც მოგეფერები:

მავანთა მსგავსად, ლექსი ლექსისთვის არასოდეს დაგინერია. დიახ, როცა სული გთხოვს, მაშინ წერ და მერე როგორ!.. მშობლიური ერგეს ადგილის დედისაგან კურთხეულ შენს თავანკარა, თავისთავად პოეზიას, როგორც გოგლა ლეონიძე იტყოდა, მართლაც რომ „მშობელ მიწაში უდგას ფესვები“...; მშობელი ხალხის სიბრძნის ნიალიდან მომდინარე ღალიან-ბარაქიან შენს სტრიქონებში მრავალტანჯული მამულის გულისტქმა ისმის, ანმყოს ტკივილებთან ერთად წარსულის კანონიერი სიამაყეც იფრქვევა და საქართველოს უსათუო გაბრწყინების ცხოველმყოფელი იმედიც!

ჩვენი თაობაც საკმაო ქარტეხილებს მოესწრო და, სამწუხაროდ, არც ახლა ვართ უკეთეს

დღეში. ბევრი რამ გადაფასდა, შეირყა, ფერი იცვალა... ბედნიერებაა, რომ ფერუცვლელი და მარად ერის წყლულების მოზიარე შემოქმედთა შორის მეგულები... კარგად იცი, რომ „საქართველოში ოდითგან ლექსი მებრძოლი იყო“, რომ ჭმუნვასა თუ გასაჭირში ერის მოძმედ მყოფი პოეტის

„სუნთქვაში,
გულის ფეთქვაში
ჩაისახება ლექსი,
როდესაც ღმერთთან საუბრობ,
უფლის ხმა როცა გესმის“.

პირველი პოეტური აღმაფრენიდან მოყოლებული, მზისკენ ილტვიან შენი ძარღვიანი, ტკბილქართული სტრიქონები, სულიც და გულიც სამზეოზე გამოგიტანია, ყოველგვარი მნიკვლოვანებისაგან განზე მდგომს.

გულზე საქართველოს მზედახატული პოეტი ამაყად, ყველას გასაგონად აცხადებ, „ვაჟკაც მტერსაც არ ვაძაგებო“; სწორედ ეს არის კაი ყმობის ჭეშმარიტი დასტური!.. შენს მზიურ აბჯარს ამშვენებს იშვიათი სათნობანი: მიმტევებლობა, სულიერების ძიება, ქველმოქმედება, ძმობა-მეგობრობა, სხვათა ღბინისა თუ ჭირის გაზიარების სურვილიცა და უნარიც...

მშობელი ხალხის ბედითაც და უბედობითაც ყოველთვის ერთნაირად გედაგება გული; იცი, რომ „მშვიერი მტაცებელია, მადლარი – ძუნნი“, რომ სვეგამწარებულ სამშობლოში ბევრი ყრუ-მუნჯია; რომ ხშირია იმედგაცრუება, მაგრამ ჩვენი საერთო მეგობრის, ან გარდაცვლილი დიდებული მხატვრის – ზურაბ ხაბაძისადმი მიძღვნილ ლექსში „მომავლისათვის, წინაპრისათვის“ მთელი პოეტური შემართებით ღალადებ:

„...უნდა ვიხაროთ ყვავილებით,
ზეცის სილურჯით,
ვწეროთ და ვხატოთ
მომავლისთვის, წინაპრისთვის,
ხვალ რომ გაჩნდება, იმ ბიჭისთვის
და იმ ქალისთვის...
ვწეროთ და ვხატოთ, მეგობარო,
მხოლოდ ხვალისთვის!“

ღიას, დღევანდელი მთავალსაჩინო პოეტის ჭეშმარიტი სტრიქონები სახვალის სიკეთეთა საწინდარია! დღეს კი მთელი ძალისხმევით მოგვძახი:

„უშველეთ საქართველოს,
ბრძოლებით დალილს და დაქანცულს,
უშველეთ საქართველოს,
მოუსყიდველ და ამაყ სულს!
.....
რუსთველის წიგნს მოგართმევთ,
ილიას წიგნს მოგართმევთ
ზარბაზნებად და ქვემეხებად...
სამშობლო – ღვთისმშობლის წილხვდომილი,
როგორ გეთმობათ და გემეტებათ!...“

ამიტომაც გამოითხოვე წარსულის ანალებიდან ქართველი სარდლის სულშიჩამწვდომი სიტყვები, ბრძოლის წინ რომ მიმართავს ქართველ შევარდნებს:

„ხმლებით ნანერი
გვაქვს ისტორია,
ქართველთა დაჩოქება
არ მოდის!
სამშობლოსათვის
დალუპულებს
უფალი აჯილდოებს
ს ა მ თ ხ ი თ“.

აკი ამასვე ღალადებს შენი გამზრდელი ხალხიც და სახალხო მთქმელის უტყუარი სტრიქონებით გვარწმუნებს, რომ „მკერდჩანგრეულის სახელი სამოთხის კარზე სწერია!“

როგორც ჭეშმარიტმა მართლმადიდებელმა, მშვენივრად იცი, რომ მტრის სიყვარულის მქადაგებელი ქრისტიანული რელიგიისათვის წყევლა პრინციპულად მიუღებელი ფენომენია, მაგრამ, როცა საქმე წმიდათაწმიდა მამულს ეხება, როცა საქმე საქართველოს ერთგულებას ეხება, შემოგვთავაზე ლექსი-შედევი, რომლითაც კიდევ ერთხელ ღრმად დააფიქრებ ყველა დროის რენეგატს:

„ვინც საქართველოს უორგულებს,
ცაც გაუშავდეს,
წყალიცა!
.....
ვინც საქართველოს უორგულებს,
სულიც დაუბრმავდეს,
თვალიცა!..“

სამშობლოს დარდის მანტია გაცვია და ნატრობ, მაღამოდ იქცე, რათა ახირებული ღვიძლი შვილებისაგან დაჭრილ-დაკოდილ მამულ-დეულს ესალბუნო; ამიტომაც შესძახი ღირსება-მივიწყებულ თანადროულობას:

„მივიწყებულ ღირსებავ,
ჩემო ერო და ბერო,
ცრემლებით, გულისტკივილით
როდემდე უნდა ვწერო!“

მშობელი კუთხის ტანჯული ისტორია გულის ფიცარზე გაქვს ამოტვიფრული და რა გასაკვირია, სხვაზე მეტად რომ გიყვარს ჯვარი, ვაზი, სანთელი, ხატი... ვის, თუ არა დავით თედორაძეს, მართლაც, ხმამაღლა ეთქმის:

„ვაზი სულში გადავმალე,
ჯვარი – ჩუქურთმებში,
ვერ ჩამიქრეს წმინდა ხატთან
სანთლის შუქი მთებში!
ვერ ჩამიქრეს –
კლდე გამიხრავს
ჯავრისაგან კბილით,
„იავნანანა“ მშველოდა და
კაბა-კალთის ჩრდილი...“

დრო ვერ დაამარცხებს შენეულ უშრეტ სტრიქონს, გაუცხოების სენზე რომ მოთქვამს და იმ დროს აღმერთებს, როცა ქართველები ერთმანეთზე ზრუნავდნენ; ტბეთის ტაძარსა თუ ტაოკლარჯეთის სხვა სალოცავებს რომ ეძღვნება; მშობლიური ქვეყნის გაზაფხულსა თუ ბათუმურ თოვლსა და წვიმას რომ ეფერება; მედეას მრავალსაუკუნოვან ტკივილს რომ ეხმიანება; მშობლების უზენაესი ამაგით სულშეძრულ სამადლობელს რომ აღავლენს; სხალთის ტაძრის აღმშენებელს რომ განადიდებს; ისტორიის ბედუკუღმართობით შუაზე გაყოფილ სარფის ტკივილს რომ შეიგრძნობს; შავშეთში, კლარჯეთსა თუ ტაოში დღემდე ამაყად მდგარ თამარ მეფის ხიდებსა და მათზე ამოსულ ყვავილთა ეშხით რომ ტკბება და იმ აღტაცებას, როცა აღმოაჩენს, რომ „ჰგავს ეს ხეობა აჭარისას ტყუპისცალივით“, რომ „სულ ჩვენებური ხასიათი“ შემორჩენიათ ჩვენსავე სისხლსა და ხორცს...

დიახ, „წარვლიან წლები მტვრევით, ხმაურით, სულ სხვანაირი მოვა დროება“, დავით თედორაძის დიდებულ პიროვნებასთან შეზავებული მისი ჭეშმარიტი პოეზია კი დარჩება, როგორც ღირსსახსოვარი არმალანი მშობელი ხალხისადმი, როგორც უფლის მიერ „ერის მოძმედ“ მოვლენილი მგოსნის აღსარება, რომელიც შეჭირვების ჟამს ასეთი სტრიქონებით აფხიზლებს ქართულ პოეზიას და მოუწოდებს, არ დანებდეს „უნდობარ დროს“:

„შენ ხარ მგოსანი და უკეთურებს
არ აძლევ ნებას, სული გათელონ,
გინდა, ნუგეში სცე უბედურებს,
გინდა, უშველო შენს საქართველოს!
.....

გტკივა, ტკივილმა ლამის შეგშალა,
შენ გიხუჭავენ თვალებს გახელილს,
არ მოდრკე, ბიჭო, ერს და ქვეყანას
მაინც შერჩება შენი სახელი!“

შენი დიდებული ოჯახი სამი შვილით რომ გაბრწყინდა, წერდი:

„ხვალ უსათუოდ საქართველო გალამაზდება
ჩემი თეათი,
შორენათი,

ჩემი ირაკლით

და აღსრულდება ყოველივე,

რასაც ვინატრი...“

აღსრულდა კიდეც! შენი ზნესრული შთამომავლობა, მართლაც რომ აღამაზებს ჩვენს დღევანდელობას და ამ მაღალმოქალაქეობრივ მისიაში განუსაზღვრელია, ჩემი კოლეგის – შენი ოჯახის ზნეკეთილი და კდემამოსილი მეუღლის, სანიმუშო პიროვნებისა და მშობლის – მადონა ფალავანდიშვილის ღვაწლი.

ამავე ლექსში არა მარტო საკუთარ შვილებს, არამედ მომავალ თაობას საპროგრამო სტრიქონები უძღვენი:

„იამაყებენ ისტორიით, სიბრძნით, წინაპრით

ჩემი თეონა,

შორენა და

ჩემი ირაკლი.

უნდა იცოდნენ მამულისთვის მსხვერპლის გაღება

ამ კუდრაჭებმა,

ამ ცელქებმა,

მხნე და ლაღებმა!

უნდა იცოდნენ – მივითვლიდით რასაც სულ ადრე,

ტაო-კლარჯეთზე,

არტანუჯზე

უნდა ზრუნავდნენ.

უნდა სტკიოდეთ ყველა ციხის ლოდი ბებერი,

იცხოვრონ,

როგორც საუკუნეს

ახალს შეჰფერის!“

დიახ, ეს პოეტ დავით თედორაძის მაღალმოქალაქეობრივ პოეტურ სტრიქონებად აკინძული კრედოა საქვეყნო მომავლისათვის, რომელიც ყოველთვის, ყველა თაობისათვის აქტუალური იქნება.

მშობელ მინაში ღრმად ფესვებგადგმული, ერთნაირი სიყვარულით ეფერები საქართველოს ყველა კუთხეს. მარტო ქუთაისისადმი, იმერელი მგოსნებისადმი მიძღვნილი სტრიქონები რად ღირს!.. მათში უხვად არის ჩანწულ-ჩაჩუქურთმებული სიტყვით, სიბრძნით საქართველოს მოსართავად თავგადადებულ ქუთათურთათემი სიყვარული და მათით აღტაცება:

„ქუთაისი პოეზიის ქალაქია,
პოეტების მექაა და მედინა,
მის კარიბჭეს, მგოსნებისთვის მარად ღიას,
სიყვარული ფიანდაზად ეფინება...“

მასსოვს შენი სტუმრობა კახეთში, ჩემს ოჯახში. როგორ მონუსხე ყველა შენი ტკბილქართული საუბრითა თუ სულშიჩამწვდომი სადღეგრძელოებით!.. ისეთი სიყვარულის ქარიშხალი დაატრიალე, მარტო ჩემი კარ-მიდამო და სამეზობლო კი არა, მთელი ალაზნის ველი გაავსე ძმობა-მეგობრობის, ჭემმარიტი მამულიშვილობის უზენაესი მუხტით!.. შემდგომ იმ სტუმრობას მშვენიერი ლექსიც უძღვენი – მოინატრე კახეთი და ჩემი ოჯახი, პოეტის გულწრფელი სინანული გამოთქვი ნაადრევად გარდაცლილი ჩემი ძმის გამო... გამადლობ ამისათვის, ძვირფასო მეგობარო!..

ღირსსახსოვარი სტრიქონები მიუძღვენი მშობლიურ სასწავლებელს – შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რითაც თაობების სათქმელი გამოიხატა, რომელზედაც მშვენიერი მუსიკაც დაიწერა და ჰიმნადაც იქცა:

„რუსთაველის მაღლი გამკობს,
რუსთაველის ხიბლით თბები,
შენი სუნთქვით ვიკვებები,
შენს ემბაზში ვინათლები,
მენატრება შენთან ყოფნის წუთები...“

შენს გვარს, შენს დალოცვილ ჯიშს საამაყოდ ის ხელიხელსაგომანები პოეტური მემკვიდრეობაც ეყოფოდა, რომლის შექმნის ნიჭითაც უხვად დაგაჯილდოვა უზენაესმა, მაგრამ, როგორც ჭემმარიტმა მართლმადიდებელმა, მამაპაპისეულ მამულში კიდევ ერთი უდიდესი ნათლის სვეტი დაავანე – დიდებულ ძმებთან ერთად ააგე წმინდა თევდორე მღვდლის სახელობის ეკლესია, რითაც უზენაესი პატივი მიაგეთ თქვენივე გვარის მესაძირკვლე წმინდანს და კიდევ უფრო განასპეტაკეთ არა მარტო მშობლიური ერგეს სანახები, არამედ – მთელი საქართველო!

მეამაყება, რომ სიყრმიდანვე ჩემი ოჯახის ერთგული მეგობარი დავით თედორაძე ის ბრძენი გუთნისდედაა, წინაპართა ნაკვალევს რომ არასოდეს გადახნავს! პირიქით – ელოლიავება და კარგად იცის, რომ „უკვდავებისთვის ეყოფა ცხრა ერს დავითის მეფობა!“ იცის და სჯერა, რომ დავიწყების ბინდი არ გადაეფარება იმ სათნოებებს, რაც აგრერიგად შეჰყვარებია:

„...არ ბერდება,
არ შედგება სიძულვილის კლდეზე,
დადის, დააქვს
ჩემი კუთხის საგანძური,
სინმინდეს და ერთგულებას ეძებს!“

მეგობარი პოეტისადმი – ვახტანგ ღლონტისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში მშვენივრად ჩამოაყალიბე ჭემმარიტი პოეზიის მსახურის ხატება; სავსებით გეთანხმები, ბატონი ვახტანგი ამ სიტყვების ღირსეული ადრესატია! მე კი ამჯერად იმავე სტრიქონებით მინდა, დავასრულო თანადროულობის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი პოეტისა და მოქალაქის – დავით თედორაძის პოეტურ შტრიხებზე მსჯელობა (ვიმედოვნებ, ბატონ ვახტანგსაც ესალბუნება, რამდენადაც თქვენ განუყრელი მეგობრები ხართ და ერთნაირად გვიმშვენებთ და გვიადვილებთ ცხოვრებას):

„ცხოვრობ რაინდის ღირსებით,
უფლის ბაგაში ნაკურთხო,
გთხოვ, ამ ახვრების გულისთვის
სამშობლოს არ შეაფურთხო!
ნაღდი პოეტი, არ ვცოდავ,
თვით ხელმწიფეზეც დიდა!
ჩინოვნიკები მოდიან,
ჩინოვნიკები მიდიან,
შენ რჩები ლექსით, სახელით,
სამშობლოს გულში ჩარგული,
სისხლით და წერვით პოეტი,
სულით და სუნთქვით ქართველი!“

მილოცვები

70 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დავით რეფიციის ძე თედორაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო საყვარელო და ძვირფასო ბატონო დავით!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ, დიდზე დიდი სიყვარულით მოგესალმებიან თანამედროვე ქართული პოეზიის კოლორიტულ, გამორჩეულად მნიშვნელოვან წარმომადგენელს, დიდებულ პოეტს, ერისკაცს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 70 წლისთავს.

ქართულ მწერლობაში 1972 წელს შემოაბიჯეთ, როდესაც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ყმანვილმა ჟურნალ „ჭოროხში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსები. ამ ლექსებმა ლიტერატურულ სამყაროს კიდევ ერთი უდავოდ ნიჭიერი შემოქმედის დაბადება ამცნო და არა მხოლოდ შემოქმედისა.

ჩვენთვის, თქვენი თანამოკალმეთათვის, თქვენ მეციხოვნეს წარმოადგენთ სრულიად საქართველოსა, რომლის იავარქმნა და გაპარტახება არაერთ გარეულ თუ შინაურ მტერს მოსვენებას არ აძლევს და ძილს უფრთხობს. ხმალამოლებული იბრძვით ქართული სულიერების, ქართული სინამდვილის დასაცავად, რამაც დღევანდლამდე მოიყვანა თქვენი და ჩვენი საესავი სამშობლო. ვისაც საქართველო უყვარს, მე მასთან ვარ ჩემი აჭარელი ძმებითო, წერდა დიდი მემედ აბაშიძე და თქვენც სწორედ იმ აჭარელ

ძმებში მოიაზრებით, ვინც XXI საუკუნის გარიჟრაჟზე ფართითა და მახვილით იცავს აჭარას – ამ უმშვენიერეს და ულამაზეს კუთხეს ჩვენი ქვეყნისა, საიდანაც პირველად შემოანათა ქრისტიანობის ნათელმა და ამის გამო არაერთხელ დაისაჯა ემმასეული ძალებისაგან.

ქართველმა მკითხველმა შეიყვარა და გაითავისა თქვენი ისეთი პოეტური კრებულები, როგორცაა „ბენვის ხიდი“, „ცეცხლის პერანგი“, „მზე ჩუქურთმებში“, „შენი ვარ“, „და მიდის წუთისოფელი“, „ორლანი უკრავს“, ერთტომეული, „ხსოვნის ჩირაღდნები“, რჩეული, „მომავლისთვის, წინაპარისთვის“, შეიყვარა იმიტომ, რომ თქვენი პოეზიის ლირიკულ გმირს ცეცხლის პერანგი აცვია და ისე ებრძვის მამულის მტრებს, ბედნიერია იმით, რომ არასოდეს დაუდევს ზავი სიბილწესთან, არაკაცობასთან, ბოროტებასთან. უფრო კი პირიქით, მზადაა ბერი თევდორესავით ჩაეკიროს იმ გალავანს, საქართველოს უკვდავება რომ ჰქვია სახელად. თუ რამ არ სურს ამქვეყნად, უმზეოდ ცხოვრებაა, დარდით დაბინდული თვალებით ყიდის დარდსა და ურვას, სამშობლოს ჭრილობებით აქვს მკერდი დასერილი და სწორედ ამითაა ბედნიერი. თქვენი პოეზია ბედისწერასთან მებრძოლი შემოქმედის პოეზიაა და ესეც ხიბლსა და პენს მატებს მას. ძიების დაუცხრომელი წყურვილი გამოგარჩევთ სხვათაგან, გულწრფელობა და პოეტური ძალმოსილება, სინატიფე და შინაგანი სიძლიერე.

ავტორი ხართ მნიშვნელოვანი კრებულია „ხსოვნის ჩირაღდნებისა“, რომელშიც დაივანა თქვენმა მოთხრობებმა, ლიტერატურულმა ნერილებმა თუ პუბლიცისტურმა სტატიებმა.

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია ინგლისურ, გერმანულ, აზერბაიჯანულ, რუსულ, სომხურ ენებზე, შესულია პოეტურ ანთოლოგიებში.

მართლაც რომ დიდი და ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე ბრძანდებით. მრავალი წელი კურირებდით აჭარაში კულტურისა და განათლების ურთულეს დარგებს. იყავით გამომცემლობა „აჭარის“ დირექტორი და მრავალი უნიკალური გამოცემის სულისჩამდგმელი გახდით. არჩეული ხართ საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარედ და აჭარაში ქართული სიტყვის მეოხად და ქომაგად გვევლინებით. არჩეული იყავით ბათუმის საკრებულოს წევრად, ხოლო 2016 წლიდან აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრად და განათლების, კულტურის და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ გვევლინებით.

თქვენი გარჯა და რუდუნება ღირსების ორდენით აღინიშნა – დამოუკიდებელი საქართვე-

ლოს ერთ-ერთი უპირველესი ორდენით. მონიჭებული გაქვთ ილია ჭავჭავაძის, მემედ აბაშიძის, გიორგი ლეონიძის, ლადო ასათიანის სახელობის, „საგურამოს“, ჟურნალ „ოლეს“ პრემიები, საპატიო ბათუმელისა და პოეზიის რაინდის წოდებები.

ბატონო დავით!

დიახაც რომ რაინდული ნაბიჯებით დადიხართ თქვენს სათაყვანებელ მამულში და ყველას თვალნათლივ გვიმტკიცებთ იმ ჭეშმარიტებას, რომ ადამიანში კაცთმოყვარეობა, შემწყნარებლობა, თანადგომის და თანაღმობის უნარი ჰარმონიულად უნდა ერწყმოდეს პრინციპულობას, შეუვალობას, ზნეობრიობას, როცა საქმე ქვეყნის ყოფნა-არყოფნას ეხება.

კიდევ ერთხელ ღრმა პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჭეშმარიტ შემოქმედს, ერისკაცს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალი პოეტური მწვერვალების დაპყრობას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

კაი ყმა

ჩემს მეგობარს, თვალსაჩინო მამულიშვილს, შესანიშნავ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავკაცს, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს დავით თედორაძეს 70 წელი შეუსრულდა!..

დავით თედორაძემ ეს 70 წელი ღირსეულად განვლო და, როგორც მისი დიდი წინაპრები, ისიც მთელი ცხოვრება ხმაღამოღებული იბრძოდა, – ლექსით თუ სიტყვით იცავდა და იცავს მშობლიურ აჭარას და სრულიად საქართველოს, რომელზეც გადამთიელს თვალი კვლავ უჭირავს... მისი გამორჩეული პოეზია და მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ამის დასტურია!.. ის ყოველთვის იქ იყო, სადაც ქარიშხალი მძვინვარებდა და „სისხლიანი დგას ანგელოსი“... ის თედორაძე-

თა დიდი და ძლიერი გვარის სასახელო წარმომადგენელია, რომელმაც თავის ლამაზ სოფელ ერგეში თევდორე მღვდლის სახელობის ეკლესია ააშენა და სრულიად საქართველოს აქედან ლოცავს და ეფერება!..

ჰყავს უკეთილშობილესი მეუღლე – მადონა ფალავანდიშვილი, შესანიშნავი შვილები – თეონა, შორენა და ირაკლი, ულამაზესი და უნიჭიერესი შვილიშვილები; არის „კაცი შემკული ნიჭით“, ოჯახით, მეგობრებით და, რაც მთავარია, არის კაი ყმა, ქვეყნისთვის გულანთებული მეციხოვნე!..

ვულოცავ დავით თედორაძეს ამ ღირსშესანიშნავ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და ახალ-ახალ წარმატებებს!..

ღმერთი ჰფარავდეს მას და მის ოჯახს!

ბალათიერ არაბული

გილოცავთ!

აჭარის მწერალთა სახლის და პირადად ჩემი სახელით საიუბილეო თარიღს ვულოცავ ცნობილ მწერალს, ღირსების ორდენის კავალერს, მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატს, შესანიშნავ ქართველს, უღალატო მეგობარს, გამორჩეულ ბათუმელს, განსაკუთრებულ ადამიანს – დავით თედორაძეს!

ბატონო დავით, თქვენ უფლისგან გებოძათ სამშობლოსადმი თავდადება, ქართული სიტყვის

მსახურება, ადამიანების სიყვარული და ერთგულება... ამ ყველაფერს თვალისჩინივით უფრთხილდებოდით ყოველთვის და ასე იქნება მუდამ.

გილოცავთ დიდი სიყვარულით და პატივისცემით, და კიდევ – რწმენით, რომ თქვენი მამულისწიველი სიტყვით და საქმით მომავალშიც წარმატებით იღვანებთ ეროვნული ცნობიერების გადარჩენისათვის, ჩვენი ქვეყნისა და ლიტერატურის საამაგოდ!

ლალი კონცალიძე

აჭარის მწერალთა სახლის დირექტორი

შენთან ერთად მიხარია, შენთან ერთად მეცრემლება...

ძვირფას ძმასა და თანამოკალმეს, ლამის „ტყუპისცალს“ ჩემსას, როგორც ახლო ნაცნობები აღნიშნავენ ხოლმე... ჩვენს დავით თედორაძეს ვულოცავ საიუბილეო თარიღს, რომელიც მან თავის მრავალრიცხოვან საძმოსა და დამფასებელს რატომღაც დაუმალა... ვულოცავ სიყვარულითა და სიხარულით, ამასთან ერთგვარი სინანულითაც, რადგან მეჩვენება, რომ უფრო მეტი – კარგიც და მარგიც – იქ, წარსულში დარჩა...

ერთსაც ვიტყვი, ჩემო დათო, რა უფლება მაქვს არ ვენდო კალენდარს, რომელიც ჯიუტად მიმტკიცებს, რომ 70-ის გახდი... თუმცა მე კალენდარზე მეტად შენი მჯერა და კიდევ შენი მისიისა და საჭიროებისა – აქ, ამ დროში და ამ კუთხეში – სრულიად საქართველოსთვის, ღმერთმა რომ დაგაკისრა. აბა, სხვამ რა იცის იმ ღია თუ ფარული ომების შესახებ, რასაც სამშობლოსთვის იხდი, შენს მცირერიცხოვან თანამოაზრებთან ერთად, ამ ლამის აპოკალიფსურ ხანაში, ჩვენს ქვეყანას რომ უდგას ახლა!.. დიახ, ყველა და ყველაფერი რომ ყირაზე დადგა – ფასეულობები, რითაც აქამდე ვსულდგმულობდით, ეშმაკის სასწორზე რომ შემოდო უხილავის ბოროტმა ხელმა... აღარ დასრულდა ეს უაზრო „აინონა-და-

ინონა“ და საერთო ღრიანცელში აღარც პოეტის ხმა ისმის ჯეროვნად, რადგან დღევანდელი ქართული ვაკხანალიის რეჟისორებმა პირველ რიგში იმაზე იზრუნეს – მოძღვრისა და პოეტის ფუნქცია ტაკიმასხარაობამდე რომ დაეყვანათ და, მგონი, ნაწილობრივ მოახერხეს კიდევც.

სხვა რა?! – შენთან ერთად მიხარია, რომ აქამდე გავძელით, შენთან ერთად მეცრემლება და ვყვირი შენს მოგანგაშე სტრიქონებს, რომელიც ახლა ჩემიცაა და ყველასია, ვინც კარგად იცის აჭარის ფასი და მნიშვნელობა დანარჩენი საქართველოსთვის:

„არ არსებულა, არ თქმულა –
ზღვა ამოევსოს მდინარეს;
„მელაპარაკე ქართულად“ –
გუმბათი ეტყვის მინარეთს...“

დიახ, ვიღაცები ისევ ცდილობენ წყლის ამღვრევას და ხიდის ჩატეხვას და ეს აშკარად თვალსაჩინოა, ჩვენ კი – რა წლებიც დაგვრჩა სიცოცხლისთვის, ყველა სამშობლოსია უკვე, ყოველდღიურად და ყოველწუთიერად... დამარცხების უფლება, უბრალოდ, არ გვაქვს...

მრავალჟამიერ და გამარჯვებით!!!

მარადიული ერთგულებით შენი

პანტანო ლლონტი

რა დრო გასულა...

ბატონო დავით, ჩემო დათო! ისევ იმგვარი შემართებით, ისევ იმგვარი შთაგონებითა და სიყვარულით მოგესალმები, როგორც ერთმანეთს სიჭაბუკეში, დიდობაში და ხანდაზმულობაში ვესალმებოდით. ჩვენ ხომ დიდი ხნის მეგობრები ვართ და თანაც – ოჯახებით. ჩვენი ურთიერთობა მშობლიური უნივერსიტეტიდან მოდის, რადგან შენ ძველი უნივერსიტეტელი ხარ. ბევრი საერთო მეგობარი გვყავდა და გვყავს. მახსოვს, მე და ნუგზარ ჯაფარიძემ (ჩვენმა ჯაფარამ) ერთი შენი კარგი ლექსის კარგი სტროფი ასე გადმოვაჩვენებურეთ:

„იდგა ოდა აფხაზური
ნათელ კელაპტრებით,
ნეტაი ახლა ჰად ხარ ზური,
რაფერ მენატრები!“

მართლაც, ჩვენ ერთმანეთი გვენატრება მაშინაც, როცა ერთად ვართ და მითუმეტეს ახლა, როცა მოუცლელობის გამო ცოტათი დაგვიძვირდა ერთმანეთის ხილვა.

ჰო, უკვე შეხნიერებულს მთავარი სათქმელი კინალამ დამავინწყდა. იუბილეს გილოცავ. მეორე სიჭაბუკეში შესულს პირველი სიჭაბუკის სიმხნევს და ჯანმრთელობას გისურვებ შენს საყვარელ, უახლოეს გარემოცვასთან ერთად!

ზურაბ შაშიკაძე

პოეტი ცაცხლის პირანოთ

დავით თედორაძე იმ პოეტთაგანია, ცხოვრების ორომტრიალში, აგერ, უკვე, 70 წელიწადია შეურყევლად რომ დგას, განცდილ-დანახულს თავისებური პოეტური ფერებით რომ ხატავს, ძერწავს, ჩამოქნის და ფრთხილად მიაქვს მკითხველამდე.

დავით თედორაძე, ის კაცია, აგერ, უკვე, 70 წელიწადია, სხვისი ტკივილების თანამონაწილე და თანამოდარდე რომაა. სხვისი სიხარულების გამზიარებელი და გამაორმაგებელი რომაა.

დავით თედორაძე, ის კაცია, აგერ, უკვე, 70 წელიწადია ქვეყნის მაჯისცემას რომაა მიყურადებული, მშობლიური მიწის, მშობლიური ზეცის, მშობლიური ხალხის წარსულით, დღე-

ვანდელობითა და უკეთესი მერმისის რწმენით რომ სულდგმულობს.

დავით თედორაძე, ის ქართველია, აგერ, უკვე, 70 წელიწადია სტოიკური ერთგულებით რომ დგას სამშობლოს სადარაჯოზე, რომ სასტიკი, დაუნდობელი და შეურიგებელია ცხოვრების მანკიერ მხარეებთან, უკუღმართობასთან და ბოროტებასთან.

მე მწამს დავით თედორაძის ახალ-ახალი გამარჯვებებისა.

მე მჯერა ჩემი უფროსი მეგობრის ქმედითი და ჭვრეტითი ცხოვრების წარმატებებისა.

მრავალჟამიერ!

სანდრო პერიძე

ჟურნალ „ჭოროხის“ მთავარი რედაქტორი

„ჯაპლეიან ნლეი და ჯაპლეიან ღლეი“

ინტერვიუ ღაკით თედორაქისტან

– ბატონო დავით, უპირველესად, გილოცავ ამ ღამაზ და შინაარსიან თარიღს. ჯანმრთელობასთან ერთად, ნარმატებებს და დიდხანს ყოფნას გისურვებ იმ ასპარეზზე, სადაც ნახევარ საუკუნეზე მეტია მოღვაწეობთ და არა ერთი საზოგადოებრივი საქმის არა თუ ინიციატორი, არამედ რეალური განმახორციელებელიც ხართ. მინდა ორიოდ სიტყვით მოუთხრო მკითხველს თქვენი დიდი და ღამაზი გვარის, ღირსეული წინაპრების, მამის და დედის შესახებ.

– მადლობა მოლოცვისათვის, ბატონო სანდრო.

ასაკი სიყვარულით სავსეა, ჯანმრთელობას არ ვემდური, შემართებაც არ დამქვეითებია, მგონი ფორმაში ვარ. რაც შეეხება ჩემს გვარს – გადმოცემის მიხედვით თევდორე მღვდელისგან, თევდორე კველთელისგან მოდის. ჩემი ფესვები მესხეთშია. ასპინძის სოფლებიდან, ხიზაბავრადან და თოკადან; თურქების შემოსევის დროს აყრილან თედორაძეები და თურქთაგან აჭარის მიტაცებამდე დასახლებულან ბათუმთან ახლოს მდებარე სოფელ ერგეში. აჭარაში თურქთა ბატონობის თითქმის სამასი წლის მანძილზე ჩემს წინაპრებს გვარი არ შეუცვლიათ. მიუხედავად მძიმე ეკონომიკური სანქციებისა,

ამაყად და ჯიუტად ატარებდნენ თედორაძეობას. დღეს სოფელ ერგეს უღამაზეს უბანს, ქვემო ჯოჭოს, ამშვენებს თედორაძეების მიერ აშენებული წმინდა მღვდელმონაძე თევდორე კველთელის სახელობის ტაძარი. კომუნისტური რეჟიმის დროს, როცა ნათლობები იკრძალებოდა, ჩვენ ქრისტიანული ცხოვრების წესით ვცხოვრობდით. ალბათ ამიტომაც აჭარაში, ბათუმში გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში აღდგენილ ეკლესიაში პატრიარქის მიერ ჩატარებული ნათლობისას ჩემი სოფლის თედორაძეების აბსოლუტური უმრავლესობა მოინათლა და დაუბრუნდა წინაპრების ჭეშმარიტ სარწმუნოებას.

მამა რაინდობის ეტალონი იყო, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე. გულუხვი, გულთბილი, უპოვართა განმკითხავი, ახლობლებისა და ნათესავების თანამდგომი და მფარველი გახლდათ. სოფელში ბადალი არ ჰყავდა ჯანმავარს, ახოვანსა და უშიშარს. მასთან რჩევის საკითხა-



ვად მოდიოდნენ ჩინიანებიცა და უჩინონიც. მთელი ცხოვრება შრომაში გაატარა, პროფესიით მძღოლი იყო. ომის დანებებისთანავე ფრონტზე გაიწვიეს. იბრძოდა სტალინგრადთან, კურსკი-დუგასთან, კენისგბერგამდე გაიჭიმა მისი საბრძოლო ცხოვრება. შეეძლო ადრე დაბრუნებულიყო სტალინის ცნობილი ბრძანებით. ცნობაც გაუგზავნეს ზემო აჭარაში, დედულეთში, რომ იყო დაბადებული, მაგრამ მისი გადამრჩენი ქალაქი, გაბრაზებულს ნაკუნებად უქცევია. მშობლების შესახებ უფრო ვრცლად წიგნში „ხსოვნის ჩირაღდნები“ მიწერია.

დედაჩემი ცენტერაძის ქალი გახლდათ. ნათესავის ქორწილში გაიცნო მამამ. შეუყვარდათ ერთმანეთი და იქორწინეს. ქალაქში გაზრდილ გოგოს უამრავი რამ შეაძლებინა ქმრის სიყვარულმა. ოჯახი, ქმარ-შვილი, მტერ-მოყვარე... ომის წლებში ამას სხვა საფიქრალიც დაემატა. ყანა და ბალ-ბოსტანი, ოჯახში ზურგით შემოსატანი წლიური სარჩო. ყველაფერზე უნდა ეზრუნა ორი ბავშვის ამარა დარჩენილ ქალს, რომელსაც ქმარ-მამა, ნათესავები და მეზობლები ომში ჰყავდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, არჩევანი არასოდეს უნანია. ყოველთვის ამყოფდა ოჯახით, ქმრით, შვილებით, შვილიშვილებით...

– თქვენმა და ჩვენმა თაობამ გამოიარა კომუნისტური სივრცე, ერთად ვიდექით ეროვნული მოძრაობის ქარტეხილში. როგორ ფიქრობთ, ამ ყოველივემ რა შეცვალა ქართველ კაცში?

– როგორც დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, გასული საუკუნის 80-იანი წლების კომუნისტური ხელისუფლება რადიკალურად განსხვავდებოდა წინამორბედთაგან. ასე რომ არ ყოფილიყო, მეც და ჩემნაირად მოაზროვნეებს, ვინ გაგვაჩერებდა საქალაქო თუ საოლქო კომიტეტებში. ჯერ იყო და ავტონომიას ავუხირდი – ბორკილად მაღვეს ავტონომია, დედა თბილისო ამხსენ ბორკილიო... უფრო ადრე ვწერდი – ერთი დევი ამიხირდა, ჩამყლაპა და ხსნა არ არისო... დევი, რა თქმა უნდა, რუსეთი იყო. მერე კიდევ – ხვალ ცხრა საათიდან ოცდაერთ საათამდე

ვიქნები სამსახურში და ჩემი სული მეყოლება დილეგში გამომწყვდეული-თქო... ბევრი მაქვს ეგრეთწოდებული ანტიკომუნისტური ანტისაბჭოური ლექსები. ვწერდი, ვბეჭდავდი და საჯაროდ ვკითხულობდი. მისმენდნენ, მაქებდნენ და მეფერებოდნენ მეგობრებიც, კოლეგებიცა და ხელმძღვანელებიც. ამნაირად მოაზროვნე თანამშრომლის ანგარიში ცკ-ს ბიურომ მოისმინა დადებით ასპექტში და განაზოგადა.

მახსოვს, ერთხელ გაზეთ „საბჭოთა აჭარას“ რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ჩემმა მეგობარმა ავთანდილ დიასამიძემ მითხრა, როცა თხუთმეტიოდე ანტისაბჭოური ლექსი მივუტანე დასაბეჭდად – ვბეჭდავ, მე თუ მომხსნიან, შენ თავსაც მომაყოლებენ, შენ თუ არ გეშინია, მე რისი უნდა მეშინოდესო. ასე რომ, გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან კომუნისტური რეჟიმი ეროვნული თვითშეგნებისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის შემაკავებელი ბარიერი არ ყოფილა. ციხე შიგნიდან ტყდება ყოველთვის, ციხის შიგნით მყოფებზე უკეთ არავინ იცოდა ერთი შეხედვით აუღებელი „სატუსალოს“ სუსტი წერტილები. ამ ყველაფერთან ერთად, აჭარაში, კომუნისტური რეჟიმის დადებით მხარეზეც მინდა ვთქვა. არ ვიცი ენა როგორ მიბრუნდება ათეისტურ აღზრდაზე, ამ სისაძაგლეზე კარგი რამ ვთქვა და მაინც აჭარაში ზოგადეროვნულიდან, ზოგადქართულიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ერის სულიერ შედუღებებაზე თუ ვიმსჯელებთ, დადებითი იყო. მოგეხსენებათ როგორი ფეხმოკიდებული იყო აჭარაში თავს ძალად მოხვეული, ჩვენი მენტალიტეტისათვის უცხო სარწმუნოება. საბჭოთა წყობილების დასასრულს ათეისტურად აღზრდილი აჭარის მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებლობის დაბრუნებისკენ ილტვოდა. გახშირდა ქრისტიანული ნათლობები, ჯვრისწერები, ჯვრის აღმართვები და ეკლესიების მშენებლობები. მაგრამ, სამწუხაროდ, ნეტა ეს „მაგრამ“ არ ყოფილიყო. გალატაკებული, ულუკმაპუროდ დარჩენილი მოსახლეობა ხელი-სუფლებამ უბოდიშოდ მიატოვა, უფრო უარესი,

უცხო ქვეყნების ხოჯა-მოლებს მიუგოდო „საპატრონოდ“ და „საგანმანათლებლოდ“. დაიწყო აჭარის მანამდე არნახული სულიერი და ეკონომიკური ექსპანსია. შედეგად იმაზე გაცილებით მეტი მეჩეთი, მედრესე, სკოლა-პანსიონი აშენდა, ვიდრე ოსმალთა ბატონობის დროს იყო. ასობით ახალგაზრდა გაიგზავნა სტამბოლის, კაიროსა და ანკარას სასულიერო სასწავლებლებში... ნაღმა შებრუნებული ეროვნული მენტალიტეტი უკუღმა შემოაბრუნეს. ბათუმში, შემოერთებული ტერიტორიების ჩათვლით, რვა მეჩეთია და ახალი მეჩეთების აშენების სურვილი რომ გაუჩნდა ვილაც-ვილაცებს, სწორედ ამის შედეგია. ბატონო სანდრო, ვიცი ამ საქმეში ჩვენ თანამოაზრეები ვართ. ეს ძალიან დიდი თემაა. თითქმის ყველაფერში ასე თუ ისე, ჩახედული ვარ. ბევრ რამეს, რალაცის გამო, საჯაროდ ვერ ვამბობ. შეგახსენებთ მხოლოდ ერთს, როგორც ჩვენმა წმინდანმა, უგვირგვინო მეფემ, ილია ჭავჭავაძემ თქვა – მამული, ენა, სარწმუნოება. როგორც კი დაარღვევ ამ სამებას საქართველოში... არ ღირს გაგრძელება... ეს უცხოეთში მყოფ ქართველებს არ ეხება. ჩვენ ვიცი ბევრი პატრიოტული მაგალითი ქართველი მუსლიმანებისა.

– ჩემს თავს გემოვნებიან მკითხველად ვთვლი და ვიტყვი, რომ კარგი პოეტი ხართ. 99 წლის ამერიკელ პოეტსა და კრიტიკოსს ლორენს ფერლინგეტს ჰკითხეს, რამ გიბიძგათ პოეზიისკენ ახალგაზრდა ასაკშიო, უპასუხა, ერთმა ქალმაო. რას უპასუხებდა ამ კითხვას 70 წლის დავით თედორაძე?

– კარგი მოსწავლე ვიყავი. ჩემთვის არასდროს არავის უთქვამს რა უნდა წამეკითხა. მოუზადებელი სკოლაში არ მივდიოდი. ვუყვარდი მასწავლებლებს და თავადაც მიყვარდნენ ისინი. ცელქი, ჯიუტი და თავნება ყმანვილი მასწავლებლებისთვის აუტანელი არ ვყოფილვარ. ყოველთვის რატომღაც სხვათაგან გამომარჩევდნენ. პირველი ლექსი ბავშვმა დავწერე. მურვან ყრუს საქართველოში ლაშქრობამ და მის მიერ დატრიალებულმა უბედურებამ ისე იმოქმედა ჩემზე, მოზრდილი, საკმაოდ კარგად გართიმუ-

ლი ლექსი დავწერე. ალბათ, ამიტომ სჭარბობს ჩემს შემოქმედებაში პატრიოტული ლირიკა. და როცა ჩემს ცხოვრებაში ქალი შემოიჭრა, საკმაოდ დახვეწილი ლექსის მწერალი ვიყავი.

– ამას წინათ, გაიმართა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის 25-ე ყრილობა, რით განსხვავდებოდა ეს ყრილობა წინამორბედთაგან, რა პერსპექტივა აქვს მწერალთა კავშირს მომავალში?

– 1981 წლიდან ვარ საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი (მამინ ასე იწოდებოდა). დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, „საბჭოთა“ მოშორდა და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრებად ვიქეცი. 1981 წლის შემდეგ გამართულ მწერალთა კავშირის ყველა ყრილობას ვესწრებოდი. ყრილობის მუშაობაში ქვეყნის პირველი კაცები მონაწილეობდნენ. ზოგიერთი მწერალი უკმაყოფილო იყო ამით. მწერალთა ყრილობაზე წყდებოდა საერო, საქვეყნო საკითხები. მწერალს უსმენდნენ და ჭკუასაც ეკითხებოდნენ. ფრიდონ ხალვაშმა სწორედ ყრილობაზე მოითხოვა აჭარის ჭარბი მოსახლეობის მესხეთ-ჯავახეთში განსახლება. ცკ-ს პირველმა მდივანმა, რომელიც ყრილობას ესწრებოდა, შესვენებაზე ბიუროს წევრებთან ერთად, იხმო ფრიდონი, იქვე დააზუსტა ცალკეული დეტალები და გადაწყვიტა ეს ისტორიული, ქვეყნისთვის აუცილებელი და მეტად საჭირო საკითხი. მწერალთა კავშირის ყრილობის დარბაზიდან დაიწყო მესხეთის აღორძინება. ბატონი ედუარდ შევარდნაძე მწერალთა თითქმის ყველა შეკრებასა და ყრილობას ესწრებოდა. მის შემდეგ კი ვნახეთ მწერლებისა და მწერლობის არარად ჩაგდება, ძალადობა, დარბევა მწერალთა სახლისა, დახურვა ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთებისა. ახლა ვნატრობთ, პირველი კაცი თუ არა, იქნებ ვინმე ხელმძღვანელობასთან ამბის მიმტანი მაინც მოვიდეს. ტელევიზიები სხვა მიმართულების, სხვა სტილის მწერლობას მიაგებს მისაგებელს და არა, ტრადიციულ, ეროვნულ მწერლობას. ამ ფონზე ბოლო წლებში ჩატარებული ყრილობებისგან ბევრი არაფრით გამო-

ირჩეოდა 25-ე ყრილობა. კითხვას, აქვს თუ არა პერსპექტივა მწერალთა კავშირს მომავალში? ბევრი სკეპტიკურად განწყობილი მწერლის გასაგონად ვამბობ, რომ აქვს! ბოლოსდაბოლოს ათასნაირი კავშირები არის და ვის ერჩირება ყელში მწერალთა ერთობა. როგორც საქართველოს, ჩვენს ქვეყანას აქვს ღირსეული მომავალი, ისეთივე მომავალი აქვს ქართული სულის ჯანსაღ მწერლობას და არა ტინგიცობას.

– თქვენი ინიციატივით დაწესდა სხვადასხვა სახის ლიტერატურული პრემიები. რა მდგომარეობაა ამ მხრივ დღესდღეობით?

– მემამაყება, რომ ჩემი ინიციატივით დაწესდა ზურაბ გორგილაძის, ფრიდონ ხალვაშის, ჰაიდარ აბაშიძის პრემიები. ჩემი სურვილით და ძალისხმევით აღსდგა ტბელისა და მემედ აბაშიძის უსახსრობით გაუქმებული პრემიები. თუ სპონსორები არ გაგვანბილებენ, გაგრძელდება ლიტერატურული პრემიები.

– პოეტი პოლიტიკას ვერ გაემიჯნება. დღეს საქართველოში დასავლური და აღმოსავლური ღირებულებების ჭიდილია. ორივეს საკმაოდ დიდი მომხრეები გააჩნია. რაში ხედავთ გამოსავალს?

– მწერალი პოლიტიკას არ უნად გაემიჯნოს. ცხოვრება თავისი ავან-ჩავანით პოლიტიკაა და გინახავთ მწერალი ცხოვრების გარეშე?! ილია ჭავჭავაძეზე დიდი არც პოლიტიკოსი და არც მწერალი გვეყოლია. სოსო ჯულაშვილიც უპირველესად პოეტი იყო და შემდგომ პოლიტიკოსი. საქართველო, ბესიკის შემდეგ, ყოველთვის დასავლეთისკენ იხრებოდა. აღმოსავლური ჭოგრიტით ცქერა დასავლეთისკენ, ალბათ ეს არის გამოსავალი.

– საზოგადოება გიცნობთ, როგორც პოეტს, საზოგადო მოღვაწესა და წარმატებულ გამომცემელს. როგორ შეაფასებდით და რა მდგომარეობაა აჭარაში წიგნის გამოცემის თვალსაზრისით?

– ჩემს ცხოვრებაში იყო პერიოდი, როცა წიგნის გამომცემლის სტატუსი ყველაფერს მერჩია. ეს გასაკვირი არც იყო. მე ხომ გამომცემლობა

„საბჭოთა აჭარაში“ ბატონი აზიზ ახვლედიანის ხელმძღვანელობით ყველა ეტაპი გავიარე და სრულყოფილად ავითვისე საგამომცემლო საქმიანობა. თავად დავაფუძნე სარედაქციო-საგამომცემლო ფირმა „არმალანი“, რომელიც საინტერესო წიგნებს გამოსცემდა. მთელი ცხოვრება წიგნთან მქონდა საქმე და როცა გამომცემლობა „აჭარას“ დირექტორობა შემომთავაზეს, უარი არ მითქვამს. ჩავიბარე და გაპარტახებული, გავერანებული გამომცემლობა არნახულ სიმაღლეზე ავიყვანე, ამას თბილისში აღიარებდნენ, ამის შესახებ „ლიტერატურული საქართველო“ სწერდა. ამის შესახებ ბატონი თამაზ წიგნივაძე აღნიშნავდა თავის ყველა გამოსვლაში. მერე და მერე მომბეზრდა ეს საქმე. იმდენ უმადურობას ნავანყედი, იმდენი უღირსი ავტორი აღმოჩნდა, აზრი არ ჰქონდა ჩემგან ამ საქმის გაგრძელებას და სიმწრით აგებული თუ აშენებული საგამომცემლო საქმიანობა თავისი პოლიგრაფიული ცენტრით სხვებს გადავულოცე. ასე ჩაკვდა აჭარაში წიგნის გამოცემის საქმიანობა. კიდევ წიგნის გამოცემის ტენდერებმა ითამაშეს ცუდი როლი.

– და მაინც, რა არის პოეზია?

– ჩემს თავს ვერ მივცემ უფლებას, განვსაზღვრო რა არის პოეზია. ჩემთვის პოეზია სულის სიმშვიდეა, დახვეწილი გემოვნებაა, სილამაზის აღქმაა.

– რას იტყოდით მომავალი თაობის პოეტებზე, როგორები არიან ისინი და რით განსხვავდებიან მამების თაობისაგან?

– არავითარი სურვილი არა მაქვს ვისაუბრო დედაქალაქში მიმდინარე პროცესებზე. ჩვენთან, აჭარაში, ისეთი ახალგაზრდობა მოვიდა მწერლობაში, მათთვის სულიც და გულიც მემეტება. ღირსეული კაცებიც არიან, მამულიშვილებიც და ჭეშმარიტი მწერლებიც, მათით ვამაყობ, ისინი არაფრით განსხვავდებიან მამების თაობისგან, ერთია მხოლოდ, ალბათ ჩვენზე უფრო მეტს მიაღწევენ. პირადად მე ძალიან მსიამოვნებს მათ გვერდით ყოფნა, მათთან ურთიერთობა, თუნდაც ქეიფით დაწყებული... მაპატი-

ეთ, ბატონო სანდრო, ჩამოთვლისგან თავს რომ ვიკავებ. ვიზეც მაქვს საუბარი, ისინი ძალიან კარგად მიხვდებიან.

– როგორ შეაფასებდით და როგორია თანამედროვე ლიტერატურული ტენდენციები?

– გულახდილად გეტყვით: ლიტერატურული ტენდენციები საერთოდ არ მაინტერესებს. ჭეშმარიტ ლიტერატურას არავითარი ტენდენციები არ გააჩნია. ვინ მეტყვის ყოველგვარი ბჭუტურის გარეშე, რა ტენდენციები აქვს „ვეფხისტყაოსანს“ ან „სტუმარ-მასპინძელს“...

– რას იტყოდით კომერციასა და ლიტერატურაზე? იყოს უნდა თუ არა ჩვენს დროში წიგნი კომერციის შემადგენელი ნაწილი?

– დიდი ლიტერატურა არასდროს ყოფილა და ვერც იქნებოდა კომერცია, მაგრამ ზოგადად წიგნი შეიძლება განვიხილოთ კომერციის ნაწილად.

– ვერლენი ამბობს: „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“. გალაკტიონმა წინა პლანზე „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ დააყენა. რას იტყოდით თქვენ?

– მჯერა გალაკტიონის, ჩემს სულთანაც უფრო ახლოს მოდის „პოეზია უპირველეს ყოვლისა“.

– ეკისრება თუ არა ოცდამეერთე საუკუნეში პოეტს ეროვნული მისია?

– საქართველოში პოეტს ეროვნული მისია ყველა საუკუნეში ეკისრებოდა. ერისგან და ქვეყნისგან განმდგარი პოეტი გინახავთ?! „არა მართო ტკბილ ხმათათვისო...“

ეს მისია ოცდამეერთე საუკუნეში უფრო გამძაფრებულია. გავიხსენოთ მიხეილ ჯავახიშვილი – „ჯაყოს ხიზნებს“ სისხლით და ცრემლით ვწერდიო. ჯაყოთი მწერალი გვაფრთხილებდა სამაჩაბლოში რა ძალა მოდიოდა, როგორ ისაკუთრებდნენ ჯაყოები ქართულ მიწებს. ვინ დაუჯერა წინასწარმეტყველ მწერალს. დაჯერებას ვინ ამბობს, ტანჯვით სული ამოხადეს... საბოლოოდ რა, საუკუნის დასასრულს, სამაჩაბლო დაგვარგეთ.

სამოციან წლებში აღმოხდა მურმან ლებანიძეს – „ამ კაცს თვალი აფხაზეთზე უჭირავს,

ეს კაცია ალბათ თურქის თემის, და მე ვყვირი, ჩემს სისხლს დაღვეთ უწინამც, და მე ვყვირი, აფხაზეთი ჩემი“. ვინ იღო ყურად ეს გაფრთხილება?! ეს თურქის თემის კაცი რუსეთი იყო. მას ეჭირა აფხაზეთზე თვალი, ვიღონეთ რამე თურქივით მტაცებელ რუსს აფხაზეთი რომ არ მიეტაცებინა? აქ კიდევ ერთ რამეს მინდა შევეხხო. თუ გახსოვთ, რამოდენიმე წლის უკან, სააკაშვილის დიქტატურის ეპოქაში, ტელევიზიაში, პირდაპირ ეთერში, მე განვაცხადე რუსეთთან ერთად თურქეთიც რომ ოკუპანტია. ახლა, რაც ათასჯერ მითქვამს ზეპირად, იმას ვწერ, რომ რუსეთი მარტო ოკუპანტი არაა, რუსეთმა გენოციდი მოუწყო ქართულ ეთნოსს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. არ ვიცი ჩვენ, ქართველები, ამას რატომ არ ვამბობთ. რატომ ვინდობთ მტერზე უარეს მტერს. როცა რუსეთზე ვლაპარაკობ, მე ვგულისხმობ კრემლის ბინძურ პოლიტიკას და არა რუს ხალხს. სხვა კრემლის ბინძური ქმედებები და სხვა რუსი ხალხი.

– დღევანდელი აჭარის მწერალთა სახლის არსებობა თქვენი და ვახტანგ ლლონტის ერთობლივი ბრძოლის დამსახურებაა. ჩვენი დირექტორი ლალი კონცელიძე, როგორც კარგი მთარგმნელი, კარგი ორგანიზატორიცაა. როგორ შეაფასებდით მწერალთა სახლის მუშაობას?

– აჭარის მწერალთა სახლის დაარსების იდეა მე მეკუთვნის. მახსოვს, ერთხელ ერთ-ერთი დიდი სამსახურის ფინანსურმა მენეჯერმა მითხრა, დასავლეთი განსაკუთრებით გვიკრძალავს კავშირების დაფინანსებასო. მომავალში ჩვენ რაგინდ დიდი სურვილიც გვქონდეს, ვერც ერთ კავშირს ვერ დავაფინანსებთო, მათ შორის, ვერც მწერალთა კავშირსო. მაშინ მე გამომცემლობის დირექტორი გახლდით და არავითარი სურვილი არ მქონდა კავშირში გადაბარგებისა, მაგრამ ვერ გავუძელი ჩემი უახლოესი მეგობრების – ვახტანგ ლლონტისა და მაცყალა გონაშვილის თხოვნებს, ჩამებარებინა ეს უხელფასო ორგანიზაცია გავერანტებული შენობით.

პროგრამული ღონისძიებებისათვის გამოყოფილი ფულით ჟურნალ „ჭოროხს“ და რამოდენიმე წიგნს გამოვცემდით, ესეც დიდი საქმე იყო. ხანდახან გასვლით ღონისძიებებსაც გვიფინანსებდნენ ჩვენი კეთილის მოსურნე განათლებულნი და კულტურის მინისტრები. მათ მიმართ საყვედური არასდროს მითქვამს, რადგან ვიცოდი საიდან მოდიოდა ჩვენი ორგანიზაციის განირვა. რაკი კავშირებს ვერ აფინანსებდნენ, გახსოვს ალბათ, მე და შენ შპს „მწერალთა სახლი“ რომ დავაფუძნეთ. ამოდ დავიხარჯეთ, სამინისტრო დებულებით მხოლოდ მათ მიერ შექმნილ შპს-ს თუ დააფინანსებდა. ეს ყველაფერი რომ გავანალიზებ, დავინყე წერა და თხოვნები აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაეარსებინა ა(ა)იპ-ი ან შპს მწერალთა სახლი, რომელიც იქნებოდა საბიუჯეტო ორგანიზაცია და დაფინანსდებოდა სახელმწიფოსგან. ამასობაში თბილისში შექმნეს ასეთი ორგანიზაცია, რამაც მომცა იმედი იმისა, რომ მივალწევდი ბათუმშიც შექმნილიყო მისი მსგავსი. სანადელს თითქმის მიღწეული ვიყავი, როცა ბატონი ბიძინა ივანიშვილი ჩვენს თხოვნას გამოეხმაურა და მთავრობის თავმჯდომარეობისას გვენვია მწერალთა კავშირში. შენობის მდგომარეობით გულდანყვეტილმა რემონტი შეგვპირდა. მისი დავალებითა და საკუთარი სახსრებით ევროპუ-

ლი რემონტი ჩატარდა და გადაწყდა ა(ა)იპ მწერალთა სახლის დაფუძნების საკითხი.

დირექტორად მწერალთა კავშირის წევრი, მთარგმნელი, საგამომცემლო საქმიანობაში გამონრთობილი, ს.ს. „გამომცემლობა აჭარას“ დირექტორი, ლალი კონცელიძე დაინიშნა. ამ ეტაპზე შეიძლება მწერალთა სახლის მუშაობის დადებითად შეფასება. ხელფასებია წარმოუდგენლად დაბალი. მიუხედავად ამისა, სახლი ყოველთვის მზადაა და იბრძვის სიახლეების დაწერვისათვის.

ამ ყველაფერში ყოველთვის ჩემი მეგობარი, დიდი პოეტი, დიდი ადამიანი, ღირსებით სავსე გულუხვი შემოქმედი, როგორც შურიანებმა შეგვარქვეს, სიამის ტყუპისცალი ვახტანგ ლლონტი ჩემთან ერთად იბრძოდა და ჩემს გვერდით იდგა.

– როგორ ფიქრობთ, იცვლებიან ადამიანები?

– სამწუხაროდ, ადამიანები იცვლებიან. ამისი უამრავი მაგალითი არსებობს.

– მომეცით პირობა, რომ ასი წლის დავით თედორაძე, უპირველესად, ჩემი რესპოდენტი იქნება?

– ეს, ალბათ, სამოთხეში მოხდება, ნაღდად ვიცი, მე და შენ, ისეთი ცხოვრების წესით ვცხოვრობთ, სამოთხეს გამოვკრავთ ხელს.

ჭორბი 4 2019

მალხაზ ფალავას
პირადი წიფრული
ბიბლიოთეკა

2019 malkhaz.pagava@mail.ru